

თინათინ  
წერეთლის  
სახელმწიფოსა  
და სამართლის  
ინსტიტუტი



გიორგი რუსიაშვილი  
დამეგობრე ეგნატაშვილი

# კაზუსები კანონის მიერ პარაფრაზირებით სამართალში

შენახებითსაგნითაგნით  
მიმოხილვა



„იურისტების სამყარო“

გიორგი რუსიაშვილი

კაზუსები კანონისმიერ  
ვალდებულებით  
სამართალში

## სარჩევი

შემოკლებები .....	6
წინათქმა .....	8
შესავალი .....	11
§1 დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება .....	15
შესავალი .....	16
გერმანია .....	17
I. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების წინაპირობები .....	17
II. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების შედეგები .....	21
III. სხვისი საქმეების ნამდვილი არამართებული შესრულება ....	22
IV. სხვისი საქმეების შეცდომით და განზრახ არანამდვილი შესრულება .....	24
კაზუსი: „კეთილი ტაქსისტი“ .....	25
კაზუსი: „დიზაინერი და არშემდგარი არქიტექტორი“ .....	33
კაზუსი: „საჩუქარი საკუთარ თავს“ .....	36
საფრანგეთი .....	41
ინგლისი .....	45
Falcke v. Scottish Imperial Insurance Co; CA 1886 .....	45
Leigh v. Dickeson (1884) 15 QBD 60 .....	46
Jenkins v. Tucker 1 H. BL. 90.....	49
Re Rhodes (1890) 44 ChD 9.....	51
Matheson v. Smiley, [1932] 2 DLR 785 .....	51
შედარება გერმანულ სამართალთან .....	54
BGH Urteil vom 17. 11. 2011 (III ZR 53/11) NJW 2012, 1648 .....	54
კაზუსი: „წარუმატებელი ოპერაცია“ .....	56
კაზუსი: „პაკო მონყობილი“ .....	68
V. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ( <i>სქემა</i> ) .....	84
1. ნამდვილი და მართებული .....	84
2. ნამდვილი არამართებული .....	86
3. შეცდომით არანამდვილი .....	87
4. განზრახ არანამდვილი .....	87
§2 უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი .....	88
შესავალი .....	88
I. შესრულების კონდიქცია .....	91
II. ხელყოფის კონდიქცია .....	96
III. დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია .....	97

IV. ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები .....	99	3. პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა ....	203
V. კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლები .....	104	4. ბრალი .....	205
1. შესრულების კონდიქცია .....	105	5. მართლწინააღმდეგობა .....	206
2. ხელყოფის კონდიქცია .....	108	6. ზიანი .....	207
3. დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია .....	109	კაზუსი: „არასრულწლოვანი ველოსიპედით“ .....	211
კაზუსი: „ბებუის ვაზა“ .....	111	კაზუსი: „ბავშვი როგორც ზიანი“ .....	220
კაზუსი: „ძრავგამოცვლილი მოპედი“ .....	116	II. დელიქტური პასუხისმგებლობა შვეიცარიაში .....	236
კაზუსი: „ჩაშენებული კიბე“ .....	120	1. ზიანი .....	236
კაზუსი: „ავია-მოგზაურობა“ .....	126	2. მიზეზ-შედეგობრიობა .....	237
VI. შესრულების კონდიქცია და ხელშეკრულების არანამდვილობის		3. მართლწინააღმდეგობა .....	238
განმსაზღვრავი ნორმის მიზანი .....	146	4. ბრალი .....	241
კაზუსი: „ვეშაპიძის შავი მუშა“ .....	151	კაზუსი: „განყვეტილი კაბელი“ .....	242
VII. სალდოს თეორია .....	157	III. დელიქტური პასუხისმგებლობა ზოგადი საფუძვლით	
1. დოგმატური დასაბუთება .....	161	(სქემა) .....	254
2. გამონაკლისები სალდოს თეორიიდან .....	161	IV. პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა .....	256
კაზუსი: „დაზიანებული ავტომანქანა“ .....	163	კაზუსი: „აღუბალი კურკიანი ხილია“ .....	264
VIII. შესრულების კონდიქცია სამ პირს შორის		კაზუსი: „აკაკის მოტეხილი ცხვირი“ .....	271
ურთიერთობაში .....	175	V. მწარმოებლის პასუხისმგებლობა (სქემა) .....	283
1. მითითების საფუძველზე შესრულება .....	175		
1.1. შემსრულებლის განსაზღვრა შესრულების			
საეჭვოობისას .....	177		
RGZ 60, 24 .....	182		
1.2. დათმობილი მოთხოვნის შესრულება .....	183		
BGHZ 105, 365 „Feuerversicherung“ –Fall .....	183		
2. სხვისი ვალის გადახდა .....	185		
3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული „ნამდვილი“			
ხელშეკრულება .....	187		
კაზუსი: „კლიენტი ყოველთვის მართალია“ .....	189		
IX. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი (სქემა) .....	194		
1. შესრულების კონდიქცია .....	194		
II. ხელყოფის კონდიქცია .....	195		
II. დანახარჯების/რეგრესის კონდიქცია .....	196		
§3 დელიქტური სამართალი .....	197		
შესავალი .....	197		
I. დელიქტური პასუხისმგებლობა გერმანიაში .....	198		
1. სიკეთის ხელყოფა .....	199		
2. ქმედება .....	202		

## შემოკლებები

გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილე
მ.	მუხლი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე
AC	Law Reports: Appeal Cases 1891-
ALR	Alberta Law Rev
Aufl.	Auflage
AT	allgemeiner Teil
Az.	Aktenzeichen
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BGHZ	Die Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen
BT	Besonderer Teil
BverfG	Bundesverfassungsgericht
CA	Court of Appeal
ChD	Law Reports: Chancery Division 1875-90
CLP	Current Legal Problems 1948-
DLR	Dominion Law Reports
DB	Der Betrieb
f.	folgende
ff.	fortfolgende
H. Bla.	Henry Blackstone's English Common Pleas Reports
HL	House of Lords
ICLQ	The International and Comparative Law Quarterly
JuS	Juristische Schulung
JW	Juristische Wochenschrift
JZ	Die JuristenZeitung
LJ	Lord Justice
Münchkomm	Münchener kommentar

NJW	Neue Juristische Wochenschrift
NJW-RR	Rechtsprechungsreport der NJW
N	Nummer
Nr.	Nummer
OLG	Oberlandesgericht
p.	page
QBD	Law Reports: Queen's Bench Division 1891-1901, 1952-
RG	Reichsgericht
RGZ	Entscheidungssammlung des Reichsgerichts in Zivilsachen
Rn.	Randnummer
v	versus
Vor.	Vorbemerkungen
WM	Wertpapiermitteilungen

## წინათქმა

შედარებითი სამართალმცოდნეობა არის სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი და დაკავებულია სხვადასხვა მართლწესრიგში წარმოშობილი ფენომენების შედარებით. საერთაშორისო კერძო სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც საგანიცაა, შესაძლო გამოსაყენებელ მართლწესრიგებს შორის კოლიზიის გადაწყვეტა, შედარებით სამართალმცოდნეობას ამგვარი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია, რის გამოც მისი მნიშვნელობა ყოველთვის ცალსახა არ ყოფილა.

გერმანიაში რომის სამართლის შესწავლა ყოველთვის აქტუალური იყო, თუმცა ეს არ იყო “ნამდვილი” შედარებითი სამართალმცოდნეობა. სამართლის ისტორიული სკოლის გავლენით, გერმანული სამართალმცოდნეობა ძირითადად საკუთარ თავზე იყო კონცენტრირებული და რომის სამართლის კვლევა არა უცხო სამართლის შემეცნებას, არამედ საკუთარი სამართლის პირველწყაროს გაცნობიერებას წარმოადგენდა. სხვა ქვეყნების სამართლის მიმართ გერმანელთა ინტერესი საუკუნეების განმავლობაში გაცილებით ნაკლები იყო. შედარებითი სამართალმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი. პიონერები ამ საქმეში იყვნენ ფრანგი პროფესორები ედუარ ლამბერი და რეიმონ სალეი. საფრანგეთშივე გამოიცემოდა 1869 წლიდან მოყოლებული პირველი ჟურნალი შედარებით სამართალმცოდნეობაში. გერმანული შედარებითი სამართალმცოდნეობის ფუძემდებლად ითვლება ერნსტ რაბელი, რომელმაც დაარსა პირველი შედარებითი სამართალმცოდნეობის ინსტიტუტი მიუნხენში და შემდგომში ბერლინში იმპერატორ ვილჰელმის სახელობის ინსტიტუტი შედარებით კერძო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში (დღეს მაქს პლანკის ინსტიტუტი ჰამბურგში). მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა ნასყიდობის სამართალი და გერმანული სამართლის ტრადიციის მიმართება საერთო სამართლის სისტემებთან. რაბელი ხელმძღვანელობდა ერთა ლიგის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს, რომლის მიზანიც ერთიანი კერძო სამართლის ჩამოყალიბება იყო (დღეს: Unidroit). მისი ძალისხმევით გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ.

ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში შედარებითი სამართალმცოდნეო-

ბის, როგორც მეცნიერი დისციპლინის ჩამოყალიბება უკავშირდება რუდოლფ შლეზინგერის სახელს (1957-1968 წლებში კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი). მან პირველმა მოაწყო საერთაშორისო რეზონანსის მქონე სემინარები შედარებით სამართალმცოდნეობაში, რომელიც ამ დარგის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა. ამ სემინარების ფარგლებში სხვადასხვა მართლწესრიგის წარმომადგენელ იურისტებს დაურიგდათ ერთი და იგივე რეალური შემთხვევები, რომლებიც უნდა გადაეწყვიტათ საკუთარი ნაციონალური სამართლის მიხედვით. შედეგებმა ნათელყო, რომ არ არის აუცილებელი, რომ ერთი სამართლისათვის დამახასიათებელი თავისებურება და პრობლემის გადაწყვეტა სხვა მართლწესრიგისთვისაც იყოს დამახასიათებელი, ან საერთოდ შესაძლებელი. შედარებითი სამართალმცოდნეობა იძლევა საშუალებას თითოეული მართლწესრიგის სიღრმისეულად გაგებისა, რაც მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

დღესდღეობით შედარებითი სამართალმცოდნეობა კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული საუნივერსიტეტო კურიკულუმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამართლის ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივ ჭრილში მიმოხილვა იძლევა მათი სიღრმისეული შემეცნების საშუალებას და ისეთი ასპექტების გათვალისწინებას, რომლებიც იგივე ინსტიტუტების მხოლოდ ერთი სამართლის ჭრილში განხილვისას შეუცნობელი რჩება. საკუთარი ნაციონალური მართლწესრიგის სრულყოფილი დაუფლება კი შეუძლებელია შედარებით-სამართლებრივ კონტექსტში შექმნილი ცოდნის გარეშე. სხვა ქვეყნის მართლწესრიგის სტრუქტურისა და ცალკეული ინსტიტუტების მოწყობიდან შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება ნაციონალური მართლწესრიგის მოწყობისათვის. შედარებით-სამართლებრივ ჭრილში მიმოხილვისას უკეთ აღქმადი ხდება საკუთარი მართლწესრიგისათვის დამახასიათებელი პრინციპები, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები და ამ უარყოფითი მხარეების აღმოფხვრის გზები. უკანასკნელ წლებში ევროპული სამართლის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად სფეროს წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ევროპეიზაცია, ანუ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებისა და წევრი ქვეყნების სამართლის დაპირისპირების მეშვეობით, საერთო სახელშეკრულებო სამართლის შემუშავება. მოცემული სფეროს დაუფლება გულისხმობს არა მხოლოდ ევროკავშირის კა-

ნონმდებლობის ცოდნას, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაციონალური სამართლის შესწავლასაც. ქართველ იურისტთათვის უცხო სამართლის მეშვეობით საკუთარი მართლწესრიგის უკეთ შემეცნება, პირველ რიგში, გულისხმობს გერმანული სამოქალაქო სამართლის შესწავლას, რომლისგანაც ქართული სამოქალაქო კოდექსი თავისი აგებულებით, ზოგადი დოგმატიკითა და კონკრეტული ინსტიტუტების მოწყობით ყველაზე მეტადაა დავალებული.

შედარებით სამართალში კაზუსებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების კრებულები, შლეზინგერის სემინარებიდან მოყოლებული, ფართოდაა გავრცელებული. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან პროექტს *Ius Commune Casebook Project*<sup>1</sup> წარმოადგენს, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით სამართლის სხვადასხვა დარგის მკვლევარებს აერთიანებს და ამ დარგებში სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებების კომპილაციას ისახავს მიზნად. წინამდებარე კრებულიც ამ ტიპის კომპილაციურ ნაშრომს წარმოადგენს, თუმცა, რა თქმა უნდა, თავისი მასშტაბებით ახლოს ვერ მივა ხსენებული პროექტის ფარგლებში გამოცემულ კრებულებთან.

კრებულში ქართული სამართლის პასაჟები, ჩვეულებრივ, ცალკე არ არის გამოყოფილი, რადგან ნაშრომის მიზანი უცხო ქვეყნების სამართლის დოქტრინების გათვალისწინებით ქართული სამართლისათვის დასკვნების გაკეთებაა და ეს უშუალოდ უცხოური სამართლის მიმოხილვისას გზადაგზა ჩანართის სახით ხდება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გერმანული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ქართულ სამართალთან შეპირისპირებაზე, რის გამოც კრებულში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის დანაწესები უხვადაა ციტირებული. ეს ერთის მხრივ მიზნად ისახავს მკითხველისათვის წიგნთან მუშაობის გაადვილებას და ასევე ქართველი იურისტებისათვის გერმანული სამოქალაქო სამართლის, როგორც ქართული სამართლის პირველწყაროს მნიშვნელობაზე მინიშნებას. გერმანული კანონის ტექსტი აღებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თარგმანიდან.

<sup>1</sup> <http://www.casebooks.eu/>

## შესავალი

ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გარიგების საფუძველზე, თუმცა შეიძლება წარმოიშვას მისგან დამოუკიდებლად, კანონისმიერი საფუძველით. გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების მაგალითია ორმხრივი ხელშეკრულება (ნასყიდობა), მრავალმხრივი ხელშეკრულება (ორგანიზაციის დაფუძნების ხელშეკრულება), ცალმხრივი გარიგება (ჯილდოს დაპირება). კანონის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებია, მაგალითად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტური ვალდებულება. ყველა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ნაწილში არ არის მოწესრიგებული. მათი ნაწილი შეიძლება მოწესრიგებული იყოს მის მიღმა, მაგალითად, სანივთო სამართალში, როგორც არის მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობა გსკ-ის 987-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 163-ე და შემდგომი მუხლების) მიხედვით. ეს დანაწესები, მიუხედავად იმისა, რომ მოთავსებულნი არიან სანივთო სამართლის ნაწილში, წარმოადგენენ ჩვეულებრივ ვალდებულებით-სამართლებრივ ნორმებს, რადგან პასუხს აგებს არა ნივთი, როგორც ეს იპოთეკის ან გირავნობის შემთხვევაშია, არამედ პიროვნება. გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ნების გამოხატვა ემყარება მხარის თავისუფალ ნების გამოხატვას, რადგან კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე არავინ არ შეიძლება დავავალდებულოთ გარიგების ფარგლებში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ამისაგან განსხვავებით, კანონისმიერი ვალდებულების წარმოშობისათვის გადამწყვეტია არა მხარის თავისუფალი ნების გამოხატვა, არამედ კანონისმიერი წინაპირობების შესრულება.

როგორც გარიგებისმიერი, ისე კანონისმიერი ვალდებულებები ერთიანდებიან ვალდებულების ცნების ქვეშ და მათზე ვრცელდება ზოგადი ვალდებულებითი სამართლის დანაწესები, თუმცა მთელრიგ შემთხვევებში პასუხისმგებლობის მასშტაბი განსხვავდება იმისდა მიხედვით გარიგებისმიერ, თუ კანონისმიერ ვალდებულებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, დამხმარე პირის მოქმედება გსკ-ის 276-ე პარაგრაფის (სსკ-ის 396-ე მუხლის) მიხედვით მოვალეს შეერაცხება მხოლოდ უკვე არსებული ურთიერთობის ფარგლებში, მაშინ როდესაც დამხმარე პირის მიერ ჩადენილი დელიქტი

დამვალელები პირის მიმართ მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველია გსკ-ის 831-ე პარაგრაფი (სსკ-ის 997-ე მუხლი). რაც შეეხება ბრალის მასშტაბს, რომლისათვისაც პასუხს აგებს მოვალე, ეს, როგორც გარიგებისმიერი, ისე კანონისმიერი ვალდებულების შემთხვევაში უცვლელია და არის განზრახვა და გაუფრთხილებლობა (გსკ-ის 276-ე პარაგრაფი, სსკ-ის 295-ე მუხლი). გამონაკლისს წარმოადგენს პასუხისმგებლობის შერბილება სახელშეკრულებო სამართლის ნორმების მიხედვით, ან პასუხისმგებლობის შერბილება კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ნორმების მიხედვით. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, აქაც, ორივე შემთხვევაში, ზოგადი წესის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოებები. გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, პასუხისმგებლობა სავარაუდო ბრალისათვის (გსკ-ის 831-ე პარაგრაფი), ან პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი (გსკ-ის 195-ე პარაგრაფი, სსკ-ის 128-ე მუხლი) და მისი ხანგრძლივობა (გსკ-ის 199-ე პარაგრაფი, სსკ-ის 129-ე მუხლი) კანონისმიერი და სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ჩვეულებრივ, ერთი და იგივეა. განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს გერმანიაში ნასყიდობის სამართალი.

კაზუსის ამოხსნისას მოთხოვნის უფლებები მოწმდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პირველად მოწმდება **სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები** (როგორც პირველადი მოთხოვნის უფლებები – ნასყიდობის ფასის გადახდა, ისე მეორადი მოთხოვნის უფლებები – ზიანის ანაზღაურება ან გასვლა). მისი შემოწმება წინ უსწრებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას, რადგან ხელშეკრულება შეიძლება წარმოადგენდეს ამ შესრულების სამართლებრივ საფუძველს. წინ უსწრებს სანივთო მოთხოვნებს (მაგალითად, ვინდიკაცია და მფლობელსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობას (გსკ-ის 987-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 163-164-ე მუხლები), რადგან ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მფლობელობის უფლება. ასევე დელიქტურ პასუხისმგებლობას, რადგან ხელშეკრულება შეიძლება წარმოადგენდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას ან აწესებდეს პასუხისმგებლობის განსხვავებულ მასშტაბს (მაგ. მჩუქებლის შერბილებული პასუხისმგე-

ბლობა ნივთობრივი ნაკლისათვის, გსკ-ის 521-ე პარაგრაფი, სსკ-ის 527-ე მუხლი). სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლების არსებობა-არარსებობის შემოწმება წინ უნდა უძღოდეს უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნის შემოწმებასაც, რადგან ხელშეკრულება წარმოადგენს საფუძველს გამდიდრებისათვის.

2. სახელშეკრულებო მოთხოვნის განხილვის შემდეგ უნდა შემოწმდეს **წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან** წარმოშობილი მოთხოვნები (*culpa in contrahendo*, გსკ-ის 311-ეს მე-2, 241-ეს მე-2, 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოადგენს ე. წ. კვაზი სახელშეკრულებო ურთიერთობას და ყველა ზემოთ მოყვანილი არგუმენტი მოქმედებს მის შემთხვევაშიც. მაგალითად, დელიქტურ პასუხისმგებლობასთან შედარებით წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა ითვალისწინებს შერბილებულ პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო მასშტაბის გამოყენებით.

3. სახელშეკრულებო და წინარე სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებების შემოწმების შემდეგ გადავდივართ **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან** წარმოშობილ მოთხოვნებზე. ის წინ უნდა უსწრებდეს მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლების შესახებ მსჯელობას, რადგან დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულება შემსრულებელს ანიჭებს მფლობელობის უფლებას. წინ უსწრებს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რადგან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ერთი მხრივ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას, როგორც დელიქტური მოთხოვნის წინაპირობას, მეორე მხრივ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შერბილებულ მასშტაბს (გსკ-ის 680-ე პარაგრაფი, სსკ-ის 970-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რომელიც მოქმედებს დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც.

4. შემდეგ ეტაპზე მოწმდება **სანივთო მოთხოვნები** (მაგალითად, მფლობელობის დაცვა, ვინდიკაცია, ნეგატორული მოთხოვნის უფლება, იძულებითი აღსრულების მიქცევა იპოთეკით დატვირთულ ნივთზე). ის წინ უნდა უსწრებდეს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რადგან არაუფლებამოსილი მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (გსკ-ის 987-ე პარაგრაფი და შემდგომი, სსკ-ის 163-164-ე მუხლები) წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს. წინ უნდა უსწრებდეს უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნის შემოწმებას, რადგან გსკ-ის 987-ე პარაგრაფი და შემ-

დგომნი (სსკ-ის 163-164-ე მუხლები) გაბატონებული მოსაზრების მიხედვით ამომწურავად ანესრიგებენ სარგებლისა და დანახარჯების ანაზღაურების წესს.

რაც შეეხება **უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნებსა და დელიქტურ მოთხოვნებს**, ისინი ერთმანეთთან კონკურირებენ, რადგან მათი წინაპირობები ერთმანეთს არ გამო-რიცხავენ.

## §1 დავალაშის გარეშე სხვისი საქმეების შესრულება


**ლიტერატურა:** Bamberger/Roth/GEHRLEIN, BGB<sup>35</sup> [2015], § 677 Rn. 1; BIRKS, An Introduction to the Law of Restitution (1989), 9-27; BIRKS, Negotiorum Gestio and the Common Law, CLP 110 [1971], 113-15; BROX/WALKER, Besonderes Schuldrecht<sup>32</sup> [2007], 410-433; BURROWS, The Law of Restitution<sup>2</sup> [2002], 162-164; SHEEHAN, Negotiorum gestio: A Civilian Concept in the Common Law? ICLQ 55/2 [2006], 253-279; SCHWARZ/ERNST, Ansprüche des Grundstücksbesitzers gegen “Falschparker”, NJW 1997, 2550; FERID/SONNEBERGER, Das französische Zivilrecht II [1986], 317-326; GOFF/JONES, The Law of Restitution<sup>3</sup> [1986], 12-51; JANSSEN, NJW 1995, Abschleppen im bürgerlichen Recht, 624; KASER/KNÜTEL, Römisches Privatrecht<sup>18</sup> [2005], 272-277; LORENZ, Gescheiterte Vertragsbeziehungen zwischen Geschäftsführung ohne Auftrag und Bereicherungsrecht: späte Einsicht des BGH? NJW 1996, 883; MCINNES, Restitution and the Rescue of Life, ALR 37 [1994], 65; MEDICUS, Bürgerliches Recht<sup>21</sup> [2007], Rn. 613; MünchKommBGB/SEILER<sup>6</sup> [2012], § 677 Rn. 48; Palandt/HEINRICHS, BGB<sup>67</sup> [2008], Vor § 249 Rn. 77; Palandt/THOMAS, BGB<sup>67</sup> [2008], § 823 Rn. 140; Palandt/SPRAU, BGB<sup>67</sup> [2008], § 677 Rn. 2, Rn. 11; WANDT, Gesetzliche Schuldverhältnisse<sup>5</sup> [2012], 12-92.

## შესავალი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომაელთათვის negotiorum gestio-ს სახელით და მოიცავდა სხვისი საქმეების შესრულებას დავალებისა და მეურვეობის გარეშე. მის წინაპირობას წარმოადგენდა: 1. საქმე, რომელსაც ასრულებდა gestor-ი. ეს საქმე შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ფაქტობრივი და სამართლებრივი მოქმედება. 2. საქმე უნდა ყოფილიყო სხვისი. 3. gestor-ს უნდა ჰქონოდა ნება შეესრულებინა სხვისი საქმე, თუმცა, ჩვეულებრივ, სუბიექტურად და ობიექტურად სხვისი საქმე ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული არ იყო. 4. საქმე მეპატრონისათვის (dominus negotii) უნდა ყოფილიყო სარგებლის მომტანი (utiliter gestum), თუმცა მნიშვნელოვანი იყო მისი სარგებლიანობა საქმის დანყების მომენტში (utiliter coeptum). negotiorum gestio-ს შემთხვევაში მეპატრონეს ჰქონდა საქმეების შემსრულებლისაგან ამ შესრულების შედეგად მიღებულისა და ასევე არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (actio negotiorum gestorum directa). შემსრულებელი პასუხს აგებდა განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის. საქმის შემსრულებელს ენიჭებოდა სარჩელი (actio negotiorum gestorum contraria) მეპატრონის წინააღმდეგ, თუ ის მოქმედებდა მეპატრონის ინტერესებში, მიყენებული ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. დავალების გარეშე სხვისი შესრულების რომის სამართლიდან მომდინარე ამ ტრადიციითაა ძირითადად განპირობებული მოცემული ინსტიტუტის მოწყობა კონტინენტური ევროპის მართლწესრიგებში.

## გერმანია

გერმანიაში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საგანს, დავალების ხელშეკრულების მსგავსად (გსკ-ის 662-ე და შემდგომი პარაგრაფები), სხვისთვის უსასყიდლო სამსახურის გაწევა წარმოადგენს. დავალების გარეშე საქმეების შესრულებისასაც გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი მთელი რიგი მუხლები. სხვისი საქმეების შესრულება გერმანულ სამართალში იყოფა სხვისი საქმეების ნამდვილ და არანამდვილ შესრულებად. თავის მხრივ ნამდვილი შესრულება იყოფა მართებულ (გსკ-ის 677-ე, 683-ე პარაგრაფები, სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები) და არამართებულ (გსკ-ის 677-ე, 684-ე პარაგრაფები, სსკ-ის 974-ე მუხლი) შესრულებად, ხოლო არანამდვილი შესრულება იყოფა შეცდომით (გსკ-ის 687-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 975-ე მუხლი) და განზრახ (გსკ-ის 687-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი) სხვისი საქმეების შესრულებად.



### I. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების წინაპირობები

1. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების პირველი წინაპირობაა **საქმის შესრულება** (გსკ-ის 677-ე პარაგრაფი, სსკ-ის 969-ე მუხლი), რომლის ქვეშაც იგულისხმება მატერიალური შედეგის მომტანი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ რაიმეს გადაცემით.

**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§677. შემსრულებლის ვალდებულებები.** პირი, რომელიც ასრულებს სხვა პირის საქმეებს ამ უკანასკნელისაგან დავალების მიღებისა ან სხვაგვარად უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ვალდებულია, ისე შეასრულოს საქმე, როგორც ამას მოითხოვს დაინტერესებული პირის ინტერესები ამ უკანასკნელის ნამდვილი ან სავარაუდო ნების გათვალისწინებით.

2. საქმე, რომელიც სრულდება უნდა იყოს სხვისი. **სხვის საქმედ ჩაითვლება** ობიექტურად სხვისი საქმე, “ასევე სხვისი საქმეც”, ან ნეიტრალური საქმე (გსკ-ის 677-ე პარაგრაფი, სსკ-ის 969-ე მუხლი). **ობიექტურად სხვისი საქმე** მიეკუთვნება ცალსახად სხვის (მეპატრონის) ინტერესების სფეროს. ასეთია, მაგალითად, საკუთრების მოვლა ან გაქირავება მესაკუთრისათვის, ავადმყოფის განკურნება, მოვალისათვის ვალის გადახდა და ა. შ. “**ასევე სხვისი საქმე**” არის საქმე, რომლის მიმართაც, მეპატრონის გარდა, ასევე შემსრულებელსაც აქვს საკუთარი ინტერესი – მაგალითად, მეზობლის არყოფნაში მისი წყალგაყვანილობის შეკეთება საკუთარი ზიანის თავიდან ასაცილებლად. **ნეიტრალური საქმე** არის საქმე, რომელიც თავისი შინაარსით არც მეპატრონის და არც შემსრულებლის ინტერესთა სფეროს არ განეკუთვნება.

*მაგალითი: ა ძველმანების ბაზრობაზე აღმოაჩენს ფირფიტას, რომელიც შეავსებდა მისი მეგობარი ბ-ს კოლექციას და ყიდულობს ამ ფირფიტას მეგობრისათვის. ნასყიდობის დადების მომენტში ფირფიტის ნასყიდობას ვერ მივაკუთვნებთ ვერც ა-ს და ვერც ბ-ს სფეროს, ამიტომაც თავისი ობიექტური გამოვლინების მიხედვით ეს გარიგება ნეიტრალურია.*

თუმცა, თუ შემსრულებელი ნეიტრალურ საქმეს გაუძღვება სხ-

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 969. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კეთილსინდისიერად.** პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად.

ვისათვის შესრულების ნებით, ეს აქცევს მას სხვის საქმედ.

3. საქმე უნდა შესრულდეს **სხვისი საქმის შესრულების ნებით**, რაც გამომდინარეობს გსკ-ის 687-ე მუხლის 1-ლი და სსკ-ის 975-ე მუხლიდან. ამ დანაწესების მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არ გვაქვს სახეზე, თუ პირი შესრულებულ საქმეს საკუთრად მიიჩნევდა. პრაქტიკაში სხვისი საქმის შესრულების ნების მტკიცება გაადვილებულია ვარაუდის მეშვეობით. ნება ივარაუდება **ობიექტურად სხვისი საქმის შესრულებისას** და “**ასევე სხვისი საქმის**” შესრულებისას, ასე რომ სარჩელის წარმდგენ პირს მისი მტკიცება არ სჭირდება. ეს ნება არ ივარაუდება და საჭიროებს მტკიცებას **ნეიტრალური საქმის შესრულებისას**, რადგან ნეიტრალურ საქმეს სწორედ სხვისი საქმის შესრულების ნება აქცევს სხვის საქმედ.

**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§687. შემთხვევები, როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას ადგილი არა აქვს.** (1) §677-686 ნორმები არ გამოიყენება, თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს იმ რწმენით, რომ იგი საკუთარია.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 975. საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი.** ამ თავის წესები არ გამოიყენება, თუ პირი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ ეს მისი საქმე იყო.

4. სხვისი საქმეების **ნამდვილი შესრულების** მე-4 წინაპირობაა დაინტერესებული პირის **ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად** ამ საქმის შესრულება (გსკ-ის 683-ე პარაგრაფი, სსკ-ის 974-ე მუხლი). ეს წინაპირობა არ გვჭირდება, თუ შემსრულებელი ასრულებს მეპატრონის საჯარო ინტერესებში მყოფ ან კანონისმიერი ვალდებულებას. (გსკ-ის 679-ე პარაგრაფი, სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ან მეპატრონის მოწონება (გსკ-ის 684-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§683. ხარჯების ანაზღაურება.** თუ სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მაშინ შემსრულებელს, როგორც რწმუნებულს შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება. §679 შემთხვევებში აღნიშნული მოთხოვნის უფლება შემსრულებელს აქვს მაშინაც, როდესაც საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნებას.

**5. მე-5 წინაპირობას წარმოადგენს დავალებისა და სხვა უფლება-მოთხოვნის გარეშე ამ საქმის შესრულება (გსკ-ის 677-ე პარაგრაფი, სსკ-ის 969-ე მუხლი).**

**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§677. შემსრულებლის ვალდებულებები.** პირი, რომელიც ასრულებს სხვა პირის საქმეებს ამ უკანასკნელისაგან დავალების მიღებისა ან სხვაგვარად უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ვალდებულია, ისე შეასრულოს საქმე, როგორც ამას მოითხოვს დაინტერესებული პირის ინტერესები ამ უკანასკნელის ნამდვილი ან სავარაუდო ნების გათვალისწინებით.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 974. განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა.** 1. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. 2. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 969. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კეთილსინდისიერად.** პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად.

**II. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების შედეგები**

1. სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულებისას შემსრულებელს წარმოეშობა **შეტყობინების ვალდებულება** (გსკ-ის 681-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი) და შესრულების შედეგად **მიღებული დაბრუნების ვალდებულება** (გსკ-ის 677-ე, 681-ეს მე-2 წინადადება და 667-ე პარაგრაფები).

**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§681. შემსრულებლის დამატებითი ვალდებულებები.** შემსრულებელმა უნდა პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს დაინტერესებულ პირს საქმის შესრულების კისრების შესახებ და, თუ დახანება დაკავშირებული არ არის საფრთხესთან, დაელოდოს მის გადანყვეტილებას. სხვა შემთხვევებში შემსრულებლის ვალდებულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §666-668 ნორმები.

**§667. მიღებული დაბრუნების ვალდებულება.** რწმუნებული ვალდებულია, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი ის, რასაც იგი იღებს დავალების შესასრულებლად და რასაც იგი შეიძენს საქმის წარმოებიდან გამომდინარე.

2. მეპატრონემ უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ განეული **დანახარჯები** (გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფები, სსკ-ის 973-ე მუხლი). სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ასევე ის ზიანი, რომელსაც შემსრულებელს მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა მეპატრონეს ან მის ქონებას.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 971. მეპატრონისათვის შეტყობინების ვალდებულება.** შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ.

**მუხლი 972. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.** შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო.

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§683. ხარჯების ანაზღაურება.** თუ სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მაშინ შემსრულებელს, როგორც რწმუნებულს შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება. §679 შემთხვევებში აღნიშნული მოთხოვნის უფლება შემსრულებელს აქვს მაშინაც, როდესაც საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნებას.

**§670. ხარჯების ანაზღაურება.** თუ რწმუნებული დავალების შესრულების მიზნით სწევს ისეთ ხარჯებს, რომლებსაც გარემოებებიდან გამომდინარე იგი აუცილებლად მიიჩნევს, მაშინ მარწმუნებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ასეთი ხარჯები.

### III. სხვისი საქმეების ნამდვილი არამართებული შესრულება

სხვისი საქმეების ნამდვილი არამართებული შესრულება გვაქვს სახეზე, როდესაც სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების ყველა სხვა წინაპირობის არსებობისას ეს შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან ინტერესს (გსკ-ის 677-ე და 684-ე პარაგრაფები, სსკ-ის 974-ე მუხლი). ნამდვილი არამართებული შესრულების შედეგებია: **მეპატრონის მიერ** შესრულების შედეგად **მიღებულის** დაბრუნება (გსკ-ის 677-ე და 684-ეს 1-ლი წინადადება და 818-ე პა-

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 973. განეული ხარჯების ანაზღაურების უფლება.** შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

**მუხლი 970. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.** .... 2. შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაუროდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.

რაგრაფი); **დანახარჯების** ანაზღაურება (გსკ-ის 677-ე პარაგრაფი და 684-ეს მე-2 წინადადება, სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 წინაწილი); **ზიანის** ანაზღაურება (გსკ-ის 678-ე პარაგრაფი, სსკ-ის 974-ე პარაგრაფი).

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§678. საქმის შესრულება დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ.** თუ საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნამდვილ ან სავარაუდო ნებას და შემსრულებელს უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ შემსრულებელი პასუხისმგებელია საქმის წარმოების შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის მაშინაც კი, როდესაც სხვა მხრივ მას ბრალი არ მოუძღვის.

**§684. უსაფუძვლოდ გამდიდრებულის უკან დაბრუნება.** თუ სახეზე არ არის §683 წინაპირობები, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია, უსაფუძვლოდ გამდიდრებულის უკან დაბრუნების შესახებ წესების თანახმად დაუბრუნოს შემსრულებელს ყველაფერი ის, რაც მან საქმის შესრულების დროს მიიღო. თუ დაინტერესებული პირი მოიწონებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოებას, მაშინ შემსრულებელს მიენიჭება მოთხოვნის უფლება 683-ე პარაგრაფის შესაბამისად.

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 974. განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა.** 1. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. 2. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს.

#### IV. სხვისი საქმეების შეცდომით და განზრახ არანამდვილი შესრულება

სხვისი საქმეების შეცდომით არანამდვილი შესრულება გვაქვს სახეზე, როდესაც სხვისი საქმის შესრულებისას შემსრულებელს **საკუთარი საქმის** შესრულების ნება აქვს. გსკ-ის 687-ე პარაგრაფის (სსკ-ის 975-ე მუხლის) შესაბამისად ამ დროს გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი. სხვისი საქმეების **განზრახ არანამდვილი** შესრულება გვაქვს სახეზე, როდესაც შემსრულებელი განზრახ ასრულებს სხვის საქმეს (გსკ-ის 687-ე მუხლის მე-2 ნაწილი) როგორც საკუთარს.

#### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§687. შემთხვევები, როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას ადგილი არა აქვს.** (1) §§677-686 ნორმები არ გამოიყენება, თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს იმ რწმენით, რომ იგი საკუთარია. (2) თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს როგორც საკუთარს, თუმცა, მან იცის, რომ იგი მასზე უფლებამოსილი არ არის, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს §§677, 678, 681, 682 გამომდინარე მოთხოვნის უფლებები. თუ იგი წარადგენს ამ მოთხოვნის უფლებებს, მაშინ იგი ვალდებულია შემსრულებლის წინაშე §684 1-ლი წინადადების მიხედვით.

#### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 975. საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი.** ამ თავის წესები არ გამოიყენება, თუ პირი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ ეს მისი საქმე იყო.

#### კაზუსი: „კეთილი ტაქსისტი“

მიხო (მ), რომელიც თავგადაკლული ავტომოყვარულია, ყოველ დამით დიღმის ტრასაზე დააქროლებს ხოლმე თავის სპორტულ ავტომანქანას. ერთ წვიმიან დღესაც, როდესაც ის ყოველგვარი წესების დარღვევით და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს გზის ჩვეულ მონაკვეთზე, მოუცურდება მანქანა და შეეჯახება ბოძს. მიუხედავად იმისა, რომ მ-ს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება არ მიუღია, ის იმყოფება უგონო მდგომარეობაში და ამ მდგომარეობით გამოწვეულმა ჰაერის უკმარისობამ შესაძლებელია სერიოზული ზიანი მიაყენოს მის ტვინს. გზად გამოივლის ტაქსის მძღოლი შაკო (შ), რომელიც მ-ს გადაიყვანს საკუთარ მანქანაში, მოასულიერებს და საკუთარი მანქანიდან მიიყვანს საავადმყოფოში, სადაც მ-ს აღმოუჩინენ შესაბამის დაზიანებას. შ საავადმყოფოსაკენ გზაზე მოძრაობს ასევე გადაჭარბებული სიჩქარით, რის გამოც გაუფრთხილებლობით ვერ შეამჩნევს გზაზე დაგდებულ მორს, რომელიც მას დაუზიანებს უკანა საბურავს. შ მ-ს მანქანიდან გადმოყვანისას ასევე დაზიანებს მკლავს.

მ-ს გამოჯანმრთელების შემდეგ შ მოითხოვს მისგან ბენზინის ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია მ-ს საავადმყოფოში მიყვანისათვის, ასევე გასამრჯელოს მის მიერ განეული პირველადი დაზიანებისა და დაკარგული დროისათვის, დაზიანებული მკლავის მკურნალობის ხარჯებს და დაზიანებული საბურავის გამოცვლას. მ-მ მიიღო გულ-მკერდის ძვლის მოტეხილობა, როდესაც შ მის მოსულიერებას ცდილობდა. ის თავის მხრივ ითხოვს ჩანგრეული გულ-მკერდის გამრთელების ხარჯების ანაზღაურებას, რადგან შ-მ ამ დროს არასათანადო ყურადღება გამოიჩინა. რის საპირისპიროდაც შ-ს მიაჩნია, რომ მას მ-ს დაზიანებაში ბრალი არ მიუძღვის, სიჩქარეში შეუძლებელი იყო დეტალებზე ყურადღების გამახვილება.

#### ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

**I. შ-ს მოთხოვნა მ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე მუხლი და 970-ე მუხლის მე-2 ნაწილი) შესაბამისად**

შ-ს, როგორც შემსრულებელს, შეიძლება ჰქონდეს მ-საგან, როგორც მეპატრონისაგან, გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე მუხლი და 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად განეული დანახარჯების მოთხოვნის უფლება, თუ სახეზეა სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება.

1. გსკ-ის 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 969-ე მუხლის) შესაბამისად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს **რაიმე საქმის** შესრულება. საქმის შესრულებად, ისევე როგორც დავალების ხელშეკრულების შემთხვევაში, ითვლება ნებისმიერი სახის ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი მოქმედება. უმოქმედობა, თმენა, ან რაიმეს მხოლოდ გადაცემა საკმარისი არ არის. მოქმედება, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ხანგრძლივობის, შეიძლება განახორციელოს შემსრულებელმა როგორც პირადად, ისე მესამე პირის მეშვეობით.

მოცემულ შემთხვევაში შ-მ მ-ს მანქანიდან გადმოყვანიდან მის საავადმყოფოში მიყვანამდე განახორციელა მთელი რიგი ფაქტობრივი ხასიათის მოქმედებები, რომლებიც ყოველ მიზეზ გარეშე შეიძლება ჩაითვალოს საქმის შესრულებად.

2. გსკ-ის 677-ე პარაგრაფი (სსკ-ის 969-ე მუხლი) ითვალისწინებს, რომ საქმის შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს **სხვისათვის**, ანუ ის უნდა აცნობიერებდეს, იცოდეს და სურდეს იმოქმედოს სხვა პირის ინტერესებში (გსკ-ის 687-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 975-ე მუხლი). საქმე არის სხვისი, თუ ის ობიექტურად განეკუთვნება სხვა პირის ვალდებულებებისა და ინტერესთა სფეროს. ობიექტურად სხვისი საქმის შემთხვევაში, მისი გარეგნული გამოხატულებიდან გამომდინარე, ცალსახაა მისი სხვა პირის უფლებებისა და ინტერესების სფეროსათვის მიკუთვნება, რისთვისაც აუცილებელია პირდაპირი კავშირი საქმესა და სხვა პირის უფლება-ინტერესებს შორის.

ავტოავარიში დაზარალებული პირის დახმარება, ექცევა დაზარალებული პირის უფლებებისა და ინტერესების სფეროში. მ-ს მანქანიდან გადმოყვანით დაწყებული და მისი საავადმყოფოში მიყვანით დამთავრებული საქმიანობა სრულად ექცეოდა მის ინტერესებში.

3. შ-ს უნდა ემოქმედა საქმის **სხვისათვის შესრულების ნებით**. მას უნდა სცოდნოდა, რომ საქმე იყო სხვისი და ჰქონოდა ნება შეესრუ-

ლებინა ეს საქმე სხვისათვის. სხვისთვის შესრულების ნებას, იმისა და მიხედვით, თუ რა სახის საქმეა სახეზე, სხვადასხვა წინაპირობები წაეყენება. თუ პირი ობიექტურად სხვის საქმეს ახორციელებს, მაშინ მოქმედებს ვარაუდი, რომ ის ამ საქმეს ახორციელებს სხვისათვის შესრულების ნებით. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება მეპატრონეს. მოცემულ შემთხვევაში კაზუსიდან გამომდინარე მ, სურვილისდა მიუხედავად, ვერ შესძლებს ამ ვარაუდის გაქარწყლებას. შ მოქმედებდა სხვისთვის შესრულების ნებით.

4. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს სწორედ ამ **დავალებისა ან სხვა რაიმე სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა**, რომელიც შემსრულებელს მიაჩნებდა მოქმედების უფლებამოსილებას, ან დააკისრებდა მას ამ ვალდებულებას. მ-სა და შ-ს შორის დავალების ხელშეკრულება არ დადებულა. სათუთა ასევე სხვა საფუძვლის არსებობაც. მიუხედავად ამისა, ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 323 (c) პარაგრაფი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი), რომელიც პირს ავალდებულებს სხვა პირს გაუწიოს აუცილებელი დახმარება, თუ ის იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, ეს ნორმა არ გამოდგება მ-სა და შ-ს შორის არც დავალების ხელშეკრულების დასაშვებად და არც სხვა საფუძველად გსკ-ის 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 969-ე მუხლი) შესაბამისად. სხვა საფუძველიც ამ ნორმის შესაბამისად გულისხმობს ისეთ საფუძველს, რომელიც ეხება შემსრულებელსა და მეპატრონეს შორის ურთიერთობას და შეიცავს მის მომწესრიგებელ სპეციალურ დანაწესებს, განსაკუთრებით დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 323 (c) პარაგრაფი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი) მიმართულია საზოგადოების ყოველი წევრისაკენ, არ წარმოშობს მეპატრონესა და შემსრულებელს შორის სპეციალურ ურთიერთობას და რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულებას. შ მოქმედებდა დავალებისა და რაიმე სხვა საფუძვლის გარეშე.

5. საქმის შესრულება უნდა შეესატყვისებოდეს **მეპატრონის ინტერესსა და ნამდვილ ან ჰიპოთეტურ ნებას** (გსკ-ის 683-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ან

სახეზე უნდა იყოს გსკ-ის 683-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებისა და 679-ე პარაგრაფის (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილის) წინაპირობები. საქმის შესრულება მეპატრონის ინტერესებშია, თუ ის მისთვის ობიექტურად სარგებლის მომტანია საქმის შესრულების დაწყების მომენტში. არ არის აუცილებელი, რომ ინტერესი ქონებრივ ხასიათს ატარებდეს. მოცემულ სიტუაციაში მ-სათვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა, რამაც ის გადაარჩინა ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებას, იყო ცალსახად სარგებლიანი და შეესატყვისებოდა მის ინტერესებს.

რაც შეეხება მ-ს ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, ნამდვილი ნება მას არ განუცხადებია, რის გამოც გადამწყვეტია მისი სავარაუდო ნება. სავარაუდო ნება განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმებით, იმის მიხედვით, თუ როგორ განაცხადებდა მას მეპატრონე საქმის შესრულების დაწყებისას, ამის საშუალება რომ მისცემოდა. ჩვეულებრივ, ობიექტურად სარგებლიანი საქმე შეესატყვისება ასევე მეპატრონის ნებას. ამგვარად მ-ს მიერ შ-ს საავადმყოფოში მიყვანა ეხმიანებოდა, როგორც მის ინტერესს, ასევე მის ჰიპოთეტურ ნებას.

**6.** სხვისი საქმეების ნამდვილი გამართლებული შესრულების შემთხვევაში შემსრულებელს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ განეული **ხარჯების** ანაზღაურება ისე როგორც დავალებულმა (გსკ-ის 683-ე პარაგრაფი, სსკ-ის 973-ე მუხლი). გსკ-ის 670-ე პარაგრაფის მიხედვით დამავალბელმა დავალებულს უნდა აუნაზღაუროს მის მიერ განეული აუცილებელი ხარჯები. ხარჯების ქვეშ იგულისხმება დავალებულის მიერ დავალების შესასრულებლად ნებაყოფლობით გაღებული ქონებრივი მსხვერპლი. მათი აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული გარემოებებიდან. მასშტაბად გამოიყენება ობიექტური კრიტერიუმი სუბიექტური კონოტაციით – დავალებულმა კონკრეტული დეტალების გულდასმით შეფასებისა და გონივრული მსჯელობის შედეგად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების განევასთან დაკავშირებით.

**6.1.** მოცემულ შემთხვევაში ამგვარ ნებაყოფლობით მსხვერპლს წარმოადგენს მ-ს გადაყვანისას დახარჯული **ბენზინი**, რომელიც მ-მ შ-ს უნდა აუნაზღაუროს.

**6.2.** რაც შეეხება **გასამრჯელოს მ-ს მოსულიერებისა და დახარჯული დროისათვის**, ჩვეულებრივ, განეული შრომა დავალებისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას არ ანაზღაურ-

დება. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ისევე როგორც დავალება არის უსასყიდლო ურთიერთობა, ნაკარნახებია ალტრუისტული მოტივებით და ითვალისწინებს მხოლოდ მატერიალური დანახარჯებისა და არა არამატერიალური მომსახურებისა და „დაკარგული დროის“ ანაზღაურებას. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც შემსრულებელი თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ასრულებს სხვის საქმეს დავალების გარეშე. მაგალითად, შემთხვევით შესწრებული ექიმი დახმარებას უწევს ქუჩაში ძიძიმედ დაზიანებულ ადამიანს. ამ დროს გსკ-ის 1835-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენებით შემსრულებელს აუნაზღაურდება ის ხარჯები რასაც ის ჩვეულებრივ მიიღებდა მის მიერ განეული სამუშაოსათვის. გსკ-ის 1835-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს ის არგუმენტი, რომ თუ ეს დანაწესი ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველის უფლებას მოითხოვოს ანაზღაურება განეული პროფესიული სამუშაოსათვის, როდესაც მას აკისრია კანონისმიერი ვალდებულება გასწიოს ეს შრომა, იგივე წესი უნდა მოქმედებდეს მაშინაც, როდესაც პირი ყოველგვარი კანონისმიერი ვალდებულების გარეშე ასრულებს სხვის საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში შ-მ მ-ს აღმოუჩინა პირველადი დახმარება, მაგრამ არ იყო რა ექიმი, ეს დახმარება ვერ ჩაითვლება პროფესიული საქმიანობის ფარგლებში განეულად და შესაბამისად, მათი ანაზღაურებაც გამორიცხულია. სხვაგვარად შეიძლება გადაწყდეს „დაკარგული დროის“ ანაზღაურების საკითხი. შ არის რა პროფესიით ტაქსისტი, პირთა ტრანსპორტირება წარმოადგენს მის პროფესიულ საქმიანობას. დაშავებული მ-ს საავადმყოფოში გადაყვანისას, ის მოქმედებდა სწორედ ამ თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. მ-მ უნდა აუნაზღაუროს შ-ს მისი გადაყვანის ხარჯები (ბენზინის ხარჯების გამოკლებით) გსკ-ის 1835-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ტაქსის ჩვეული ტარიფის შესაბამისად.

*საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გსკ-ის 1835-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგი არ მოიპოვება, თუმცა სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილი, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, ითვალისწინებს შემსრულებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მეპატრონის მიმართ. მოცემულ შემთხვევაშიც შეგვიძლია ტაქსისტი შ-ს მიერ მ-ს გადარჩენაში დახარჯული დრო,*

თუ ის ამ დროის განმავლობაში მისი პროფესიული საქმიანობით დაკავებისას შემოსავალს მიიღებდა, მივიჩნით ანაზღაურებად ზიანად (სსკ-ის 411-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე; ანალოგიით, რადგან მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევა ამ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე) და არა დანახარჯებად, როგორც ამას გერმანული სამართლის დოქტრინა აკეთებს.

6.3 ყველაფერთან ერთად შოთხოს დაშავებული მკლავის მკურნალობისა და დაზიანებული საბურავის ხარჯების ანაზღაურებას. ეს ორივე დანახარჯი წარმოადგენს არა ხარჯებს გსკ-ის 670-ე პარაგრაფის (სსკ-ის 973-ე მუხლის) მიხედვით, როგორც ნებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლს, არამედ ზიანს – არანებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლს. სხენებული დანახარჯები ზიანის ანაზღაურების წესს არ ითვალისწინებენ, თუმცა გერმანული სასამართლო ხარჯებთან ერთად ანაზღაურებადად მიიჩნევს ასევე იმ ზიანს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ნაკისრ საქმიანობას. კისრულობს რა შემსრულებელი გარკვეული საფრთხის შემცველ საქმიანობას, ის უშვებს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანის დადგომას ისევე ნებაყოფლობით, როგორც შემდეგში ნებაყოფლობით იღებს მასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*საქართველოში ზიანი ანაზღაურდება სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.*

შესაბამისად, დაზიანებული მკლავიც და საბურავიც წარმოადგენს იმ ზიანს, რომლის დადგომაც შ-მ შეგნებულად დაუშვა და უნდა ანაზღაურდეს ისე, როგორც განეული დანახარჯები. პრობლემაურია გაფუჭებული საბურავის ანაზღაურება. ეს ზიანი გამოიწვია არა მხოლოდ ნაკისრი საქმიანობიდან წარმოშობილმა საფრთხემ, არამედ ასევე მ-ს წინდაუხედაობამ, როდესაც ის საავადმყოფოსაკენ გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა მანქანას. ის მოქმედებდა ამ დროს სულ მცირე მსუბუქი გაუფრთხილებლობით და შესაბამისად შესაძლებელია გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) გამოყენებით მოცემული ზიანის ანაზღაურების მოცულობის შემცირება შ-ს თანაბრალეულობის შესაბამისად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება შემსრულებელს შეიძლება უწევდეს ექსტრემალურ პირობებში, როდესაც მაქსიმალური წინდახედულობის გამოჩენა შეუ-

ძლებელია, კანონმდებელი მას ანიჭებს პრივილეგიას გსკ-ის 680-ე პარაგრაფის (სსკ-ის 970-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მიხედვით. თუ საქმის შესრულება გამიზნულია იმ საფრთხის თავიდან აცილები-საკენ, რომელიც ემუქრება დაინტერესებულ პირს, მაშინ შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. საქმის შესრულება მოცემულ შემთხვევაში მიმართული იყო იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა მ-ს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, შესაბამისად პასუხისმგებლობა შემოფარგლულია განზრახვითა და უხეში გაუფრთხილებლობით. მის მიერ გამოჩენილი მსუბუქი გაუფრთხილებლობა თანაბრალეულობისას არ გაითვალისწინება და შეუძლია სრული მოცულობით მოითხოვოს დაზიანებული საბურავის გამოცვლის ხარჯების ანაზღაურება.

**შედეგი:** შ-ს შეუძლია მ-საგან მოითხოვოს ბენზინის, დაზიანებული მკლავის მკურნალობისა და საბურავის გამოცვლის ხარჯები. გერმანული სამართლის მიხედვით ასევე გადაყვანის ხარჯები ტაქსის ჩვეული ტარიფის შესაბამისად.

## II. მ-ს მოთხოვნა შ-ს მიმართ გსკ-ის 280-ეს 1-ლი ნაწილისა და 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ეს 1-ლი ნაწილისა და 969-ე მუხლის) მიხედვით

მ-ს შეიძლება ჰქონდეს შ-ს მიმართ ჩანგრეული გულ-მკერდის გამრთელების, როგორც ზიანის ანაზღაურების, მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი და 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 969-ე მუხლი) მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ დაარღვია ვალდებულება, რამაც მ-ს ზიანი მიაყენა.

**1. ვალდებულებითი ურთიერთობა,** რაც წარმოადგენს გსკ-ის 280-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის) გამოყენების წინაპირობას, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების, როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის, სახით.

**2. შ-ს უნდა დაერღვია** ამ ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელი არ არის ვალდებული გაუძღვეს სხვის საქმეს, იმ მომენტიდან რა მომენტიდანაც ის ხელს მოჰკიდებს მას, ეკისრება ვალდებულება გაუძღვეს ამ საქმეს ჯეროვნად (გსკ-ის 677-ე პარაგრაფი, სსკ-ის

969-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში დაწყებული საქმე – მ-სათვის დახმარების აღმოჩენა, გულისხმობდა დახმარების აღმოჩენას იმგვარად, რომ მ-ს არ მისდგომოდა სხვა დაზიანებები. მ-ს მოსულიერებისას მისთვის გულმკერდის ჩანგრევით შ-მ დაარღვია ეს ვალდებულება.

**3.** პასუხისგებლობის შემდეგ ელემენტს წარმოადგენს მოვალის **ბრალი**, რომელიც გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით ივარაუდება. საკითხავია, შესძლებს თუ არა შ ამ ვარაუდის გაქარწყლებას. ის ამტკიცებს, რომ სიჩქარეში მისთვის შეუძლებელი იყო მეტი სიფრთხილის გამოჩენა. მისი ეს მითითება შესაძლებელია გამორიცხავდეს განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობას, თუმცა არ არის საკმარისი მარტივი და ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობის ვარაუდის გასაქარწყლებლად. მ-სათვის გულ-მკერდის ჩანგრევისას შ მოქმედებდა მარტივი ან ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობით. მიუხედავად ამისა, მასზე შეიძლება გავრცელდეს გსკ-ის 680-ე პარაგრაფით (სსკ-ის 970-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) გათვალისწინებული პრივილეგია. როგორც ზემოთ ვახსენეთ, სხვა პირისათვის საფრთხის თავიდან აცილებისას შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე. შ-ს ბრალი არ შეეარაცხება.

**შედეგი:** ბრალის არარსებობის გამო შ არ აგებს პასუხს.

## კაზუსი: „დიზაინერი და არაქმდგარი არქიტექტორი“

მ, რომელიც თავის გარაჟში არქიტექტურული ბიუროს გახსნას აპირებს დაიქირავებს დიზაინერ შ-ს და რამდენიმეთვის განმავლობაში ამუშავებს შესაბამის დიზაინზე. შემდეგში გაირკვევა, რომ მ-სა და შ-ს შორის დადებული ხელშეკრულება დადების მომენტიდანვე არანამდვილი იყო. შ მოითხოვს მ-საგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. მ, რომელმაც ამასობაში გარაჟისათვის ჩვეული ფუნქციის შენარჩუნება გადაწყვიტა, უარს აცხადებს ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ განეული სამუშაოები მისთვის ყოვლად გამოუსადეგარია. აქვს თუ არა შ-ს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?

### ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

#### **შ-ს მოთხოვნა მ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლი) შესაბამისად**

შ-ს, როგორც შემსრულებელს, შეიძლება ჰქონდეს მ-საგან, როგორც მეპატრონისაგან, გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების) შესაბამისად განეული დანახარჯების მოთხოვნის უფლება, თუ სახეზეა სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება მისი მხრიდან.

1. პირველ რიგში პრობლემურია, არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების აღმოფხვრა უნდა მოხდეს თუ არა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანაწესებით. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით<sup>2</sup>, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება შეიძლება გამოირიცხოს უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესებთან კონკურენციისდა გამო, რადგან შესრულების კონდიქციის დანაწესები წარმოადგენენ სპეციალურ ინსტრუმენტს ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისათვის: 1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანაწესების გამოყენებით არ უნდა მოხდეს ისეთი დანაწესებისათვის გვერდის ავლა, როგორიცაა გსკ-ის 814-ე, 815-ე, 817-ე

<sup>2</sup> Palandt/SPRAU, § 677 Rn. 11; LORENZ, NJW 1996, 883 და მასთან ციტირებული ლიტერატურა.

პარაგრაფები (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა)-გ) ქვეპუნქტებში). 2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანაწესების გამოყენება პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა იმ შემსრულებელს, რომელმაც სხვისთვის სასარგებლო სამუშაო გასწია, ყველა სხვა შემსრულებელთან მიმართებაში. მაგალითად, ნასყიდობის მხარეებს, იმის გამო, რომ ნასყიდობა „საქმის შესრულებას“ არ ითვალისწინებს, შეეძლებოდათ მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესების გამოყენება, განსხვავებით იმ ხელშეკრულების მხარეებისაგან, რომლის შინაარსსაც მომსახურების განევა წარმოადგენდა. საპირისპირო მოსაზრების თანახმად, რომელსაც ემხრობა გერმანული სასამართლო პრაქტიკა<sup>3</sup>, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანაწესების გამოყენება უნდა მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შემსრულებელმა სხვისთვის სასარგებლო სამუშაოები გასწია, დამოუკიდებლად იმისა, სახეზე იყო თუ არა არანამდვილი ხელშეკრულება. მეორე მოსაზრების სასარგებლოს მეტყველებს ის გარემოება, რომ ის, ვინც სხვისათვის სასარგებლოს სამუშაოებს არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე გასწევს, არ უნდა ჩავაყენოთ უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის, ვინც ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ასრულებს სხვის საქმეებს.

2. საკითხავია, სახეზე არის თუ არა სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების წინაპირობები.

2.1 გსკ-ის 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 969-ე მუხლის) შესაბამისად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს რაიმე საქმის შესრულება. მოცემულ შემთხვევაში შ-მ მ-ს გადაუკეთა გარაჟი, რაც წარმოადგენს საქმის შესრულებას. გარაჟის გადაკეთება განეკუთვნება მ-სა და არა შ-ს ინტერესთა და ვალდებულებათა სფეროს და იყო ამგვარად სხვისი.

2.2 შ-ს ჰქონდა ასევე სხვისი საქმის შესრულების ნება. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ საქმის შესრულებით საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება სურდა, ეს არ გამოორიცხავს, რომ მან ამავდროულად შეასრულა შ-ს საქმეც, ანუ სახეზე გვაქვს „ასევე სხვისი საქმე“, რომლის დროსაც, ისევე როგორც ობიექტურად სხვისი საქმის შესრულებისას, სხვისი საქმის გაძლოის ნება ივარაუდება<sup>4</sup>.

3 შეჯამებისათვის შეადარე BGH NJW 2000, 72, 74.

4 BGHZ 40, 28; BGH NJW 1997, 47.

2.3 დავალება ან სხვა რაიმე სამართლებრივი საფუძველი სახეზე არ გვაქვს, რადგან ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შ მოქმედებდა არანამდვილი იყო.


2.4 საქმის შესრულება შეესატყვისებოდა მესაკუთრის ინტერესსა და ნამდვილ ნებას.

**შედეგი:** შ-ს შეუძლია მოსთხოვოს მ-ს განუული ხარჯების ანაზღაურება. გსკ-ის 1835-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად ანაზღაურებადია ასევე ის მომსახურება, რომელსაც შემსრულებელი საკუთარი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გასწევს. მ-მ შ-ს უნდა გადაუხადოს დიზაინერის ჩვეულებრივი მომსახურების საფასური.

**კაზუსი: „საჩუქარი საკუთარ თავს“**

ა, რომელსაც გაუფუჭდება ბაბუის ნაჩუქარი მაჯის საათი, მიუტანს ამ საათს გასაკეთებლად ხელოსან ბ-ს. ბ საათს გააკეთებს, თუმცა დაბრუნებამდე ორი დღით ადრე ათხოვებს მას ძმიშვილ გ-ს ერთი დღით, რომელიც გადაწყვეტს საკუთარ თავს საჩუქარი გაუკეთოს და მიყიდის ამ საათს (რომლის რეალური ღირებულებაც 100 ლარია) 300 ლარად კეთილსინდისიერ თენგიზს.

ა-ს აინტერესებს, აქვს თუ არა გ-საგან 300 ლარის მოთხოვნის უფლება.



**ამოხსნა:**

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

**I. ა-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 681-ეს მე-2 წინადადებისა და 667-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე მუხლების) შესაბამისად**

ა-ს შესაძლებელია ჰქონდეს გ-ს მიმართ 300 ლარის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 677-ე, 681-ეს მე-2 წინადადებისა და 667-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე მუხლების) შესაბამისად.

სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულების ფარგლებში მიღებულის უკან მოთხოვნისათვის აუცილებელია, რომ გ-ს საათის გასხვისებით შეესრულებინა სხვისი – ა-ს – საქმე, სხვისი საქმის შესრულების ნებით. გ-მ იცოდა, რომ საათის გასხვისება იყო სხვისი საქმე, რადგან თავის მხრივ ამ საათის მიღებისას იცოდა, რომ ის ეკუთვნოდა ა-ს და არა ბ-ს, რომელსაც ის მხოლოდ შესაკეთებლად მიაბარეს, თუმცა ამ საათის თენგიზისათვის მიყიდვისას გ არ მოქმედებდა ალტრუისტული მოტივებით. მან იცოდა, რომ საათის შესაკუთრე იყო ა და არ დაინტერესებულა ჰქონდა თუ არა ბ-ს ამ საათის გასხვისების უფლებამოსილება. ამის საპირისპიროდ მან გამოიყენა შანსი საათის ხელში ჩაგდებისა და შემდგომში მისი სარფიანად გასხვისებისა, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს საკუთარი და არა სხვისი საქმის გაძლოლის ნება.

**შედეგი:** სხვისი საქმის გაძლოლის ნების არარსებობის გამო ა-ს არ აქვს გ-ს მიმართ 300 ლარის მოთხოვნის უფლება.

**II. ა-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 687-ეს მე-2 ნაწილის, 681-ეს მე-2 წინადადებისა და 667-ე პარაგრაფების შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება გსკ-ის 677-ე, 681-ეს მე-2 ნაწილისა და 667-ე პარაგრაფების შესაბამისად.

1. მოცემული მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს სხვისი საქმის შესრულება, თუმცა გსკ-ის 687-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის ფარგლებში საკმარისი არ არის “ასევე სხვისი საქმის” გაძლოლა, აუცილებელია ობიექტურად სხვისი საქმის შესრულება. საქმის შესრულება სახეზეა, როგორც თენგიზთან ნასყიდობის დადებით, ასევე მისთვის საათზე საკუთრების გადაცემით გსკ-ის 929-ე მუხლის 1-ლი წინადადების შესაბამისად. იმისათვის, რომ საქმე მივიჩნიოთ სხვისად, აუცილებელია, რომ ის განეკუთვნებოდეს სხვა პირის ინტერესს და მოვალეობათა სფეროს. ნასყიდობა არის ე. წ. “ნეიტრალური გარიგება”, რომელიც თავისთავად არც ერთი პირის ინტერესს და მოვალეობათა სფეროს არ განეკუთვნება. ამის გამო სხვისი საქმე შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საკუთრების გადაცემა

5 საქართველოში შესაბამისი დანაწესების არარსებობის გამო, ეს მეორე მოთხოვნის უფლება თავიდანვე გამოირიცხულია.

გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების შესაბამისად. საკუთრების გადაცემა იქნებოდა სხვისი საქმე, თუ ნივთს გაასხვისებდა არამესაკუთრე. საკითხავია, იყო თუ არა გ საათის გასხვისების მომენტში მის მესაკუთრე.

1.1. საათის თავდაპირველი მესაკუთრე იყო ა. მას ეს საკუთრება არ დაუკარგავს არც ამ საათის ბ-სათვის ნარდობის ფარგლებში გადაცემის შემდეგ – მხარეები არ შეთანხმებულან საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებით სანივთო გარიგების ფარგლებში. შესაბამისად გ-ს არ მოუპოვებია ნივთზე საკუთრება.

1.2. ა-ს შესაძლებელია დაეკარგა საკუთრება გ-ს მიერ ნივთის თენგიზისათვის გადაცემის შედეგად გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და 932-ე პარაგრაფის შესაბამისად, თუ თენგიზი მოიპოვებდა ნივთზე საკუთრებას, როგორც კეთილსინდისიერი შემძენი.

ა) გ და თენგიზი შეთანხმდნენ საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებით კონკლუდენტურად, მაშინ როდესაც გ-მ მას გადასცა ნივთი ვალდებულებითი გარიგების შესასრულებლად, რომლის შინაარსსაც საკუთრების გადაცემა წარმოადგენდა. სახეზეა ასევე მფლობელობის გადაცემა.

ბ) თუმცა გამსხვისებელი გ არ იყო ნივთის მესაკუთრე და არც ნამდვილ მესაკუთრეს ა-ს მოუწონებია გარიგება გსკ-ის 185-ე პარაგრაფის შესაბამისად, რის გამოც, თენგიზი საკუთრების მოპოვებას შესძლებდა მხოლოდ როგორც კეთილსინდისიერი შემძენი გსკ-ის 932-ე პარაგრაფის შესაბამისად. გსკ-ის 932-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად შემძენის კეთილსინდისიერება ივარაუდება და მოცემულ შემთხვევაში თენგიზი იყო კიდევ კეთილსინდისიერი. შესაბამისად, მან შეიძინა საკუთრება როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა.

სხვისი ნივთის გასხვისებით გ-მ შეასრულა ობიექტურად სხვისი საქმე.

2. ზემოთ ხსენებული მოთხოვნის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს შემსრულებლის მიერ სხვისი საქმის შესრულების, ანუ საკუთარი არაუფლებამოსილების, ცოდნა. გ-მ იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ნივთი და იცოდა მისი გასხვისებისას საკუთარი არაუფლებამოსილების შესახებ.

რაც შეეხება მოცემული საქმის მიმართ გ-ს სუბიექტურ დამოკიდებულებას, მას უნდა ჰქონოდა განზრახვა სხვისი საქმე, როგორც საკუთარი ისე შეესრულებინა, ანუ ყოველგვარი ალტრუისტული

მოტივების გარეშე, მხოლოდ ეგოისტური განზრახვით. ეს განზრახვა მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. გ-მ გაასხვისა საათი და დაიტოვა ნასყიდობიდან მიღებული საფასური, ისე რომ არ უთხოვინია ა-სათვის ნებართვა ამ გასხვისებასთან დაკავშირებით და არც მიღებული ფასის განაწილების სურვილი ჰქონია.

3. სხვისი საქმეების განზრახ როგორც საკუთარის გაძლოლის შედეგს წარმოადგენს მეპატრონის უფლებამოსილება შემსრულებელს ნაუყენოს მოთხოვნის უფლებები გსკ-ის 677-ე, 679-ე, 681-ე და 682-ე მუხლის შესაბამისად. გსკ-ის 681-ე პარაგრაფის მე-2 წინადადების შესაბამისად გამოიყენება დავალების ხელშეკრულების დანაწესები – გსკ-ის 666-668-ე პარაგრაფები. გსკ-ის 667-ე პარაგრაფის მიხედვით შემსრულებელს აქვს ვალდებულება მეპატრონეს დაუბრუნოს ყველაფერი, რასაც მიიღებს სხვისი საქმის შესრულებით.

**შედეგი:** გ-მ უნდა დააბრუნოს ა-ს გსკ-ის 677-ე, 681-ეს მე-2 ნაწილისა და 667-ე პარაგრაფების მიხედვით, სხვისი საქმის, განზრახ როგორც საკუთარის, შესრულებით მიღებული 300 ლარი.

### **III. შ-ს მოთხოვნა მ-ს მიმართ გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ 300 ლარის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1. მოცემული მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ქონების განკარგვა, რომელიც ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ (საქართველოში: განკარგვა, რომლითაც განმკარგავი ხელყოფს სხვის სიკეთეს). განკარგვა არის გარიგება, რომლიც უშუალოდ მიმართულია განსაკარგავი უფლების შეცვლის, გადაცემისა ან გაუქმებისაკენ. ვალდებულებითი გარიგება განკარგვას არ წარმოადგენს. გ-მ, რომელიც არ იყო ნივთის მესაკუთრე, დადო თენგიზთან სანივთო გარიგება და გადასცა მას ნივთი (გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება; სსკ-ის 186-ე მუხლი), შესაბამისად, ნივთის განკარგვა სახეზეა.

2. გსკ-ის 816 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით ნივთის განკარგვა უნდა იყოს უფლებამოსილი პირის წინაშე

ნამდვილი (სსკ-ის 982 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განკარგვით უნდა მოხდეს მესაკუთრის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა). განკარგვა მაშინ იქნებოდა ნამდვილი და გამოიწვევდა მესაკუთრის სიკეთის ხელყოფას, თუ თენგიზი კეთილსინდისიერად მოიპოვებდა საკუთრებას ნივთზე. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნივთი არ ყოფილა გასული მესაკუთრის ნების გარეშე მისი მფლობელობიდან (გსკ-ის 935-ე პარაგრაფი; სსკ-ის 187-ე მუხლი) და თენგიზი იყო კეთილსინდისიერი, რადგან მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ გ არ იყო გამსხვისებელი. მან მოიპოვა საკუთრება, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, რის გამოც გ-ს მიერ ნივთის განკარგვა ა-ს მიმართ ნამდვილია.

3. გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით განმკარგავმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს ნამდვილი განკარგვის (ხელყოფის) შედეგად მიღებული, რაც გაბატონებული მოსაზრების მიხედვით მოიცავს იმ მოგებასაც, რომელიც აჭარბებს ნივთის ფასს.

**შედეგი:** გ-მ უნდა დაუბრუნოს ა-ს გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით 300 ლარი.

## საფრანგეთი

საფრანგეთში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (Gestion d'affaires) მოწესრიგებულია არა დავალების ხელშეკრულების, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესებთან ერთად და განეკუთვნება “კვაზი-კონტრაქტებს”.

**საქმეების შესრულებად** ჩაითვლება ნებისმიერი ფაქტობრივი (მაგ. სიცოცხლის ან ქონების გადარჩენა ბუნებრივი კატასტროფის ან ხანძრისას) თუ იურიდიული (მაგ. ვალის გადახდა, კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკის შეკვეთა, სოლიდარულ კრედიტორთაგან ერთ-ერთის მიერ ყველა სხვა დანარჩენის უფლების რეალიზება, მოვალის მაგივრად მისი რჩენის ვალდებულების შესრულება) ხასიათის მოქმედება სამართლებრივი (კანონისმიერი ან სახელშეკრულებო) საფუძვლის გარეშე. სხვისი საქმე შესაძლებელია ამავე დროულად იყოს საკუთარიც.

განსხვავებით გერმანიისაგან საფრანგეთში შემსრულებლის ლეგიტიმაციას არ წამოადგენს მეპატრონის ნამდვილი ან სავარაუდო ნება, კანონისმიერი ვალდებულება ან საჯარო ინტერესი, რის გამოც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი საფუძველი საკამათოა.

ერთი მოსაზრებით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას საფუძვლად უდევს შემსრულებლის **მორალური ვალდებულება**, ანუ მხოლოდ ფიქტიური ალტრუისტული მოტივი, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ შესაძლებელია არგუმენტის მოყვანა, რომ ალტრუისტული მოტივის გარეშეც შესაძლებელია სხვისი საქმეების შესრულება და მის ლეგიტიმაციას საბოლოო წარმოადგენს **არასარგებლიანობა** შემსრულებლისათვის – შემსრულებელი არ ჰკიდებს ხელს საქმეს მხოლოდ პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების **წინაპირობები** შემდეგია: 1. მოქმედება უნდა იყოს **სპონტანური**, ანუ შემსრულებელი (gérant) არ უნდა ასრულებდეს საკუთარ კანონისმიერ, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებას. 2. მეპატრონემ (géré) **არ უნდა იცოდეს** შესრულებული მოქმედების შესახებ (მიუხედავად 1372-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა) თუ მეპატრონემ იცის და **სდუმს**, მაშინ ეს ჩაითვლება კონკლუდენტურ თანხმობად ხელშეკრულების (ჩვეულებრივ დავალების ხელშეკრულების) დადებასთან დაკავშირებით. თუ მეპატრონემ იცის და **უარზეა**, მაშინ სახეზე არ გვაქვს სხვისი

საქმეების შესრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უარი არა-ლეგიტიმურია (მაგ. მეპატრონის ვალდებულების შესრულებისას).  
3. სხვისი საქმეების შესრულება უნდა იყოს როგორც **სასარგებლო**, ისე **აუცილებელი**, შესრულების დანაწიების მომენტში. აუცილებლობა გამომდინარეობს 1372-ე მუხლიდან – “მეპატრონეს არ შეეძლება თავად გაუძღვეს მათ”. თუ სარგებლიანობა და აუცილებლობა არ არის სახეზე, შემსრულებელს შეუძლია თავისი დანახარჯები მოითხოვოს მხოლოდ როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, ან იმ შემთხვევაში თუ მეპატრონე მოინონებს – დავალების ხელშეკრულებიდან.

განსხვავებით გერმანიისაგან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას საფრანგეთში **შედეგების** მხრივ მოსდევს შემსრულებელსა და მეპატრონეს შორის შიდა და გარე ურთიერთობის წარმოშობა. **შიდა** ურთიერთობაში (შემსრულებელსა და მეპატრონეს შორის ურთიერთობაში) შემსრულებელს ეკისრება **დავალებულის** ვალდებულებები (1372-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მან **ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმეები**, ანუ შეასრულოს თავდაპირველად დაუგეგმავი მოქმედებებიც კი, რაც შეიძლება გასცდეს კიდეც დავალების ხელშეკრულების ფარგლებს. შემსრულებელი, იმის გამო, რომ თვითონ ჩაერია სხვის საქმეში, პასუხს აგებს **ნებისმიერი გაუფრთხილებლობისათვის** (1374-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), თუმცა შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შემცირება (1374-ე მუხლის 2-ე ნაწილი). მეპატრონემ უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებელი სასარგებლო საქმეებისათვის **განუული ხარჯები** (1375-ე მუხლი), მათ შორის დამდგარი **ზიანიც**. მეპატრონეს არ შეუძლია მიუთითოს, რომ შემსრულებელმა თავი თვითონ დაიზიანა, რაც სხვა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი ან ანაზღაურებადი ზიანის შემცირების საფუძველი იქნებოდა. ჩვეულებრივ, შემსრულებელს **არ** შეუძლია მოითხოვოს **გასამრჯელო** დახარჯული დროისათვის, თუმცა სასამართლო ზოგ შემთხვევებში ვარაუდობს გასამრჯელოს გადახდის ნებას, ასევე გამონაკლის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც შემსრულებელი საკუთარი პროფესიის ფარგლებში მოქმედებს. ამ დროს სასამართლო უშვებს კონკლუდენტურ ხელშეკრულებას.

## საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 1372.** თუ პირი ნებაყოფლობით ასრულებს სხვის საქმეებს, მიუხედავად მეპატრონის ცოდნისა, შემსრულებელი საკუთარ თავზე იღებს კონკლუდენტურ ვალდებულებას გააგრძელოს ნამოწყებული საქმეების შესრულება, სანამ მეპატრონეს არ შეეძლება თავად გაუძღვეს მათ; შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ასევე ამ საქმეების გაგრძელების შესაძლებლობა. შემსრულებელს ეკისრება ვალდებულებები, რომელიც მას დაეკისრებოდა მეპატრონეს მისთვის საქმეების გაძლოის უფლებამოსილება რომ მიენიჭებინა.

**მუხლი 1373.** შემსრულებელი ვალდებულია გააგრძელოს საქმეების შესრულება მიუხედავად მეპატრონის გარდაცვალებისა, სანამ მემკვიდრეს არ შეეძლება გაუძღვეს ამ საქმეებს.

**მუხლი 1374.** შემსრულებელი ვალდებულია საქმეს გაუძღვეს გონიერი შემსრულებლის გულისხმიერებით, თუმცა გარემოებები, რომელთა გამოც შემსრულებელმა იკისრა საქმის გაძლოლაზე პასუხისმგებლობა, შეიძლება ანიჭებდეს მოსამართლეს უფლებას შეამციროს იმ ზიანის ანაზღაურების მოცულობა, რომელიც გამოიწვია შემსრულებლის ბრალმა ან უგულისყურობამ.

**მუხლი 1375.** მეპატრონემ, რომლის საქმეებსაც ჯეროვნად გაუძღვნენ, უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც შემსრულებელმა იკისრა მისი სახელით, გაათავისუფლოს ის პირადი ვალდებულებისაგან და აუნაზღაუროს მას ყველა საჭირო და აუცილებელი ხარჯი.

რაც შეეხება დავალების გარეშე საქმეების შესრულებიდან წარმოშობილ **გარე ურთიერთობას**, გარე ურთიერთობაში (მესამე პირებთან ურთიერთობაში) გარიგებისმიერი მოქმედებები სასარგებლო საქმის შესრულებისას **პირდაპირ ავალდებულებენ** მეპატრონეს მესამე პირების წინაშე, თუმცა ამისათვის აუცილებელია, რომ შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს მეპატრონის **სახელით** (1375-ე მუხლი). ეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხოლოდ სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებშია სახეზე, ანუ აუცილებელია ამ საქმეების **სარგებლიანობა**, მაგალითად, კლინიკის დირექტორი პაციენტის სამკურნალოდ მიმართავს ოკულისტს (Cass Civ 17.5.1939, GP 1939 II 245), ასეთ შემთხვევებში სასამართლო უშვებს **კონკლუდენტური დავალების** ხელშეკრულებას. თუ შემსრულებელი გარიგებას დებს **საკუთარი სახელით**, მაშინ მიუხედავად სარგებლისა, ის ამ გარიგებიდან მხოლოდ თვითონ არის ვალდებული და კომპენსაცია შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შიდა ურთიერთობიდან.

## ინგლისი

negotiorum gestio - დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (management of affairs), იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ცნობილია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებისათვის, ინგლისური სამართლისათვის ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, არასწორია მოსაზრება, რომ ინგლისური სამართლისათვის negotiorum gestio-ს იდეა და მის საფუძვლად მდებარე პრინციპები სრულებით უცნობია, თუმცა ინგლისურ სამართალში negotiorum gestio-ს მიმართ ტრადიციულად მტრული დამოკიდებულებაა.

### Falcke v. Scottish Imperial Insurance Co; CA 1886:

*ფაქტობრივი გარემოებები:* მოსარჩელემ, სიცოცხლის დაზღვევის პოლისის მესაკუთრემ, დააგირავა ეს დაზღვევა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მას ჰქონდა ინტერესი დაგირავებული ქონების გამოსყიდვის მიმართ და რადგანაც მოგირავნე არ იხდიდა წლიურ პრემიას, მან თვითონ გადაიხადა ვადამოსული ორი პრემია. შემდეგში პოლისი გაიყიდა და დადგა საკითხი, უნდა დაებრუნებინათ თუ არა მიღებული თანხიდან ჯერ პოლისის ყოფილი მესაკუთრისათვის მის მიერ გადახდილი უკანასკნელი ორი პრემია, თუ უნდა დაექმაცოფილებინათ გირავნობით უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა. იმის გამო, რომ კრედიტორი ფლობდა დაგირავებული პოლისის გაყიდვის შედეგად უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას, უკანასკნელი ორი პრემიის გადახდა პოლისის ყოფილ მესაკუთრეს არ ანიჭებდა არანაირ სარგებელს. პრემიის გადახდა იყო მხოლოდ მოგირავნის ინტერესებში, რის გამოც ყოფილი მესაკუთრე ამ ორ გადახდილ პრემიას უკან ითხოვდა.

*Cotton LJ:* “თუ უცხო პირი გადაიხდის სადაზღვეო პრემიას, ეს მას არ მიანიჭებს პოლისზე არც გირავნობისა და არც ყადაღის უფლებას, ისევე როგორც სხვა პირს, რომელიც გასწევს დანახარჯებს სხვის ქონებაზე, არ ენიჭება ამ ქონებაზე არც ყადაღისა და არც გირავნობის უფლება.”

*Bowen LJ:* “ზოგადი დანაწესის მიხედვით, ეჭვგარეშეა, რომ **სხვა პირის ქონების** შენარჩუნებისა და ამ ქონებისაგან სარგებლის მიღებისათვის **განუვლი სამუშაო, ან დახარჯული** თანხა ინგლი-

სური სამართლის მიხედვით არ წარმოშობს ამ ქონებაზე ყადაღის უფლებას. **არ წარმოშობს არც** ვალდებულებას განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, რადგან დაუშვებელია პირს თავს მოვახვიოთ ვალდებულება **მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ**, ისევე როგორც შეუძლებელია მივანიჭოთ მას რაიმე მატერიალური სარგებელი ამ ნება-სურვილის წინააღმდეგ.”

*Sheehan, ICLQ 55/2 [2006], 261*: მოცემული შემთხვევის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დამგირავებელს, რომელსაც სურდა სადაზღვეო პოლისის შენარჩუნება, ჰქონდა პირადი ინტერესი პრემიების გადახდასთან დაკავშირებით. სხვისი საქმის შესრულებისას პირადი ინტერესის ქონა არ უშლის ხელს negotiorum gestio-ს წარმოშობას მაგ. გერმანულ ან სამხრეთ აფრიკის სამართალში. ირლანდიაში პირს შეუძლია დააყადაღოს სხვისი ქონება, თუ მის შესაძლებლობად გასწია ხარჯები და ჰქონდა ამასთან დაკავშირებით პირადი დაინტერესება. პირადი დაინტერესება წარმოადგენს ამ უფლების მოპოვების წინაპირობას. ინგლისური სასამართლო პრაქტიკა *Falcke v. Scottish Imperial Insurance* გადაწყვეტილების შემდეგ სხვა მიმართულებით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ გადამხდელსა და პოლისის მფლობელს აქვთ საერთო ინტერესი პოლისთან და მისი ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით, ყადაღის დასაშვებობისათვის ეს ინტერესი სუბსიდიარულ ხასიათს ატარებს. დამგირავებლებს შეუძლიათ გასწიონ დანახარჯები დაგირავებულ ქონებაზე, მაგრამ მოგირავნე არ არის ვალდებული აანაზღაუროს ეს დანახარჯები.

### **Leigh v. Dickeson (1884) 15 QBD 60:**

*ფაქტობრივი გარემოებები*: დამქირავებელმა გასწია დაქირავებულის სახლის რემონტის ხარჯები და შემდეგ მოითხოვა მათი ნაწილობრივი ანაზღაურება თანადამქირავებლისაგან.

*Master of Rolls*: “ნებაყოფლობითი გადახდა შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად. ხანდახან დანახარჯების განევა სხვა პირის სასარგებლოდ ხდება იმგვარად, რომ მას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ის ან უარი თქვას მასზე: ამ შემთხვევაში, თუ ის გამოიყენებს შესაძლებლობას მიიღოს ეს დანახარჯები, ის ვალდებულია შემდეგში უკან დააბრუნოს; თუ ის უარს იტყვის ამ სარგებლის მიღებაზე, მაშინ ის არ არის ვალდებული. გარდა ამისა, ხანდახან სხვა პირის სასარგებლოდ დანახარჯების განევა ხდება იმგვარად, რომ მას არ შეუძლია

უარი თქვას მასზე და იძულებულია მიიღოს ისინი. არა აქვს რა არჩევნის შესაძლებლობა, თავისუფლდება ამ დანახარჯებიდან წარმოშობილი შემდგომი პასუხისმგებლობისაგან.”

ამგვარი დამოკიდებულების გამო ინგლისურ სამართალში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც negotiorum gestio-ს კონცეპტი ამ სამართლისათვის უცნობია, რისი გამართლებაც შემდეგია:

- განეული ხარჯებისა და სამსახურისათვის ანაზღაურების დანაწესის არსებობა წაახლისებდა სხვის საქმეებში ჩარევისაკენ მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ, ან არაკეთილსინდისიერი განზრახვით.
- პირი არ შეიძლება ვაიძულოთ ანაზღაუროს ის სარგებელი, რომელიც მას ნებაყოფლობით არ აურჩევია (*Leigh v Dickeson (1884) 15 ChD 60*).
- ამ ყოველივეს მიზანს წარმოადგენს “სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის” ხელის შეშლა.
- ალტრუიზმი არ საჭიროებს ჯილდოს.

თუმცა, რა თქმა უნდა, ინგლისურ სამართალშიც არსებობს შემთხვევები, როდესაც აუცილებელია, რომ პირმა მიიღოს სხვისთვის განეული სამსახურისათვის გარკვეული კომპენსაცია. მთელი რიგი ასეთი შემთხვევებისათვის, რომლებიც კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას განეკუთვნება, ინგლისურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად უნდა გამოვიყენოთ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი<sup>6</sup> (unjust enrichment). უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის გამოყენების წინაპირობებია: პირის გამდიდრება, მოსარჩელის ხარჯზე და გაუმართლებელი გარემოების (unjust factor) საფუძველზე. ამ მოსაზრების მიხედვით აუცილებლობა (necessity), რომელიც უზიძგებს პირს ჩაერიოს სხვის საქმეში წარმოადგენს გაუმართლებელ ფაქტორს. ჩარევის აუცილებლობა გამოწვეული უნდა იყოს იმ საფრთხით, რომელიც ემუქრება პირის ქონებასა, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. აუცილებლობა ამ ფორმით არ

<sup>6</sup> BURROWS, *The Law of Restitution*, 162-4.

წარმოადგენს კონტინენტური ევროპის სისტემებისათვის ნაცნობ კატეგორიას, სადაც გადამწყვეტია ობიექტური სარგებლიანობა საქმეების შესრულების დანყების მომენტში და შესატყვისობა მეპატრონის ნამდვილ თუ ჰიპოთეტურ ნებასთან. ასევე რომის სამართალშიც, negotiorum gestio-ს წინაპირობა იყო არა აუცილებლობა (necessitas), არამედ სარგებლიანობა (utilitas). ამის საპირისპიროდ მოცემული მოსაზრება ინგლისურ სამართალში გაუმართლებელ ფაქტორად მიიჩნევა “გონივრულ” და არა (აბსოლუტურ) აუცილებლობას.

ეს მოსაზრება (სამართლიანად) გაკრიტიკებულია<sup>7</sup>: “გონივრული აუცილებლობა” რთულად თუ შეიძლება გაიმიჯნოს სარგებლიანობისაგან და მთელ რიგ შემთხვევებში ინგლისური სამართალი მათ შორის არც აკეთებს განსხვავებას. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი სარჩელისათვის აუცილებელია შედეგის დადგომა, რაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას აუცილებელი არ არის, რადგან სარგებლიანობა განისაზღვრება საქმეების შესრულების დანყების მომენტში. გარდა ამისა, პირი, რომელიც ასრულებს ამ საქმეებს უნდა იყოს “სათანადო პირი” შემსრულებლისათვის, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს მოქმედების ვალდებულება წინარე ურთიერთობიდან და არც მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებიდან, რაც არ შეესატყვისება გერმანული სამართლის გადამწყვეტას, სადაც მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ გამორიცხავს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. ამ კონცეპტის მიხედვით აუცილებლობას აქვს ორი ფუნქცია, ის არის არა მარტო გაუმართლებელი ფაქტორი, არამედ ასევე გამდიდრების გამოთვლის მეთოდი, პირი იმდენად არის გამდიდრებული, რამდენადაც განუული სამუშაო მისთვის აუცილებელი იყო. “აუცილებლობის” ორ საფეხურზე გამოყენება დამაბნეველია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს შემთხვევები უსაფუძვლო გამდიდრების გამოყენების სფეროს არ უნდა წარმოადგენდნენ.

სხვა მოსაზრება “აუცილებლობიდან” წარმოშობილ შედეგებს ორ კატეგორიად ყოფს. აუცილებლობა, რომელიც წარმოშობს **წარმომადგენლობას** (agency), რომლის დროსაც წარმომადგენელს (აგენტს) ენიჭება უფლებამოსილება დადოს ხელშეკრულება, რომელიც იქნება მბოჭავი (წარმოდგენილის) პრინციპალისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს აუცილებლობა პრინციპალის

<sup>7</sup> SHEEHAN, ICLQ 55/2 [2006], 263 და შემდგომნი.

სახელით მოქმედებისა, მაგალითად, შეუძლებელი უნდა იყოს პრინციპალთან დაკავშირება. ასევე მოქმედება უნდა შეესატყვისებოდეს პრინციპალის ინტერესებს. ანუ ამ მხრივ ის უახლოვდება ფრანგულ გადამწყვეტას, სადაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას აქვს ე. წ. გარე მხარე, ანიჭებს მხარეს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. მეორე კატეგორიაში შედის შემთხვევები, როდესაც პირი მოიპოვებს კომპენსაციის უფლებას, ან დაცულია დელიქტური პასუხისმგებლობისაგან (The Winson [1982] AC 939 at 958) ამის გარდა, ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებობს შემთხვევები, რომლებიც ცალსახად negotiorum gestio-ს მოქმედების სფეროში ექცევიან. ეს შემთხვევებია:

1. თამასუქის შესახებ 1882 წლის აქტის (Bills of Exchange Act 1882) 65 მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ **თამასუქის დაფარვა** არ ხდება, მესამე პირს კრედიტორის თანხმობით შეუძლია მიიღოს ეს თამასუქი (accept for honor). აქცეპტანტი-მესამე პირი კისრულობს თამასუქის დაფარვას, თუ თავდაპირველი მოვალე ამას არ აკეთებს. ამით ის იკავებს კრედიტორის ადგილს. ზემოთხსენებული “აუცილებლობა” საჭირო არ არის. პირი ერევა სხვის საქმეებში და იქიდან გამომდინარე, რომ ფარავს სხვის ვალს ეს არის სასარგებლო ჩარევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევა უსაფუძვლო გამდიდრების გამოყენების სფეროდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ინგლისურ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, აქ სწორედ დავალების გარეშე შესრულებასთან გვაქვს საქმე.
2. მეორე შემთხვევა, რომელიც ახლოს დგას გერმანული negotiorum gestio-ს კონცეპტთან არის ე. წ. **“სხვისი მკვდრის დამარხვა”**.

### Jenkins v. Tucker 1 H. BL. 90:

*ფაქტობრივი გარემოებები*: მოპასუხეს ცოლად ჰყავდა მოსარჩელის ქალიშვილი. შეუღლებიდან გარკვეული დროის შემდეგ ის წავიდა იამაიკაზე და დატოვა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ინგლისში. მისი არყოფნის პერიოდში მეუღლე გარდაიცვალა. სიმამრმა გასწია ქალიშვილი დაკრძალვის ხარჯები. შემდეგში მან უჩივლა სიძეს და მოითხოვა ამ განუული ხარჯების სასამართლო წესით ანაზღაურება. მოპასუხის ადვოკატის განცხადებით სხვისი თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ განუული ხარჯები არ წარმოშობს

ანაზღაურების ვალდებულებას.

*Lord Loughborough*: “ჩემი აზრით სახეზე საკმარისი კომპენსაცია (consideration) იმისათვის, რომ სარჩელი დაკრძალვის ხარჯებთან დაკავშირებით დაკმაყოფილდეს, მიუხედავად იმისა რომ ამ ხარჯების გაწევა მოპასუხეს არ მოუთხოვნიდა და არც განეცხადებდა მოუწონებია. მოსარჩელემ გაათავისუფლა მოპასუხე იმ ვალდებულების პირადად შესრულებისაგან, რომელიც მას ეკისრებოდა მკაცრი სამართლებრივი აუცილებლობითა და საზოგადოებაში აღიარებული ქცევის წესების შესაბამისად. ამგვარად ეს ხარჯები მოსარჩელემ გასწია მოპასუხის სასარგებლოდ. მამა არის ასევე სათანადო პირი იმისათვის, რათა უხელმძღვანელოს ქალიშვილის დაკრძალვას მისი მეუღლის არყოფნაში. მრავლადაა შემთხვევები, როდესაც პირი იხდის სხვის ვალს ამ უკანასკნელის ცოდნისა და მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად და შეუძლია შეინარჩუნოს ფულის უკან დაბრუნების უფლება: თუ მეზობელი გადაიხდის ვალს და ამგვარად გაათავისუფლეს მისი მეზობლის ქონებას იმ ყადაღისაგან, რომელიც მას დაედო მინის გადასახადთან დაკავშირებით, ის ინარჩუნებს შემდეგში მესაკუთრისაგან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*Sheehan, ICLQ 55/2 [2006], 272*: მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მამა იყო “სათანადო პირი” შვილის დასამარხად, რაც მას ანიჭებდა ჩარევის უფლებას. სხვა “არასათანადო პირს” სასამართლო სავარაუდოდ არ მიანიჭებდა განუხლები ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ძალზე ძნელია “სათანადო” პირის “არასათანადოსაგან” გამიჯვნა. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არსებობდა წინარე ურთიერთობა. მოპასუხე საზოგადო მორალის შესაბამისად ვალდებული იყო აენაზღაურებინა განუხლები დანახარჯები.

3. მე-3 შემთხვევას, რომლის დროსაც negotiorum gestio-ს გამოყენება ეჭვგარეშეა, წარმოადგენს მოვალის რჩენის შემთხვევა.

#### **Re Rhodes (1890) 44 ChD 94:**

*ფაქტობრივი გარემოებები*: ოჯახმა გადაიხადა ჭკუაზე შემცდარი პირის რამდენიმეწლის განმავლობაში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების ხარჯები.

*სასამართლოს მოტივებიდან*: ჭკუაზე შემცდარი პირის მოვლის ხარჯები, რომელიც თვითონ მოკლებულია შესაძლებლობას დადოს ხელშეკრულებები, მან მოგვიანებით უნდა აანაზღაუროს. ამ ხარჯების გაწევა ხდება შემდგომში მათი უკან დაბრუნების განზრახვით. სულთ ავადმყოფი, მართალია, მოკლებული შესაძლებლობას დადოს ხელშეკრულებები, მაგრამ შეუძლია დადოს ნამდვილი ხელშეკრულებები, თუ ეს ეხება აუცილებელ საგნებს. აქიდან გამომდინარეობს ასევე ანაზღაურების ვალდებულება, თუ ამ აუცილებელ საგანთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას დებს მესამე პირი.

4. პროფესიონალი ექიმის მიერ აღმოჩენილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ანაზღაურდება negotiorum gestio-ს წესების მიხედვით.

განსხვავებით ხანგრძლივი დროით მკურნალობისაგან, რომლის გადწყვეტაც არაცალსახაა, ექიმის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ანიჭებს მას ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ეს წესი (Section 158 Road Traffic Act 1988) მოქმედებს მაშინაც კი, თუ ექიმის მიერ ჩატარებული ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა.

#### **Matheson v. Smiley, [1932] 2 DLR 785:**

*ფაქტობრივი გარემოებები*: მოსარჩელემ (Matheson), რომელიც იყო ქირურგი, უჩივლა ანდერძის აღმასრულებელს და მოითხოვა მონდერძისათვის უშუალოდ მის გარდაცვალებამდე გაკეთებული ოპერაციისათვის გასამრჯელო 150.00 კანადური დოლარის ოდენობით. მონდერძე (Smiley) მისმა ორმა მეგობარმა იპოვა საკუთარ სახლში, ბრენდონში, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მძიმე ჭრილობებით. მან სავარაუდოდ ეს ჭრილობები თვითონ მიიყენა. მათ სასწრაფოდ გამოიძახეს Dr. A. T. Condell-ი, რომელმაც გააცნობიერა, რომ დაშავებული საჭიროებდა ოპერაცია და გადაამისამართა ის ქირურგთან. პაციენტი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ის შესაბამისი დახმარების გაწევის შემდეგ გარდაიცვალა.

## Manitoba Act

**მუხლი 63.** თითოეული პირი, რომელიც დარეგისტრირებულია ამ აქტის მოთხოვნების თანახმად, უფლებამოსილია მისი კვალიფიკაციის შესაბამისად ეწეოდეს სამედიცინო, ქირურგიულ ან ბეზიაქალის საქმიანობას მანიტობას პროვინციაში და მოითხოვოს მათ შორის სასამართლო წესითაც ხარჯების სრულად ანაზღაურება, განეული პროფესიული დახმარების, რჩევისა, თუ ვიზიტის გონივრული ექვივალენტის სახით. ასევე ნებისმიერი წამლისა, თუ სხვა სამედიცინო საშუალების სახით, რომელსაც ის მიაწვდის თავის პაციენტებს.

*სასამართლოს მოტივებიდან:* ზემოთხსენებული კანონის დანაწესი არ ანიჭებს მოსარჩელეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მის წინაპირობას წარმოადგენს დამატებით ხელშეკრულებისა ან სხვა ვალდებულების არსებობა, რომელიც მოპასუხეს ავალდებულებს გადახდას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ დადებულია ხელშეკრულება. Smiley მართალია, იყო გონზე, მაგრამ იმყოფებოდა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ მისი განონათქვამი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ქირურგიული დახმარების მოთხოვნა ან კონკლუდენტური თანხმობა ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცა მოსარჩელეს ჰქონდა ვალდებულება დახმარებოდა დაშავებულს რითიც შეეძლო.

*Robson, J. A.:* “მე არ მიმაჩნია, რომ მოცემულ სიტუაციაში სამართლიანია, პირის ამგვარ მძიმე მდგომარეობაში ბედის ანაზღაურება, მის გადასარჩენად ყოველგვარი ხელთარსებული საშუალების გამოყენების გარეშე. ეს განეული დახმარება უნდა აანაზღაუროს მან, ვისაც უნდა მიეღო მისგან სარგებელი.” ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ამ დროს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ემყარება კონკლუდენტურ ხელშეკრულებას. თუმცა ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია. გაუგებარია, თუ როგორ დადებს კონკლუდენტურ ხელშეკრულებას პირი, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას გაცხადებულად დადოს ნამდვილი ხელშეკრულება (მაგ.

ჭკუაზე შემცდარი პირი). ამის საპირისპიროდ common law უშვებს კვაზი-სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობას, რომელსაც ასევე “სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებასაც უწოდებენ” (“implied in law”). თუ ეს ვალდებულება არსებობს, უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ პირველმა გამოსახებულმა ექიმმა მოგვიანებით მეორე ექიმი ჩართო საქმეში. ასევე უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ვერ მოახერხა პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა. ქირურგის მიერ ჩატარებული ოპერაცია იყო აუცილებელი, მიუხედავად იმისა, რომ მან ნაყოფი არ გამოიღო. მოპასუხეს აქვს გარდაცვლილი პირის ქონებიდან განეული ხარჯების დაკმაყოფილების უფლება. ასევე საკითხავია, თუ რა მოცულობით უნდა მოხდეს ამ ხარჯების ანაზღაურება. როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ექიმის გასამრჯელოს შესახებ, ის ითვალისწინებს არა მარტო ექიმის რეპუტაციას, არამედ ასევე მის ამჟამინდელ პოზიციას, მის სამუშაო ძალასა და პასუხისმგებლობას პაციენტების წინაშე. თუ ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელი მიმართულია არა უშუალოდ პაციენტის წინააღმდეგ, გასათვალისწინებელია პაციენტის სტატუსი და არა მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა. რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ანაზღაურება 150.00 კანადური დოლარის ოდენობით წარმოადგენდა სამართლიან საზღაურს მოცემულ სიტუაციაში.

*ექიმისაგან განსხვავებით, არაპროფესიონალის მიერ განეული დახმარება არ ანაზღაურდება, რადგან არაპროფესიონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირის მიერ განეული დახმარება, ჩვეულებრივ, ზიანის მომტანია და არ იმსახურებს ნახალისებას. The Road Traffic Act 1988-ის მიხედვით პრემიას იღებს მხოლოდ ექიმი. არაპროფესიონალი არ იღებს პრემიას, თუმცა შეიძლება მიიღოს კომპენსაცია. ეს კომპენსაცია არ უნდა გამოირიცხოს არც იმის გამო, რომ არაპროფესიონალი მომსახურებას უსასყიდლოდ სწევს. მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელი დახმარების განევის დროს კომპენსაციის მოთხოვნაზე არავინ ფიქრობს, ეს არ არის საკმარისი დახმარების განევის უსასყიდლოდ დასაშვებად. ამის გამო ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მართალია, დახმარების აღმომჩენი არაპროფესიონალი არ იღებს გასამრჯელოს, თუმცა მაინც უნდა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია განეული სამუშაოსათვის.*

## შედარება გერმანულ სამართალთან

**BGH Urteil vom 17. 11. 2011 (III ZR 53/11) NJW 2012, 1648:**

*ფაქტობრივი გარემოებები:* ა და ბ იყვნენ დაქორწინებული, თუმცა ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. შვილები არ ჰყავდათ. ა გარდაიცვალა, რის შესახებაც მეზობლებმა შეატყობინეს უახლოეს დამკრძალავ ბიუროს (გ) და მისცეს მის თანამშრომლებს საშუალება შეეღწიათ სახლში და ა-ს გვამი გადაეტანათ სასაფლაოს დამკრძალავ დაზვამში. აქვე შედგა საუბარი გ-სა და მეუღლე ბ-ს შორის. ბ-მ განაცხადა, რომ ის არ იყო წინააღმდეგი გ-ს დაემარხა ა, თუმცა მას თავად არ ჰქონდა საკმარისი ფული ხარჯების ასანაზღაურებლად. ამასთანავე მიუთითა იმაზე, რომ ის და მისი ქმარი ცხოვრობდნენ განცალკევებით და ქმარი აპირებდა გაყრას. საუბარი დასრულდა უშედეგოდ. გ-ს აინტერესებს ა-ს დაკრძალვის შემთხვევაში შეუძლება თუ არა მოითხოვოს კომპენსაცია. ადგილობრივი მიწის კანონის მიხედვით მეუღლის დამარხვა პირველ რიგში წარმოადგენს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ვალდებულებს. ამის საწინააღმდეგოდ ბ მიუთითებს სოციალური დახმარების შესახებ კანონის 74-ე მუხლზე: “გარდაცვლილი პირის დამარხვის ხარჯებს კისრულობს [სოციალური სამსახური], თუ ვალდებულ პირს არ შეიძლება მოეთხოვოს მათი დაფარვა.”

*სასამართლოს მოტივებიდან:* გარდაცვლილის დამარხვისათვის პასუხისმგებელი პირის განსასაზღვრად გადამწყვეტია თუ ვის ეკისრება გარდაცვლილზე ზრუნვის ვალდებულება. გარდაცვლილზე ზრუნვის ვალდებულება ჯერ კიდევ რაიხის სასამართლოს მიხედვით ეკისრება უახლოეს ნათესავს, რაც წარმოადგენს ნათესაური კავშირის გაგრძელებას. იგივე პრინციპს აღიარებს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გერმანიის უმაღლესი სასამართლო. გარდაცვლილზე ზრუნვის ვალდებულებას განეკუთვნება განსაკუთრებით დაკრძალვის ადგილისა და სახის განსაზღვრა. თუმცა გსკ-ის 677-ე მუხლის მიხედვით მეპატრონის განსასაზღვრად საკმარისი არ არის მხოლოდ იმ პირის იდენტიფიცირება, ვისაც ეკისრება ხარჯების განევა. მისი განსაზღვრისათვის არ გამოგვადგება არც ჩვეულებითი სამართალი. სამოქალაქო სამართალი არ შეიცავს დანაწესებს, რომელიც გამოკვეთდა გარდაცვლილის დამარხვაზე პასუხისმგებელ პირს. შესაძლებელია, რომ საჯარო-სამართლებრივმა დანაწესებმა მიაკუთვნონ რაიმე საქმე მეპატრონეს და გან-

საზღვრონ მისი პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში ასეთ დანაწესს წარმოადგენს ადგილობრივი მიწის კანონები (...), რომელიც გარდაცვლილის დამარხვის ვალდებულებას აკისრებენ მეუღლეს. თუ ის არ ასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ დაკრძალვა უნდა განახორციელოს იმ თემის პოლიციამ, სადაც გარდაიცვალა პირი ან იპოვნეს გვამი (...). მეპატრონის განსასაზღვრად საჯარო სამართლის დანაწესების გამოყენება გამორიცხულია, თუ ისინი წარმოადგენენ ამომწურავ დანაწესებს და საქმის შესრულებას აკისრებენ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მხოლოდ სუბსიდიარულია. მეუღლე ვალდებულია დაკრძალოს გარდაცვლილი მეუღლე. ეს ვალდებულება, კანონის ცალსახა დანაწესის მიხედვით, არსებობს მაშინაც, როდესაც მეუღლეებს შორის ურთიერთობა გაფუჭებულია და მეუღლეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, ოფიციალურ განქორწინებამდე.

## კაზუსი: „ნარუმატიკალი ოპერაცია“

მერაბი (მ), რომელიც ბოლო დროს მძიმე დეპრესიაშია, ერთ დილი-თაც სამსახურში წასვლამდე, მიიყენებს ორ ცეცხლსასროლ ქრილობას გულ-მკერდის არეში. მიუხედავად იმისა, რომ მიყენებული ქრილობები სასიკვდილო არ არის, მკერდიდან ძლიერი სისხლდენა შესაბამისი დახმარების აღმოჩენის გარეშე მერაბს მალე მოუღებს ბოლოს. საბედნიეროდ მეზობელი შერმადინი (შ), პირველივე გასროლისთანავე მიაშურებს მერაბის ბინისაკენ, შეამტვრევს კარებს და გაიხვეს შარვალს. შემდეგ ის გონდაკარგულ მერაბს საკუთარი პერანგით შეუხვევს ქრილობებს და გამოიძახებს სასწრაფოს, რომელსაც თან გაჰყვება. საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ ასევე შ დაიყოლიებს ექიმ უშანგის (უ) ოპერაციის გაკეთებაზე, რომლის გარეშეც მ-ს გადარჩენა შეუძლებელია. თუმცა მერაბის გადარჩენა არც ოპერაციის მეშვეობით მოხერხდება. მერაბი არ იყო დაზღვეული, ამიტომაც უ-მ ვერც ჰონორარი მიიღო და წამლების ხარჯების დაფარვაც საკუთარი ჯიბიდან მოუხდა. ის ითხოვს მათ ანაზღაურებას. შ თავის მხრივ ითხოვს მერაბის თანამშრომლისა და ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრის გიზოსაგან (გ) გახეული შარვლის, პერანგისა და ასევე დაკარგული დროის ანაზღაურებას.

1. ამოხსენით კაზუსი ჯერ **გერმანული** და შემდეგ **ქართული** სამართლის მიხედვით.
2. რა შეიცვლებოდა კაზუსის **ფრანგული** და **ინგლისური** სამართლის მიხედვით გადანწყვეტისას?

### ამოხსნა:

*(გერმანული, ქართული, ფრანგული და ინგლისური სამართლის მიხედვით)*

*1) ამოხსნა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით*

#### უ-ს მოთხოვნები:

#### I. უ-ს მოთხოვნა შ-ს მიმართ მომსახურების ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 611-ე მუხლი)

უ-ს შეიძლება ჰქონდეს შ-საგან ჰონორარისა და განუული ხარჯების მოთხოვნის უფლება მომსახურების ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 611-ე მუხლი).

ამისათვის აუცილებელია, რომ შ-ს უ-სთან საკუთარი სახელით დაედო მომსახურების ხელშეკრულება. მომსახურების ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია ორი ურთიერთთანდამთხვევი ნების გამოხატვა (გსკ-ის 145-ე და შემდგომი პარაგრაფები; სსკ-ის 329-ე და შემდგომი მუხლები). შ-მ დაიყოლია უ მ-სათვის ოპერაციის გაკეთებაზე. საკითხავია ოპერაციის გაკეთების შეთავაზება წარმოადგენდა თუ არა ოფერტს შ-სთან სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. შემოთავაზება, იმისათვის რომ ჩაითვალოს ოფერტად, უნდა იყოს გაკეთებული მოქმედების, სამართლებრივი ბოჭვისა და გარიგების ნებით, რომელთა დადგენაც ხდება ობიექტური მიმღების ჰორიზონტიდან (გსკ-ის 133-ე და 157-ე პარაგრაფები, სსკ-ის 52-ე მუხლი). ობიექტური მიმღების ჰორიზონტიდან მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ შ-ს, როგორც მეზობელს, მ-ს მიმართ ზრუნვის ან საგარანტიო ვალდებულება არ გააჩნია, შესაბამისად, არ სურს დადოს მ-ს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება საკუთარი სახელით და აგოს პასუხი ამ ხელშეკრულებიდან პირადად. შ-ს შემოთავაზება არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც უ-სთან საკუთარი სახელით ხელშეკრულების დადების ოფერტი.

უ-სა და შ-ს შორის სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება არ დადებულა, რის გამოც უ-ს არ აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება შ-ს მიმართ.

#### II. უ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ მომსახურების ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 611-ე მუხლი) და გსკ-ის 1922-ე, 1967-ე მუხლების (სსკ-ის 1306-ე, 1484-ე მუხლები) შესაბამისად.

უ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მემკვიდრე გ-საგან ჰონორარისა და განუული ხარჯების მოთხოვნის უფლება მომსახურების ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 611-ე პარაგრაფი) და გსკ-ის 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 1306-ე 1484-ე მუხლები) მიხედვით.

ამისათვის აუცილებელია, რომ უ-სა და მ-ს შორის დადებულიყო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. მ-ს სავადმყოფოში მიყვანისას უკვე დაკარგული ჰქონდა გონება, რის გამოც ის პირადად ვეღარ დადებდა უ-სთან ხელშეკრულებას. თუმცა ეს ხელშეკრულება მისი სახელით შეეძლო დაედო შ-ს, თუ მას ექიმი უ-ს ოპერაციაზე დაყოლიებისას ექნებოდა ნება ემოქმედა მ-ს სახელით, წარმომა-

დგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში. საკითხავია, ჰქონდა თუ არა შ-ს საკუთარი ნების გამოხატვით მ-ს ბოჭვის ნება. ეს ნებაც უნდა განიმარტოს ობიექტური მიმღების ჰორიზონტიდან. მოცემულ შემთხვევაში ობიექტური მიღებისთვისაც ცალსახა იყო, რომ შ-ს არ გააჩნდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გონებადაკარგული მ-ს სახელით ხელშეკრულების დადებისა. წარმომადგენლის მიერ სხვისი სახელით, მაგრამ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულება არის მერყევად ბათილი გსკ-ის 177-ე პარაგრაფის (სსკ-ის 111-ე მუხლის) მიხედვით და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილის მონონებაზე. თუ წარმოდგენილი მას არ მოიწონებს, წარმომადგენელი პასუხს აგებს პირადად (გსკ-ის 179-ე პარაგრაფი, სსკ-ის 113-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში მ იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და არსებობდა საფრთხე, რომ ის გონზე მოუსვლელად გარდაიცვლებოდა. ამ დროს მისთვის შეუძლებელი იქნებოდა (მემკვიდრის მიერ მონონების შესაძლებლობა, რომლის არსებობის შესახებაც შ-ს ამ მომენტში არ შეიძლება სცოდნოდა, შეგვიძლია არ მივიღოთ მხედველობაში) გარიგების მონონება და შ პირადად აგებდა პასუხს ამ გარიგებიდან. ცალსახაა, რომ მას ეს არ სურდა და არ ჰქონდა (მ-ს) შესაბამისი ბოჭვის ნება, რაც შეცნობადი იყო ასევე ობიექტური მიმღების ჰორიზონტიდანაც, რის გამოც გამოირიცხა ასევე გარიგების დადება მ-ს სახელით. უ-ს არ აქვს არც მ-ს მემკვიდრე გ-ს მიმართ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება.

### **III. უ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე, 670-ე და 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე, 1306-ე და 1484-ე მუხლების) შესაბამისად**

უ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მემკვიდრე გ-საგან ჰონორარისა და განეული ხარჯების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 677-ე, 683-ე, 670-ე და 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე, 1306-ე და 1484-ე მუხლების) შესაბამისად, რის წინაპირობასაც წარმოადგენს მამკვიდრებლის საქმეების დავალების გარეშე ნამდვილი შესრულება.

1. მოცემულ შემთხვევაში უ-მ მ-ს ჩაუტარა ოპერაცია, რითიც შეასრულა სხვისი საქმე, რადგან გადაუდებელი ოპერაციის ჩატარება ავადმყოფის საქმეა. ის ფაქტი, რომ ექიმი ვალდებული იყო

დახმარება გაენია ავადმყოფისათვის, ან ელოდებოდა ამისათვის ჰონორარს, არ გამოირიცხავს სხვის საქმეს, რადგან „ასევე სხვისი საქმე“ სხვისი საქმეა. სხვისი საქმის გაძლოლის ნება ივარაუდება „ასევე სხვისი საქმის“ შემთხვევაშიც. უ მოქმედებდა დავალების ან სხვა უფლებამოსილების გარეშე.

2. საკითხავია შეესატყვისებოდა თუ არა მ-ს გადარჩენა მის ინტერესსა და ნამდვილ ან ჰიპოთეტურ ნებას (გსკ-ის 683-ე პარაგრაფი, სსკ-ის 974-ე მუხლი). მომაკვდავი მ-ს გადარჩენა იყო ობიექტურად სასარგებლო და ამგვარად მის ინტერესებში. ნამდვილ ნებას მის გადარჩენასთან დაკავშირებით ის ვერ გამოხატავდა, რადგან გონზე არ მოსულა. თუმცა თვითმკვლელის შემთხვევაში პრობლემურია, შეესატყვისება თუ არა მისი გადარჩენა მის სავარაუდო ნებას, რადგან მისი უკანასკნელი გამოხატული ნება სწორედ ამის საპირისპიროდ მეტყველებს. თუმცა, როგორც სამედიცინო პრაქტიკა აჩვენებს, ერთხელ გადარჩენილი თვითმკვლელი, ჩვეულებრივ, მეორედ იმავს აღარ იმეორებს. გსკ-ის 683-ე პარაგრაფის მე-2 წინადადების (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მიხედვით, მეპატრონის საწინააღმდეგო ნება მხედველობაში არ მიიღება, თუ საქმის შესრულების გარეშე დაინტერესებული პირის ვალდებულება, რომლის შესრულებაც საჯარო ინტერესებშია, ან მისი კანონისმიერი რჩენის ვალდებულება დროულად ვერ შესრულდებოდა (გსკ-ის 679-ე პარაგრაფი). მოცემული დანაწესის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს მეპატრონის სამართლებრივი ვალდებულების არსებობა, მხოლოდ მორალური ვალდებულება საკმარისი არ არის. იმის გამო, რომ არ არსებობს ცოცხლად დარჩენის სამართლებრივი ვალდებულება, გსკ-ის 670-ე პარაგრაფს ვერ გამოვიყენებთ. ამის გამო შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ თვითმკვლელის უკანასკნელი გამოვლენილი ნება მნიშვნელოვანია, რადგან ის იმყოფება უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაში, რომლის სანქციონირებაც დაუშვებელია შემდგომში მისი გადარჩენისათვის განეული ხარჯების უკან მოთხოვნით.

თუმცა ამის საპირისპიროდ თვითმკვლელი ნება შესაძლებელია არ გავითვალისწინოთ გსკ-ის 134-ე და 138-ე პარაგრაფების (სსკ-ის 54-ე მუხლი) შესაბამისად, როგორც ამორალური. ამისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია, თვითმკვლელის ნების არგათვალისწინება ქმედუნარიანობის შესახებ დანაწესების (გსკ-ის 104-ე პარაგრაფის 2 და 105-ე პარაგრაფი; სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ანალოგიით გამოყენების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მოცე-

მულ შემთხვევაში საქმე ეხება არა გარიგების ნების გამოხატვას, არამედ ფაქტობრივ ნებას, რომელიც აუცილებელია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის – სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულებისათვის. იმის გამო, რომ თვითმკვლელი იმყოფება უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში, მისი ნება შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ, როგორც ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს გამოვლენილი. შესაბამისად, ზემოთხსენებული მუხლების საფუძველზე შეგვიძლია თვითმკვლელის სანინალმდეგო ნების მიუხედავად გამოვიყენოთ გსკ-ის 679-ე პარაგრაფი (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ანალოგიით.

ამრიგად გსკ-ის 683-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მიხედვით, მიუხედავად მ-ს სანინალმდეგო ნებისა, სახეზეა სხვისი საქმეების ნამდვილი შესრულება.

3. უ-ს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ განეული დანახარჯები – დახარჯული წამლის საფასური, და ასევე უნდა მიიღოს მისი ჩვეული ჰონორარი, რადგან ის მოქმედებდა თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გსკ-ის 1835-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენებით. რადგან მ უკვე გარდაცვლილია, მისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მისი მემკვიდრე გსკ-ის 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 1306-ე 1484-ე მუხლების) შესაბამისად.

**შედეგი:** უ-ს შეუძლია მოითხოვოს გ-საგან დანახარჯებისა და განეული შრომის ანაზღაურება.

### **მ-ს მოთხოვნები:**

**მ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე, 670-ე და 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე, 970-ეს მე-2 ნაწილი, 1306-ე და 1484-ე მუხლები) შესაბამისად**

მ-ს, როგორც შემსრულებელს, შეიძლება ჰქონდეს მ-საგან, როგორც მეპატრონისაგან, გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლი) შესაბამისად განეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

1. მოცემულ შემთხვევაში მ-მ მ-სათვის შეასრულა „საქმე“ გსკ-ის 677-ე პარაგრაფის (სსკ-ის 969-ე მუხლი) შესაბამისად, როდესაც შეამტვრია კარები, შეეცადა მისთვის ჭრილობების შეხვევას, გამოიძახა სასწრაფო და გაჰყვა მას საავადმყოფოში. მ-ს გადარჩენა იყო მხოლოდ ამ უკანასკნელის საქმე. მ-ს ჰქონდა ასევე სხვისი

საქმის შესრულების ნება, რომელიც ობიექტურად სხვისი საქმის შესრულების შემთხვევაში ივარაუდება. დავალება ან სხვა რაიმე სამართლებრივი საფუძველი მოქმედებისათვის მ-სა და შ-ს შორის არ არსებობდა. საქმის შესრულება უნდა შეესაბამებოდეს მესაკუთრის ინტერესსა და ნამდვილ ნებას. დაზარალებული მ-ს გადარჩენის მცდელობა იყო მისთვის ობიექტურად სასარგებლო. მიუხედავად იმისა, რომ უშედეგო აღმოჩნდა, საქმის შესრულების დანეების მომენტში ის შეესაბამებოდა მის ინტერესებს. მართალია, საქმის შესრულება ეწინააღმდეგებოდა მ-ს დაფიქსირებულ ნებას, მაგრამ როგორც უ-ს მოთხოვნის განხილვისას აღვნიშნეთ, თვითმკვლელის ნება არ გაითვალისწინება გსკ-ის 134-ე და 138-ე პარაგრაფების (სსკ-ის 54-ე მუხლის), ან გსკ-ის 104-ე პარაგრაფის 2-ისა და 105-ე პარაგრაფის (სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის) და გსკ-ის 679-ე პარაგრაფის (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილის) ანალოგიით გამოყენების მეშვეობით.

2. გსკ-ის 670-ე პარაგრაფის (სსკ-ის 973-ე მუხლის) საფუძველზე შემსრულებელს უნდა აუნაზღაურდეს ყველა აუცილებელი დანახარჯი, მათ შორის ზიანიც, რომლის დადგომისას ნაკისრი საქმიანობიდან გამომდინარე რისკი რეალიზდა (სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მ-ს აუნაზღაურდება განეული შარვლისა და გაფუჭებული პერანგის ხარჯები. ამის საპირისპიროდ ის ვერ მიიღებს ანაზღაურებას დაკარგული დროისათვის, რადგან განეული საქმიანობა არ წარმოადგენდა მის პროფესიულ საქმიანობას და გსკ-ის 1835-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი ანალოგიით არ გამოიყენება.

3. მ-ს ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მისი მემკვიდრე გსკ-ის 1922-ე, 1967-ე პარაგრაფების (სსკ-ის 1306-ე, 1484-ე მუხლების) შესაბამისად.

**შედეგი:** მ-ს აქვს გ-ს მიმართ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა.

### *2) ამოხსნა ფრანგული სამართლის მიხედვით*

#### **უ-ს მოთხოვნები:**

**უ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ მომსახურების ხელშეკრულებიდან (contrat d'assistance) და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად**

უ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მემკვიდრე გ-საგან ჰონორარისა და განეული ხარჯების მოთხოვნის უფლება მომსახურების ხელშე-

კრულებიდან, რისთვისაც აუცილებელია, რომ უ-სა და მ-ს შორის დადებულიყო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. მ-სა და უ-ს შორის პირდაპირი კონტაქტი არ შემდგარა, თუმცა მ-ს სახელით ხელშეკრულება შესაძლებელია დაედო შ-ს.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის შესაბამისად მეპატრონემ, რომლის საქმეებსაც ჯეროვნად გაუძღვნენ, უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც შემსრულებელმა იკისრა მისი სახელით. ანუ გარიგება, რომელსაც დებს შემსრულებელი მეპატრონის სახელით, პირდაპირ ავალდებულებს მეპატრონეს მესამე პირების წინაშე. ამ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წინაპირობას წარმოადგენს სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში მოქმედება (Gestion d'affaires). გარდა ამისა, შემსრულებელმა გარიგების დადებისას უნდა იმოქმედოს მეპატრონის სახელით.

1. საფრანგეთში სხვისი საქმეების შესრულებად სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მიხედვით მიიჩნევა: 1. სპონტანური ფაქტობრივი თუ იურიდიული ხასიათის მოქმედება, რომელსაც შემსრულებელი (gérant) ასრულებს საკუთარ კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე, 2. რომლის შესახებაც არ იცის მეპატრონემ (géré), თუმცა 3. ეს მოქმედება შესრულების დაწყების მომენტში მისთვის როგორც სასარგებლო, ისე აუცილებელია.

მოცემულ შემთხვევაში ექიმი უ-ს ოპერაციაზე დაყოლიებით შ-მ დადო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება შ-მ დადო მ-ს სახელით, რაც გამომდინარეობდა გარემოებებიდან, რადგან ორივე მხარისათვის ცალსახა იყო, რომ შ არ დებდა მას საკუთარი სახელით და არ სურდა თავად ეგო პასუხი. სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ არ დადგა ის შედეგი, რომლის მიღწევისაკენაც იყო მიმართული ეს ხელშეკრულება, დადების მომენტში ის მაინც წარმოადგენდა მ-სათვის სასარგებლო და მისი სიცოცხლის გადარჩენისათვის აუცილებელ მოქმედებას. ის იყო სპონტანური – შ-ს არ ჰქონდა არც სახელშეკრულებო და არც სხვა რაიმე კანონისმიერი ვალდებულება და მეპატრონემ არ იცოდა მის შესახებ. სხვისი საქმის შესრულების წინაპირობები სახეზეა ფრანგული სამართლის მიხედვითაც. მეპატრონე შებოჭილია შემსრულებლის მიერ ამ საქმეების ფარგლებში მისი სახელით დადებული ხელშეკრულებით (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი). უ-ს ექნებოდა მ-ს მიმართ

პირდაპირი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება მომსახურების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

2. იმის გამო, რომ მ მოთხოვნის წაყენების მომენტისათვის უკვე გარდაცვლილია, მისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე გ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

**შედეგი:** უ-ს აქვს გ-ს მიმართ ჰონორარისა და დახარჯული წამლე-ბის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნა.

### შ-ს მოთხოვნები:

#### შ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1375-ეს მე-3 ვარიანტისა და 724-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად

შ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მემკვიდრე გ-საგან შარვლისა და პერანგის საფასურის და ასევე დაკარგული დროის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ სახეზეა სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულება.

1. შ-მ შეამტვრია კარი, შეეცადა გადაეხვია მ-ს ჭრილობები, შემდეგში გაჰყვა მას საავადმყოფოში და დადო მისი სახელით სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. ყველა ეს მოქმედება იყო სპონტანური, სასარგებლო, აუცილებელი და შესრულდა გონებადაკარგული მეპატრონის ცოდნის გარეშე. სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა.

2. საფრანგეთში სხვისი საქმეების შესრულების შედეგს წარმოადგენს მეპატრონის ვალდებულება აუნაზღაუროს შემსრულებელს განუთლი ხარჯები საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანიც, რომელიც შემსრულებელს მიადგა ამ საქმეების შესრულებისას. შესაბამისად, შ-ს აუნაზღაურდება, როგორც გახეული შარვლის, ისე პერანგის საფასური.

რაც შეეხება “დაკარგულ დროს”, ჩვეულებრივ, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელო დახარჯული დროისათვის, თუმცა სასამართლო ზოგ შემთხვევებში ვარაუდობს გასამრჯელოს გადახდის ნებას, ასევე გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც შემსრულებელი საკუთარი პროფესიის ფარგლებში მოქმედებს. ამ დროს სასამართლო უშვებს კონკლუდენტურ ხელშეკრუ-

ლებას. მოცემულ შემთხვევაში კონკლუდენტური ხელშეკრულების დაშვება გამოირიცხება, რადგან მ საქმეების დაწყების მომენტიდან იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა, რის გამოც ის ვერც კონკლუდენტურ ნებას გამოხატავდა და ვერც მოინებდა შემდეგში ამ გარიგებას. შ ასევე არ მოქმედებდა მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. “დაკარგული დრო” არ ანაზღაურდება.

3. შ-ს ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მისი ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე გ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

**შედეგი:** შ-ს აქვს გ-საგან განუული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

*3) ამოხსნა ინგლისური სამართლის მიხედვით*

#### **უ-ს მოთხოვნები:**

უ-ს მოთხოვნები შ-ს მიმართ უნდა გამოირიცხოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ-ს არ ჰქონია საკუთარი ბოჭვის ნება.

#### **I. მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ კანონის სპეციალური დანაწესიდან**

უ-ს შეიძლება ჰქონდეს ანდერძის აღმასრულებლისაგან მ-ს დატოვებული ქონებიდან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება კანონის სპეციალური დანაწესიდან, როგორც არის, მაგალითად, Section 158 Road Traffic Act 1988 დიდ ბრიტანეთში. თუმცა ამ დანაწესის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ექიმის მიერ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა საგზაო ინციდენტის შედეგად დაზარალებულისათვის.

#### **II. მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან**

უ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს ანდერძის აღმასრულებლისაგან ჰონორარისა და განუული ხარჯების მოთხოვნის უფლება მომსახურების ხელშეკრულებიდან, რისთვისაც აუცილებელია, რომ უ-სა და მ-ს შორის დადებულიყო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. მ-სა და უ-ს შორის პირდაპირი კონტაქტი არ შემდგარა, რადგან საავადმყოფოში გადაყვანის მომენტისათვის მ უკვე აღარ იმყოფებოდა გონზე და მისი გამონათქვამი ვერ განიმარტება როგორც კონკლუდენტური თანხმობა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით “აუცილებლობა” წარმოშობს წარმომადგენლობას (agency) – წარმომადგენელს (აგენტს) ენიჭება უფლებამოსილება დადოს ხელშეკრულება, რომელიც იქნება მბოჭავი (წარმოდგენილის) პრინციპალისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს აუცილებლობა პრინციპალის სახელით მოქმედებისა, შეუძლებელი უნდა იყოს პრინციპალთან დაკავშირება, მოქმედება უნდა შეესატყვისებოდეს პრინციპალის ინტერესებს.

შ-ს, როგორც მ-ს წარმომადგენელს შესაძლებელია დაედო ხელშეკრულება უ-სთან, თუ ამ ხელშეკრულების დადება იყო აუცილებელი მ-სათვის. მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია პრინციპალის ინტერესებთან შესატყვისობა, რადგან მ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა დაესრულებინა სიცოცხლე თვითმკვლელობით, რის გამოც მის ინტერესში არ შედიოდა მისი გადარჩენა. მ-სა და უ-ს შორის შ-ს, როგორც წარმომადგენლის მეშვეობით, დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება, საიდანაც უ-ს უშუალოდ მ-საგან ექნებოდა ჰონორარის მოთხოვნის უფლება გამოირიცხება.

#### **III. მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ კვაზი კონტრაქტიდან**

უ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ კვაზი კონტრაქტიდან. “კვაზი კონტრაქტისა” (quasi contract) ან “რესტიტუციის” (restitution) ცნების ქვეშ ერთიანდება შემთხვევები, როდესაც პირი იძენს რაიმე ისეთ ქონებრივ სარგებელს, რომელიც მას არ ეკუთვნის<sup>8</sup>.

#### **1. მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებიდან**

ინგლისშიც არსებობს შემთხვევები, როდესაც აუცილებელია, რომ პირმა მიიღოს სხვისთვის განუული სამსახურისათვის გარკვეული კომპენსაცია. მთელი რიგი ესეთი შემთხვევებისათვის, რომლებიც კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას განეკუთვნება, ინგლისურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით უნდა გამოვიყენოთ უსაფუძ-

<sup>8</sup> 8 Bank plc v Hammersmith and Fulham LBC, The Independent, 23 Dec 1991, No 1619, p. 4, CA.

ვლო გამდიდრების სამართალი (unjust enrichment). უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის გამოყენების წინაპირობებია: 1. პირის გამდიდრება, 2. მოსარჩელის ხარჯზე, 3. გაუმართლებელი გარემოების (unjust factor) საფუძველზე.

გაუმართლებელ გარემოებას მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს აუცილებლობა (necessity), რომელიც უბიძგებს პირს ჩაერიოს სხვის საქმეში. ჩარევის აუცილებლობა გამოწვეული უნდა იყოს იმ საფრთხით, რომელიც ემუქრება პირის ქონებასა, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, რაც დაშავებული მ-ს გადარჩენის მცდელობისას სახეზეა. თუმცა პრობლემურია ის ფაქტი, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი სარჩელისათვის აუცილებელია შედეგის – გამდიდრების – დადგომა, რაც აქ არ დადგა – მ გარდაიცვალა. უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნა გამოიერიცხება.

## 2. მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ negotiorum gestio-დან

negotiorum gestio (management of affairs) - დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ცნობილია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებისათვის, ინგლისური სამართლისათვის ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, ინგლისშიც გამოყოფენ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც სხვის სასარგებლო განეული საქმიანობა ანაზღაურდება. ასეთია, მაგალითად, სხვისი თამასუქის დაფარვა, “სხვისი მკვდრის დამარხვა”, სხვა პირის მოვლის, ან რჩენის შემთხვევა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა პროფესიონალი ექიმის მიერ. პროფესიონალ ექიმს აქვს ვალდებულება დაეხმაროს დაშავებულ პირს. მან უნდა გამოიყენოს პირის გადასარჩენად ყოველგვარი ხელთარსებული საშუალებები. ეს განეული დახმარება უნდა ანაზღაუროს მან, ვისაც უნდა მიეღო სარგებელი. ამ დროს common law უშვებს კვაზი-სახელმეკრულებო ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობას, რომელსაც ასევე “სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებასაც უწოდებენ” (“implied in law”). თუ ეს ვალდებულება არსებობს, უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ვერ მოახერხა პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა. ქირურგის მიერ ჩატარებული ოპერაცია იყო აუცილებელი, მიუხედავად იმისა, რომ მან არ გამოილო

ნაყოფი. ამ დროს ქირურგს აქვს გარდაცვლილი პირის ქონებიდან განეული ხარჯების დაკმაყოფილების უფლება.

თუმცა საკითხავია, თუ რა მოცულობით უნდა მოხდეს ამ ხარჯების ანაზღაურება. როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ექიმის გასამრჯელოს შესახებ, ის ითვალისწინებს არა მარტო ექიმის რეპუტაციას, არამედ ასევე მის ამჟამინდელ პოზიციას, მის სამუშაო ძალასა და პასუხისმგებლობას პაციენტების წინაშე. მოცემულ შემთხვევაში ექიმმა უნდა მიიღოს მის მიერ დახარჯული დროისათვის ჩვეული გასამრჯელო, ასევე ანაზღაურება დახარჯული წამლებისათვის.

**შედეგი:** უ-ს შეუძლია მოითხოვოს ანდერძის აღმასრულებლისაგან მ-ს ქონებიდან დაკმაყოფილება მის მიერ განეული ხარჯებისათვის.

## მ-ს მოთხოვნა მ-ს ანდერძის აღმასრულებლის მიმართ

მ-ს შეიძლება ჰქონდეს ანდერძის აღმასრულებლისაგან მ-ს დატოვებული ქონებიდან შარვლისა და პერანგის საფასურის, ასევე დაკარგული დროის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამ მოთხოვნის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს negotiorum gestio-ს სპეციალური შემთხვევა ინგლისში – გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. თუმცა ექიმისაგან განსხვავებით, არაპროფესიონალის მიერ განეული დახმარება არ ანაზღაურდება. მიიჩნევა, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირის მიერ განეული დახმარება, ჩვეულებრივ, ზიანის მომტანია და არ იმსახურებს ნახალისებას. შესაბამისად, მ ვერ მოითხოვს ანაზღაურებას მიმდგარი ზიანისა და დაკარგული დროისათვის.

## პაპოსი: „პაპო მოწყობილი“

პაპო, მას შემდეგ რაც სამსახურში მოაწყვეს, გადაბმულად სვამს. ერთ ღამესაც ჩვეულებისამებრ სამ საათზე შინ მობრუნებულს (მამის) გარაჟის კარი ჩაკეტილი დახვდება – ჯემალმა გადანყვიტა ურჩ შვილს ჭკუა ასწავლოს. პაპო ბევრს იფიქრებს თუ ცოტას, თავის მანქანას მეზობელ გიზოს გარაჟში შეაყენებს, რომელიც ამ ღამეს ასევე საქეიფოდაა წასული. დილის ექვს საათზე დაბრუნებული გიზო, ჯერ ზოგადად მეზობლებისა და შემდეგ კონკრეტულად პაპოს გინებით აიკლებს ეზოს, შემდეგ კი ცხელ გულზე დაიძინებს. როდესაც შუადღისას გამოღვიძებულს პაპოს მანქანა ისევ საკუთარ გარაჟში დახვდება, უკვე აევესება მოთმინების ფიალა. გამოიძახებს ევაკუატორს და გადაათრევენებს მანქანას. საღამოს გიზოსა და ჯემალს შორის სერიოზული საუბარი გაიმართება. ჯემალი ბოდიშს მოიხდის და გაანდობს, რომ პაპო უკვე სამაგალითოდაა დასჯილი – მანქანა ჩამოერთვა და ალიყურიც მიიღო თავისი არასწორი საქციელისათვის. გიზოს ეს ყველაფერი დიდად ვერ ამოშმინებს და ითხოვს ევაკუატორის ხარჯების ანაზღაურებას.

იმსჯელეთ გერმანული და შემდეგ ქართული სამართლის მიხედვით იმასთან დაკავშირებით, მოხვდება თუ არა პაპოს მეორე ალიყური მამის ჯიბის ევაკუატორის ხარჯებით შეთხელებისათვის.

## გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§859. მფლობელის თვითდაზმარების უფლება.** (1) მფლობელს შეუძლია ძალით დაიცვას თავი აკრძალული თვითნებობისაგან. (2) თუ მოძრავი ნივთი ჩამოერთვა მფლობელს აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია მისი ძალით დაბრუნება დამრღვევისაგან, რომელსაც წაასწრეს ადგილზე ან აღმოაჩინეს ცხელ კვალზე დადევნების შედეგად. (3) თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ჩამოერთვა მფლობელობა აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია მფლობელობის ჩამორთმევის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბრუნოს მფლობელობა დამრღვევის გაძევებით. (4) ანალოგიური უფლებები ეკუთვნის მფლობელს იმ პირის მიმართ, რომელმაც §858 მე-2 ნაწილის თანახმად უნდა დაუშვას მის მიმართ მფლობელობის ხარვეზიანობის გამო პრეტენზიის წარდგენა.

**§862. მოთხოვნის უფლება მფლობელობის განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო.** (1) თუ მფლობელს აკრძალული თვითნებობის მეშვეობით ხელი ეშლება მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას შეუძლია დამრღვევისაგან მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. თუ არსებობს შემდგომი ხელის შეშლის საფრთხე, მაშინ მფლობელს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი. (2) მოთხოვნის უფლება გამოირიცხებულია, თუ მფლობელი დამრღვევის ან მისი წინამორბედის მიმართ ფლობს ხარვეზიანად და მფლობელობა მოპოვებულ იქნა მფლობელობის ხელის შეშლამდე ბოლო წლის განმავლობაში.

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 161. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა.** თუ კეთილსინდისიერი მფლობელს არ ჩამოერთმევა ნივთი, მაგრამ სხვაგვარად შეეშლება ხელი მისი მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას, მსგავსად მესაკუთრისა, შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. ამასთანავე, მას შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა შეუძლებელია ხელის შეშლის აღკვეთის მოთხოვნა.

**§1004. ნეგატორული სარჩელი (Beseitigungs- und Unterlassungsanspruch).** (1) თუ საკუთრების უფლების ხელყოფა ხდება სხვაგვარად, ვიდრე ნივთის ჩამორთმევა ან მისი დაკავება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ხელის შემშლელი მოქმედების აღკვეთა. თუ არსებობს შემდგომი ხელყოფის საფრთხე, მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი. (2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მესაკუთრე ვალდებულია ითმინოს ხელყოფა.

**მუხლი 172. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა. ....**

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. 3. თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.

## ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

### I. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები) შესაბამისად

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება პ-ს მიმართ ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულებიდან გსკ-ს 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები) შესაბამისად.

#### 1. სხვისი საქმის შესრულება

მოცემული მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს სხვისი საქმის შესრულება. მანქანის ევაკუატორის მეშვეობით გადაყვანისას გ-მ შეიძლება შეასრულოს სხვისი საქმე. საქმის შესრულებას წარმოადგენს ნებისმიერი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი სახის მოქმედება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ რაიმეს გადაცემით, დამოუკიდებლად მისი ხანგრძლივობისა<sup>9</sup>. საქმე უნდა ყოფილიყო სხვისი. გ-მ გადააგორა პ-ს მანქანა საკუთარი მიწის ნაკვეთიდან. მანქანის გადაგორება არის მანქანის მესაკუთრის საქმე და განეკუთვნება მის უფლებათა და მოვალეობათა სფეროს. ის ფაქტი, რომ გ-ს ჰქონდა ამ გადაგორების მიმართ საკუთარი ინტერესი არ გამორიცხავს სხვისი საქმის შესრულებას, რადგან „ასევე სხვისი საქმეც“ სხვისი საქმეა. გ-მ შეასრულა სხვისი საქმე.

#### 2. სხვისი საქმის შესრულების ნებით

ამ საქმის შესრულებისას გ-ს უნდა ემოქმედა სხვისი საქმის შესრულების ნებით. სხვისი საქმის შესრულების ნება ივარაუდება “ასევე სხვისი საქმის” შესრულების შემთხვევაშიც. ამ ვარაუდის გაქარწყლებამდე უნდა მივიჩნიოთ, რომ გ მოქმედებდა სხვის საქმის შესრულების ნებით.

<sup>9</sup> Palandt/SPRAU, § 677 Rn. 2.

### 3. დავალებისა და სხვა უფლებამოსილების გარეშე

გ არ იყო ვალდებული არც გარიგებიდან და არც სხვა რაიმე საფუძვლიდან გამომდინარე გადაეგორებინა პ-ს მანქანა.

### 4. ნებისა და ინტერესების შესაბამისად

გ-ს უნდა ემოქმედა პ-ს ინტერესებისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად. ინტერესების შესაბამისობა სახეზეა, როდესაც საქმე მეპატრონისათვის ობიექტურად სასარგებლოა. მოცემულ შემთხვევაში ობიექტური სარგებლიანობა შეიძლება გამომდინარეობდეს პ-ს ვალდებულებისაგან გათავისუფლებიდან. პ-მ გ-ს გარაჟში მანქანის დაყენებით ჩაიდინა აკრძალული თვითნებობა გსკ-ის 858-ე პარაგრაფის შესაბამისად და გსკ-ის 862-ე, 1004-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 161-ე, 172-ე მუხლების) შესაბამისად ვალდებული იყო გადაეგორებინა კუთვნილი მანქანა, რომელიც ხელს უშლიდა გ-ს გარაჟის ფლობაში<sup>10</sup>. გ-მ გადააგორა მანქანა და ამგვარად გაათავისუფლა პ მისი ვალდებულებისაგან. საკითხავია, შეესატყვისებოდა თუ არა საქმის შესრულება პ-ს ნებას. გ-ს მიერ მანქანის ევაკუატორის მეშვეობით გადაგორების შედეგად, პ-ს შეიძლება წარმოეშვას ამ გადაგორების ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა. ამ დროს საქმის შესრულება მხოლოდ მაშინ იქნება პ-ს ინტერესებში, როდესაც ევაკუატორი ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე ზიანი, რომელიც პ-მ უნდა აუნაზღაუროს გ-ს მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლის გამო, თუმცა ამგვარი მსჯელობა არასწორია. საქმეების შესრულების ფარგლებში ინტერესებთან და ნებასთან შესატყვისობა განისაზღვრება არა რეტროსპექტიულად, იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგი მოყვა მას, არამედ პროსპექტიულად – ანუ საქმეების შესრულების დაწყების მომენტში საქმე უნდა იყოს მეპატრონისათვის სარგებლიანი და მისი ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესატყვისი. ის ფაქტი, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან მესაკუთრეს წარმოეშვება ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, წარმოადგენს ამ შესრულების შედეგს და არა მის წინაპირობას და არ გაითვალისწინება საქმეების

<sup>10</sup> SCHWARZ/ERNST, Ansprüche des Grundstücksbesitzers gegen "Falschparker", NJW 1997, 2550

შესრულების ინტერესებთან შესატყვისობის დადგენისას, რადგან ეს ამ საქმეების შესრულებას მთელ რიგ შემთხვევაში ხაზს გადაუსვამდა. მოცემულ შემთხვევაში საქმეების შესრულება შესრულების დაწყების მომენტში მეპატრონისათვის სარგებლიანი იყო, რადგან ათავისუფლებდა მას მისი უკვე არსებული და სამომავლო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რის გამოც უნდა ყოფილიყო პ-ს სავარაუდო ნების შესატყვისი. თუმცა ნამდვილ ნებას უპირატესობა ენიჭება სავარაუდო ნებასთან შედარებით. პ-მ გაცნობიერებულად დააყენა კუთვნილი მანქანა გ-ს მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად სწორედ ეს იყო მისი ნება.

თუმცა საკითხავია, შესაძლებელია თუ არა პ-ს ნამდვილი ნების გამორიცხვა გსკ-ის 679-ე პარაგრაფის (სსკ-ის 974-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. ამისათვის ნამდვილი ნება უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეპატრონის ვალდებულებას, რომლის შესრულებაც საჯარო ინტერესებშია. გერმანული ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, არამართლობითი მდგომარეობის აღმოფხვრა საჯარო ინტერესშია, რასაც ემსახურებოდა მოცემულ მომენტში მანქანის გადაგორებით მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლის აღკვეთა<sup>11</sup>. მოცემული გადაწყვეტის გადმოტანა მიზანშეწონილია ასევე სამოქალაქო სამართალში. პ-ს საპირისპირო ნება უმნიშვნელოა.

გ-ს აქვს პ-ს მიმართ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა.

### II. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 687-ეს მე-2 ნაწილის, 681-ეს მე-2 ნაწილისა და 667-ე პარაგრაფის შესაბამისად

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება სარგებლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 687-ეს მე-2 ნაწილის, 681-ეს მე-2 ნაწილისა და 667-ე პარაგრაფის შესაბამისად ე. წ. სხვისი საქმეების თვითნებურად გაძლოლიდან.

მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს პ-ს მიერ გ-ს საქმეების თვითნებური შესრულება, როგორც საკუთარი საქმის. პ-მ შეგნებულად დააყენა საკუთარი მანქანა სხვის მიწის ნაკვეთზე. ეს წარმოადგენდა სხვის საქმეს, რომელსაც ის შეგნებულად გაუძღვა, რო-

<sup>11</sup> JANSSEN, NJW 1995, 625.

გორც საკუთარს და მიიღო აქიდან სარგებელი – დაზოგა პარკინგის ხარჯები, რის გამოც უნდა აუნაზღაუროს გ-ს ამ სარგებლობის ღირებულება.

*განსხვავებით გსკ-საგან, რომელიც სხვისი საქმის, რომელიც სხვისი საქმეების თვითნებურად როგორც საკუთარის გაძღოლის შემთხვევაში ითვალისწინებს ამ თვითნებობის ჩამდენი პირის ცალმხრივ პასუხისმგებლობას დავალების ხელშეკრულების ნესების მიხედვით, სსკ-ში მსგავსი დანაწესი არ მოიძებნება, რის გამოც ამ შემთხვევებში შესაძლებელია მხოლოდ ხელყოფის კონდიციის გამოყენება, სსკ-ის 982-ეს 1-ლი, 984-ეს 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი (იხ. ქვემოთ). პ-მ ხელყო გ-ს მიწის ნაკვეთის მფლობელობა მისი გამოყენების გზით სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რის შედეგადაც მიიღო გამდიდრება პარკინგის დაზოგილი ხარჯების სახით. ამ ხარჯების ღირებულება უნდა აუნაზღაუროს გ-ს, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება.*

### **III. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 987-ე, 990-ე პარაგრაფების (სსკ-ის 164-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) შესაბამისად**

პ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ნივთის ფლობიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ე. წ. მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობიდან გსკ-ის 987-ე, 990-ე პარაგრაფების (სსკ-ის 164-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ამ მოთხოვნის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ გ ყოფილიყო მესაკუთრე, ხოლო მოთხოვნის ადრესატი პ, ნივთის მფლობელი მფლობელობის უფლების გარეშე. როგორც თავდაპირველად, ისე შემდგომში ნივთის მესაკუთრე იყო გ.

საკითხავია, იყო თუ არა პ ნივთის მფლობელი.

*მოცემული საკითხის განხილვა შესაძლებელი იყო ზემოთაღნიშნულ 1.4-ე პუნქტის ქვეშ, როდესაც დავადგინეთ, რომ პ ვალდებული იქნებოდა აუნაზღაურებინა გ-სათვის მფლობელობის განხორციელების ხელშეშლით მიყენებული ზიანი. რამდენადაც არაცალსახაა, რომ პ-ს მიერ გ-ს მიწის ნაკვეთზე მანქანის გაჩერება წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის მფლობელო-*

*ბის განხორციელებაში ხელშეშლას გსკ-ის 862-ე პარაგრაფის მიხედვით, იმდენად არაცალსახაა, ამ მოქმედებით დაეუფლა თუ არა ის გ-ს მიწის ნაკვეთს, რაც აქცევდა მას არაუფლებამოსილ მფლობელად.*

მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლა არის პირდაპირი მფლობელობის ნებისმიერი ხელყოფა მისი ჩამორთმევის გარეშე. ამის საპირისპიროდ მფლობელობის ჩამორთმევა არის პირდაპირი მფლობელისაგან მფლობელობის სრული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოშორება. თუ მიწის ნაკვეთი მანქანის მხოლოდ ერთი სადგომისაგან შედგება, მაშინ მისი დაკავება წარმოადგენს ნაკვეთზე მფლობელობის ჩამორთმევას. თუმცა ასევე მიწის ნაკვეთის მხოლოდ ნაწილის დაკავება წარმოადგენს ამ ნაწილზე მფლობელობის ჩამორთმევას. პ გახდა მიწის ნაკვეთის იმ ნაწილის მფლობელი, რომელზეც დააყენა მანქანა. მან თვითნებურად მიითვისა ეს მფლობელობა და გაცნობიერებული ჰქონდა რა ეს, იყო არამართლზომიერი არაკეთილსინდისიერი მფლობელი გსკ-ის 990-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რომელიც გსკ-ის 987-ე პარაგრაფის (სსკ-ის 164-ე მუხლი) შესაბამისად უნაზღაურებს ნივთის მესაკუთრეს მიღებულ სარგებელს.

პ-მ უნდა აუნაზღაუროს გ-ს მის მიწის ნაკვეთზე მანქანის პარკირებიდან მიღებული სარგებელი.

### **IV. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 989-ე, 990-ე პარაგრაფების მიხედვით**

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ ნივთის ფლობით მიყენებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ე. წ. მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობიდან გსკ-ის 987-ე, 990-ე პარაგრაფების შესაბამისად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ იყო მიწის ნაკვეთის არაუფლებამოსილი არაკეთილსინდისიერი მფლობელი, რის გამოც მან გ-ს უნდა აუნაზღაუროს ამ არაუფლებამოსილი ფლობით მიყენებული ზიანი, თუმცა ანაზღაურებად ზიანს წარმოადგენს მხოლოდ ნივთის გაუარესებით, განადგურებით, ან მისი უკან დაბრუნების შეუძლებლობით გამოწვეული ზიანი, რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს სახზე.

*საქართველოში გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ზიანის*

ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 161-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომლის წინაპირობაც არის ნივთის ჩამორთმევის გარეშე მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანი. მართალია, პ-მ გ-ს მის გარაჟში მანქანის დაყენებით ჩამოართვა მანქანის ქვეშ მდებარე მიწის ნაკვეთზე მფლობელობა, თუმცა ამავდროულად შეიძლება ჩამორთმევის გარეშე ხელყოფით მფლობელობა სხვა ნივთებზე, მაგალითად ჩაეხერგა გზა გარაჟის დარჩენილი ნაწილისაკენ, მის კედელზე განლაგებული სათავსოებისაკენ და ა. შ., თუმცა კაზუსიდან არ ჩანს გ-ს მფლობელობის ამ ტიპის ხელყოფა და მისგან გამომწვეული ზიანი.

## V. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ საკუთრების ხელყოფისა და გამოგსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ს 992-ე მუხლი) მიხედვით

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ საკუთრების ხელყოფიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ს 992-ე მუხლი) მიხედვით. პ-ს დელიქტური პასუხისმგებლობა არ არის გამორიცხული გსკ-ის 993-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მესაკუთრე-მფლობელს შორის სპეციალური ურთიერთობისდა გამო, რადგან პ-მ ნივთი აკრძალული თვითნებობით მიითვისა, რაც გსკ-ის 992-ე პარაგრაფის მიხედვით არ გამორიცხავს მფლობელის შემდგომ დელიქტურ პასუხისმგებლობას.

### 1. საკუთრების ხელყოფა

ხსენებული დელიქტური მოთხოვნის წინაპირობას გერმანიაში წარმოადგენს აბსოლუტური სიკეთის ხელყოფა. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია პ-ს ხელყოფა გ-ს საკუთრება. საკუთრების ხელყოფას წარმოადგენს ასევე შემთხვევა, როდესაც ნივთის სუბსტანციის დაზიანების გარეშე, მესაკუთრისათვის სრულებით შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში<sup>12</sup>. მაგალითად, მიწის ნაკვეთის წინ არასწორი

12 BGHZ 55, 153, 159.

პარკირების შემთხვევაში სახეზეა (მანქანაზე) საკუთრების ხელყოფა, როდესაც არასწორად დაყენებული ავტომანქანა სადგომიდან „ჩაკეტილი“ მანქანისათვის ერთადერთ გამოსასვლელს (და არა მისასვლელს<sup>13</sup>) კეტავს<sup>14</sup>. კერძო ავტოსადგომზე არასწორად პარკირებისას, მესაკუთრეს სრულად ერთმევა საკუთარი სადგომით დანიშნულებისამებრ სარგებლობის საშუალება, რის გამოც ამ დროს სახეზეა სადგომზე საკუთრების ხელყოფა<sup>15</sup>.

გ-ს კუთვნილ მანქანაზე საკუთრების ხელყოფისას პ მოქმედებდა ბრალეულად. აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისას მართლწინააღმდეგობა ივარაუდება.

### 2. ევაკუატორის ხარჯები როგორც ზიანი

განსხვავებით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში ევაკუატორის ხარჯების, როგორც დანახარჯების მოთხოვნისაგან, პრობლემურია ამ ხარჯების, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის (სსკ-ის 992-ე მუხლი) ფარგლებში. პ-სათვის ამ ხარჯების წარმოშობა გამოიწვია მისმა საკუთარმა გადაწყვეტილებამ და არა უშუალოდ საკუთრების ხელყოფამ. მართალია, ამ ხარჯებსა და პ-ს ქმედებას შორის არსებობს როგორც ადეკვატური, ისე ექვივალენტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, თუმცა გსკ-ის 823-ე მუხლი არ მოიცავს ყველა იმ ზიანს, რომელიც მხოლოდ გაშუალებულია დადგა დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით. ამგვარი ზიანის ანაზღაურებადობის დასადგენად გადამწყვეტია ქმედების მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრავი ნორმის მიზანი – ზიანი მხოლოდ მაშინ არის ხელყოფილი სიკეთის დაზიანებასთან პირდაპირ კავშირში და შესაბამისად ანაზღაურებადი, როდესაც ხელმყოფი ე. წ. დამცავი (ანუ მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრელ კანონს) კანონით გათვალისწინებულ ქცევის წესს არღვევს ან თავისი დელიქტური საქციელით უზიძგებს დაზარალებულს ზიანის გამომწვევი მოქმედებისაკენ<sup>16</sup>.

პ-მ დაარღვია სხვისი საკუთრების არდაზიანების ვალდებულება

13 ამ უკანასკნელ შემთხვევაში მანქანით გადაადგილების თავისუფლება ხელყოფილი არ არის, რაც გამორიცხავს საკუთრების ხელყოფას.

14 MEDICUS, Bürgerliches Recht Rn. 613.

15 JANSSEN, NJW 1995, 625.

16 Palandt/HEINRICH, Vor. § 249, Rn. 77.

და უბიძგა მესაკუთრე გ-ს ხარჯების განწესისაკენ, რადგან მას ალტერნატივის სახით მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევის გულხელდაკრეფილი მიღება რჩებოდა. ამ დროს ევაკუატორის გამოძახება არ წამოადგენს უჩვეულო რეაქციის, რომლის გათვალისწინებაც ხელმყოფს არ შეეძლო, თუმცა ამ დროს ასევე აუცილებელია, რომ დაზარალებულს ემოქმედა უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით გონიერების ფარგლებში და შედეგის მისაღწევად გამოეყენებინა გამართლებული საშუალება – მაგალითად, მას არ უნდა გამოეძახა ევაკუატორი თუ გარაჟი ღამის განმავლობაში არაფერში სჭირდებოდა, ან ის ფინანსური ზიანი რაც მას გარაჟის გამოუყენებლობით მიადგებოდა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ევაკუატორის ხარჯები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ხარჯების ამგვარი აწონ-დაწონვა დაუშვებელია. გსკ-ის 859-ე მუხლი ანიჭებს მფლობელს მფლობელობის თვითნებური ხელყოფის შემთხვევაში თვითდახმარების უფლებას. მისი ეს უფლება აზრს დაკარგავდა, როდესაც თვითდახმარების ხარჯები მფლობელს თვითონ უნდა ეტარებინა. პირს, რომელიც მოქმედებს თვითდახმარების ფარგლებში არ უნდა წარმოეშვას აქიდან არანაირი ფინანსური დანაკარგი. გ-ს ხელთ ჰქონდა მხოლოდ ერთი საშუალება მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთისა – პ-ს მანქანის გადაგორება. გ-ს შეუძლია მოითხოვოს პ-საგან ევაკუატორის ხარჯების, როგორც ზიანის ანაზღაურება.

### 3. ზიანის შემცირების ვალდებულება

ანაზღაურებადი ზიანის მოცულობის განსაზღვრის ეტაპზე მნიშვნელოვანია დაზარალებული გ-ს თანაბრალეულობის განსაზღვრა გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) შესაბამისად. მოცემული დანაწესების მიხედვით დაზარალებული პირმა გულხელდაკრეფილმა არ უნდა უცქიროს, თუ როგორ დგება და იზრდება ზიანი, არამედ შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ჩაერიოს და შეამციროს მისი მოცულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც შესაძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ გ ვალდებული იყო ხელი შეეშალა ზიანის დადგომისათვის, ანუ გამოეყენებინა უფრო იაფი საშუალება მისი გარაჟის გამონთავისუფლებისა, მაგალითად ხმა

მიეწვდინა პ-სათვის და მოეთხოვა მისთვის მანქანის გაყვანა. გ-მ მოცემულ შემთხვევაში პირნათლად მოიხადა თავისი ვალდებულება, როდესაც შეეცადა ხმა მიეწვდინა პ-სათვის ხმამაღალი გინების მეშვეობით. ამის გარდა, საკითხავია, არის თუ არა აუცილებელი, რომ ევაკუატორის გამოძახებამდე გარკვეული ხანი გავიდეს, რათა პატრონს მიეცეს გამოჩენის საშუალება, თუ ის ცოტა ხნით არის გასული. გერმანული სასამართლო პრაქტიკა<sup>17</sup> ამ წინაპირობას სავალდებულოდ არ მიიჩნევს. მფლობელობის თვითნებური ხელყოფის აღკვეთის შემთხვევაში არ მოქმედებს ზიანის შემცირების ვალდებულება, შემდეგი არგუმენტის გამო არგუმენტების გამო: გსკ-ის 859-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მფლობელს ჩამოერთვა მფლობელობა აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია მფლობელობის ჩამორთმევის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბრუნოს მფლობელობა დამრღვევის გაძევებით. მფლობელმა ეს უფლება უნდა გამოიყენოს დაყოვნებლივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ უნდა დაელოდოს ხელმყოფის დაბრუნებას. თვითდახმარების უფლებამ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, არ უნდა წარმოეშვას უფლებამოსილ პირს არანაირი ფინანსური ზიანი. სწორედ ამიტომ არასწორი პარკირებიდან წარმოშობილი ხარჯები უნდა ატაროს მისმა გამომწვევემა, მაშინაც კი, როდესაც თვითდახმარების უფლების მქონე ამ უფლებას დაუყოვნებლივ იყენებს<sup>18</sup>. პ-მ უნდა აუნაზღაუროს გ-ს ევაკუატორი ხარჯები, როგორც ზიანი გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლი) შესაბამისად, სრული ოდენობით.

### VI. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ მფლობელობის ხელყოფისდა გამო გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გ-ს შეიძლება ჰქონდეს მფლობელობის ხელყოფიდან (ჩამორთმევი) გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობა არ არის ჩამოთვლილი 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილით დაცულ სამართლებრივი სიკეთეებს შორის, ის განეკუთვნება ამ დანაწესით დაცულ “სხვა სიკეთეებს”.

17 AG Braunschweig, NJW-RR 1986, 1414.

18 AG Braunschweig, NJW-RR 1986, 1414.

**საქართველოში** სსკ-ის 992-ე მუხლი იცავს ნებისმიერ ქონებრივ სიკეთეს, მათ შორის მფლობელობასაც. იმის გამო, რომ სსკ-ში, სანივთო სამართალში, არ მოიპოვება მფლობელობის ჩამორთმევის შემთხვევაში გსკ-ის 989-ე, 990-ე პარაგრაფების შესატყვისი ზიანის ანაზღაურების ნორმა (სსკ-ის 161-ე მუხლის მე-2 წინადადება მხოლოდ მფლობელობაში ხელშეშლას ეხება), ამიტომაც სსკ-ის 992-ე მუხლის მფლობელობის ჩამორთმევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

პ-მ საკუთრების ხელყოფასთან ერთად ხელყო ასევე გ-ს მფლობელობა მის მიწის ნაკვეთზე, დააკარგვინა რა მიწის ნაკვეთზე მანქანის დაყენებით ამ მიწის ნაკვეთზე მფლობელობა და მისი გამოყენების საშუალებაც.

*მოცემულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე საკუთრებისა და მფლობელობის ხელყოფა იმიტომ უნდა განვიხილოთ ცალკე, რომ სარგებლობის შესაძლებლობა, რაშიც საბოლოო ჯამში პ-მ გ-ს ხელი შეუშალა, შეიძლება იყოს როგორც საკუთრებიდან, ისე მფლობელობიდან გამომდინარე უპირატესობა – შესაძლებელია, ნივთით სარგებლობა მხოლოდ მფლობელობის უფლების საფუძველზე (მაგ. მიქირავებული მანქანით სარგებლობა), ასევე საკუთრებიდან გამომდინარე სარგებლობის უფლების ხელყოფა მფლობელობის ხელყოფის გარეშე (მაგ. გარაჟის დატბორვა).*

პ-მ უნდა აუნაზღაუროს გ-ს მფლობელობის ჩამორთმევიდან წარმოშობილი ზიანი, რაც საკუთრების დაზიანებიდან წარმოშობილი ზიანის იდენტურია.

### **VII. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და 858-ე, 859-ე პარაგრაფის 1-ლი, მე-3 ნაწილის მიხედვით**

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ასევე გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და 858-ე, 859-ე პარაგრაფის 1-ლი, მე-3 ნაწილის მიხედვით. 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის წინაპირობას წარმოადგენს ე. წ.

დამცავი კანონის დარღვევა. დამცავ კანონს წარმოადგენს ყველა კანონი, რომელიც საზოგადოების დაცვის გარდა, მიზნად ისახავს ასევე ცალკეული პირების დაცვასაც<sup>19</sup>. სამართლის ნორმა, რომელიც კრძალავს თვითნებურად სხვის მფლობელობაში ჩარევას (გსკ-ის 858-ე პარაგრაფი) წარმოადგენს სწორედ ასეთ დანაწესს<sup>20</sup>. პ მოქმედებდა ბრალეულად და მისი ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო. რაც შეეხება ხელყოფასა და ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირსა და ნორმის მიზანს, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზემოთქმული დელიქტურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. პ-მ უნდა აუნაზღაუროს გ-ს ევაკუატორის ხარჯები ასევე ამ დანაწესის შესაბამისად.

### **VIII. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების მე-12 პარაგრაფის მე-3 ნაწილის Nr. 3-ის შესაბამისად**

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების მე-12 პარაგრაფის მე-3 ნაწილის Nr. 3-ის შესაბამისად<sup>21</sup>, რისთვისაც აუცილებელია, რომ ეს დანაწესი წარმოადგენდეს დამცავ კანონს გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად. დანაწესი კრძალავს მანქანის დაყენებას მიწის ნაკვეთის შესასვლელთან და გამოსასვლელთან. მოცემული ნორმები ემსახურებიან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასა და შეუფერხებლობას, რის განხორციელებისათვისაც უმნიშვნელოა მოახერხებს თუ არა ცალკეული მესაკუთრე გარაჟით სარგებლობას. დანაწესი მიზნად ისახავს დაიცვას საგზაო მოძრაობის ცალკეული მონაწილენი ჯანმრთელობისა და საკუთრების დაზიანებისაგან და არა ქონებრივი ზიანისაგან, რომელიც დადგა მოცემულ შემთხვევაში<sup>22</sup>. თუმცა მეორე მოსაზრების<sup>23</sup> მიხედვით ამ დანაწეს-

19 Palandt/THOMAS, § 823 Rn. 140.

20 BGH NJW 1981, 865.

21 შეად. საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ 31-ე მუხლი: “4. გაჩერება აკრძალულია: ... ზ) სადგომი მოედნიდან, ხოლო როცა ის არ არის – სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების ან ტაქსის გაჩერების მაჩვენებლიდან 15 მეტრზე ახლოს, თუ ეს აბრკოლებს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას.”

22 LG Berlin, NJW 1983, 289.

23 LG München, NJW 1984, 2288.

სის მიზანი არ ამოიწურება მხოლოდ მოძრაობის უსაფრთხოებისა და შეუფერხებლობის დაცვით, ის მდგომარეობს ასევე თითოეული მინის ნაკვეთისა და მანქანის მესაკუთრისათვის შესაძლებლობის მინიჭებაში თავისუფლად ისარგებლოს საკუთრებით, რის გამოც დანაწესი იცავს არა მხოლოდ საზოგადო ინტერესებს, არამედ ასევე ცალკეულ პირებს და წარმოადგენს დამცავ კანონს გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით.

გ-ს აქვს პ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ამ დანაწესის შესაბამისად.

**IX. გ-ს მოთხოვნა პ-ს მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 982-ეს 1-ლი, 984-ეს 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი) შესაბამისად – ხელყოფის კონდიქცია**

გ-ს შეიძლება ჰქონდეს პ-ს მიმართ გარაჟით სარგებლობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ს 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ს 982-ეს 1-ლი, 984-ეს 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი) შესაბამისად.

**1. ხელყოფის კონდიქციის წინაპირობები**

პ-მ მოიპოვა ქონებრივი სარგებელი გ-ს გარაჟით სარგებლობით მას შემდეგ რაც ხელყო პ-ს საკუთრებისა და მფლობელობის უფლება გარაჟზე (შეად. ზემოთ). ამ ქონებრივი სიკეთის მოპოვება უნდა მომხდარიყო სხვის ხარჯზე, რაც სახეზეა სხვისათვის მიკუთვნებული უფლებაში ჩარევისას. პ-მ მიითვისა გ-სათვის მიკუთვნებული სამართლებრივი პოზიციები. ხელყოფა მოხდა გ-ს ხარჯზე, შესაბამისი საფუძვლის გარეშე.

**2. მოთხოვნის ფარგლები**

გსკ-ს 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ს 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მიხედვით ხელყოფმა უნდა ანაზღაუროს მიღებული ღირებულება, გსკ-ს 818-ე მუხლის მე-2 ნაწილის (სსკ-ს 984-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლი). ღირებულების ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმით და მოცემულ შემთხვევაში შეესატყვისება ღირებულების განმავლობაში პარკირების ფასს.

**შედეგი:** გ-ს აქვს პ-ს მიმართ გარაჟით სარგებლობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

**V. დავალების გარეშე სსვისი საქმიანის შესრულება**  
(სქემა)

**1 ნამდვილი და მართებული**

გერმანია (§§ 677, 683 გსკ)	საქართველო (მ. 969, 973 სსკ)
<b>1. საქმის შესრულება</b> (§ 677 გსკ) ნებისმიერი საქმიანობა	<b>1. საქმის შესრულება</b> (მ. 969 სსკ)
<b>2. სხვისათვის</b> (§ 677 გსკ) ა. ობიექტურად სხვისი საქმე, ბ. „ასევე სხვისი საქმე“, გ. ნეიტრალური საქმე	<b>2. სხვისათვის</b> (მ. 969 სსკ)
<b>3. სხვისი საქმის შესრულების ნებით</b> (§ 687 I გსკ) მხოლოდ ნეიტრალური საქმის შესრულებისას საჭიროებს მტკიცებას, სხვა შემთხვევაში ივარაუდება.	<b>3. სხვისი საქმის შესრულების ნებით</b> (მ. 975 სსკ)
<b>4. ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად</b> (§ 683 გსკ) გამონაკლისი: ა. საჯარო ინტერესებში მყოფი ან კანონისმიერი რჩენის ვალდებულების შესრულება (§ 679 გსკ), ბ. მოწონება (§ 684 II გსკ)	<b>4. ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად</b> (§ 974 1 გსკ) გამონაკლისი: მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს (მ. 974 2 სსკ)
<b>5. დავალებისა და სხვა უფლებამოსილების გარეშე</b>	<b>5. დავალებისა და სხვა უფლებამოსილების გარეშე</b>

შედეგები:	შედეგები:
<p>1. შემსრულებლის დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (§§ 683 I, 670 გსკ)</p> <p>დანახარჯები=ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი</p> <p>მხოლოდ აუცილებელი დანახარჯები</p> <p>პრობლემა: ა. ზიანი, როგორც დანახარჯი</p> <p>ბ. დაკარგული დროის ანაზღაურება (§ 1835 III გსკ)</p>	<p>1. შემსრულებლის დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება + ზიანის ანაზღაურება (მ. 973, 970 II სსკ)</p> <p>პრობლემა: დაკარგული დროის ანაზღაურება</p>
<p>2. მეპატრონის მოთხოვნის უფლებები:</p> <p>ა. შეტყობინების ვალდებულება (§ 681 I გსკ)</p> <p>ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არაჯეროვანი შესრულებისათვის (§ 280 გსკ)</p> <p>გ. მიღებულის დაბრუნების ვალდებულება (§§ 681 2, 667 გსკ)</p>	<p>2. მეპატრონის მოთხოვნის უფლებები:</p> <p>ა. შეტყობინების ვალდებულება (მ. 971 სსკ)</p> <p>ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არაჯეროვანი შესრულებისათვის (მ. 394 სსკ)</p> <p>გ. მიღებულის დაბრუნების ვალდებულება (მ. 972 სსკ)</p>

## 2. ნამდვილი არამართებული

გერმანია (§§ 677, 678, 684 გსკ)	საქართველო (მ. 969, 974 სსკ)
1. საქმის შესრულება	1. საქმის შესრულება
2. სხვისათვის	2. სხვისათვის
3. სხვისი საქმის შესრულების ნებით	3. სხვისი საქმის შესრულების ნებით
4. ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შეუსაბამოდ	4. ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შეუსაბამოდ
5. დავალებისა და სხვა უფლება-მოსილების გარეშე	5. დავალებისა და სხვა უფლება-მოსილების გარეშე
<p>შედეგები:</p> <p>1. შემსრულებლის მოთხოვნის უფლება მიღებულის დაბრუნებასთან დაკავშირებით (§§ 684 I, 812 და შემდგომი გსკ)</p> <p>2. მეპატრონის მოთხოვნის უფლებები:</p> <p>ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (§ 678 I გსკ)</p> <p>ბ. საკამათოა: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (§ 280 გსკ) არა-ჯეროვანი შესრულებისათვის და მიღებულის დაბრუნების ვალდებულება (§§ 681 2, 667 გსკ), გაბატონებული მოსაზრების თანახმად არც ერთი ვალდებულება არ ეკისრება.</p>	<p>შედეგები:</p> <p>1. შემსრულებლის მოთხოვნის უფლება მიღებულის დაბრუნებასთან დაკავშირებით (§§ 684 I, 812 და შემდგომი გსკ)</p> <p>2. მეპატრონის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (მ. 974 I 2 სსკ)</p>

## 3. შეცდომით არანამდვილი

გერმანია (§ 687 I გსკ)	საქართველო (§ 975 სსკ)
⇒ სახეზე არ არის სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულება	⇒ სახეზე არ არის სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულება
⇒ მოქმედებს ზოგადი წესები (§§ 812 და შემდგომი, 823 და შემდგომი გსკ)	⇒ მოქმედებს ზოგადი წესები (მ. 976 და შემდგომი, 992 და შემდგომი სსკ)

## 4. განზრახ არანამდვილი

გერმანია (§ 687 II გსკ)
1. ობიექტურად სხვისი საქმის შესრულება
2. დავალებისა სხვა უფლებამოსილების გარეშე
<p>3. განზრახვა</p> <p>(პოზიტიური ცოდნა, რომ საქმე სხვა პირის ინტერესებისა და უფლება-მოვალეობების სფეროს განეკუთვნება)</p>
<p>შედეგები:</p> <p>1. შემსრულებლის მოთხოვნის უფლება დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით (§§ 687 II 2, 684 I, 812 და შემდგომი გსკ)</p> <p>2. მეპატრონის მოთხოვნის უფლებები:</p> <p>ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (§§ 687 II 1, 678, 280 გსკ)</p> <p>ბ. მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის უფლება (§§ 687 II 1, 667 გსკ)</p>

## §2 უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი

**ლიტერატურა:** BROX/WALKER, Besonderes Schuldrecht<sup>31</sup> [2006], 447-502; BUCK-HEEB, Examenkurs Repetitorium besonderes Schuldrecht II<sup>3</sup> [2010]; § 4 Rn. 26; § 5 Rn. 57; CANARIS, Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS Larenz, 1973, 799; GIESEN, Grundsätze der Konfliktlösung im Besonderen Schuldrecht, Jura 1995, 281, 287; KÖNIG, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II [1981]; LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2 [1994], § 69 I 1, § 70 VI, § 73 II 2 a; LOOSCHELDERS, Schuldrecht: Besonderer Teil<sup>7</sup> [2012], Rn. 1119; MEDICUS, Bürgerliches Recht<sup>21</sup> [2007], Rn. 412, Rn. 668 ff.; MünchKommBGB/SCHWAB<sup>5</sup> [2009], § 819 Rn. 8,16; MünchKommBGB/SEILER<sup>6</sup> [2012], § 683 Rn. 24; OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre [2007], 362; Palandt/SPRAU, BGB<sup>67</sup> [2008], § 812 Rn. 70; 819 Rn. 4; Palandt/Heinrichs, BGB<sup>67</sup> [2008], § 141 Rn. 6; REUTER/MARTINEK, Ungerechtfertigte Bereicherung [1983], 207 ff.; RUSIASHVILI, Zur Anwendbarkeit der Saldothese im georgischen Recht, Saarbrücken [2014], 7-27, 47-113, 159-187; TIEDTKE, Die gegenseitigen Ansprüche des Schwarzarbeiters und seines Auftraggebers, DB 1990, 2307; WANDT, Gesetzliche Schuldverhältnisse<sup>5</sup> [2012], 112-262.

### შესავალი

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისათვის, განსხვავებით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისა (რომლისთვისაც გადამწყვეტია ალტრუისტული მოტივებით სხვისათვის სასარგებლო საქმიანობის შესრულება დამოუკიდებლად შედეგისა) და განსხვავებით დელიქტური სამართლისა (რომლისათვისაც გადამწყვეტია, თუ რა ზიანი მიადგა დელიქტური მოთხოვნის უფლების მქონეს), გადამწყვეტია, თუ რით გამდიდრდა მიმღები, ანუ შედეგი. ამის გამო ის წარმოადგენს ცალკე განსახილველ და საკმაოდ მასშტაბურ ნაწილს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისა.

ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, რომელიც წარმოადგენს გერმანელი პროფესორის დეტლფე კონიგის მიერ შემუშავებული კანონპროექტის უცვლელ ვერსიას, გერმანული ტრადიციის მიხედვით ყოფს კონდიქციურ მოთხოვნებს ოთხ ტიპად. ეს არის **შესრულების კონდიქცია, როგორც** არანამდვილი შესრუ-

ლების შედეგების უკუქცევის ინსტრუმენტი (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), **ხელყოფის კონდიქცია** აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის ინსტრუმენტი (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), **დანახარჯების კონდიქცია**, სხვის ნივთზე განეული დანახარჯების ანაზღაურების ინსტრუმენტი (სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და **რეგრესის კონდიქცია, როგორც** სხვისი შეცდომით დაფარული ვალის უკან მოთხოვნის საშუალება (სსკ-ის 986-ე მუხლი).

თითოეულ კონდიქციას აქვს თავისი სპეციფიკური ფუნქცია და განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც ყველა ეს კონდიქცია მონესრიგებულია ერთ გენერალურ დათქმაში, ქართულ სამოქალაქო კოდექსში ისინი ცალ-ცალკეა მონესრიგებული. გერმანულ სამართალში კონდიქციის გენერალური დათქმა, გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება განასხვავებს შესრულების და არაშესრულების კონდიქციებს, სამივე არაშესრულების კონდიქცია – ხელყოფის, დანახარჯების და რეგრესის, გამომდინარეობს გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტიდან.

შესრულების კონდიქცია აწესრიგებს არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევას და ამგვარად წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის დანამატს. ხელყოფის კონდიქცია არის დელიქტური და ვინდიკაციური სამართლის დანამატი, ხოლო დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია კონკურირებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან და წარმოადგენს ასევე მის დანამატს.

შესრულების კონდიქციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც:

*შ დროებითი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში მიყიდის და გადასცემს მ-ს მანქანას ნასყიდობის შესრულების მიზნით, თუმცა შემდეგში იზნებს ჩადენილს და უკან მოითხოვს მას. მართალია, მ მოცემულ შემთხვევაში, სანივთო გარიგების არანამდვილობის გამო მანქანაზე მხოლოდ მფლობელობას მოიპოვებს, მაგრამ მფლობელობაც წარმოადგენს კონდიციურებად სიკეთეს გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, ანუ მიღებულ “რაიმეს”, რომლის გამოთხოვაც შესაძლებელია კონდიქციით.*

ხელყოფის კონდიქციის მაგალითია შემთხვევა, როდესაც:

*ფორმა ფ იყენებს ცნობილი მსახიობის მ-ს სურათს მის დაუკითხავად. მ ითხოვს შესაბამის ანაზღაურებას. მ-ს შეუძლია ხელყოფის კონდიქციით მოითხოვოს ის გასამრჯელო, რასაც მიიღებდა საკუთარი სურათის კომერციული ზაციისათვის.*

დანახარჯების კონდიქცია შემდეგ შემთხვევაში ხდება აქტუალური:

*მელვინე ა საკუთარი ვენახის შენამვლის შემდეგ შემთხვევით შენამლავს ასევე მისი მეზობლის ბ-ს ვენახს.*

რეგრესის კონდიქციის მაგალითია:

*ა, რომელიც შემთხვევით მიიჩნევს, რომ მისმა ძაღლმა დაკბინა მეზობელი ბ, უნაზღაურებს მას მკურნალობის ხარჯებს. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ძაღლი მის მეზობელ გ-ს ეკუთვნოდა.*

ეს ოთხი კონდიქცია განსხვავებული პრინციპების მიხედვითაა კონსტრუირებული და ავსებენ ერთმანეთს. დანახარჯების კონდიქციის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ასპექტია მიმღების ინტერესების დაცვაა ე. წ. თავსმობვეული გამდიდრებისაგან. მაგალითად, დანახარჯების გამწევი პირი ღებავს ღობე, თუმცა პატრონს ამ ღობის დანგრევა ჰქონდა გადანყვებილი. ცალსახაა, რომ მხარე ამ დროს უნდა დავიცვათ ამ ტიპის თავსმობვეული – ობიექტურად სარგებლიანი, მაგრამ სუბიექტურად უსარგებლო – დანახარჯებისაგან. იგივე პრინციპი არ მოქმედებს ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში, რადგან მაშინ, როდესაც მხარე თვითონ ითვისებს სხვის ქონებას, ის ვერც იქნება თავსმობვეული.

### I. შესრულების კონდიქცია

#### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**812. ქონების გადაცემის მოთხოვნის უფლება.** (1) პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ **ვალდებულების შესრულების** ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება. ....

**§813. ვალდებულების შესრულება შესაგებლის მიუხედავად.** (1) ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული შესრულება შეიძლება ასევე იქნეს უკან მოთხოვნილი, თუ მოთხოვნის უფლებას დაუპირისპირეს ისეთი შესაგებელი, რომლითაც მოთხოვნის უფლების განხორციელება გამორიცხული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. §214 მე-2 ნაწილის ნორმა უცვლელი რჩება.

#### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები.** 1. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ....

..... ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

შესრულების კონდიქციის გამოყენებისათვის აუცილებელია რაიმეს გადაცემა შესრულებით. **რაიმეს გადაცემის** ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი სარგებლის მომტანი სამართლებრივი სიკეთე. ეს შეიძლება იყოს საკუთრება, მფლობელობა, მოთხოვნის უფლებები და სხვა უფლებები, ვალდებულებისაგან გათავისუფლება, მომსახურება, სარგებლობის უფლება, მოლოდინის უფლება, რეესტრში რეგისტრირებული პოზიცია და ა. შ.

წინაპირობა, რომ რაიმეს გადაცემა უნდა მოხდეს **შესრულებით**, გამოარჩევს შესრულების კონდიქციას ყველა სხვა კონდიქციისაგან. შესრულება არის სხვისი ქონების **გაცნობიერებული** და **მიზანმიმართული** შევსება. გაცნობიერებული გულისხმობს, რომ შემსრულებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ ზრდის სხვის ქონებას, მაგ. ფულის გადახდის მეშვეობით, რის გამოც შესრულება არ გვა-

ქვეს სახეზე, თუ სხვისი ქონების ზრდა ხდება გაუცნობიერებლად ან მიზნის გარეშე.

**მაგალითი:** ა კვებავს ბ-ს საქონელს საკუთარი საკვებით, რადგან შეცდომით მიიჩნევს, რომ ეს ბ-ს კუთვნილი საკვებია. მიუხედავად იმისა, რომ ა ფაქტობრივად ზრდის სხვის ქონებას, შესრულება მაინც არ გვაქვს სახეზე, რადგან ეს ზრდა ხდება გაუცნობიერებლად.

მიზანმიმართულობის კრიტერიუმით გამოკვეთილია წინაპირობა, რომლის მიხედვითაც სხვისი ქონების გაზრდით შემსრულებელი მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას, მაგალითად, ვალის დაფარვას.

**მაგალითი:** ბანკი (ბ) მისი კლიენტის (კ) მითითების საფუძველზე ურიცხავს ფულს კლიენტის კრედიტორს მ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი გაცნობიერებულად ზრდის სხვის ქონებას, შესრულება მაინც არ არის სახეზე, რადგან ბანკი მიზნად არ ისახავს მ-ს მიმართ საკუთარი ვალის დაფარვას. ბ-ს მიერ ფულის გადარიცხვით კ ფარავს საკუთარ ვალს მ-ს წინაშე, ხოლო ბ თავისი კლიენტის კ-ს წინაშე. შესრულებაც ამ ურთიერთობებში გვაქვს სახეზე.

შესრულების კონდიქციის მესამე წინაპირობას წარმოადგენს **სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა – გამდიდრების უსაფუძვლობა**. შესაძლებელია მხოლოდ “ჩაშლილი” შესრულების უკან მოთხოვნა, რაც დგინდება შესრულების მიზნიდან გამომდინარე. შესრულების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება ჩაიშალოს, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშვება, ან შეწყდება შემდგომში (გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი). სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, თუ მოთხოვნის უფლება, რომელიც უნდა შესრულებულიყო, არ წარმოშობილა – მაგალითად, ნასყიდობა, რომლის შესასრულებლადაც მოხდა ფასის გადახდა, არანამდვილია. ამ დროს გამოიყენება *condictio indebiti*.

შესრულება ასევე უსაფუძვლოა, თუ, მიუხედავად იმისა, რომ მისი სამართლებრივი საფუძველი შესრულების მომენტისათვის სახეზე იყო, მოგვიანებით ის სამუდამოდ გაქარწყლდა (*condictio ob causam*

*finitam*). ეს შეიძლება მოხდეს “გაუქმების პირობის” დადგომით, ან ცალმხრივი ნების გამოხატვის საფუძველზე (ჩუქების გამომხმობა (გსკ-ის 530-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 529-ე მუხლი), ან შეცილების საფუძველზე (გსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

შესრულების კონდიქციით შესაძლებელია ასევე იმ შესრულების უკან გამოთხოვა, რომელიც განხორციელდა ნამდვილი მოთხოვნის უფლების საფუძველზე, თუმცა შემსრულებელს ჰქონდა ამ მოთხოვნის სანინაალმდეგოდ შესაგებლის წარდგენის უფლება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხავდა მის განხორციელებას (გსკ-ის 813-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტი).

**მაგალითი:** ა ყიდულობს ტელევიზორს ბ-ს მაღაზიაში, რომელიც ბანკ ბ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, როგორც ბანკის წარმომადგენელი, მყიდველებს სთავაზობს ნასყიდობის ფასის დაფინანსებას საბანკო კრედიტით. ა ისარგებლებს ამ მომსახურებით, თუმცა ბაკი ნასყიდობის ფასის დაფინანსებას დააყოვნებს, რის შემდეგაც ა საკუთარი ჯიბიდან დაფარავს ამ ფასს.

მიუხედავად ნასყიდობის ნამდვილობისა, ა-ს შეუძლია უკან მოითხოვოს განხორციელებული შესრულება გსკ-ის 813-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტის) საფუძველზე, რადგან გამყიდველის ფასის გადახდის მოთხოვნის სანინაალმდეგოდ მას ექნებოდა შესაგებელი 370-ე მუხლის შესაბამისად და ეს შესაგებელი ხანგრძლივი დროით გამორიცხავდა ვალდებულების შესრულებას.

ხანდაზმულობის შესაგებელი არ ანიჭებს შემსრულებელს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების უკან გამოთხოვის უფლებას (გსკ-ის 813-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი; სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი).

შესრულების კონდიქციის სპეციალური ფორმა, ე. წ. მიზნის ჩაშლის კონდიქცია (სსკ-ის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილი – *condictio ob rem*) გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მიუხედავად გარიგების ნამდვილობისა, არ დგება მიზანი, რაც ამ გარიგებით იყო დასახული. მიზნის ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ ვალის დაფარვის მიზანს.

**გერმანიის სამოქალაქო  
კოდექსი**

**§812. ქონების გადაცემის მოთხოვნის უფლება.** (1) პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება.

**§815. შედეგის მიუღწევლობა.** ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგის მიუღწევლობის გამო უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოორიცხულია, თუ შედეგის დადგომა თავიდანვე შეუძლებელი იყო და ვალდებულების შემსრულებელმა ამის შესახებ იცოდა ან თუ ამ უკანასკნელმა შედეგის დადგომას კეთილსინდისიერების პრინციპის სანინააღმდეგოდ შეუშალა ხელი.

**მაგალითი:** შვილიშვილი მონანილეობას იღებს ბაბუის ძველი სახლის გარემონტებაში, რათა ამ უკანასკნელმა დაუფინანსოს მას უნივერსიტეტში სწავლა, რაზეც ბაბუაც თანახმაა.

ბაბუასა და შვილიშვილს შორის დადებული გარიგება ამ შემთხვევაში არის დავალების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში შვილიშვილი უსასყიდლოდ არემონტებს ბაბუის სახლს. თუმცა ამ უსასყიდლო მომსახურების განხორციელების მიზანი სცდება მხოლოდ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და უკავშირდება სწავლის დაფინანსებას. თუ ბაბუა გადაუხვევს თავის დაპირებას, მაშინ შვილიშვილს შეუძლია არა შესრულების უსაფუძვლობის გამო (რადგან დავალების ხელშეკრულება ნამდვილია), არამედ შესრულებით დასახული მიზნის ჩაშლის მოტივით მოითხოვოს განუული ხარჯების ანაზღაურება სსკ-ის

**საქართველოს სამოქალაქო  
კოდექსი**

**მუხლი 977. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა.** 1. პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს.

2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოორიცხულია, თუ:

- ა. მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა, ან
- ბ. გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი

*977-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.*

შეთანხმებული მიზნის არგანხორციელების გარდა, მოცემული კონდიციის წინაპირობაა, რომ ის არ იყოს გამორიცხული გსკ-ის 815-ე პარაგრაფის (სსკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. მიზნის შეთანხმებისათვის საკმარისი არ არის ერთი მხარის ცალმხრივი მოლოდინი, აუცილებელია ასევე მეორე მხარის სულ მცირე კონკლუდენტური თანხმობა.

## II. ხელყოფის კონდიცია

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

812. ქონების გადაცემის მოთხოვნის უფლება. (1) პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება. ....

ხელყოფის კონდიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლშია მოწესრიგებული (გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტი). მისი გამოყენების წინაპირობას შესრულების კონდიციის მსგავსად წარმოადგენს “რაიმეს მოპოვება”, ოღონდ არა შესრულებით, არამედ ხელყოფით, ანუ გამდიდრებულის მიერ მითვისებით. ხელყოფის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს სამართლებრივი სიკეთე, რომლის ეკონომიკური გამოყენების უფლებასაც მართლწესრიგი კონდიციის მფლობელს ანიჭებს. საორიენტაციო მასშტაბია სამართლებრივი სიკეთეების დელიქტური დაცვა.

**მაგალითი:** ა მოიხმარს ბ-ს კუთვნილ საღებავს საკუთარი ღობის შესაღებად.

**მაგალითი:** ა მიყიდის ბ-ს კუთვნილ ნივთს, რომელიც გ-მ მას დროებით ათხოვა და მიღებულ საფასურს თავისთვის დაიტოვებს.

ამ კონდიციის მესამე წინაპირობაა, რომ ხელყოფის გამდიდრება მოხდეს კონდიციის კრედიტორის ხარჯზე. არ არის აუცილებელი, რომ ხელყოფის მეშვეობით რაიმეს მოპოვებამ გამოიწვიოს კონდიციის კრედიტორის გაღარიბება – კონდიქციური მოთხოვნა, განსხვავებით დელიქტურისაგან, ემსახურება არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ ქონების უსაფუძვლო

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები. 1. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

წინაცვლების უკუქცევას. შესაბამისად წინაპირობა “სხვის ხარჯზე” ემსახურება ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მფლობელის იდენტიფიცირებას – მართლწესრიგი უნდა აკუთვნებდეს სხვა პირს ხელყოფილი სიკეთის გამოყენების უფლებას.

**მაგალითი:** ა სარგებლობს შევებულებაში გამგზავრებული დამქირავებლის (ბ) ოთახებით. ა-ს მიმართ კონდიქციური მოთხოვნის უფლება აქვს ბ-ს, რომელიც ფლობდა ბინით სარგებლობის უფლებას და არა ბინის მესაკუთრეს. მოთხოვნის უფლების ფარგლები განისაზღვრება ოთახების ჩვეული ქირის მიხედვით.

ანუ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხელყოფის კონდიცია არის სამართლებრივი სიკეთეების დელიქტური დაცვის მექანიზმის მსგავსი, მიზნად ისახავს აღმოფხვრას ის ვაკუუმი, რომელიც წარმოიშვა მაშინ, როდესაც ეს დელიქტური დაცვის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს პირის სიკეთის დაცვას, მაგალითად იმის გამო, რომ პირს არ ადგება ზიანი ან არაბრალეულად ხელყოფს სხვის სიკეთეს.

## III. დანახარჯებისა და რეპრეზისის კონდიცია

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

812. ქონების გადაცემის მოთხოვნის უფლება. (1) პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 987. შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე. 1. პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა.

მუხლი 986. შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრება. პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

**დანახარჯების კონდიქციის**, რომელიც სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ელ ნაწილშია მოწესრიგებული (გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტი), მთავარი წინაპირობაა სხვის ქონებაზე დანახარჯის განევა. დანახარჯად მიიჩნევა ყველა ის ხარჯი, რომელიც ზრდის ნივთის ღირებულებას. ეს კონდიქცია უკან იხევს სხვა უფრო სპეციალური დანახარჯების წინაშე, როგორცაა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (გსკ-ის 677-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 969-ე და შემდგომი მუხლები) და მესაკუთრე მფლობელს შორის ურთიერთობა (გსკ-ის 987-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 163-164-ე მუხლები), რის გამოც შეზღუდულია მისი გამოყენების სფერო – გამოიყენება მაშინ, როდესაც დანახარჯების გამწევი არ არის ამავე დროს ნივთის მფლობელი (მაგ., მეზაღვე საკუთარი საღებავით ღებავს ღობეს, მას შემდეგ რაც ბაღის მესაკუთრეს საღებავი გაუთავდა). ეს კონდიქცია გამოირიცხება ე. წ. **“თავსმოხვეული გამდიდრების”** შემთხვევაშიც, ანუ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯები გამდიდრებისათვის არასასურველი იყო (მაგ., ა მოპარავს ბ-ს მანქანას და გადაღებავს მას სხვა ფერად).

**რეგრესის კონდიქცია** (გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტი, სსკ-ის 986-ე მუხლი) გამოიყენება მაშინ, როდესაც მესამე პირი ათავისუფლებს მოვალეს მისი ვალდებულებისაგან კრედიტორის წინაშე. ამ კონდიქციის წინაპირობებია: 1. მოვალის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება **ვალდებულებისაგან გათავისუფლების** სახით, რის წინაპირობასაც თავის მხრივ წარმოადგენს ვალდებულების შესრულება მესამე პირის მხრიდან (გსკ-ის 268-ე პარაგრაფი, სსკ-ის 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ ვალის გადახდით მოვალე კარგავს თავის შესაგებელს კრედიტორის წინაშე, ეს ამცირებს მის გამდიდრებას. მაგალითად, თუ მესამე პირი ასრულებს მოვალის ხანდაზმულ ვალდებულებას, მოვალე არ არის გამდიდრებული, რადგან მას შეეძლო არ გადაეხადა ეს ვალი. 2. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადამხდელს არ უნდა ჰქონდეს არც კანონისმიერი და არ სახელშეკრულებო **ვალდებულება სხვისი ვალის დაფარვისა**. კანონის სპეციალური დანახარჯები მთელ რიგ შემთხვევაში ითვალისწინებენ მესამე პირის ვალდებულებას დაფაროს სხვისი ვალი და ამ ვალის დაფარვის შემთხვევაში მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლების გადამხდელზე გადასვლას (მაგ., გსკ-ის 426-ე პარაგრაფი, სსკ-ის 473-ე მუხლის

1-ლი ნაწილი ან გსკ-ის 774-ე პარაგრაფი, სსკ-ის 905-ე მუხლი), რადროსაც რეგრესის კონდიქცია გამორიცხულია. 3. რეგრესის კონდიქცია **უკან იხევს** ასევე სხვა უფრო სპეციალური დანახარჯების წინაშე, მაგალითად, სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულების წინაშე (გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფები, სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები), თუ ვალის გადახდა შეესატყვისებოდა მოვალის ინტერესსა და ნებას.

#### IV. ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევები

##### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§822. მესამე პირის მიერ უკან დაბრუნების ვალდებულება.** თუ შესრულების მიმღები მიღებულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირს და ამის შედეგად მიმღების მიერ უსაფუძვლოდ გამდიდრების უკან დაბრუნების ვალდებულების შესრულება გამორიცხულია, მაშინ მესამე პირი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე ისე, თითქოს მან მიიღო იგი კრედიტორისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

**§816. არაუფლებამოსილი პირის განკარგვა.** (1) თუ არაუფლებამოსილი პირი განკარგავს ნივთს და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ნამდვილია, მაშინ იგი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს განკარგვის შედეგად მიღებული. **თუ განკარგვა ხორციელდება უსასყიდლოდ, მაშინ ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც განკარგვის შედეგად უშუალოდ იღებს სამართლებრივ სარგებელს.**

(2) თუ ვალდებულების შესრულება ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიმართ და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ძალმოსილია, მაშინ არაუფლებამოსილი პირი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს შესრულების შედეგად მიღებული.

##### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 989. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული.** 1. თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.


**მუხლი 990. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები.** 1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს. 2. ....

**მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ.** თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს.

სამივე ზემოთ მოყვანილი დანაწესი წარმოადგენს ხელყოფის კონდიქციის სპეციალურ შემთხვევას. სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლების გამოყენების სფეროა შემთხვევა, როდესაც კონდიქციის მოვალე უსასყიდლოდ ასხვისებს ნივთს მესამე პირზე. ამ დროს კონდიქციის თავდაპირველ კრედიტორს შეუძლია ნივთი მოსთხოვოს უშუალოდ მესამე პირს. მოცემული გადაწყვეტის უკან დგას მოსაზრება, რომ განსხვავებით სასყიდლიანი შეძენისაგან, ნივთის უსასყიდლო მოპოვებისას შემძენის ნდობა მის სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით არ იმსახურებს დაცვას და ყოფილ მესაკუთრეს შეუძლია პირდაპირ გამოითხოვოს ნივთი უკან.


**გსკ-ის 822-ე პარაგრაფის (სსკ-ის 989-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად** სხვისი ქონების უსასყიდლოდ განკარგვის წინაპირობებია: 1. კრედიტორს უნდა ჰქონდეს პირველი მიმღების მიმართ კონდიქციური მოთხოვნის უფლება. 2. მიმღებმა უნდა გადასცეს მიღებული მესამე პირს უსასყიდლოდ. 3. პირველი მიმღების განკარგვის შემდეგ მისგან უკან მოთხოვნა გამორიცხული უნდა იყოს (მესამე პირის პასუხისმგებლობა სუბსიდიარულია).

**მაგალითი:** ა-მ აჩუქა და გადასცა ბ-ს იშვიათი ნიგნი, იმ მიზნით, რომ ბ საპასუხოდ მიაქირავებდა ბინას, რაც ცნობილი იყო ბ-სათვის და რაც მან არ გააკეთა, თუმცა მანამდე მან ნიგნი აჩუქა გ-ს. განკარგვის მომენტში ბ იყო ნივთის მესაკუთრე და განკარგვაც ნამდვილია ა-ს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ გ-მ მოიპოვა საკუთრება (რაც გამორიცხავს ვინდიკაციის გამოყენებას გსკ-ის 985-ე პარაგრაფის/სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით), მან უნდა დაუბრუნოს ეს საკუთრება ა-ს სსკ-ის 989-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.



განსხვავებით გსკ-ის 822-ე პარაგრაფისაგან (სსკ-ის 989-ე მუხლისაგან), გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება (სსკ-ის 990-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) გამოიყენება მაშინ, როდესაც განმკარგავი არაუფლებამოსილია. მისი წინაპირობაა არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ნივთის უსასყიდლო (მაგ. ჩუქებით) განკარგვა.

**მაგალითი:** ა-მ შეინახა ბ-ს სეიფში ფული, რომელიც ბ-მ შემდგომში გ-ს აჩუქა. ბ-მ ფული განკარგა როგორც არაუფლებამოსილმა, თუმცა ა გ-საგან მას ვინდიკაციით ველარ დაიბრუნებს – გ იყო კეთილსინდისიერი და მიუხედავად იმისა, რომ უსასყიდლო განკარგვასთან გვაქვს საქმე, ის მაინც მოიპოვებს საკუთრებას ფულზე (სსკ-ის 186-ე, 187-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). ხელყოფის კონდიქციის გამოყენება შემძენის მიმართ გამორიცხება იმის გამო, რომ დასაჩუქრებულმა ნივთი მიიღო მჩუქებლის შესრულებით. თუმცა დასაჩუქრებულს არ გაუღია ნივთის მოპოვებისათვის ქონებრივი მსხვერპლი და კანონმდებლის გადაწყვეტილებით. მან უნდა დააბრუნოს მიღებული ხელყოფის კონდიქციის სპეციალური ფორმით (გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, სსკ-ის 990-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რომელიც ანაცვლებს დაკარგულ ვინდიკაციას.



მოცემულ მაგალითში კარგად ჩანს ხელყოფის კონდიქციის, როგორც ვინდიკაციის ჩამნაცვლებლის ფუნქცია. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილებით ნივთის უსასყიდლოდ შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, რადგან მისი ნდობა უსასყიდლოდ შეძენილის სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით უფრო ნაკლებს იწონის, ვიდრე მესაკუთრის ინტერესი არ დაკარგოს ნივთზე საკუთრება, თუმცა ეს წესი არ მოქმედებს ფულის მიმართ. ფულის სწრაფი ბრუნვაუნარიანობის გამო, მასზე საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება დასაშვებია უსასყიდლო განკარგვის შემთხვევაშიც. ამიტომაც ხსენებულ მაგალითში საბოლოო შემძენი გ მოიპოვებს ნაჩუქარ ფულზე საკუთრებას და მიუხედავად კანონმდებლის გადაწყვეტილებისა, ის კარგავს თავის ვინდიკაციას. საბოლოო ჯამში ამ დაკარგულ ვინდიკაციას ანაცვლებს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური ფორმა, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართულია არა უშუალოდ ნივთის, არამედ მისი ღირებულების გამოთხოვისაკენ და რომლის მეშვეობითაც ძალაში რჩება კანონმდებლის ხსენებული მიზანი.

**გსკ-ის 816-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის** მიხედვით, თუ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, ის უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილს.

***მაგალითი:** მოვალე, რომელმაც არაფერი იცის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ, ასრულებს თავდაპირველი კრედიტორის წინაშე. მართალია, თავდაპირველი კრედიტორი უკვე აღარ არის კრედიტორი, თუმცა ეს შესრულება გსკ-ის 407-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის მე-200 მუხლის) შესაბამისად ნამდვილია ამჟამინდელი კრედიტორის წინაშეც. მოცემულ შემთხვევაში თავდაპირველმა კრედიტორმა ახალი კრედიტორის სარჯზე მოიპოვა შესრულება, რომელიც მან უნდა დაუბრუნოს ამ უკანასკნელს, როგორც უფლებამოსილ პირს.*

მართალია, გსკ-ის ეს დანაწესი პირდაპირ ეხება შემთხვევას, როდესაც არაუფლებამოსილი პირი იღებს შესრულებას და ეს შესრულება გამონაკლისის სახით (გსკ-ის 407-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის მე-200 მუხლი) ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაგრამ გერმანული სასამართლო პრაქტიკა იმთავითვე უშვებდა უფლებამოსილი პირის მიერ არანამდვილი შესრულების მოწონების

გზით მისი ნამდვილად ქცევის შესაძლებლობასა და მიმღებისგან მიღებულის ისევ გსკ-ის 816-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოთხოვნას.

***მაგალითი:** მოვალე ა, რომელსაც მართებს მე-5 სართულზე მცხოვრები ბ-ს 15 ლარი – “ლიფტის ფული”, ფულს შეცდომით აუტანს მესამე სართულზე მცხოვრებ ბ-ს სეხნია ბ.ბ.-ს და შემდგომ საერთოდ გადავა ამ ბინიდან. ა-ს ვალი არ დაუფარავს თავისი კრედიტორის ბ-ს წინაშე, ამიტომაც ბ ინარჩუნებს მის მიმართ მოთხოვნის უფლებას. თუმცა ბ-ს შეუძლია სხვაგან გადასული ა-საგან მოთხოვნის უფლებაზე უარი თქვას, მოიწონოს ბ-ს მიერ არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულება (გსკ-ის 362-ეს მე-2 და 185-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი) და მას მოსთხოვოს უკან მიღებული გსკ-ის 816-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად.*

უფლებამოსილი პირი მიერ არაუფლებამოსილი მიმღებისგან შესრულების დაბრუნების მოთხოვნას გერმანული სასამართლო პრაქტიკა განმარტავდა, როგორც განკარგვის მოწონებას, თუმცა ამ გადაწყვეტის დოგმატური კონსტრუქცია არც თუ ისე გამართულია. ერთის მხრივ მოწონებამ არ უნდა აქციოს შესრულების მიღებაზე არაუფლებამოსილი პირი უფლებამოსილ პირად და მეორეს მხრივ ეს შესრულება უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ ნამდვილი. სასამართლო პრაქტიკა ამ გადაწყვეტას ასაბუთებდა შემდეგნაირად – უფლებამოსილი პირი იწონებს მხოლოდ შესრულების შედეგებს და არა თვითონ შესრულებას, რაც საკმაოდ საკამათოა. კონიგმა თავის კანონპროექტში და მისი გავლენით ქართველმა კანონმდებელმაც ეს სირთულე თავიდან აიცილა, უარი თქვა უფლებამოსილი პირის მიერ არანამდვილი შესრულების მოწონების შესაძლებლობაზე და მხოლოდ ნამდვილი შესრულების უკან მოთხოვნა მოაწესრიგა **სსკ-ის 983-ე მუხლში**.

## V. კონდიციური პასუხისმგებლობის ფარგლები

პასუხისმგებლობის ფარგლების შემოსაზღვრა ემსახურება მიზანს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების უკან მოთხოვნამ მიმღები არ გააღარიბოს, ანუ არ უნდა ჩააყენოს უფრო უარესს მდგომარეობაში, ვიდრე იქნებოდა გამდიდრება საერთოდ რომ არ მიეღო. განსხვავებით გერმანელი კანონმდებლისაგან, რომელმაც ყველა კონდიქციის პასუხისმგებლობის ფარგლები ერთ თარგზე გამოჭრა და გსკ-ის 818-ე და 819-ე პარაგრაფებში მიუჩინა ადგილი, ქართველმა კანონმდებელმა, კონიგის კანონპროექტის გავლენით, თითოეული კონდიქციისათვის ცალკე გაითვალისწინა უკან დასაბრუნებელი გამდიდრების მოცულობა.

## 1. შესრულების კონდიქცია

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§818. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოცულობა.** (1) უკან დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება მიღებულ სარგებელზე, ისევე როგორც იმაზე, რასაც მიმღები იძენს მიღებული უფლების საფუძველზე ან საზღაურის სახით შეძენილი საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის. (2) თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია მიღებული ქონების თვისების გამო ან თუ მიმღები სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უუნაროა, დააბრუნოს იგი, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ქონების ღირებულება. (3) უკან დაბრუნების ან ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც მიმღები აღარ გამდიდრებულა. ....

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები.** 1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის საწინააღმდეგო ანაზღაურების სახით. 2. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით დაანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით. 3. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა. 4. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. 5. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.

**§818. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოცულობა.** ... (4) სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან მიმღები პასუხისმგებელია ზოგადი ნორმების თანახმად.

**§819. გამკაცრებული პასუხისმგებლობა კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევის შესახებ ცნობის შემთხვევაში.** (1) თუ შესრულების მიმღებმა მიღების მომენტში იცის სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის შესახებ ან მის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, მაშინ იგი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე მიღების ან ხარვეზის შესახებ შეტყობის მომენტიდან, თითქოს უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება ამ მომენტისთვის იხილებოდა სასამართლო წესით. (2) თუ მიმღები შესრულების მიღებით არღვევს საკანონმდებლო აკრძალვასა თუ ზნეობის ნორმებს, მაშინ იგი ასევე არის ვალდებული უკან დაბრუნებაზე შესრულების მიღების მომენტიდან.

**მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.** 1. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან — 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე. 2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. 3. შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა ანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. მიმღებს შეუძლია მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია შესრულების საგანთან დაკავშირებით. აუცილებლის გარდა, სხვა ხარჯები არ ანაზღაურდება. 4. ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს წესები არ ვრცელდება.

შესრულების კონდიქციის საფუძველზე ბრუნდება **შეძენილი, სარგებელი, სუროგატი**. შეძენილის ქვეშ იგულისხმება უშუალოდ შესრულებით შეძენილი, სარგებლის ქვეშ ნივთის ნაყოფი ან სხვა არამატერიალური სარგებელი, ხოლო სუროგატი არის ყველა ის ჩამნაცვლებელი ქონება, რაც იკავებს შესრულებით მიღებულის ადგილს (სადაზღვეო პრემია განადგურებული ნივთის ნაცვლად). ნატურით უკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ანაზღაურდება ღირებულება, მაგრამ თუ ნატურით დაბრუნების შეუძლებლობასთან ერთად მიმღები **ალარ არის გამდიდრებული**, ალარ არსებობს არც დაბრუნების ვალდებულება. ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების შემთხვევაში დაბრუნების ვალდებულება გამორიცხულია მხოლოდ მაშინ, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის ნორმიდან, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულება არანამდვილია (იხ. სალდოს თეორია, ქვემოთ გვ. 154 და შემდგომში). მიღებულ ქონებაზე განეული ხარჯები და ამ ქონებიდან წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისი ამცირებს გამდიდრების ოდენობას გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი (სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ მიმღებმა იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი (გერმანიაში უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა საკმარისი არ არის), ან მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, ის **პასუხის აგებს გამკაცრებულად** (გსკ-ის 818-ეს მე-4 ნაწილი, 819-ე პარაგრაფი, სსკ-ის 981-ე მუხლი): 1. გამდიდრების დაბრუნების ვალდებულება განისაზღვრება სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილისა და 980-ე მუხლის შესაბამისად, რაც ნიშნავს იმას, რომ ის კარგავს გამდიდრების არარსებობაზე მითითების უფლებას, 2. აბრუნებს ბრალეულად მიუღებელ სარგებელს, 3. ანაზღაურებს ბრალეულად მიყენებულ ზიანს.

## 2. ხელყოფის კონდიქცია

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 984. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება.** 1. თუ ხელმყოფმა არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, გარდა უხეში გაუფრთხილებლობისა, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები. 2. ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.

**მუხლი 985. მოგების მოთხოვნის უფლება.** 1. თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს. 2. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით.

ხელყოფის კონდიქციის ფარგლები მოწესრიგებულია სსკ-ის 984-ე და 985-ე მუხლებში. სსკ-ის 984-ე მუხლის შესაბამისად **ხელმყოფმა უნდა დააბრუნოს** ის, რითიც გამდიდრდა. გამდიდრება მიუთითებს სსკ-ის 979-ე და 980-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე. მიღებულ ქონებაზე განეული ხარჯები არ ამცირებს გამდიდრების ოდენობას (სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განზრახ ხელყოფის შემთხვევაში ხელმყოფი აბრუნებს იმ მოგებას, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს (გამკაცრებული პასუხისმგებლობა: სსკ-ის 985-ე მუხლი). სსკ-ის 989-ე მუხლის შესაბამისად, თუ კონდიქციის მოვალე უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს და თავდაპირველი მოვალე-

საგან დაკმაყოფილება შეუძლებელია, მესამე პირი პასუხს აგებს როგორც შესრულების კონდიქციის მოვალე (სსკ-ის 979-981-ე მუხლების მიხედვით). ამის საპირისპიროდ, სსკ-ის 990-ე მუხლის მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის უსასყიდლო და ნამდვილი განკარგვის შემთხვევაში, სამართლებრივი სარგებელის მიმღები პირი პასუხს აგებს როგორც ხელყოფის კონდიქციის მოვალე (სსკ-ის 984-ე და 985-ე მუხლები).

## 3. დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 987. შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე.** ..... 2. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

**დანახარჯებისა კონდიქციის** მოვალემ უნდა დააბრუნოს გამდიდრება, რაც მიუთითებს სსკ-ის 979-ე მუხლზე. თუმცა გადამწყვეტია განეული ხარჯების სარგებლიანობა მოვალისათვის (სსკ-ის 987-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გამდიდრების არსებობა განისაზღვრება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის, ან ღირებულების გაზრდის შედეგად სარგებლის სხვაგვარად მიღების მომენტისათვის. ქართული სამართლის მიხედვით, თითოეული კონდიქციისათვის პასუხისმგებლობის ფარგლების დამოუკიდებლად განსაზღვრას უფრო მოქნილ გადანწყვეტამდე მივყავართ, ვიდრე ეს გერმანულ სამართალშია აღიარებული, რომელიც ერთი და იმავე დანაწესიდან ცდილობს განსხვავებული კონდიქციების განსხვავებული პასუხისმგებლობის ფარგლების ამოკითხვას. თითოეული კონდიქცია, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ემსახურება თავის სპეციფიკურ მიზანს. მაგალითად, დანახარჯების კონდიქცია ემსახურება იმ მიზანს, რომ დამხარჯველს აუნაზღაურდეს მისი ხარჯები, თუმცა არ მოხდეს

ასევე ე. წ. “თავსმოხვეული გამდიდრების” ანაზღაურება – მიმღები, რომელიც პასუხს აგებს დანახარჯების კონდიქციით, გამდიდრებას არ იღებს არც შესრულებით და არც ხელყოფით, არის რა სრულე-ბით პასიური და სხვა პირი საკუთარი განწყვეტილებით ზრდის მის ქონებას, განსაკუთრებით აქტუალურია მისი თავსმოხვეული, ანუ სუბიექტურად არასასურველი გამდიდრებისაგან დაცვა. ამ სა-ფუძვლით დანახარჯების კონდიქციის ფარგლების განსაზღვრისას სპეციალურ პუნქტად არის გათვალისწინებული ამ ხარჯების სარ-გებლიანობა მიმღებისათვის, ანუ გამდიდრების სარგებლიანობის განსაზღვრა მიმღების თვალსაწიერიდან.

**რეგრესის კონდიქციის** ფარგლები მიუთითებს დანახარჯების კონ-დიქციაზე – „პირს, რომელიც ..... სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუ-ძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი **ხარჯების** ანაზღაურება“. თუ რა მოცულობით ანაზღაურდება ეს ხარჯები მონესრიგებულია სსკ-ის 987-ე მუხლში.

## კაზუსი: „ბაბიის ვაზა“

ა არის ბებიის დანატოვარი ჩინური ვაზის მესაკუთრე, რომელსაც ის თვალის ჩინივით უფრთხილდება, თუმცა კვირა საღამოს ბარში შეხვედბა თავის მეგობარ ბ-ს, რომელსაც რატომღაც აჩუქებს ამ ვაზას. ორი დღის შემდეგ როდესაც ბ გამოუვლის ა-ს და მოსთხოვს ვაზის გადაცემას, ა მიუგებს, რომ კვირა საღამოს იყო გვარიანად ნასვამი, მანამდე კი მიღებული ჰქონდა ანტიდეპრესანტების დიდი დოზა, რის გამოც საერთოდ არ ახსოვს ნახა თუ არა ბ, ნივთის ჩუქე-ბაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. შეატყობს რა ბ-ს უკმაყოფილებას, ა, რომელიც დარწმუნებული არ არის, აძლევს თუ არა მისი ეს ხსენე-ბული მდგომარეობა შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, მაინც გამოატანს მას ვაზას. გარკვეული დროის შემდეგ ა შეამჩნევს, რომ ბებიის დანატოვარი ვაზის გაჩუქების შემდეგ მისი ოთახი დაცა-რიელდა. მწარედ ნანობს ჩადენილს და მიმართავს თავის ახლობელ ადვოკატს რჩევის საკითხავად. შეაფასეთ სამართლებრივი მდგო-მარეობა.

**ვარიანტი 1:** ბ-მ გადაცემული ვაზა მიიტანა სახლში და შემოდო ფან-ჯრის რაფაზე. მას შემდეგ, რაც ა-მ სასამართლო წესით მოითხოვა ბ-საგან ნივთის უკან დაბრუნება, ფანჯრის რაფაზე შეხტა ბ-ს კატა, გამოედო ვაზას და ნამსხვრევებად აქცია. რისი მოთხოვნის უფლე-ბა აქვს ა-ს?

## ამოსავალი კაზუსის ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

### I. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გსკ-ის 985-ე პარაგრაფის (სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან კუთვნილი ვაზის დაბრუნების ვინ-დიკაციური მოთხოვნა (**გსკ-ის 985-ე პარაგრაფი, სსკ-ის 172-ე მუ-ხლის 1-ლი ნაწილი**). ამისათვის აუცილებელია, რომ ა იყოს ნივთის მესაკუთრე, ხოლო ბ ნივთის მფლობელი მფლობელობის უფლების გარეშე. თავდაპირველად ნივთის მესაკუთრე იყო ა, თუმცა მას შე-საძლებელია დაეკარგა ეს საკუთრება ბ-სათვის გადაცემის გზით. გერმანული სამართლის მიხედვით, საკუთრების გადაცემის წინა-პირობაა შეთანხმება და ნივთზე მფლობელობის გადაცემა (გსკ-ის

929-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება). სამშაბათს ა შეუთანხმდა ბ-ს საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით და ჩააბარა ნივთი პირდაპირ მფლობელობაში. კვირა საღამოს დადებული ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც ა-ს გონების დროებითი დაბინდვის გამო არანამდვილი იყო (გსკ-ის 104-ე, 105-ე პარაგრაფები, სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი), გერმანიაში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპის გამო სანივთო გარიგების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს. ბ გახდა ნივთის მესაკუთრე, რის გამოც მისგან ამ ნივთის ვინდიკაციით გამოთხოვა შეუძლებელია.

*განსხვავებით გერმანიისაგან საქართველოში მოქმედი კაუზალობის პრინციპის მიხედვით, სანივთო გარიგების ნამდვილობა (გსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დამოკიდებულია მისი კაუზის, ვალდებულებითი გარიგების, ნამდვილობაზე, რომლის ჩაშლაც არანამდვილად აქცევს ასევე საკუთრების გადაცემას. ბ ნასყიდობის არანამდვილობის გამო ვერ მოიპოვებდა ნივთზე საკუთრებას და ა-ს ექნებოდა მისი ვინდიკაციით გამოთხოვის უფლება.*

## II. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან **შესრულების კონდიქციით** ნივთის გამოთხოვის უფლება. ამისათვის აუცილებელია ბ-ს მოეპოვებინა რაიმე ა-ს შესრულებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

1. **რაიმეს მოპოვება** მოცემულ შემთხვევაში სახეზეა – ბ-მ გადაცემის შედეგად მოიპოვა მფლობელობა ვაზაზე (გერმანიაში ასევე საკუთრება).

2. ეს რაიმე მოიპოვა ა-ს **შესრულებით**, მისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსებით.

3. მოპოვება უნდა მომხდარიყო შესაბამისი **საფუძვლის გარეშე**. გსკ-ის 812-ე მუხლი არ იძლევა ცალსახა დეფინიციას შესრულების საფუძვლიანობა უსაფუძვლობისა, რის გამოც არ არსებობს ამის განმსაზღვრავი ერთიანი ფორმულა. ზოგადად მიმღები მაშინ იღებს შესრულებას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, როდესაც მას ეს შესრულება მხარეთა წარმოდგენების, განსაკუთრებით კი მათ საფუძვლად მდებარე ვალდებულებით-სამართლებრივი

ურთიერთობის მიხედვით სამუდამოდ არ ეკუთვნის<sup>24</sup>.

*განსხვავებით გერმანიისაგან, ქართველმა კანონმდებელმა ცალსახად მოაწესრიგა სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა)-ბ) ქვეპუნქტებში შესრულების უსაფუძვლობის განმსაზღვრავი კრიტერიუმები.*

მოცემულ შემთხვევაში მფლობელობის (გერმანიაში ასევე საკუთრების) გადაცემა მოხდა ჩუქების ხელშეკრულების შესრულების მიზნით. ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენდა სამართლებრივ საფუძველს ბ-ს მიერ მიღებულის შენარჩუნებისათვის და ის იყო არანამდვილი – ა იმყოფებოდა ცნობიერების (დროებითი) დაკარგვის მდგომარეობაში, შესაბამისად მისი ნების გამოხატვა ბათილი იყო (გსკ-ის 104-ე და 105-ე პარაგრაფები, სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ა-მ იცოდა, რომ კვირა საღამოს იმყოფებოდა ცნობიერების დაკარგვის მდგომარეობაში და მიუხედავად ამისა მაინც გამოატანა ბ-ს წიგნი, საკითხავია შეიძლება თუ არა მისი ეს მოქმედება წარმოადგენდეს გარიგების **დადასტურებას** გსკ-ის 141-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ გარიგების დადასტურება საჭიროებს ე. წ. დადასტურების ნებას<sup>25</sup> - დასტურის მიმცემი უნდა აცნობიერებდეს გარიგების არანამდვილობას, ან უნდა ჰქონდეს ეჭვი ამასთან დაკავშირებით და უნდოდეს მისი ნამდვილობა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ა არ იყო დარწმუნებული გარიგების ნამდვილობაში, მას არ ჰქონია მისი თავიდან დადების სურვილი, რაც გამორიცხავს მის დადასტურებას. შესაბამისად, ჩუქება, როგორც დადების მომენტში, ისე შემდგომში არანამდვილი იყო.

ბ-ს შესრულება იყო უსაფუძვლო.

4. მიუხედავად შესრულების კონდიქციის წინაპირობების არსებობისა, ის შეიძლება გამორიცხული იყოს გსკ-ის 814-ე პარაგრაფის შესაბამისად, თუ შემსრულებელმა შეგნებულად შეასრულა თავისი არარსებული ვალი. არარსებული ვალის შეგნებულად შესრულებისათვის აუცილებელია, რომ შემსრულებელი ფლობდეს პოზიტიურ ცოდნას ამ ვალის არარსებობასთან დაკავშირებით. მხოლოდ იმ

24 Palandt/SPRAU, § 812 Rn. 70.

25 Palandt/HEINRICH, § 141 Rn. 6.

ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა, საიდანაც გამომდინარეობს ვალდებულების არანამდვილობა, საკმარისი არ არის<sup>26</sup>. მოცემულ შემთხვევაში ა-ს ეეჭვებოდა, იყო თუ არა ნამდვილი მის მიერ კვირა საღამოს დადებული გარიგება, თუმცა ბოლომდე არ იყო დარწმუნებული ამაში, რის გამოც გსკ-ის 814-ე პარაგრაფი არ მოქმედებს და არ გამორიცხავს ა-ს შესრულების კონდიქციას.

*საქართველოში შესრულების კონდიქციის გამორიცხვისათვის გადამწყვეტია არა შემსრულებლის პოზიცია არარსებული ვალის შესრულებისას, არამედ მიმღების თვალსაწიერი - შეეძლო თუ არა მას ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა შესრულება უსაფუძვლო (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტი). ეს დანაწესი წარმოადგენს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გსკ-ის 814-ე პარაგრაფის განვრცობითი განმარტების შედეგს. მოცემულ კაზუსში ბ ვერ აღიქვამდა ა-ს შესრულებას, როგორც ვალდებულების ნამდვილობა-არანამდვილობისაგან დამოუკიდებლად განხორციელებულს, რადგან იცოდა ა-ს ჭოჭმანის შესახებ და შესაბამისად შესრულების კონდიქციის გამორიცხვაც ზემოთ ხსენებული დანაწესის მიხედვით არ მოქმედებს.*

5. უკან დასაბრუნებელი გამდიდრების მოცულობა მონესრიგებულია გსკ-ის 818-ე პარაგრაფში (სსკ-ის 979-ე მუხლში). გამდიდრების მიმღების ქონებაში ჯერ კიდევ ნატურით არსებობის შემთხვევაში, ის ბრუნდება როგორც მიღებული, ხსენებული დანაწესების 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

### ვარიანტის ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

ვაზის განადგურების შემდეგ მიმღები ბ აღარ არის გამდიდრებული, რის გამოც უნდა გათავისუფლდეს კონდიქციური ვალდებულებისაგან გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად, თუმცა იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ბ-მ იცოდა (საქართველოში საკმარისია უხეში გაუ-

ფრთხილებლობით არცოდნა), რომ არ ჰქონდა ნივთის სამუდამოდ შენარჩუნების უფლება, ის პასუხს აგებს გამკაცრებულად გსკ-ის 818-ეს მე-4 და 819-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 981-ე მუხლის) მიხედვით, რაც აკარგვინებს გამდიდრების არარსებობაზე მითითების უფლებას.

გერმანული სამართალი ითხოვს მიმღების ცოდნას შესრულების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა საკმარისი არ არის. თუმცა უსაფუძვლობის შესახებ ცოდნას ფლობს უკვე ის პირი, რომელმაც იცის გარიგების ნაკლის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები და შეგნებულად არ უშვებს მის არანამდვილობას<sup>27</sup>. საქართველოში გამკაცრებული პასუხისმგებლობის დადგომისათვის საკმარისია უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში არც გერმანული და არც ქართული სამართლის მიხედვით ბ არ აგებს პასუხს გამკაცრებულად ვაზის გადაცემის მომენტიდან, რადგან ამ მომენტიში მისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო გარიგების არანამდვილობა და არა მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით. ა-ს ჭოჭმანი ჩუქების ნამდვილობასთან დაკავშირებით (რომელიც მან გაუზიარა ბ-ს), ისევე როგორც ვერ იქნება შემსრულებლის მიერ შეგნებულად უსაფუძვლოდ განხორციელებული შესრულების განმაპირობებელი, ვერ იქნება ასევე ამ უსაფუძვლობის შესახებ მიმღების ცოდნის (ანუ უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის) განმაპირობებელი. ბ-ს გამკაცრებული პასუხისმგებლობა უსაფუძვლობის შესახებ ცოდნის მოტივით გამორიცხულია.


თუმცა მიმღები გამკაცრებულად აგებს პასუხს შესრულების დაბრუნებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრის მომენტიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა და რის გამოც ბ-მ მიუხედავად გამდიდრების არარსებობისა უნდა აუნაზღაუროს ა-ს მისი ღირებულება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად.

26 BGH NJW 1997, 2381; BGH NJW 2002, 3772, 3773.

27 BGH WM 1996, 1504.

**პაზუსი: „ქრავამოცვლილი მოპედი“**

ა მიყიდის ბ-ს მოპედს, რომელსაც ბ თავის მხრივ გაუცვლის გ-ს მის ძველ მანქანაში. გ მოპედს გამოუცვლის ძრავს, რა დროსაც მანქანიდან ამოღებული ძველი ძრავიდან ჩამოღვენილი სითხე იატაკს დაუზიანებს. შემდეგ ა-სა და ბ-ს და ბ-სა და გ-ს შორის დადებული ყველა გარიგება არანამდვილი აღმოჩნდება. ა-ს აინტერესებს შეუძლია თუ არა დაიბრუნოს თავისი მოპედი გ-საგან



**ამოხსნა**

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

ა-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად

ა-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა გ-ს მიმართ მოპედის დაბრუნე-

ბასთან დაკავშირებით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ამისათვის აუცილებელია, რომ გ-ს მოეპოვებინა რაიმე, ხელყოფით, ა-ს ხარჯზე. ბ-სთან დადებული სანივთო გარიგების არანამდვილობის გამო ბ-მ მოიპოვა მხოლოდ მფლობელობა ნივთზე, თუმცა „რაიმეს“ ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ქონებრივი სარგებელი და მათ შორის მხოლოდ მფლობელობაც. ხელყოფით მოპოვება გულისხმობს მოპოვებას არა შესრულებით, არამედ სხვისი ქონების მითვისების გზით. ა-ს გ-ს ქონება არ გაუზრდია გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად, შესაბამისად, გამოირიცხება ა-სა და გ-ს შორის შესრულება. თუმცა გ-ს მოპედი გადასცა ბ-მ მასთან დადებული გაცვლის (გსკ-ის 480-ე პარაგრაფი, სსკ-ის 521-ე მუხლი) შესრულების ფარგლებში.

საკითხავია ბ-სა და გ-ს შორის არსებული შესრულების ურთიერთობა გამოირიცხავს თუ არა გ-ს მიერ მოპედზე მფლობელობის ხელყოფით მოპოვებას. სუბსიდიარულობის დოგმის მიხედვით, „ის რაც მოპოვებულია შესრულებით, ვერ იქნება მოპოვებული ხელყოფით“, შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციის გამოყენებამდე უნდა შევამოწმოთ ხომ არ არის გამდიდრება მოპოვებული შესრულებით. ამ შემთხვევაში შესრულების კონდიქცია გამოირიცხავდა ხელყოფის კონდიქციის გამოყენებას. ეს გადაწყვეტა ემყარება სამ არგუმენტს<sup>28</sup>:

1. თითოეულ მხარეს უნდა შეუნარჩუნდეს ის შესაგებელი, რომელიც აქვს მეორე მხარის წინააღმდეგ:

*თუ გ პირდაპირ ა-ს წინაშე აგებდა პასუხს ხელყოფის კონდიქციით, მაშინ ის დაკარგავდა ერთდროულად შესრულების შესაგებელს სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომელიც მას აქვს ბ-ს წინაშე – გ-მ თავის მხრივ გადასცა ბ-ს მანქანა შესრულების ფარგლებში და აქვს ინტერესი მხოლოდ მაშინ დააბრუნოს მიღებული, როდესაც დაიბრუნებს გაცემულს. ამ შესაგებლის გადაამისამართება შეუძლებელია ა მიმართ, თუ ეს უკანასკნელი ხელყოფის კონდიქციით გამოითხოვდა გ-საგან მოპედს.*

<sup>28</sup> LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 70 VI.

ასევე გ დაკარგავდა ნივთზე განეული ხარჯებიდან (ახალი ძრავის ჩადგმა) წარმოშობილ შესაგებელს სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტის შესაბამისად, რომელსაც ის მხოლოდ ბ-ს შესრულების კონდიქციას დაუპირისპირებდა (განსხვავებით შესრულების კონდიქციის მოვალისაგან, სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ითვალისწინებს ხელმოყოფისათვის, ნივთზე განეული ხარჯების ანაზღაურებას).

2. თითოეულმა მხარემ უნდა წარუდგინოს შესაგებელი უშუალოდ თავის კონტრაქტს და არა მესამე პირს.

განსხვავებით განეული ხარჯებიდან წარმოშობილი შესაგებლისა, ა შეინარჩუნებდა გ-ს წინაშე ქონებრივი დანაკლისიდან (გაფუჭებული იატაკი) წარმოშობილ შესაგებელს სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტის შესაბამისად (სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამორიცხავს მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებას, ამისაგან განსხვავებით ქონებრივი დანაკლისი ანაზღაურება სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რომელიც იყენებს ტერმინს „გამდიდრება“ და ამგვარად მიუთითებს სსკ-ის 979-ე და 980-ე მუხლებზე). ხელმოყოფს, მართალია, არ აუნაზღაურდება მითვისებულ ქონებაზე განეული დანახარჯები, მაგრამ აუნაზღაურდება ამასთან დაკავშირებული ქონებრივი დანაკლისი. ეს არასწორია, ა-ს გ არ ამოურჩევია საკუთარ კონტრაქტად და არ უნდა ატაროს მასთან წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების რისკი.

3. თითოეულმა მხარემ უნდა ატაროს მხოლოდ მისი კონტრაქტის გაკოტრების რისკი.

თუ ა შეეცდებოდა უკან მოეთხოვა პირდაპირ გ-საგან, მაშინ ის ატარებდა გ-ს გადახდისუუნარობის რისკს, რომელიც მან არ უნდა ატაროს, რადგან გ მას არ აურჩევია თავის კონტრაქტად.

ეს არგუმენტები გამომდინარეობს გსკ-ის 816-ეს 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 822-ე პარაგრაფიდან (სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლები), რომლებიც მესამე პირისაგან პირდაპირი კონდიქციების შესაძლებლობას მხოლოდ უსასყიდლოდ მიღებული გამდიდრების შემთხვევაში უშვებენ (ასევე არაპირდაპირად სსკ-ის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან).


ამ სამი არგუმენტის გათვალისწინებით შესრულებების უკუქცევა უნდა მოხდეს ისე, როგორც მათი გაცემა მოხდა – შესრულებების ხაზის მიხედვით – ა-მ უნდა მოსთხოვოს ბ-ს და ბ-მ უნდა მოსთხოვოს გ-ს, თავიანთ უშუალო კონტრაქტებს.

არგუმენტაცია, რომელიც გამორიცხავს ხელყოფის კონდიქციის გამოყენებას შესრულების კონდიქციის უპირატესობის გამო, გამორიცხავს ასევე ა-ს მიერ პირდაპირი ვინდიქციების შესაძლებლობას ბ-საგან გსკ-ის 985-ე პარაგრაფის (სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. შესრულებათა ჯაჭვი წარმოშობს სპეციალურ ურთიერთობას შემსრულებელსა და მიმღებს შორის. ამისაგან განსხვავებით, ვინდიქცია ატარებს ზოგად ხასიათს და უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სპეციალური ურთიერთობა არ არსებობს. შესრულებების უკუქცევა უნდა მოხდეს შესრულების კონდიქციით და არა პირდაპირი უკუმოთხოვნის გზით, იქნება ეს ხელყოფის კონდიქცია თუ ვინდიქცია.

**კაზუსი: „ჩაშენებული კიბე“<sup>29</sup>**

საშენი მასალით მოვაჭრე ა აწვდის ბეტონის კიბეს მშენებელ ბ-ს, თუმცა საკუთრების გადასვლას პირობად ფასის სრულად გადახდას დაუთქვამს. ბ ფასის გადახდამდე ჩააშენებს ამ კიბეს გ-ს ორსართულიან სახლში, რომელთანაც დადო შესაბამისი ხელშეკრულება. მოგვიანებით ბ გაკოტრდება და ა პირდაპირ გ-საგან ითხოვს კიბის საფასურის ანაზღაურებას.

**ვარიანტი:** როგორ უნდა გადანყვეტილიყო ეს შემთხვევა, ა-სათვის ბ-ს ეს კიბე რომ მოეპარა.



**გერმანიის სამოქალაქო კოდექსი**

**§951. ზიანის ანაზღაურება უფლების დაკარგვის გამო.** (1) პირს, რომელიც §§946-950 ნორმების შედეგად კარგავს უფლებას, შეუძლია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად იმ პირისაგან, ვის სასარგებლოდაც ადგილი აქვს უფლებრივ ცვლილებას. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია. (2) დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ ნორმები, ისევე როგორც ხარჯების ანაზღაურებისა და მოწყობილობის თან წაღების უფლების შესახებ ნორმები უცვლელი რჩება. §§946, 947 შემთხვევებში მესაკუთრის მიმართ მფლობელის კუთვნილი თან წაღების უფლების მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად, თან წაღების უფლება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ შეერთება განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი ნივთის მფლობელს.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 197. ახალი მესაკუთრისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.** 1. პირს, რომელიც 193-195-ე მუხლების მიხედვით კარგავს თავის საკუთრებას, ან სხვაგვარად ირღვევა მისი უფლება, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს იმ პირს, ვინც მესაკუთრე გახდა. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ ახალმა მესაკუთრემ ნივთი სასყიდლიანი ხელშეკრულებით მესამე პირისაგან შეიძინა.

**ამოხსნა**

*(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)*

**ა-ს მოთხოვნა გ-საგან გსკ-ის 951-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს გ-საგან კიბის ღირებულების ხელყოფის კონდიქციით მოთხოვნის უფლება გსკ-ის 951-ე პარაგრაფის 1-ლი

<sup>29</sup> BGHZ 56, 177.

ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ამ მოთხოვნის პირველი წინაპირობაა რაიმეს მოპოვება, რაც სახეზეა. ბ-მ აქცია ჯერ კიდევ ა-ს კუთვნილი კიბე გ-ს უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად (გსკ-ის 946-ე პარაგრაფი, სსკ-ის 193-ე მუხლი) და ამგვარად მოაპოვებინა გ-ს მასზე საკუთრება. თუმცა ხელყოფის კონდიქციის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გამდიდრება მიმდებს არ მიუღია შესრულებით, თუნდაც სხვა პირისაგან<sup>30</sup>. “ის რაც მოპოვებულია შესრულებით ვერ იქნება ამავდროულად მოპოვებული ხელყოფის გზით” (ე.წ. სუბსიდიარულობის დოგმა). შესრულების კონდიქცია წარმოადგენს არანამდვილი ხელშეკრულების გაგრძელებას, განსხვავებით ზოგადი ხასიათის მქონე ხელყოფის კონდიქციისაგან, რომელიც აბსოლუტური უფლებების დაცვის მექანიზმია. შესრულება ხდება არსებული ან სავარაუდო ვალდებულების საფუძველზე და ამ ვალდებულების ფარდობითი ხასიათი, ანუ მისი მოქმედების სფეროს შემოფარგვლა მხოლოდ მის მონაწილეებზე, ანიჭებს ამ ურთიერთობას სპეციალურ ხასიათს, აბსოლუტური უფლებების მოქმედების შემოუსაზღვრავ სფეროსთან მიმართებაში, რომლის ხელყოფისასაც უნდა გამოვიყენოთ ხელყოფის კონდიქცია. შესაბამისად, ჩაშლილი შესრულების შედეგები უნდა აღმოიფხვრას შესრულების კონდიქციით.

მოცემულ შემთხვევაში გამდიდრება (გ-ს მიერ კიბეზე საკუთრების შექმნა) მოხდა არა ბ –ს შესრულებით, არამედ კანონის ძალით (გსკ-ის 946-ე პარაგრაფი, სსკ-ის 193-ე მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების გადაცემა არ მომხდარა გარიგებით, გ-ს საკუთრების მოპოვება მაინც განპირობებული იყო ბ-ს შესრულებით – მენარდის შესრულება მოიცავს ასევე საშენ მასალის ჩაშენებას და ამგვარად საკუთრების გადაცემას. ამრიგად მნიშვნელობა არ აქვს, შემსრულებელი პირდაპირ ჩააშენებდა კიბეს გ-ს სახლში, თუ ჯერ გარიგებით გადასცემდა გ-ს საკუთრებას კიბეზე (გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 186-ეს 1-ლი და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და შემდეგ ჩააშენებდა, ორივე შემთხვევაში კიბეზე საკუთრების მოპოვება ბ-ს შესრულების საფუძველზე განხორციელებულად უნდა მივიჩნიოთ.

<sup>30</sup> BGHZ 40, 272, 278.

ხელყოფის კონდიქციის გამოყენება გამორიცხულია, რადგან გ-მ კიბეზე საკუთრება ბ-ს შესრულებით მიიღო.

*ასევე გამორიცხულია სსკ-ის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან ახალმა მესაკუთრემ ნივთი სასყიდლიანი ხელშეკრულებით მიიღო მესამე პირისაგან (სსკ-ის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილი).*

**შედეგი:** ა-ს არ შეუძლია გ-საგან კიბის ღირებულების მოთხოვნა ხელყოფის კონდიქციით.

### ვარიანტის ამოხსნა:

*(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)*

**ა-ს მოთხოვნა გ-საგან გსკ-ის 951-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და გსკ-ის 812-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს გ-საგან კიბის ღირებულების ხელყოფის კონდიქციით მოთხოვნის უფლება გსკ-ის 951-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და გსკ-ის 812-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ამ მოთხოვნის პირველი წინაპირობაა რაიმეს მოპოვება, რაც სახეზეა. ბ-მ მოაპოვებინა გ-ს საკუთრება კიბეზე, მისი ჩაშენების გზით (გსკ-ის 946-ე პარაგრაფი, სსკ-ის 193-ე მუხლი).

თუმცა ხელყოფის კონდიქციის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გამდიდრება მიმდებს არ მიუღია შესრულებით, თუნდაც მესამე პირისაგან. მართალია, მოცემულ შემთხვევაში გ-მ კიბეზე საკუთრება მოიპოვა ბ-ს მიერ ნარდობიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფარგლებში, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება – შესრულების მიმდები ვერ მოიპოვებდა საკუთრებას მისი გარიგების გზით გადაცემის შემთხვევაში, რადგან ნივთი იყო მოპარული (გსკ-ის 932-ეს მე-2 ნაწილი, სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ა-ს ექნებოდა მისი გ-საგან ვინდირების საშუალება. ჩაშენების შემდეგ მან ეს ვინდიკაცია დაკარ-

გა; კიბე იქცა გ-ს უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად (გსკ-ის 946-ე პარაგრაფი, სსკ-ის 193-ე მუხლი). თუმცა დაკარგული ვინდიკაციის ადგილი უნდა დაიკავოს ხელყოფის კონდიქციამ, რომლის ფუნქციასაც სწორედ მისი ჩანაცვლება წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ნივთის გამოთხოვა საკუთრების დაკარგვის გამო, ამ დანაკარგის კომპენსირება უნდა მოხდეს მესაკუთრისათვის ნივთის ღირებულების ანაზღაურების კონდიქციური მოთხოვნის მინიჭებით.

კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება, რომ ნივთის მოპარვის ან მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე სხვაგვარად გასვლის შემთხვევაში, მისი ინტერესი გადაწონის კეთილსინდისიერი შემძენის ნდობას და დასაშვებია ამ უკანასკნელისაგან ვინდიცირება, გასათვალისწინებელია ნივთზე საკუთრების გადამუშავების, შერევის და მიერთების გზით დაკარგვის შემთხვევაშიც იმგვარად, რომ თავდაპირველ მესაკუთრეს შეუნარჩუნდეს გამდიდრების მიმღების მიმართ ხელყოფის კონდიქცია, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ნივთი მესამე პირისაგან მიიღო შესრულებით.

*ამოსავალი კაზუსისაგან განსხვავებით, როდესაც შესრულებით მიღებულად ითვლება ნივთზე საკუთრება, რომელიც წარმოადგენდა გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უშუალო შედეგს და გამორიცხავდა ამ ნივთის ღირებულების ხელყოფის კონდიქციით მოთხოვნას, ხელყოფის კონდიქციის სუბსიდიარულობის დოგმა არ მოქმედებს, თუ გამდიდრებული გარიგებით ვერ მოახერხებდა ნივთზე საკუთრების მოპოვებას.*

*გარდა ამისა, გ ვერ მოითხოვს ა-საგან ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის, როგორც დანახარჯების, ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში ხელყოფის კონდიქცია ანაცვლებს მესაკუთრის დაკარგულ ვინდიკაციას, რომელსაც ნივთის არაუფლებამოსილი მფლობელი (საბოლოო შემძენი) ვერ დაუპირისპირებდა ნივთის შეძენის საფასურს. ის ასევე ვერ დაუპირისპირებს ამ ხარჯებს ვინდიკაციის ჩამნაცვლებელ ხელყოფის კონდიქციას და მათი უკან დაბრუნების ბედი თავის უშუალო კონტრაჰენტთან უნდა არკვიოს; უნდა ატაროს ამ კონტრაჰენტის გადახდისუნარიობის რისკი.*

*საქართველოში ხელყოფის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურ-*

*რება ისედაც გამორიცხულია სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.*

**შედეგი:** ა-ს შეუძლია გ-საგან მოითხოვოს კიბის ღირებულების ანაზღაურება ხელყოფის კონდიქციით.

## კახუსი: “ავია-მოგზაურობა<sup>31</sup>”

1950 წლის 5 სექტემბერს დაბადებული მოპასუხე ა გაფრინდა 1968 წლის 27 აგვისტოს მოსარჩელე ავიაკომპანიის (ბ) თვითმფრინავზე შესაბამისი ბილეთის ყიდვის შემდეგ მიუნხენიდან ჰამბურგში. იქ მან მოახერხა ბილეთის ყიდვის გარეშე ასულიყო მოსარჩელის სხვა თვითმფრინავზე, რომელიც მიფრინავდა ნიუ-იორკში, სადაც შესაბამისი ვიზის არქონის გამო ქვეყანაში შესვლაზე უარი განუცხადეს. ამის შემდეგ ავიაკომპანიამ ა-ს დაანერჩინა ხელნერილი, რომლითაც მან იკისრა შესაბამისი ხარჯების დაფარვა, გადასცა უკან დასაბრუნებელი ბილეთი და იმავე დღესვე დააბრუნა მიუნხენში. ორივე გზაზე თვითმფრინავში იყო თავისუფალი ადგილები. მოგვიანებით ა-ს მშობლებმა უარი განაცხადეს მოენონებინათ მის მიერ დადებული გარიგებები. სასამართლოში ბ-მ ა-საგან მოითხოვა ტარიფით გათვალისწინებული ბილეთის ღირებულების – ჰამბურგი-ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი-მიუნხენი – გადახდა.

### ამოხსნა:

*(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)*

#### ა. ჰამბურგიდან ნიუ-იორკში გადაფრენის საფასური

##### I. მოთხოვნა გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 668-ე მუხლის) შესაბამისად

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა ა-ს მიმართ ნიუ-იორკში გადაფრენის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 668-ე მუხლის) შესაბამისად.

ამ მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ა-სა და ბ-ს შორის ნარდობის ხელშეკრულების დადება. ავიაკომპანია, რომელიც კისრულობს ვალდებულებას მგზავრის გადაყვანასთან დაკავშირებით, კისრულობს არა მხოლოდ მომსახურებას — „ფრენას“, არამედ ასევე ამ მომსახურების შედეგის დადგომას – მგზავრის მშობლიანად ჩაყვანას დანიშნულების ადგილზე, რის გამოც ეს გარიგება წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას.

<sup>31</sup> BGH, Urteil Az. VII ZR 9/70 BGH 7. Januar 1971.

*საქართველოში გადაყვანის ხელშეკრულებას (სსკ-ის 668-ე და შემდგომი მუხლები).*

თუმცა ა-სა და ბ-ს ნარდობა არ შეუთანხმებიათ გაცხადებულად. საკითხავია, სახეზე გვაქვს თუ არა კონკლუდენტური შეთანხმება ა-ს მიერ ბ-ს მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის გამო. ჩვეულებრივ, საჯარო ტრანსპორტით სარგებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება იმგვარად, რომ მგზავრი გადაყვანის მომსახურებით სარგებლობის დაწყებით აკეთებს ოფერტს, ხოლო გადაყვანი (მაგ. ავტობუსის მძღოლი, როგორც წარმომადგენელი) აცხადებს გენერალურ თანხმობას იმასთან დაკავშირებით, რომ დადოს ხელშეკრულება თითოეულ მგზავრთან, რომელიც დაძვრის მომენტისათვის ავტობუსში იმყოფება. განსხვავებულადაა საქმე ავიამომსახურების შემთხვევაში. ამ დროს ავიაკომპანიას არ აქვს გენერალური ნება დადოს გარიგება ყველა იმ პირთან, ვინც ავა თვითმფრინავში – ავიაკომპანიას, უნდა რა დაიცვას წინდახედულობისა და კონტროლის გაცილებით უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ავტობუსით მომსახურების შემთავაზებელს, აქვს ინტერესი გადაამონმოს ხელშეკრულების დადებაზე მისი კონტრაჰენტის ვინაობა. ეს გარემოება გამორიცხავს გენერალურ თანხმობას. ავიამომსახურების ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ ბილეთის შექენით. გარდა ამისა, თვითმფრინავში შეპარვისას არც ა-ს ჰქონია ნება ხელშეკრულების დადებისა. ა-სა და ბ-ს არ გამოუვლენიათ ნარდობის ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნება.

ბ-ს არ აქვს ა-ს მიმართ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება.

##### II. მოთხოვნა გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების) შესაბამისად

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-ს მიმართ მოთხოვნა გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების) შესაბამისად ჰამბურგიდან ნიუ-იორკამდე ფრენის საფასურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საკამათოა, შესაძლებელია თუ არა არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისათვის არა უსაფუძვლო გამდიდრების, არამედ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გა-

მოყენება. თუმცა ეს კამათი მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელოა, რადგან გარიგება არ არის არანამდვილი ა-ს არასრულწლოვნობისა და გამო, არამედ საერთოდ არ დადებულია. დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების წესების გამოყენება შესაძლებელია, თუმცა მისი წინაპირობებიდან სახეზე არ არის სხვისი საქმეების შესრულების ნება, რომელიც გულისხმობს სხვისი საქმის გაძლოის გაცნობიერებასა (უკუდასკვნა გსკ-ის 687-ე პარაგრაფისა და სსკ-ის 975-ე მუხლიდან) და სურვილს (ნებელობითი ელემენტი, გსკ-ის 687-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). იმის გამო, რომ ბ-მ საერთოდაც არ იცოდა ა-ს თვითმფრინავზე ყოფნის შესახებ, ორივე ელემენტი გამოირიცხა.

ბ-ს არ აქვს მოთხოვნა ა-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები) შესაბამისად.

### **III. მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფების მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად**

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-ს მიმართ ჰამბურგიდან ნიუ-იორკში ფრენის ხარჯების, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე პარაგრაფების მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

გერმანიაში გსკ-ის 823-ე პარაგრაფების მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ე. წ. „დამცავი კანონის“ დარღვევა. დამცავი კანონი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმა, რომელიც საზოგადოების დაცვის გარდა, მიზნად ისახავს კონკრეტული ინდივიდისა ან ინდივიდთა წრის დაცვას ზიანისაგან. ინდივიდი უნდა განეკუთვნებოდეს კანონით დაცულ პირთა წრეს და კანონი მიზნად უნდა ისახავდეს მისი სწორედ ამ ზიანისაგან დაცვას. ა-ს მიერ დარღვეული ბ-ს ინტერესების „დამცავი კანონი“, შეიძლება იყოს მოცემულ შემთხვევაში გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფი – „მოტყუებით შესრულების მიღება“. სისხლის სამართლის წესით დასჯადია მოტყუებით სხვისაგან რაიმე შესრულების მიღება, რომელის მიღებაც ჩვეულებრივ მხოლოდ შესაბამისი გასამრჯელოს სანაცვლოდ არის შესაძლებელი. ამ სისხლის სამართლებრივი ნორმის დისპოზიციის შესრულება გერმანიის

სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფის შესაბამისად სახეზეა. სუბიექტური შემადგენლობა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 პარაგრაფი) მოითხოვს ა-ს განზრახვასა და გამდიდრების მიზანს, რაც ასევე სახეზეა.

ქმედების მართლწინააღმდეგობა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით სახეზეა დამცავი კანონის დარღვევით. ბრალი, რომელიც ასევე წარმოადგენს პასუხისმგებლობის წინაპირობას, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახეზეა. თუმცა ამისაგან დამოუკიდებლად უნდა დადგინდეს ა-ს დელიქტუარიანობა სამოქალაქო სამართლის გაგებით. გსკ-ის 828-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით, ათი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი დელიქტუარიანია, თუ მას ჰქონდა საკუთარი ქმედების უმართლობისა და ამ ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობის განჭვრეტის უნარი. ჩვიდმეტი წლის ა თვითმფრინავზე აპარვისას ფლობდა ამ უნარს და იყო დელიქტუარიანი.

*საქართველოში ა-ს დელიქტური პასუხისმგებლობა შესაძლებელია გამომდინარეობდეს სსკ-ის 992-ე მუხლიდან. ა-ს ქმედება არის ბრალეული და მართლწინააღმდეგო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის შესრულებით სახეზეა ქმედების მართლწინააღმდეგობა). ა არის ასევე დელიქტუარიანი სსკ-ის 994-ე მუხლის შესაბამისად.*

თუმცა ა-ს ქმედებას არ მიუყენებია ბ-სათვის ზიანი – ა-ს არ დაუკავებია არავის ადგილი და ბ-ს არ უთქვამს სხვა მგზავრზე უარი – რის გამოც გამოირიცხება მისი დელიქტური პასუხისმგებლობა.

### **IV. მოთხოვნა გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად – შესრულების კონდიცია**

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-ს მიმართ მოთხოვნა ჰამბურგიდან ნიუ-იორკში ფრენის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი და 979-ე მუხლი მე-2 ნაწილი) შესაბამისად.

შესრულების კონდიქციის წინაპირობებია:

### 1. „რაიმეს“ მოპოვება

ა უნდა გამდიდრებულიყო რაიმეს მოპოვებით. ა-მ მიიღო სარგებელი ჰამბურგიდან ნიუ-იორკში გადაყვანით – „რაიმე“. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მიღებულ „რაიმედ“ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის მიხედვით მიიჩნია დაზოგილი დანახარჯები. დაზოგილი დანახარჯები კი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს გამდიდრებას, თუ მიმღებს იგივე სარგებლის მოსაპოვებლად საკუთარი ჯიბიდან მოუწევდა ხარჯების გაღება.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სამართლიანად არის გაკრიტიკებული იურიდიულ ლიტერატურაში. დღესდღეობით გაბატონებული მოსაზრებით, კონდიქციური მოთხოვნის საგანს წარმოადგენს არა გამდიდრება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არამედ „მიღებული რაიმე“ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით. ეს გამომდინარეობს თვითონ კანონის ტექსტიდან – გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ელ წინადადებაში ნახსენებია „რაიმე“ და გსკ-ის 818-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნახსენებია „მიღებული“. კანონმდებელი მხოლოდ კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების შემოსაზღვრისას (გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი) იყენებს „გამდიდრების“ ცნებას – გამდიდრების ცნება მნიშვნელობას იძენს არა მიღებულის, არამედ მიღებულის უკან დაბრუნების ფარგლების განსაზღვრისას, რის გამოც თავდაპირველად მიღებული არის არა დაზოგილი თანხა, არამედ უშუალოდ გადაფრენა.

*იგივე გადაწყვეტის გადმოტანა მიზანშეწონილია ასევე ქართულ სამართალშიც. ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მიღებულის განსაზღვრა სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით და პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა სსკ-ის 979-ე მუხლის მიხედვით. მიღებული არის არა დაზოგილი დანახარჯები, არამედ ავიაგადაყვანა. არის თუ არა მიმღები ჯერ კიდევ გამდიდრებული ამ ავიაგადაყვანით, ეს ცალკე საკითხია და წამოიჭრება მხოლოდ პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრის ეტაპზე სსკ-ის 979-ე მუხლის შესაბამისად.*

### 2. შესრულებით

ა-ს რაიმე უნდა მოეპოვებინა ბ-ს შესრულებით, ანუ ბ-ს მხრიდან მისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შეცვებით. შესრულების განსაზღვრად გადამწყვეტია მიმღების თვალსაზრისით, ანუ ის, თუ როგორ უნდა აღექვა მას მეორე მხარის მოქმედება. ა-მ იცოდა, რომ ბ მას არ მისცემდა საშუალებას ესარგებლა თვითმფრინავით ბილეთის შეძენის გარეშე. მიუხედავად ამისა, მოცემული შემთხვევის გადაწყვეტისას გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაუშვა ბ-ს შესრულება. ეს გადაწყვეტა სავარაუდოდ ემყარება ე. წ. „შესრულების გენერალური ნების“ თეორიას, რომლის მიხედვითაც ავიაგადაყვანს აქვს ნება შეასრულოს ბორტზე მყოფი ყველა მგზავრის წინაშე (ისევე როგორც მაგ. ავტობუსით გადაყვანის შემთხვევაში).

ეს მოსაზრება დღესდღეობით აღარ არის გაბატონებული. იმის გამო, რომ ა ვერ აღიქვამდა ავიამომსახურებას როგორც ბ-ს შესრულებას მის წინაშე, გამოირიცხება ამ სარგებლის შესრულებით მიღება და მასთან ერთად ა-ს შესრულების კონდიქციით პასუხისმგებლობა.

### V. მოთხოვნა გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ეს 1-ლი ნაწილის) შესაბამისად – ხელყოფის კონდიქცია

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-ს მიმართ მოთხოვნა ჰამბურგიდან ნიუ-იორკში ფრენის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 982-ეს 1-ლი, 984-ეს 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი) შესაბამისად. ხელყოფის კონდიქციის წინაპირობებია:

### 1. „რაიმეს“ მოპოვება

როგორც ზემოთ ვახსენეთ, რაიმეს მოპოვება სახეზეა ავიაკომპანიის მიერ ა-ს ჰამბურგიდან ნიუ-იორკში გადაყვანით.

*მართალია, საქართველოში სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი საერთოდ არ საუბრობს რაიმეს მოპოვებაზე და საუბრობს*

ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ სიტყვა “ზიანის” ხსენება ამ დანაწესში გაუგებრობის შედეგია. კონიგის კანონპროექტში, რომლის მიხედვითაც არის შექმნილი ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, საუბარია სამართლებრივი სიკეთეების განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების, ან სხვა საშუალებით ხელყოფის შემდეგ მისი ღირებულების ანაზღაურებაზე.

ის, რომ ხელყოფის კონდიქციის გამოყენების წინაპირობასაც წარმოადგენს ხელყოფის მიერ რაიმეს მოპოვება ცალსახაა სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომელიც ახსენებს გამდიდრებას და ამგვარად მიუთითებს სსკ-ის 979-ე მუხლზე, სადაც განმარტებულია, თუ რა არის გამდიდრება. გამდიდრება პირველ რიგში არის მიღებული და ყველა სხვა ტიპის გამდიდრება (მაგ. დაზოგილი ხარჯები მიღებულის არარსებობის შემთხვევაში) მისგან არის ნაწარმოები. ღირებულების ანაზღაურება მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია. ხელყოფის კონდიქციაც შესრულების კონდიქციის მსგავსად თავდაპირველად მიმართულია მიღებულის დაბრუნებისაკენ. ვინც სხვის ნივთზე მფლობელობას მიითვისებს, უნდა დააბრუნოს ის ნატურით – ანუ უნდა დააბრუნოს ნივთი და არა მისი ღირებულება.

## 2. ხელყოფით

განსხვავებით შესრულების კონდიქციისაგან, ხელყოფის კონდიქციის წინაპირობას წარმოადგენს რაიმეს მოპოვება ხელყოფით, ანუ სხვისათვის მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთის მითვისებით. ჩვეულებრივ, გერმანიაში ხელყოფით მიღებულად ითვლება ყველაფერი ის, რაც მიღებული არ არის შესრულებით.

განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც ვსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებიდან მხოლოდ შესრულებისა და არაშესრულების კონდიქციებს შორის განსხვავება იკითხება და ამ უკანასკნელის ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს შესრულების კონდიქციისაგან განსხვავებული ყველა კონდიქცია, საქართველოში კანონმდებელმა არაშესრულების კონდიქციები

(ხელყოფის – სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, დანახარჯებისა – სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და რეგრესის – სსკ-ის 986-ე მუხლი) ცალ-ცალკე მოაწესრიგა. შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციის ცნება საქართველოში ვსკ-ის 982 გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე არაშესრულების კონდიქციის ცნება გერმანიაში. მხოლოდ იმის დადგენით, რომ მიმღებს მიღებული არ მიუღია შესრულებით ვერ შემოვიფარგლებით, იმიტომ, რომ შესრულებით არ არის მიღებული, როგორც ხელყოფის, ისე დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციის შემთხვევა. ამის გამო, საქართველოში უპრობლემო შემთხვევებშიც უნდა მოხდეს 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ხელყოფის განსაზღვრა. ხელყოფა სახეზეა იმ სამართლებრივი სიკეთის მითვისებისას, რომლის ეკონომიკური გამოყენების უფლებასაც მართლწესრიგი კონდიქციის მფლობელს ანიჭებდა.

მოცემულ შემთხვევაში ა-ს ავიაგადაყვანა არ მიუღია ბ-ს შესრულებით, მან ის თვითონ მიითვისა ბ-ს მომსახურებით დაუკითხავად სარგებლობის გზით. ხელყოფა სახეზეა.

## 3. ბ-ს ხარჯზე

არ არის აუცილებელი, რომ ხელყოფის მეშვეობით რაიმეს მოპოვებამ გამოიწვიოს კონდიქციის კრედიტორის გალარიბება – კონდიქციური მოთხოვნა, განსხვავებით დელიქტურისაგან, ემსახურება არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ ქონების უსაფუძვლო წანაცვლების უკუქცევას. შესაბამისად, წინაპირობა “სხვის ხარჯზე” ემსახურება ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მფლობელის იდენტიფიცირებას – მართლწესრიგი უნდა აკუთვნებდეს სხვა პირს ხელყოფილი სიკეთის გამოყენების უფლებას.

წარსულში გერმანიაში გაბატონებულ მოსაზრებით (“მართლწინააღმდეგობის თეორია”) ხელყოფის კონდიქციის საფუძველს წარმოადგენდა ხელყოფის მართლწინააღმდეგობა. ამის საწინააღმდეგოდ დღესდღეობით გაბატონებულია “მიკუთვნებული სიკეთის თეორია”: უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, განსხვავებით დელიქტური სამართლისაგან, გადამწყვეტია არა მართლწინააღმდეგო ქმედების კორექცია, არამედ ქონების გადაღინების საფუძვლიანობა-უსაფუძვლობა, რაც წარმოად-

გენს ამ ქონების წანაცვლების უკუქცევის მიზეზს. შესაბამისად. ხელყოფის დასადგენად აუცილებელია განისაზღვროს თუ ვის აკუთვნებდა სამართალი გადადინებულ სიკეთეს და არა ის, იყო თუ არა ხელყოფა მართლსაწინააღმდეგო. ხელყოფის კონდიქციის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ერთი პირის მიერ მეორისათვის მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთის მითვისება. სხვისათვის მიკუთვნებული სიკეთე არის სიკეთე, რომლის ექსკლუზიური ფლობისა და სარგებლობის უფლებას ფლობს სხვა პირი, რისი განსაზღვრის მასშტაბიცაა გსკ-ის 823-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 992-ე და შემდგომი მუხლების) შესაბამისად დაცული აბსოლუტური სიკეთეები. მართლწესრიგი ამ სიკეთეს უნდა აკუთვნებდეს პირს აბსოლუტურად და იცავდეს მას მესამე პირთა მხრიდან ყოველგვარი ხელყოფისაგან. აუცილებელია, რომ ეს უფლება იყოს ქონებრივი ხასიათის – შესაძლებელი იყოს მისი კომერციული ზაცია, ანუ მას შეესატყვისებოდეს ფულადი ექვივალენტი. გადამწყვეტი არ არის შეძლებდა თუ არა უფლებმოსილი პირი მის კომერციული ზაციას კონკრეტულ შემთხვევაში და ჰქონდა თუ არა მას ამის სურვილი. მნიშვნელოვანია მხოლოდ, რომ ხელყოფილი სამართლებრივი პოზიცია ატარებდეს ქონებრივ ხასიათს.

ბ-ს ავიამომსახურების უსასყიდლოდ მიღებით ა-მ ჩაიდინა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება, დაარღვია ნორმა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი), რომელიც იცავდა ბ-ს და აკუთვნებდა მას ა-ს მიერ ხელყოფილ სიკეთეს. სამართლებრივი სიკეთის მიკუთვნება შესაძლებელია ასევე სისხლის სამართლებრივი ნორმით, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვის აქვს განსაზღვრული სიკეთის ექსკლუზიური ფლობისა და გამოყენების უფლება. ა-მ ხელყო ბ-სათვის მიკუთვნებული უფლება.

#### 4. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

„მიკუთვნებული სიკეთის თეორიის შესაბამისად“ მიღებულის შენარჩუნებისათვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, თუ ქონებრივი პოზიციის მიღება ეწინააღმდეგება ამ პოზიციითა მატერიალურ-სამართლებრივ მიკუთვნებას – ანუ სამართალი ამ

პოზიციას აკუთვნებს ერთ პირს და ის კი მეორესთან აღმოჩნდება. მხოლოდ ა-ს აქვს უფლება ივაჭროს თავისი ავიამომსახურებით. ბ-ს არ ჰქონდა უფლება ა-ს ხარჯზე მისი ნებართვის გარეშე გაფრენილიყო ნიუ-იორკში.

### 5. მოთხოვნის ფარგლები

#### 5.1. ღირებულების ანაზღაურება

გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, ხელყოფის კონდიქციის, ისევე როგორც შესრულების კონდიქციის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მიღებულის დაბრუნება, რაც მოცემულ შემთხვევაში მისი არამატერიალური ხასიათიდან გამომდინარე გამორიცხულია. ამ დროს მიმღებმა უნდა ანაზღაუროს მისი ღირებულება, გსკ-ის 818-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ღირებულების ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმით და მოცემულ შემთხვევაში შეესატყვისება ბილეთის ფასს.

ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება ხელყოფის კონდიქციით პასუხისმგებლობისას საქართველოში გამომდინარეობს სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და არა უშუალოდ სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან. მართალია, სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ელ ნაწილში საუბარია “ზიანის” ანუ ღირებულების (იხ. ზემოთ ა.V. 1) ანაზღაურების შესახებ, მაგრამ ეს ნორმა არ გამოგვადგება მიღებულის დასაბრუნებელი ღირებულების განსაზღვრად. ის საუბრობს უფლებამოსილი პირის სამართლებრივი პოზიციების ხელყოფის შედეგად მისი შემცირებული ქონების ღირებულების დაბრუნებაზე, რაც კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისას გადამწყვეტი არ არის. კონდიქციური მოთხოვნით პასუხისმგებლობისას (კეთილსინდისიერი) მიმღები, მიღებულის ნატურით დაბრუნების შეუძლებლობისას, აბრუნებს მხოლოდ იმ გამდიდრების ღირებულებას, რომლითაც ჯერ კიდევ გამდიდრებულია. შესაბამისად, სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა წავიკითხოთ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის მსგავსად, როგორც ხელყოფის კონდიქციის გენე-

რალური დათქმა, რომლის მიხედვითაც ბრუნდება ხელყოფით მოპოვებული "რაიმე". ხოლო თუ რა მოცულობით ანაზღაურდება ამ "რაიმეს" ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულება, გამომდინარეობს უკვე სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლების ურთიერთკავშირიდან.

### 5.1. ღირებულების ანაზღაურებისაგან გათავისუფლება გამდიდრების არარსებობის გამო

ა გათავისუფლება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულები-საგან, თუ ის აღარ არის გამდიდრებული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი (სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თვითმფრინავში აპარვის გარეშე ა არ გაფრინდებოდა ნიუ-იორკში, რადგან ეს მისი ჯიბისათვის მიუწვდომელ ფუფუნებას წარმოადგენდა. ავია-მომსახურებით ა-ს არ დაუზოგავს ხარჯები, რომელთა გაღება მას ისედაც მოუწევდა, შესაბამისად, ის აღარ არის გამდიდრებული, არ დალექილა რა მიღებული მის ქონებაში დადებითი ნაშთის სახით.

### 5.3. გამკაცრებული პასუხისმგებლობა

ა ვერ მიუთითებს გამდიდრების არარსებობაზე, თუ ის პასუხს აგებს გამკაცრებულად გსკ-ის 819-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და 818-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის (სსკ-ის 984-ე მუხლის-1-ლი და 985-ე მუხლის) შესაბამისად.

სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ თუ ხელმყოფმა იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა, იგი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება, მაშინაც კი, თუ ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. სსკ-ის 985-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი ის ანაზღაურებს ასევე მოგებას, რომელიც აღემატება მეორე მხარის ქონებრივ დანაკლისს.

მ-მ იცოდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება ესარგებლა ბ-ს ავიამომსახურებით, ბილეთის ყიდვისა და ნარდობის ხელშეკრულების

დადების გარეშე. თუმცა გაფრენის მომენტისათვის ა იყო არასრულწლოვანი, რის გამოც საკითხავია, თუ ვისი ცოდნაა გადამწყვეტი გსკ-ის 819-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით – უშუალოდ არასრულწლოვნის, თუ მისი მშობლების გსკ-ის 1626-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და 1629-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი ნინადადების (სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის) შესაბამისად. თუ მშობლების ცოდნას მივიჩნევთ გადამწყვეტად, მაშინ ა არ იქნებოდა არაკეთილსინდისიერი და არ აგებდა პასუხს გამკაცრებული რეჟიმით, რადგან მშობლებმა შვილის ვოიაჟის შესახებ არაფერი იცოდნენ.

გერმანულმა ფედერალურმა სასამართლოს მოცემული შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ ა შესრულების კონდიციით აგებდა პასუხს) გადამწყვეტად მიიჩნია არასრულწლოვნის დელიქტუარიანობა, იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი სარგებელს მოიპოვებს განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ა-ს ჰქონდა მისი ქმედების შედეგებისა და მართლწინააღმდეგობის წინასწარ განჭვრეტის უნარი გსკ-ის 828-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად. განზრახ ჩაიდინა რა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265(ა) პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დამცავ კანონს გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მას არ აქვს უფლება მიუთითოს გამდიდრების არარსებობაზე და უნდა აანაზღაუროს გადაფრენის ხარჯები. ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში – გაუმართლებელია დელიქტური პასუხისმგებლობისა და კონდიქციური პასუხისმგებლობის ერთი და იმავე თარგზე გამოჭრა. დელიქტური სამართალი გაცილებით მეტად იცავს დაზარალებულს, ვიდრე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი კონდიქციური უფლების მქონეს. ამ უკანასკნელის მიზანს წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონების უსაფუძვლო ნანაცვლების უკუქცევა<sup>32</sup>. კონდიქციურ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრი დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს დაზარალებული პირისათვის ზიანის მიყენება. თუ დელიქტური პასუხისმგებლობა გამოირიცხება ზიანის არარსებობისა და გამო, მაშინ პირის ინტერესები არ იმსახურებს იმგვარ დაცვას, როგორც ზიანის მიყენებისას.

განსხვავებულ გზას ირჩევს იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონ-32 LOOSCHELDERS, Schuldrecht BT, Rn. 1119.

ნებული მოსაზრება ამ ტიპის შემთხვევების გადანყვეტისას: თუ არასრულწლოვანი შესრულების კონდიქციით აგებს პასუხს, მაშინ გამოიყენება გსკ-ის 166-ე პარაგრაფი ანალოგიით და გადამწყვეტია კანონიერი წარმომადგენლის ცოდნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არასრულწლოვანი პასუხს აგებდა იმ (არანამდვილი) ხელშეკრულების შედეგებისათვის, რომლისგანაც სწორედ რომ უნდა დაიცვას ის კანონმა (გსკ-ის 106-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 63-ე და შემდგომი მუხლები). შესრულების კონდიქცია წარმოადგენს რა სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებასა ე. წ. ხელშეკრულების მსგავს ურთიერთობას, იმეორებს მთელ რიგ ნამდვილ სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ პრინციპებს. მათ შორის მიზანშეწონილია ხელშეკრულების წარმომადგენლობის მეშვეობით დადების ინსტიტუტის დანაწესის გავრცელება ამ შემთხვევაზეც.

განსხვავებულად უნდა გადანყვეტოს არასრულწლოვნის ხელყოფის კონდიქციით პასუხისგების შემთხვევა. ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენს არა ხელშეკრულების, არამედ დელიქტური ურთიერთობის მსგავს ურთიერთობას, იცავს რა სამართლებრივ სიკეთეებს ისევე აბსოლუტურად ხელყოფისაგან, როგორც დელიქტური სამართალი. შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციით პასუხისმგებლობისას უნდა გამოვიყენოთ დელიქტუარიანობის განმსაზღვრავი ნორმა, გსკ-ის 828-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი (სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადება), რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი პასუხს აგებს, თუ ფლობს საკუთარი ქმედების, რომელიც იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას, შედეგების განჭვრეტის უნარს. დელიქტური პასუხისმგებლობისას გადამწყვეტია არასრულწლოვნის ცოდნა და გაცნობიერების უნარი<sup>33</sup>.

ორივე მოსაზრების მიხედვით, ა-ს არ შეუძლია მიუთითოს გამდიდრების არარსებობაზე, რადგან მან უსაფუძვლო სარგებელი – ნიუ-იორკში გადაფრენა – მოიპოვა ხელყოფით და ამავე დროს ფლობდა დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელ განჭვრეტის უნარს გსკ-ის 828-ე პარაგრაფის (სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილის) მიხედვით.

თუმცა, ისევე როგორც გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მოსაზრებას, ლიტერატურაში გამოთქმულ ამ მოსაზრებასაც ჰყავს

33 MünchKomm/SCHWAB, § 819 Rn. 8; Palandt/SPRAU, § 819 Rn. 4.

თავისი ოპონენტები<sup>34</sup>. გასათვალისწინებელია, რომ ა თავისი არასრულწლოვნების გამო ვერ დადებდა ბ-სთან ავიაგადაყვანის ხელშეკრულებას (გსკ-ის 106-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 63-ე და შემდგომი მუხლები). ბ-ს გინდ გაენია ა-სათვის ავიაგადაყვანა ამ არანამდვილი ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში, ა მაინც არ იქნებოდა ვალდებული აენაზღაურებინა ბ-სათვის გადაფრენის ხარჯები, არც ხელშეკრულებიდან და არც უსაფუძვლო გამდიდრებიდან, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ა-მ სარგებელი მოიპოვა არა ბ-ს შესრულებით, არამედ ხელყოფით, მაშინ ის გსკ-ის 828-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით ანაზღაურებს მიღებული სარგებლის ღირებულებას. ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავება გაუმართლებელია არასრულწლოვნის დაცვის ინსტიტუტიდან გამომდინარე – თუ მას არ შეუძლია თავი დაივალდებულოს ხელშეკრულებით, მას ასევე არ უნდა ჰქონდეს საშუალება თავი დაივალდებულოს სხვისი ქონების ხელყოფით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სხვისი ქონების პირდაპირი მითვისებით არასრულწლოვანი დელიქტს იდენს. არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის დასაშვებია, თუ ის დელიქტუარიანია, მაგრამ ამ ზიანის გარეშე კონდიქციური პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, მიუხედავად დელიქტუარიანობისა. გამკაცრებული კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლებში ცოდნა-არცოდნისათვის ყოველთვის გადამწყვეტი უნდა იყოს მშობლების ცოდნა-არცოდნა, დამოუკიდებლად იმისა, მოიპოვებს არასრულწლოვანი სარგებელს შესრულებით, თუ ხელყოფით.

იმის გამო, რომ ა-ს მშობლებმა არაფერი იცოდნენ ა-ს ავიაგადაყვანის შესახებ, გამოირიცხება ა-ს გამკაცრებული პასუხისმგებლობა გსკ-ის 819-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 818-ე მუხლის მე-4 ნაწილის (სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 985-ე მუხლის) შესაბამისად. ის არ ანაზღაურებს მიღებული სარგებლის ღირებულებას გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 982-ეს 1-ლი ნაწილი, 984-ეს 1-ლი და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით, რადგან ის არ არის გამდიდრებული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად.

34 GIESEN, Jura 1995, 287; LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 73 II 2 a.

**შედეგი:** ბ-ს არ შეუძლია მოსთხოვოს ა-ს ჰამბურგიდან ნიუ-იორკში გადაფრენის საფასურის ანაზღაურება.

## **ბ. ნიუ-იორკიდან მიუნხენში გადმოფრენის საფასური**

### **I. მოთხოვნა გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 668-ე მუხლის) შესაბამისად**

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა ა-ს მიმართ მიუნხენში გადმოფრენის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 668-ე მუხლის) შესაბამისად.

ჰამბურგიდან ნიუ-იორკში გადაფრენისაგან განსხვავებულად უნდა გადაწყდეს ნიუ-იორკიდან მიუნხენში გადმოფრენის შემთხვევა. ავიაკომპანიის წარმომადგენელმა შეადგინა ხელწერილი, რომლითაც ცხადყო ხელშეკრულების დადების ნება. ა-მ ხელი მოაწერა ბ-ს მიერ შედგენილი ხელშეკრულების ტექსტს. თუმცა ეს ხელშეკრულება, როგორც გსკ-ის 106-ე პარაგრაფის (სსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი) მიხედვით არასრულწლოვნის მიერ დადებული არასარგებლიანი ხელშეკრულება (გსკ-ის 107-ე პარაგრაფი, სსკ-ის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ნამდვილობისათვის საჭიროებდა ნებართვას ან მოწონებას (გსკ-ის 182-ე, 184-ე პარაგრაფები, სსკ-ის 99-ე და 101-ე მუხლები) კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან (გსკ-ის 1629-ე პარაგრაფი, სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს არც ნებართვა და არც მოწონება მშობლების მხრიდან, რის გამოც გარიგება არანამდვილია და გამოირიცხება სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება.

### **VI. მოთხოვნა გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების) შესაბამისად**

ბ-ს, როგორც შემსრულებელს, შეიძლება ჰქონდეს ა-საგან, როგორც მეპატრონისაგან, გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლები) შესაბამისად ნიუ-იორკიდან ფრანკფურტში გადაფრენის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ სახეზეა სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება.

## **1. სახელშეკრულებო მოთხოვნის გამოირიცხვა**

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენებისათვის აუცილებელია ბ-ს ემოქმედა დავალების გარეშე და არ ყოფილიყო ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებული გადმოფრენა ა ნიუ-იორკიდან მიუნხენში. მართალია, ბ-მ ა-ს დააწერინა ხელწერილი, რომლითაც ამ უკანასკნელმა იკისრა მგზავრობის ხარჯები და ამით გამოხატა თავისი ნება ავიაგზავრების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, რასაც მოყვა ბ-ს საპასუხო თანხმობა ა-ს სახელზე ბილეთის დამზადებით, მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ იქნება ნამდვილი ა-ს არასრულწლოვნებისდა გამო (იხ. ზემოთ ბ.1).

## **2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენების დასაშვებობა**

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არანამდვილია, ბ მაინც მოქმედებდა ამ არანამდვილი ხელშეკრულების შესრულების მიზნით. უნდა მოხდეს თუ არა არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების მიხედვით, თუ შესრულების კონდიქციით, კამათის საგანია<sup>35</sup>. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული ერთ-ერთი მოსაზრება გამოირიცხვას ამ დროს შესრულების კონდიქციის გამოყენებას, რადგან ამგვარად გვერდი არ ავუაროთ უსაფუძვლო შესრულების უკუქცევისათვის შექმნილ სპეციალურ დანაწესებს – გსკ-ის 814-ე, 815-ე, 817-ე პარაგრაფები (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა)-გ) ქვეპუნქტები). ეს დანაწესები მთელ რიგ შემთხვევებში გამოირიცხავენ შესრულების კონდიქციის გამოყენებას. ამ დროს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენება გამოინვევდა შემსრულებლის პრივილეგიერებას.

ხსენებულ მოსაზრებას უპირისპირდება გერმანიის ფედერალური სასამართლოსა<sup>36</sup> და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული არაგაბატონებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საქმეების შესრულება გამოიყენება და სულაც გამოირიცხავს კონდიქციურ

<sup>35</sup> BUCK-HEEB, Examenskurs Repetitorium besonderes Schuldrecht II, § 4 Rn. 26 und § 16 Rn. 339 ff. Seadare kazusi .....

<sup>36</sup> BGH NJW 1997, 48.

მოთხოვნას. თუ სახეზეა სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულების წინაპირობები, მაშინ შემსრულებელი არ უნდა დაზარალებს იმის გამო, რომ არსებობდა არანამდვილი ხელშეკრულება. გსკ-ის 812-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 976-ე მუხლისა და შემდგომი მუხლების) გამოყენება გამოირიცხება, რადგან სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს.

### 3. სხვისი საქმის შესრულება

საქმეების შესრულებიდან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს სხვისი საქმის გაძღოლა. ბ-ს უნდა შეესრულებინა ა-ს საქმე. ობიექტურად სხვისი, ანუ საქმე, რომელიც თავისი ობიექტური გამოვლინებით სხვა პირის სამართლებრივ და ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება, ყოველ მიზეზ გარეშე წარმოადგენს სხვის საქმეს.

ნიუ-იორკიდან მიუნხენში დაბრუნება წარმოადგენდა ა-ს საქმეს, რომელსაც უარი უთხრეს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შესვლაზე – სხვა გამოსავლის არარსებობის გამო უნდა ეზრუნა სამშობლოში დაბრუნებაზე. მართალია, ა-ს სამშობლოში გადმოფრენისას ბ-ს თავი მიაჩნდა ვალდებულად ავიაგამოსახურების ხელშეკრულებიდან, თუმცა საკუთარი სავარაუდო ვალდებულების შესრულების ფარგლებში მოქმედება ამ შესრულებას არ აქცევს საკუთარ საქმედ, არამედ მხოლოდ „ასევე სხვის საქმედ“, რაც საკმარისია გსკ-ის 677-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და შემდგომი მუხლების) მიხედვით.

### 4. სხვისი საქმის შესრულების ნება

სხვისი საქმის შესრულების ნება აქვს მას, ვისაც გაცნობიერებულ აქვს, რომ ხელს კიდებს სხვის საქმეს (კოგნიტიური ელემენტი, გსკ-ის 687-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 975-ე პარაგრაფი) და აქვს მისი შესრულების ნება (ნებელობითი ელემენტი, გსკ-ის 687-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). ობიექტურად სხვისი და „ასევე სხვისი საქმის“ შესრულებისას სხვისი საქმის შესრულების ნება იგულისხმება.

### 5. დავალების ან სხვა უფლებამოსილების გარეშე

საქმეების შესრულებიდან ბ-ს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, თუ ის სხვის საქმეს გაუძღვა დავალები-სა ან სხვა უფლებამოსილების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ს თავი ვალდებულად მიაჩნდა ა-სთან დადებული ავიაგადაყვანის ხელშეკრულებიდან, ეს ხელშეკრულება ა-ს მცირეწლოვნების გამო არანამდვილი იყო. ბ არ იყო ვალდებული გადმოეფრინა ა ნიუ-იორკიდან მიუნხენში. ასევე გამოირიცხება მისი სხვა არასახელშეკრულებო საფუძველი ა-ს გადმოფრენასთან დაკავშირებით, როგორცაა ზოგადი დახმარების ვალდებულება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 323(c) პარაგრაფის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის) მიხედვით.

### 6. მეპატრონის ინტერესებისა და ნების შესაბამისად

საქმეების შესრულების შემდეგი წინაპირობაა ამ შესრულების შესაბამისობა მეპატრონის ნამდვილ ან ჰიპოთეტურ ნებასთან (გსკ-ის 683-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საქმის შესრულება მეპატრონის ინტერესებშია, თუ ის მისთვის ობიექტურად სარგებლის მომტანია საქმის შესრულების დაწყების მომენტში. მოცემულ შემთხვევაში ა-სათვის ნიუ-იორკიდან სახლში დაბრუნება იყო ცალსახად სარგებლიანი.

რაც შეეხება ა-ს ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, ნამდვილი ნება მას არ განუცხადებია, შესაბამისად, გადამწყვეტია მისი სავარაუდო ნება. სავარაუდო ნება განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმების მეშვეობით, როგორც მას განაცხადებდა მეპატრონე საქმის შესრულების დაწყებისას, ამის საშუალება რომ მისცემოდა. ჩვეულებრივ, ობიექტურად სარგებლიანი საქმე შეესატყვისება ასევე მეპატრონის ნებას. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მეპატრონე ქმედუნარიან ან შეზღუდულად ქმედუნარიანი, საკითხავია, თუ ვისი ნებაა გადამწყვეტი – თვითონ არასრულწლოვნის, თუ მისი კანონისმიერი წარმომადგენლის<sup>37</sup>. სწორი მოსაზრების მიხედვით, გადამწყვეტია არასრულწლოვნის წარმომადგენლის ნება, რადგან არ მოხდეს არასრულწლოვნის დაცვის ინსტიტუტის გვერდის ავლა იმგვარად, რომ მესამე პირმა მიანიჭოს მას სარგებელი მშობლების

37 BUCK-HEEB, Examenskurs Repetitorium besonderes Schuldrecht II, § 5 Rn 57.

ნების სანინალმდეგოდ და მოითხოვოს შემდეგ ამისათვის გასამრჯელო დავალების გარეშე სხვისი საქმეების წესების შესაბამისად. ა-ს მშობლებმა მოგვიანებით უარი განაცხადეს მოენონებინათ და გადაეხადათ უკან ფრენის საფასური, თუმცა საქმის შესრულების ფარგლებში ნებასთან შესაბამისობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია საქმის შესრულების დაწყების მომენტი. ამ მომენტში ა-ს მშობლებს საკუთარი ნება არ გამოუხატავთ, ამიტომაც გადამწყვეტია მათი ჰიპოთეტური ნება. იმის გამო, რომ ა-ს უარი უთხრეს ამერიკაში შესვლაზე, მას შეიძლებოდა დამუქრებოდა ხანმოკლე პატიმრობა, დეპორტაცია და ა. შ., რისი თავიდან აცილების გამოც ავიაკომპანიის მიერ ა-ს უკან გადმოფრენა შეესაბამებოდა ბ-ს მშობლების ჰიპოთეტურ ნებას.

## 7. შედეგი

სახეზეა დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება. ა-ს აქვს ბ-საგან გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების) შესაბამისად განეული დანახარჯების მოთხოვნის უფლება ისე, როგორც დავალებულს. თუმცა დავალების ხელშეკრულების მსგავსად დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება არის უსასყიდლო ურთიერთობა. დავალებულს და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს შეუძლიათ მიიღონ ანაზღაურება განეული დანახარჯებისათვის, მაგრამ არ ეკუთვნით გასამრჯელო განეული სამუშაოსათვის (შეადარე კაზუსი „კეთილი ტაქსისტი“). თუმცა გაბატონებული მოსაზრების<sup>38</sup> თანახმად, ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც შემსრულებელი ასრულებს თავის პროფესიულ საქმიანობას. მაშინ მას აქვს უფლება მოითხოვოს ასევე განეული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება გსკ-ის 1835-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. ა-მ უნდა აუნაზღაუროს ბ-ს გადმოფრენის საფასური დავალების გარეშე სხვისი საქმეების წესების შესაბამისად.

## IV. მოთხოვნა გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი ნინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად – შესრულების კონდიქცია

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-საგან ნიუ-იორკიდან ჰამბურგში გამოფრენის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნა შესრულების კონდიქციით, თუმცა გერმანიის ფედერალური სასამართლოს მოსაზრების მიხედვით, კონდიქციური მოთხოვნა გამოორიცხულია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული შენარჩუნების სამართლებრივ საფუძველს. თუმცა განსხვავებული მოსაზრებაა გაბატონებულ იურიდიული ლიტერატურაში (იხ. ზემოთ გვ.31), რომლის გაზიარების შემთხვევაშიც ბ-ს ექნება ა-საგან მგზავრობის ხარჯების შესრულების კონდიქციით მოთხოვნის უფლება, რადგან მისი ყველა ნინაპირობა სახეზეა და ა ველარ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არ არის გამდინდრებული, გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 985-ე მუხლის 1-ლი და 979-ე მუხლის მე-3 ნაწილების) მიხედვით – განსხვავებით ნიუ-იორკში გადაფრენისაგან, მიუნხენში უკან გადმოფრენა ა-სათვის, რომელსაც უარი უთხრეს ქვეყანაში შესვლაზე, იყო აუცილებელი და ბ-ს მიერ მისი განხორციელებით მან ნებისმიერ შემთხვევაში დაზოგა ამ გადმოფრენის ხარჯები. ა-მ უნდა აუნაზღაუროს ბ-ს გადმოფრენის საფასური შესრულების კონდიქციით.

<sup>38</sup> MünchKomm/SEILER, § 683 Rn. 24.

## VI. შესრულების კონდიცია და ხელშეკრულების არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმის მიზანი

გერმანიაში არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმის მიზნის ზემოქმედება შესრულების კონდიციაზე მოწესრიგებულია გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებაში. თუ შესრულების მიმღები ამ შესრულების მიღებით არღვევს კანონს, მაშინ მან უკან უნდა დააბრუნოს შესრულება. უკან დაბრუნება გამოირიცხება, თუ შემსრულებელსაც მიუძღვის ბრალი კანონის დარღვევაში. მოცემული პარაგრაფის ეს მე-2 წინადადება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ 1-ლი წინადადების გამომრიცხავ დანაწესს წარმოადგენდა, დღესდღეობით გამოიყენება როგორც ზოგადად შესრულების კონდიციის გამომრიცხავი წესი<sup>39</sup>. შესრულების კონდიციას ვერ გამოვიყენებთ, თუ შესრულების უკან მოთხოვნა ეწინააღმდეგება იმ ნორმის მიზანს, რომლის საფუძველზეც გარიგება არანამდვილად იქნა ცნობილი. ქართველმა კანონმდებელმა კონიგის კანონპროექტის საფუძველზე ეს ნორმა უფრო ზუსტად გადმოიღო სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტში და პირდაპირ განავრცო მისი მოქმედება ყველა შესრულების კონდიციაზე. ამ დანაწესის გარეშე მთელი რიგი არანამდვილი ხელშეკრულებების შემთხვევებში მივიღოდით იმავე შედეგამდე, რაც მათი ნამდვილობისას.

<sup>39</sup> WANDT, Gesetzliche Schuldverhältnisse, 134.

## გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§817. კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევა.** თუ ვალდებულების შესრულების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შესრულების მიმღებმა მისი მიღებით დაარღვია კანონის ან ზნეობის ნორმები, მაშინ მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს მიღებული. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ასეთ დარღვევაში ბრალი მიუძღვის შემსრულებელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულება მდგომარეობდა ვალდებულების კისრებაში; ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

**§134. კანონით დადგენილი აკრძალვა.** გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას, ბათილია, თუ კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი არ გამომდინარეობს.

**§138. ამორალური გარიგება; მევასშეობა.** (1) გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ბათილია. (2) კერძოდ, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელიობით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისა.

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 976. ვითომ-კრედიტორი-საგან მოთხოვნის საფუძველები.** .... 2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: .... დ. მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

**მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი.** ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

**მუხლი 55. გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო.** 1. გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით) (აძოღებულია).

**მაგალითი:** ვასილ ლობჯანიძემ (ვ. ლ.), მას შემდეგ, რაც კლიენტის შეურაცხყოფისათვის “ვეშაპიძე და პატრნიორების” საადვოკატო ბიუროდან გამოუშვეს, სამუშაო იპოვა ნაძალადევის რაიონის გამგეობაში. ამასთან ერთად საკუთარ ეზოში გახსნა საადვოკატო ბიურო “ლობჯანიძე და პატრნიორები” და სამუშაოსაგან თავისუფალ დროს დაკავებულია საადვოკატო საქმიანობით. ქალბატონი ლეილა, რომელიც მოიხიბლება ვასილის ორმაგი “პროფილით”, მიიღებს მისგან შესაბამის კონსულტაციას, თუმცა მას შემდეგ, რაც არც კონსულტაცია გამოადგება არაფერში და ვასილის მხრიდან უხეშობითაც თავს დამცირებულად გრძნობს, აინტერესებს არის თუ არა ვალდებული გადაუხადოს მას შესაბამისი გასამრჯელო.

ვ. ლ.-ს შეიძლება ჰქონდეს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიციით. თუმცა ამ შემთხვევაში დადგებოდა იგივე (ან თითქმის იგივე) შედეგი, რაც ხელშეკრულების ნამდვილობისას. ადვოკატი კანონის ნორმის გვერდის ავლით გაუნევედა კლიენტებს მომსახურებას და შემდეგ კი მოითხოვდა მიუხედავად ხელშეკრულების არანამდვილობისა ამ მომსახურების ობიექტურ ღირებულებას შესრულების კონდიციით.

მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არანამდვილია, რადგან ის ეწინააღმდეგება საქართველოს ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 მუხლს (გსკ-ის 134-ე პარაგრაფი, სსკ-ის 54-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი), თუმცა შესრულების კონდიციის გამოსარიცხად გვჭირდება დამატებით ნორმის მიზნის გამოკვლევა. ნორმის მიზანს წარმოადგენს ინტერესთა კოლიზიის გამორიცხვა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ ადვოკატი ამავდროულად საჯარო მოხელეც იქნებოდა. ამისათვის აუცილებელია ადვოკატებსა და საჯარო მოხელეებს მოესპოთ სტიმული ერთმანეთის ფუნქციების შეთავსებისა. სტიმულის მოსპობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ამ ნორმის დარღვევით დადებული გარიგების არანამდვილად ცნობა, თუ ადვოკატს ექნებოდა საშუალება მოეთხოვა განეული სამუშაოს ობიექტური ღირებულება შესრულების კონდიციით. აუცილებელია ამ შესრულების კონდიციის გამორიცხვაც (გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადება, სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი).

**მაგალითი:** ნათიას, რომელსაც მცირეწლოვანი შვილის ოპერაციისათვის სასწრაფოდ სჭირდება ფული, ბანკი “თქვენს გვერდით”, რომელიც შევა მის მდგომარეობაში, დაუმტკიცებს ვალს – 5000 ლარს, თვიური 20%-იანი სასესხო განაკვეთით. ნამდვილია თუ არა სესხის ხელშეკრულება?

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საკმარისს იღებს საკუთარ თავზე, აძლევს რა სესხს ფინანსურად დუხჭირ მდგომარეობაში მყოფ ნათიას, რაც შეიძლება მაღალი საპროცენტო განაკვეთის ერთ-ერთ გამართლებად ჩაითვალოს, თვიური 20% მაინც მკვეთრ შეუსაბამობაშია იმ შესრულებასთან, რასაც ბანკი ამის სანაცვლოდ კისრულობს. ამიტომაც სესხის ხელშეკრულება ბათილი იქნებოდა, როგორც გამყვლეფი გარიგება გსკ-ის 138-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად<sup>40</sup>.

სესხის ხელშეკრულების ბათილობასთან ერთად არ არსებობს საფუძველი სესხად გადაცემული თანხის შენარჩუნებისათვის და ეს თანხა, წესით, უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესის, გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის), შესაბამისად ბანკს უნდა დაუბრუნდეს. თუმცა ეს მოთხოვნის უფლება გამორიცხულია გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადების (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტით) – თუ მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია. მართლაც, სესხის ბათილობასთან ერთად ბანკის მიერ ამ თანხის უკან მოთხოვნა ნათიას ჩააყენებდა უფრო ძვირად მდგომარეობაში, ვიდრე თვითონ მაღალპროცენტოვანი ვალი, რაც ნამდვილად არ შეესაბამება გსკ-ის 138-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის) მიზანს, რომელიც ამ შემთხვევაში ნათიას, როგორც გაყვლეფილი მხარის დაცვას ისახავდა მიზნად.

ვალის უკან მოთხოვნა გამორიცხულია არა სამუდამოდ, არამედ მხოლოდ სესხის ხელშეკრულების სავარაუდო პერიოდის

40 ამჟამად ამ მუხლის წინაპირობები უნდა ამოვიკითხოთ სსკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტში – უზნეო გარიგებებში.

განმავლობაში, რადგან ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა თანხის არა სამუდამოდ შექენა, არამედ მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში ამ თანხით სარგებლობა. მხოლოდ დროებითი სარგებლობა წარმოადგენს გამდიდრების საგანს, რომლის უკან დაბრუნებაც გამორიცხულია ამ დროის განმავლობაში გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებით (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტით). მისი გასვლის შემდეგ მიმღები ვალდებულია დააბრუნოს მიღებული. თანხით სარგებლობის პერიოდისათვის ნათიას უნდა დაეკისროს არა გამყვლეფი პროცენტების, არამედ ამ ტიპის სესხისათვის გავალისწინებული ჩვეულებრივი პროცენტების გადახდა.

**კაზუსი: „ვეზაპიის შავი მუშა“<sup>41</sup>**

უმუშევარი მოზაიკოსი შ, როგორც იქნება იპოვის სამუშაოს ბატონ ზურაბ ვეშაპიძესთან (ზ. ვ.) აბაზანის მომპირკეთებლად. გადასახადების დაზოგვის მიზნით მხარეები შეათანხმებენ, რომ გარიგება არსად არ უნდა დაფიქსირდეს. ოცდლიანი მუშაობის შემდეგ შ, როგორც იქნება, მორჩება სამუშაოს და ამერიკის დამფუძნებელი მამების გამოსახულებით მოპირკეთებულ აბაზანას ჩააბარებს პატრონს. თუმცა ბატონი ვეშაპიძე საფასურის გადახდაზე უარს ამბობს – მისი, როგორც გამოცდილი ადვოკატის, აზრით, ხელშეკრულება არანამდვილია. შ არ იყო დარეგისტრირებული შესაბამისი წესის დაცვით და არ ფლობდა ლიცენზიას, ასევე გარიგება მიზნად ისახავდა გადასახადების დამალვას. შ-ს აინტერესებს შესაძლებს თუ არა განეული სამუშაოსათვის შესაბამისი გასამრჯელოს მიღებას. კაზუსის ამოხსნისათვის დავუშვათ გერმანიის არალეგალური საქმიანობის შესახებ დანაწესების მოქმედება საქართველოშიც.

**გერმანიის კანონი არალეგალური საქმიანობის შესახებ**

**§ 1 კანონის მიზანი**

- 1) კანონის მიზანს წარმოადგენს არალეგალური შრომითი საქმიანობის აკრძალვა.
  - 2) არალეგალური შრომითი საქმიანობით არის დაკავებული ის, ვინც:
    1. ...
    2. თავის საგადასახადო ვალდებულებას მომსახურების ან ნარდობის ხელშეკრულებიდან არ ასრულებს.
  - 3) ...
  - 4) ....
- დაკავებულია მომსახურების ან ნარდობის ფარგლებში სამუშაოს

- 5) განევიტ და უძღვება სანარმოს, რომლის დარეგისტრირებაც აუცილებელია, ისე რომ არ არის შეტანილი ხელოსანთა რეესტრში .....

**§ 8 საჯარიმო დანაწესები**

- 1) მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, ვინც
  1. სანარმოს, რომლის დარეგისტრირებაც აუცილებელია, უძღვება დარეგისტრირების გარეშე
  2. იღებს მნიშვნელოვან შესრულებას იმ პირისაგან, რომელიც ... დაკავებულის შრომითი საქმიანობით და შეგნებულად უგულვებელყოფს პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

<sup>41</sup> კაზუსი და მისი ამოხსნა ნაწილობრივ გადმოღებულია OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre, 362.

## ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

### I. შ-ს მოთხოვნა ზ. ვ.-ს მიმართ გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად

შ-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-ს მიმართ მოთხოვნის უფლება გსკ-ის 631-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია შ-სა და ზ. ვ.-ს დაედოთ ნარდობის ხელშეკრულება. მხარეებმა შეათანხმეს არა მხოლოდ მომსახურების, როგორც ასეთის, გაწევა, არამედ ასევე შედეგის მიღწევა – მოპირკეთებული აბაზანის ჩაბარება, რის გამოც სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება.

თუმცა საეჭვოა ხელშეკრულების ნამდვილობა. ხელშეკრულება შეიძლება არანამდვილი იყოს, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება გსკ-ის 134-ე პარაგრაფის (სსკ-ის 54-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის) შესაბამისად. ამკრძალავი კანონი, რომელიც დაარღვიეს მხარეებმა, შეიძლება იყოს გერმანიის არალეგალური საქმიანობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 და მე-5 ნაწილები და მე-8 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტი. მოცემული კანონი წარმოადგენს ამკრძალავ კანონს, ქმედება აკრძალულია და დანესებულია ჯარიმა მისი ჩადენისათვის. კანონს არღვევდა არა მხოლოდ შესრულების გამწევი, არამედ მისი მიმღებიც, რის გამოც გარიგება არანამდვილი უნდა იყოს, როგორც ორმხრივი კანონდარღვევის საფუძველზე დადებული.

შ-ს არ აქვს ზ. ვ.-ს მიმართ საზღაურის გადახდის სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება.

### II. შ-ს მოთხოვნა ზ. ვ.-ს მიმართ გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე და 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად

შ-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-საგან ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 677-ე, 683-ე და 670-ე პარაგრაფების (სსკ-ის 969-ე, 973-ე და 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შესრულებული საქმე მოიცავს ნებისმიერ ფაქტობრივ, თუ იურიდიულ საქმიანობას, მათ შორის აბაზანის მოპირკეთებასაც. ეს საქმე იყო სხვისი.

გარდა ამისა, შ უნდა გაძლოდა საქმეს სხვისი საქმის შესრულების ნებით. ერთი მოსაზრებით<sup>42</sup>, სხვისი საქმის შესრულების ნების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ხელშეკრულება, რომლის სავარაუდოდ ნამდვილობის საფუძველზეც გაუძღვა შ საქმეს და ასრულებდა ამრიგად საკუთარ (სავარაუდოდ) ვალდებულებას და არა სხვის საქმეს. თუმცა მეორე მოსაზრების<sup>43</sup> თანახმად, სხვისი საქმის შესრულების ნება ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა, რადგან შ არ მოქმედებდა მხოლოდ თავისთვის, არამედ ასევე ზ. ვ.-სათვისაც.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის ასევე აუცილებელია, რომ საქმიანობის შესრულება მოხდეს დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე. ეს დანაწესი წარმოადგენს სახელმძღვანელო დანაწესს ნორმათა კონკურენციისას – თუ მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით მოცული საქმიანობა, მაშინ მოქმედებს სახელშეკრულებო სამართალი. თუ ეს ხელშეკრულება არანამდვილია, მისი შედეგების უკუქცევა უნდა მოხდეს არანამდვილი ხელშეკრულებების უკუქცევის სპეციალური ინსტრუმენტით – უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით<sup>44</sup>.

ვიზიარებთ რა ამ შემთხვევაში<sup>45</sup> მოცემულ მოსაზრებას, შ-ს არ აქვს ზ. ვ.-საგან განუფლები სამუშაოს ღირებულების, როგორც დანახარჯების, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.

### III. შ-ს მოთხოვნა ზ. ვ.-ს მიმართ გსკ-ის 812-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ეს 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად

1. შ-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-ს მიმართ მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 812-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ეს 1-ლი ნაწილის ა)

42 MEDICUS, Bürgerliches Recht, Rn. 412.

43 OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre, 368.

44 OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre, 368.

45 ის გარემოება, რომ სხვადასხვა კაზუსის გადაწყვეტისას კონდიქციისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების კონკურენციის საკითხს განსხვავებულად ვწყვეტთ, განპირობებულია იმით, რომ მისი გადაწყვეტა არც გერმანულ დოქტრინაშია ცალსახა და ქართულ სამართალში მით უფრო დეტალურ განხილვას საჭიროებს. გარდა ამისა, კაზუსის ამოხსნისას მოქმედი თავისუფალი არგუმენტაციის სტილიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სტრუქტურულად იმ ფაქტის ნათელყოფა, რომ კამათისას შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით ურთიერთდაპირისპირებულ მოსაზრებათაგან ორივეს გაზიარება შესაძლებელია.

ქვეპუნქტის) შესაბამისად.

ამ მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს „რაიმეს“ მოპოვება, რომლის ქვეშაც იგულისხმება ნებისმიერი ქონებრივი სარგებელი. ზ. ვ.-მ მოიპოვა შ-ს შრომითი მომსახურება და ამ მომსახურების შედეგი, მოპირკეთებული აბაზანა, რაც წარმოადგენს ქონებრივ სარგებელს. ამ რაიმეს მოპოვება უნდა მომხდარიყო შ-ს შესრულებით, ანუ სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული ზრდით. შ-მ აბაზანა მოაპირკეთა (არანამდვილი) ნარდობის ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში, ანუ მან გაზარდა სხვისი ქონება გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად. შესრულება უნდა მომხდარიყო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულება არანამდვილია, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება, რაც ნიშნავს იმას, რომ შესრულებას აკლია სამართლებრივი საფუძველი.

2. თუმცა მოთხოვნა შესაძლებელია გამორიცხული იყოს გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადების (სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტის) შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არა მხოლოდ შესრულების მიმღები მისი მიღებით, არამედ ასევე შემსრულებელიც არღვევს კანონს ამ შესრულების გაცემით, მისი უკან მოთხოვნა გამორიცხულია. მოცემულ შემთხვევაში ორივე, შემსრულებელიც და მისი მიმღებიც არღვევენ კანონს, რაც შეიძლება მეტყველებდეს ამ მოთხოვნის გამორიცხვის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში მიმღებს უსასყიდლოდ დარჩებოდა შესრულება, ამის გამო მხედველობაშია მისაღები ამ დანაწესის – გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის – მოქმედების სფეროს შემოზღუდვა დარღვეული კანონის მიზნიდან გამომდინარე, ან ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, გსკ-ის 242-ე პარაგრაფი (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)<sup>46</sup>.

*ქართულ სამართალში პირდაპირ სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს, რომ კონდიქციური მოთხოვნა მხოლოდ არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს.*

თავდაპირველად აუცილებელია დარღვეული კანონის მიზნის გამოკვლევა, რომელსაც შეიძლება არ შეესატყვისებოდეს კონდიქ-

46 OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre, 370.

ციური მოთხოვნების გამორიცხვა<sup>47</sup>. თუ კანონი სწორედ შემსრულებლის დასაცავად აცხადებს გარიგებას არანამდვილად, ან სხვა გარემოებები მეტყველებენ მისი დაცვის სასარგებლოდ, მაშინ მას უნდა შეუნარჩუნდეს გაცემულის უკან მოთხოვნის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში კანონისმიერი აკრძალვა ემსახურება ერთი მხრივ, საჯარო ინტერესებს (გადასახადების დამალვა, უმუშევრობის ზრდა და ა. შ.), ხოლო მეორე მხრივ, შემკვეთის დაცვას – გარიგების არანამდვილობის გამო მას არ აქვს მეორადი მოთხოვნის უფლებები ნაკლოვანი შესრულებისათვის, შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს არც გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება. თუმცა ამ ორ მიზანს შორის უპირატესობა ენიჭება საჯარო ინტერესების დაცვას<sup>48</sup>. ერთი მოსაზრებით, ამ მიზნის მისაღწევად არ არის აუცილებელი სახელშეკრულებო მოთხოვნების გარდა, კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვაც. საჯარო ინტერესის ხელყოფისათვის პრევენციისათვის საკმარისია ჯარიმა, სისხლის სამართლებრივი დევნა, გადასახადების გადახდის იძულება და ა. შ.<sup>49</sup>. თუმცა ეს არგუმენტი საკამათოა, კანონის მიზნის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია, არა მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნათა გამორიცხვა, არამედ ასევე კონდიქციურ მოთხოვნათა გამორიცხვაც, რადგან კანონისმიერ აკრძალვას უნდა ჰქონდეს გენერალური პრევენციული მოქმედება და ეს გენერალური პრევენცია გულისხმობს ყოველგვარი მოთხოვნის გამორიცხვას, ისევე როგორც დაუშვებელია ანაზღაურების მოთხოვნა ისეთი ხელშეკრულებების დროს, სადაც პრევენციული მოქმედება მეტად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მოცემულ შემთხვევაში (მაგ. შეკვეთილი მკვლელობა, სადაც სანქცია და ამ სანქციის პრევენციული მოქმედება გაცილებით დიდია)<sup>50</sup>. შესაბამისად, კანონის მიზნის განხორციელება გულისხმობს ასევე კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვასაც.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა ამ რეზულტატის კორექტირება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით (გსკ-ის 242-ე პარაგრაფი, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). კორექტირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამ რეზულტატს სრულებით მიუღებელ შედეგამდე მიყვავართ.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ გსკ-ის 817-ე პარა-

47 BGH NJW 2006, 45; REUTER/MARTINEK, Ungerechtfertigte Bereicherung, 207 ff.

48 OLZEN/WANK, Zivilrechtliche Klausurenlehre, 370.

49 BGH DB 1990, 2164.

50 TIEDTKE, DB 1990, 2307.

გრაფის მე-2 წინადადების შესაბამისად კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვა წარმოადგენს წესს, რომლიდანაც გამონაკლისი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაიშვება. მართალია, გასათვალისწინებელია არგუმენტი, რომ, ჩვეულებრივ, შემსრულებელი არის ეკონომიკურად სუსტ მდგომარეობაში<sup>51</sup>, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. შემსრულებელიც შეიძლება იყოს ეკონომიკურად გაბატონებული მხარე. გარდა ამისა, მართალია, უსამართლოა შემკვეთმა შეინარჩუნოს ღირებული შესრულება უსასყიდლოდ, თუმცა იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თავად შემკვეთიც, თუ წინასწარ გადაიხდიდა და მენარდე კი აღარ შეასრულებდა.

*ქართულ სამართალში ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გამორიცხვასთან დაკავშირებული მსჯელობა სავალდებულო არ არის, რადგან სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტი მხოლოდ ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციაზე აკეთებს აქცენტს, განსხვავებით გსკ-ის 817-ე პარაგრაფის მე-2 წინადადების უფრო ფართო დანაწესისაგან, რომლის შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით უფრო მიზანშეწონილია.*

მოყვანილი არგუმენტების გამო, კანონის მიზნიდან გამომდინარე, რომლიც კორექტირებაც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე არ არის მიზანშეწონილი, აუცილებელია კონდიქციური მოთხოვნის უფლების გამორიცხვაც.

**შედეგი:** შ-ს არ აქვს ზ. ვ.-საგან შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

51 BGH DB 1990, 2164.

## VII. სალდოს თეორია

**სალდოს თეორია** არის თეორია, რომელიც გერმანული სამართლის დოქტრინამ შეიმუშავა **ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების** შედეგების აღმოფხვრისათვის, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიღებულ შესრულებას ველარ აბრუნებს (“ორმხრივი ხელშეკრულების დარღვეული უკუქცევა”). ასეთ შემთხვევებში ურთიერთდაპირისპირებული კონდიქციური მოთხოვნების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელმა გამოყენებამ შეიძლება საკმაოდ უსამართლო რეზულტატამდე მიგვიყვანოს.

დასაწყისისთვის ავიღოთ მაგალითი, როდესაც ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების ორივე შესრულება სახეზეა.

**მაგალითი:** ა ყიდულობს ბ-საგან სპორტულ ავტომანქანას (ნამდვილი ღირებულება 30 000 ლარი) 30 000 ლარად. სამი დღის შემდეგ გამოიყენებს შეცდომის გამო შეცილების უფლებას, რის შემდეგაც უკან მოითხოვს მანქანას. ა-ს ექნება ბ-ს მიმართ 30 000 ლარის მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით. ბ-ს ექნება ა-ს მიმართ მანქანაზე მფლობელობისა და საკუთრების მოთხოვნის უფლება (ასევე) შესრულების კონდიქციით. თითოეულ მხარეს შეუძლია დააყოვნოს შესრულება გსკ-ის 273-ე პარაგრაფის მიხედვით მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§273. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება (**Zurückbehaltungsrecht**) (1) თუ მოვალეს იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება მისი ვალდებულება, აქვს კრედიტორის მიმართ ვადამოსული მოთხოვნის უფლება, მაშინ მას — თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს — შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მისთვის განკუთვნილი შესრულების განხორციელებამდე (ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება).

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 980. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი.**  
1 .... 2.

ანაზღაურების მოვალეობანი 979-ე და 980-ე მუხლების მიხედვით უნდა შესრულდეს ერთდროულად. უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკისრება შემსრულებელს.

თუ ერთ-ერთი შესრულება განადგურდა, მაგრამ კონდიქციის მოვალე ჯერ კიდევ გამდიდრებულია – მიიღო სადაზღვეო კომპენსაცია განადგურებული მანქანის სანაცვლოდ, თითოეულ მხარეს ექნება მეორისაგან ფულის კონდიქციური მოთხოვნის უფლება, რომელთა გაქვითვაც შესაძლებელია გსკ-ის 387-ე პარაგრაფის (სსკ-ის 442-ე მუხლის) მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსში გსკ-ის 273-ე პარაგრაფის შესატყვისი არ მოიპოვება, ორი ურთიერთდაპირისპირებული შესრულების კონდიქციის ერთდროულად შესრულების მოთხოვნა შესაძლებელია სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

*საქართველოში ა-ს ექნება ბ-ს მიმართ მანქანაზე მფლობელობისა და საკუთრების მოთხოვნის უფლება (ასევე) ვინდიკაციით, რაც საკმაოდ პრობლემურია, რადგან ვინდიკაციას მიმღები ვერ დაუპირისპირებს თავის შემხვედრ კონდიქციას.*

საღდოს თეორიის გამოყენების სფეროს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც **ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების ფარგლებში** მიღებული შესრულება ერთ-ერთ მხარესთან **ნადგურდება** და ის აღარც არის ამის შემდეგ გამდიდრებული.

***მაგალითი:** ა ყიდულობს ბ-საგან ავტომანქანას (ნამდვილი ღირებულება 30 000 ლარი) 30 000 ლარად, რომელსაც ორი დღის შემდეგ ნასვამი დაამტვრევს, რითაც 15 000-ით შეამცირებს მის ღირებულებას. სამი დღის შემდეგ გამოიყენებს შეცდომის გამო შეცილების უფლებას, რის შემდეგაც უკან მოითხოვს მანქანის საფასურს*

მოცემულ შემთხვევაში ა-ს ექნება ბ-ს მიმართ 30 000 ლარის მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით. ბ-ს ექნება ა-ს მიმართ მანქანაზე, რომლის ღირებულებაც არის მხოლოდ 15 000 ლარი მფლობელობისა და საკუთრების მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით. დარჩენილ 15 000-სთან დაკავშირებით ის მიუთითებს გამდიდრების არარსებობაზე გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) მიხედვით. თითოეულ მხარეს შეუძლია დააყოვნოს შესრულება მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს, გსკ-ის 273-ე პარაგრაფი (სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ეს რეზულტატი უსამართლოა, ბ აბრუნებს ნასყიდობის მთელ ფასს,

ხოლო სანაცვლოდ იღებს ა-ს ბრალით განახევრებული ღირებულების მქონე მანქანას უკან. ამ რეზულტატის თავიდან ასაცილებლად გერმანულმა ფედერალურმა სასამართლომ შეიმუშავა ე. წ. “საღდოს თეორია” – კანონის კორექცია სამართლიანობიდან გამომდინარე. ის ფაქტი, რომ მხარეთა შესრულებები ურთიერთდამოკიდებულნი იყვნენ, გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი უკუქცევის დროსაც და თითოეული შესრულების დაბრუნება და ამ დაბრუნების მოცულობა დამოკიდებული უნდა იყოს საპირისპირო შესრულების დაბრუნებასა და მის მოცულობაზე.

### 1. დოგმატური დასაბუთება

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ თეორიის რამდენიმე დოგმატური დასაბუთებაა წამოყენებული. საღდოს თეორიას მისი თავდაპირველი ფორმით საფუძვლად ედო მოსაზრება, რომ **“გამდიდრება” არის ის საღდო** (ნაშთი), რომელიც რჩება თავდაპირველად გაცვლილი შესრულებების ურთიერთგაქვითვის შედეგად. თუ ორივე უკან დაბრუნების მოთხოვნა ერთგვარია, მაშინ ისინი გაიქვითება და შედეგად მხოლოდ ერთ მხარეს (რომელთანაც საღდო დარჩება) დაეკისრება დაბრუნების ვალდებულება.

***მაგალითი:** ა-მ მიყიდა ბ-ს მაჯის საათი (ღირებულება: 140 ლარი) 120 ლარად. საათის განადგურების შემდეგ ა-ს დაეკისრება ბ-სათვის 120, ხოლო ბ-ს ა-სათვის 140 ლარის დაბრუნების ვალდებულება, რომლებიც გაიქვითება და მხოლოდ ბ იქნება ვალდებული დაუბრუნოს ა-ს 20 ლარი. მხოლოდ ამის შემდეგ ვიყენებთ გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილს და რადგანაც ბ ამ 20 ლართაც აღარ არის გამდიდრებული, ის არ აბრუნებს არაფერს. ანუ ჯერ ხდებოდა გაქვითვა და მხოლოდ ამის შემდეგ გამდიდრების არსებობა-არარსებობის დადგენა.*

თუ შესრულებები არაერთგვაროვანია, მაშინ მათი ავტომატური გაქვითვა შეუძლებელია. ზემოთ მოყვანილ თავდაპირველ მაგალითში, იმის გამო, რომ კონდიქციის მოვალე ა აქ სრული მოცულობით ვერ აბრუნებს მიღებულ გამდიდრებას, მისი კონდიქციური მოთხოვნაც მცირდება შესაბამისი მოცულობით – აბრუნებს რა მხოლოდ 15 000-ის ღირებულების მანქანას, შეუძლია უკან მოითხოვოს მხოლოდ 15 000. თითოეული მხარე გამდიდრებულია მხოლოდ იმ-

დენით, რამდენსაც უკან იბრუნებს – აქ გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი გამოიყენება უკვე გამდიდრების ეტაპზე.

**„ახალი“ სალდოს თეორიის** (მოძღვრება ფაქტობრივი სინალაგმის შესახებ) დოგმატური დასაბუთება შემდეგია: ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ინტერესთა გადანაწილება უნდა გადავიტანოთ ასევე კონდიქციურ ურთიერთობაშიც. თუ ხელშეკრულების ფარგლებში თითოეული მხარე იმიტომ ასრულებს, რომ მიიღოს საპირისპირო შესრულება (სახელშეკრულებო სინალაგმა), კონდიქციური ურთიერთობის ფარგლებში თითოეულ მხარეს უნდა მხოლოდ მაშინ დააბრუნოს მიღებული, როდესაც დაიბრუნებს საკუთარ შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ შედგა, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ ის ფაქტობრივად შესრულდა და დაპირისპირებული შესრულებები **ფაქტობრივ სინალაგმას** წარმოქმნიან. განსხვავებით თავდაპირველი სალდოს თეორიისაგან, „ახალი“ თეორიის მიხედვით ხდება არა შესრულებების ღირებულებების გაქვითვა, არამედ დაპირისპირებულ ფაქტობრივ შესრულებებს შორის ფაქტობრივი სინალაგმატური კავშირის გაბმა. რის შემდეგაც ცალმხრივად მონყობილი გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი გამოიყენება ორივე შესრულებაზე. თუ მცირდება ერთი შესრულების ღირებულება გამდიდრების არარსებობის გამო, მცირდება საპირისპირო შესრულების ღირებულებაც. განსხვავება არის ის, რომ პირველი თეორია ამ ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნებს ერთმანეთთან ქვეთს და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებს გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილს, ხოლო ახალი სალდოს თეორია ამ დანაწესს იყენებს ორივე კონდიქციაზე, მათი მოცულობის განსაზღვრისას.

*საქართველოში ახალი „სალდოს თეორიის“ პრინციპი დაფიქსირებულია სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში.*

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები.**

.....

4. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. 5. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.

### 2. გამონაკლისები სალდოს თეორიიდან

სალდოს თეორია წარმოადგენს ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების დარღვეული უკუქცევის წესს, თუმცა ის გამონაკლისის სახით არ გამოიყენება არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმის მიზნიდან გამომდინარე.

**მაგალითი:** ზურაბ ვეშაპიძის (ზ. ვ.) შვილი 14 წლის პატარა ზურაბი (პ. ზ.) ყიდულობს მამის ჯიბიდან ამოცლილი 400 ლარით მოპედს, რომელსაც ნასყიდობის მესამე დღეს დაამტკვრევს. ზ. ვ. გარიგებას არ მოიწონებს, ხოლო გამყიდველი გ უკან მოითხოვს

ნივთის ღირებულებას. პ. ზ.-ს აინტერესებს, შეუძლია თუ არა დაიბრუნოს ნასყიდობის ფასი ისე, რომ არ დააბრუნოს მოპედის ღირებულება.

ხელშეკრულების არანამდვილობის გამო გ-სა და პ. ზ.-ს ექნებოდათ ურთიერთდაპირისპირებული კონდიციური მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ პ. ზ. არც მოპედით და არც მისი ღირებულებით გამდიდრებული არ არის, სალდოს თეორიის თანახმად, ის მანამდე ვერ დაიბრუნებდა გაცემულს, სანამ არ დააბრუნებდა მიღებულს. თუმცა სალდოს თეორია არ გამოიყენება, თუ ის კოლიდირებს არასრულწლოვანთა დაცვის ინსტიტუტის მიზანთან. არასრულწლოვანს შეუძლია ცალმხრივად მოითხოვოს გაცემული, ისე რომ არ დააბრუნოს მიღებული.

**საქართველოში**, სადაც ახალი „სალდოს თეორიის“ პრინციპი დაფიქსირებული სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილში, ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას უკან დაბრუნების ვალდებულება გამორიცხებულია არა მაშინ, როდესაც მიმღები აღარ არის გამდიდრებული, არამედ, თუ მიღებულის არდაბრუნება შეესატყვისება იმ ნორმის მიზანს, რომლის საფუძველზეც გარიგება არანამდვილია. ანუ მიუხედავად იმისა, რომ გსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ ათავისუფლებს მიმღებს უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან მანამ, სანამ ის იბრუნებს საკუთარ შესრულებას, ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც გარიგების არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმა ემსახურებოდა სწორედ მიმღების დაცვას და უკან დაბრუნების ვალდებულება ამ მიზანს არ შეესატყვისება. მოცემულ შემთხვევაში გარიგება არანამდვილია იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ემსახურებიან არასრულწლოვანის ინტერესების დაცვას. იმისათვის, რომ არ მოხდეს ამ მიზნის გვერდის ავლა, გამდიდრების არარსებობასთან ერთად არასრულწლოვანი უნდა გათავისუფლდეს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

იგივე წესი მოქმედებს მოტყუებით და იძულებით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაშიც. მხარე, რომელიც მოტყუებით ადებინებს თავის კონტრაჰენტს გარიგებას, არ იმსახურებს დაცვას სალდოს თეორიის საფუძველზე. მან უნდა დააბრუნოს მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ვერ იბრუნებს გაცემულს სრული მოცულობით, ან საერთოდ ვერ იბრუნებს მას.

## კაზუსი: „დაზიანებული ავტომანქანა“

გამყიდველი მიყიდის მყიდველს თავის ძველ ავტომანქანას 15 000 ლარად (ნამდვილი ფასი 15 000 ლარი). მყიდველი ორი თვის შემდეგ მოყვება ავარიაში, რის შედეგადაც მანქანა დაზიანდება და მისი ღირებულება შემცირდება 5 000 ლარით. ამის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არანამდვილი იყო დაფარული დისენსუსის გამო. მყიდველი ითხოვს გამყიდველისაგან მის მიერ გადახდილი 15 000 ლარის უკან დაბრუნებას. გამყიდველი კი მხოლოდ მაშინ არის მზად დააბრუნოს აღნიშნული თანხა, თუ დაიბრუნებს მანქანას და აუნაზღაურდება მისი შემცირებულ ღირებულებას.

**ვარიანტი 1:** როგორ უნდა გადაწყდეს ეს შემთხვევა, როდესაც ავარია გამოწვეული იყო მუხრუჭების გაუმართაობით, ეს გაუმართაობა სახეზე იყო მანქანის გადაცემის მომენტშიც და გამყიდველისთვის ეს ნაკლი უხეში გაუფრთხილებლობით დარჩა შეუმჩნეველი?

**ვარიანტი 2:** როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც მხარეებმა დადეს ნამდვილი ხელშეკრულება, თუმცა გამყიდველმა მოატყუა მყიდველი მანქანის განარბენთან დაკავშირებით (ტახომეტრი იყო ჩამოყრილი). ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი მყიდველი, ჩვეულებისამებრ, მსუბუქად ნასვამი გადავარდება გზის სავალი ნაწილიდან და მანქანას ჯვართში ჩასაბარებელს გახდის.

## ამოსავალი კაზუსის ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

**I.** მყიდველის **სახელშეკრულებო მოთხოვნა** გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით გსკ-ის 437-ეს 2-ის, 323-ეს და 346-ე პარაგრაფების (სსკ-ის 491-ეს 1-ლი ნაწილის, 405-ე და 352-ე მუხლების) შესაბამისად არ გააჩნია, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება არანამდვილია.

**II. მყიდველის მოთხოვნა გამყიდველის მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად**

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) საფუძველზე.

**1. მოთხოვნის წინაპირობები**

გამყიდველმა მოიპოვა მფლობელობა და შემდეგში (სავარაუდოდ საკუთარ ფულთან შერევის შედეგად) საკუთრებაც მყიდველის მიერ გადაცემულ ფულზე. ეს მოხდა მყიდველის შესრულების, სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსების, საფუძველზე. ნასყიდობის ხელშეკრულება იყო დისენსუსის გამო არანამდვილი და ამგვარად შესრულება იყო სამართლებრივ საფუძველს მოკლებული. შესაბამისად, გამყიდველმა უნდა დაუბრუნოს მყიდველს მიღებული 15 000 ლარი შესრულების კონდიქციით.

**2. მოთხოვნის მოცულობა**

მოთხოვნის უფლების მოცულობა განისაზღვრება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის (სსკ-ის 979-ე მუხლის) შესაბამისად. გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის) საფუძველზე გამყიდველმა უნდა დაუბრუნოს მყიდველს მიღებული ნასყიდობის ფასის ღირებულება, რადგან ფულის იმავე კუპიურების დაბრუნება შეუძლებელია. გამყიდველი ჯერ კიდევ გამდიდრებულია, ამიტომაც ის ვერ მიუთითებს გამდიდრების არარსებობაზე გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად.

თუმცა საკითხავია, თუ როგორ აისახება მყიდველის შესრულების კონდიქციის მოცულობაზე ის ფაქტი, რომ ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულება გვაქვს სახეზე. ამ არანამდვილი ხელშეკრულებიდან ასევე გამყიდველს აქვს მყიდველის მიმართ მიღებული

შესრულების – ავტომატურად საკუთრებისა და მფლობელობის (საქართველოში მხოლოდ მფლობელობის) – მოთხოვნის უფლება. მიღებული შესრულების ღირებულება მისი გადაცემის მომენტიდან შემცირდა 5 000 ლარით. მიმღებმა დაზიანებული ავტომატურად შემცირებული ღირებულება უნდა აანაზღაუროს გსკ-ის 818-ე მუხლის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 979-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, თუმცა რადგან ეს შემცირებული ღირებულება აღარ არსებობს გამდიდრების სახით მყიდველის ქონებაში, მას აქვს გამდიდრების არარსებობაზე მითითების უფლება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) მიხედვით. ამ დანაწესის გამოყენებას მოცემულ შემთხვევაში მივყავართ იმ შედეგამდე, რომ გამყიდველი აბრუნებს 15 000 ლარს, ხოლო სანაცვლოდ იბრუნებს მხოლოდ 10 000 ლარის ღირებულების მქონე ავტომატურად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტომატურად ღირებულება შემცირდა იმ დროს, როდესაც ის მყიდველთან იმყოფებოდა. ნასყიდობის ნამდვილობის შემთხვევაში ავტომატურად დაღუპვისა და ღირებულების შემცირების რისკს ატარებდა მყიდველი (გსკ-ის 446-ე პარაგრაფი, სსკ-ის 482-ე მუხლი) – რადგან ნივთის გადაცემის შემდეგ ნივთის შემთხვევითი განადგურებისა და დაზიანებისათვის ის გამყიდველს ვეღარ აგებინებდა პასუხს. საკითხავია, უნდა გავითვალისწინოთ თუ არა ეს გარემოება არანამდვილი ნასყიდობის კონდიქციით უკუქცევისას.

გერმანულ სამართალში გაბატონებული მოსაზრების (საღდოს თეორიის) მიხედვით, სინალაგმა, რომელიც აკავშირებს ორ ურთიერთდაპირისპირებულ შესრულებას ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, მოქმედებს ასევე არანამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაშიც და ერთმანეთთან აკავშირებს ორ ურთიერთდაპირისპირებულ კონდიქციას. არც ერთ მხარეს არ შეუძლია ცალმხრივად მოითხოვოს გაცემული შესრულება, ისე რომ არ დააბრუნოს მიღებული და მხოლოდ იმ მოცულობით შეუძლია მოითხოვოს გაცემული, რა მოცულობითაც აბრუნებს მიღებულს. საღდოს თეორია აკისრებს შესრულების კონდიქციის მოვალეს, რომელთანაც იმყოფება ნივთი, მისი გაფუჭება-განადგურების რისკს, ისევე როგორც დაეკისრებოდა მას ეს რისკი ნამდვილი ხელშეკრულების ფარგლებში.

*ქართველმა კანონმდებელმა გერმანული საღდოს თეორია სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოაწესრიგა. თუ ორმხრი-*

ვი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა (არა გამდიდრების არარსებობის შემთხვევაში, არამედ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.

**შედეგი:** მოცემულ შემთხვევაში მყიდველი აბრუნებს რა მხოლოდ 10 000 ლირებულების მქონე ავტომანქანას, შეუძლია ნასყიდობის ფასის მხოლოდ ამ ფარგლებში მოთხოვნა.

### 1-ლი ვარიანტის ამოხსნა:

*(გერმანული და ქართული სამართალი მიხედვით)*

**მყიდველის მოთხოვნა გამყიდველის მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად**

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიციით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) საფუძველზე.

### 1. მოთხოვნის წინაპირობები

მოცემული მოთხოვნის წინაპირობები, როგორც ამოსავალი კაზუსის ამოხსნისას ვახსენეთ სახეზეა.

### 2. მოთხოვნის მოცულობა

მოთხოვნის უფლების მოცულობა განისაზღვრება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის (სსკ-ის 979-ე მუხლის) შესაბამისად. გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის) სა-

ფუძველზე გამყიდველმა უნდა დაუბრუნოს მყიდველს მიღებული ნასყიდობის ფასის ღირებულება, რადგან ფულის იმავე კუპიურების დაბრუნება შეუძლებელია. გამყიდველი ჯერ კიდევ გამდიდრებულია, ამიტომაც ის ვერ მიუთითებს გამდიდრების არარსებობაზე გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) მიხედვით.

### 2.1. სალდოს თეორიის გამოყენება

საკითხავია, თუ როგორ აისახება მყიდველის მოთხოვნის მოცულობაზე ის ფაქტი, რომ ის სანაცვლოდ მხოლოდ 5000 ლარით შემცირებული ღირებულების მანქანას უბრუნებს გამყიდველს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, სალდოს თეორიის გამოყენების შემთხვევაში ეს 5000 ლარი შეამცირებდა ასევე მყიდველის კონდიქციური მოთხოვნის მოცულობასაც, რის შედეგადაც მასაც მხოლოდ 10 000 ლარის მოთხოვნის უფლება ექნებოდა. სალდოს თეორია აკისრებს შესრულების კონდიქციის მოვალეს, რომელთანაც იმყოფება ნივთი, მისი გაფუჭება-განადგურების რისკს. ამ გაფუჭება-განადგურებისათვის პასუხი არ უნდა აგოს კონდიქციის კრედიტორმა, რომელსაც ნივთზე არანაირი ზემოქმედების საშუალება არ აქვს.

### 2.2. გამონაკლისი სალდოს თეორიისაგან

ა) თუმცა გერმანულ სამართალში სალდოს თეორიისაგან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მის საფუძველზე მიღწეული ეწინააღმდეგება ნომრის მიზანს, რომლის მიხედვითაც გარიგება არანამდვილად იქნა ცნობილი.

*სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სალდოს თეორია არ მოქმედებს, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.*

მაგალითად, თუ ხელშეკრულება არანამდვილია კონდიქციის მოვალის არასრულწლოვნების გამო, ანუ **არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმა** ემსახურება სწორედ კონდიქციის მოვალის დაცვას, მაშინ ის არ კარგავს გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის

979-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად გამდიდრების არარსებობაზე მითითების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სრული მოცულობით ვერ აბრუნებს მიღებულ შესრულებას.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში გარიგება არანამდვილი ე. წ. **ნეიტრალური საფუძვლით**. დაფარული დისენსუსის გამო არანამდვილობა (გსკ-ის 155-ე პარაგრაფი, სსკ-ის 53-ე მუხლი) არ ემსახურება არც ერთი მხარის დაცვას და მოქმედებს სალდოს თეორია. მყიდველმა უნდა აუნაზღაუროს გამყიდველს მანქანის შემცირებული ღირებულება გსკ-ის 812-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტისა და 818-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 976-ეს 1-ლის ა) ქვეპუნქტისა და 979-ე პარაგრაფის მე-2 და მე-4 ნაწილების) შესაბამისად, ან ვერ დაიბრუნებს ნასყიდობის მთლიან ფასს.

ბ) თუმცა სალდოს თეორიის მოქმედებიდან, როგორც ზოგადი წესიდან, გერმანულ სამართალში დაშვებული ასევე მეორე გამონაკლისიც. მოცემულ შემთხვევაში **ნასყიდობა ნამდვილი** რომ დარჩენილიყო მისი უკუქცევა მოხდებოდა ნივთის ნაკლის გამო გსკ-ის 437-ეს 2, 323-ე, 346-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 491-ეს 1, 405-ე, 352-ე და შემდგომი ნაწილების) შესაბამისად. მყიდველს ამ შემთხვევაში უკან უნდა დაებრუნებინა გამყიდველისათვის მანქანა გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, თუმცა მისი შემცირებული ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება მას არ ექნებოდა. ავარიის შედეგად მანქანის დაზიანება გამოწვეული იყო რესტიტუციის კრედიტორის ბრალით (მან უხეში გაუფრთხილებლობით ვერ შეამჩნია მუხრუჭების გაუმართაობა), რაც ათავისუფლებს მოვალეს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან (გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 2, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი). გარდა ამისა, მანქანა დაზიანდა მყიდველთან, მიუხედავად იმის, რომ ის ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც თავის სხვა ნივთებს (გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 3, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტი), რაც ასევე ათავისუფლებს მას ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ნასყიდობის ნამდვილობის შემთხვევაში მყიდველი არ აგებდა პასუხს ნივთის ღირებულების შემცირებისათვის. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით<sup>52</sup>, სინალაგმატური კავშირი შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის, რასაც ემყარება სალდოს თეორია,

უნდა გავითვალისწინოთ ხელშეკრულების კონდიქციით უკუქცევისასაც, როდესაც ნივთი ზიანდება ან ნადგურდება იმ ნაკლის გამო, რომელიც მას გადაცემის მომენტშიც ახასიათებდა. ნამდვილი ნასყიდობის უკუქცევისას მიღებული რეზულტატი უნდა გავითვალისწინოთ არანამდვილი გარიგებიდან შესრულების კონდიქციით უკან მოთხოვნის შემთხვევაშიც იმგვარად, რომ და ნივთის შემცირებული ღირებულება არ ამცირებს მყიდველის კონდიქციური მოთხოვნის მოცულობას. ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია, რადგან სალდოს თეორია, რომელიც უშვებს გამონაკლისს გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილიდან (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან) ემსახურება კონდიქციის კრედიტორის დაცვას, რომელიც ვერ იბრუნებს სრული მოცულობით მის მიერ გაცემულ ნივთს. თუმცა ეს კრედიტორი არ იმსახურებს დაცვას, თუ ეს ვერდაბრუნება მისი ბრალითაა გამოწვეული. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში კანონის დანაწესებიდან გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა არ არსებობს.

*გერმანული სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპი, ქართველმა კანონმდებელმა გაამყარა სსკ-ის 979-ე მუხლის მე-5 ნაწილში. სალდოს თეორია მე-4 ნაწილის შესაბამისად არ მოქმედებს, არა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ეწინააღმდეგება არანამდვილობის განმსაზღვრავი ნორმის მიზანს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ შესრულების საგანი განადგურდა ან გაფუჭდა იმ მიზეზით, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს. მიმღები ამ შემთხვევაშიც თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან.*

*ხელშეკრულების ნამდვილობისას ნაკლის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა გამყიდველს, გსკ-ის 490-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად. თუ მყიდველი უარს იტყოდა ზემოთ ნახსენებ ვასკლის უფლებაზე, მას შეეძლო მოეთხოვა გამყიდველისაგან ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 494-ე, 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. მიუხედავად ხელშეკრულების არანამდვილობისა გამყიდველი ვერ გადააკისრებს ამ პასუხისმგებლობას მყიდველს სალდოს თეორიის მეშვეობით და ვერ დააბრუნებს მხოლოდ 10 000 ლარს, რადგან სალდოს თეორია სწორედ პასუხისმგებლობის სახელშეკრულებო მასშტაბის კონდიქციურ უერთიერთობაზე გავრცელებას ემსახურება.*

52 BGHZ 78, 216 ff.

მყიდველს აქვს ნასყიდობის ფასის სრული ოდენობით მოთხოვნის უფლება.

**შედეგი:** მყიდველს აქვს გამყიდველის მიმართ 15 000 ლარის მოთხოვნის უფლება.

## **მე-2 ვარიანტის ამოხსნა:**

*(გერმანული და ქართული სამართალი მიხედვით)*

**მყიდველის მოთხოვნა გამყიდველის მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად**

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება **შესრულების კონდიციით** გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) საფუძველზე.

## **1. მოთხოვნის წინაპირობები**

გამყიდველმა მოიპოვა მფლობელობა და შემდეგში (სავარაუდოდ საკუთარ ფულთან შერევის) შედეგად საკუთრებაც მყიდველის მიერ გადაცემულ ფულზე. ეს მოხდა მყიდველის შესრულების, სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსების, საფუძველზე.

### **1.1. შეცილება**

ითუმცა განსხვავებით ამოსავალი კაზუსისაგან, მე-2 ვარიანტში გარიგება ნამდვილია და მყიდველს იმისათვის, რათა გაეხსნა გზა კონდიციური მოთხოვნისაკენ ჯერ არანამდვილად უნდა ექცია ის. ეს შეიძლება მომხდარიყო მოტყუების საფუძველით შეცილების მეშვეობით.

## **ა) შეცილების საფუძველი**

შეცილების საფუძველს მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს გამყიდველის მხრიდან მყიდველის მოტყუება გსკ-ის 123-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. მოტყუება გულისხმობს კონტრაჰენტისათვის განზრახ არასწორი წარმოდგენის შექმნას, რაც კაუზალური ხდება ნების გამოსატყვისათვის. კაზუსის ფაბულის შესაბამისად გამყიდველმა მოატყუა მყიდველი.

## **ბ) შეცილების გაცხადება**

ნამდვილი შეცილების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს მისი გაცხადება შესაბამისი ადრესატის წინაშე გსკ-ის 143-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილების (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. შეცილების გაცხადება შესაძლებელია კონკლუდენტურადაც, ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნით, რაც ასევე სახეზეა.

## **გ) შეცილების ვადა**

შეცილების გაცხადება უნდა მოხდეს მოტყუების ფაქტის აღმოჩენიდან ერთი წლის განმავლობაში გსკ-ის 124-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 84-ე მუხლის) შესაბამისად. ნამდვილი შეცილების წინაპირობები სახეზეა, რის შემდეგაც გარიგება არანამდვილია დადების მომენტიდან (ex-tunc მოქმედებით, გსკ-ის 142-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## **2. მოთხოვნის მოცულობა**

მოთხოვნის უფლების მოცულობა განისაზღვრება გსკ-ის 818-ე პარაგრაფის (სსკ-ის 979-ე მუხლის) შესაბამისად. გამყიდველი ჯერ კიდევ გამდიდრებულია, ამიტომაც ის ვერ მიუთითებს გამდიდრების არარსებობაზე.

## 2.1. სალდოს თეორიის გამოყენება

მყიდველი თავის მხრივ გამყიდველს უბრუნებს მხოლოდ ჯართად ქცეულ მანქანას, რადგან მისი განადგურების შემდეგ ის უკვე აღარ არის გამდიდრებული (გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სალდოს თეორიის გამოყენების შემთხვევაში განადგურებული მანქანის ღირებულება შეამცირებდა ასევე მყიდველის კონდიქციური მოთხოვნის მოცულობასაც და თუ ის ვერ დააბრუნებდა 15 000 ლირებულების მანქანას, ვერ დაიბრუნებდა ვერც ნასყიდობის ფასს, რომლის ოდენობაც 15 000 იყო.

## 2.2. გამონაკლისი სალდოს თეორიისაგან

ა) თუმცა გერმანულ სამართალში სალდოს თეორიისაგან დაიშვება გამონაკლისი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მის საფუძველზე მიღწეული შედეგი ეწინააღმდეგება ნომრის მიზანს, რომლის საფუძველზეც გარიგება არანამდვილად იქნა ცნობილი (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არანამდვილია გსკ-ის 123-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 81-ე მუხლის) საფუძველზე, რაც ემსახურება მოტყუებული პირის დაცვას. ამიტომაც ერთი შეხედვით მომტყუებელს არ უნდა ჰქონდეს სალდოს თეორიაზე მითითების უფლება. თუმცა გასათვალისწინებელია გარემოება, რომ აქ მანქანის ღირებულება შემცირდა არანამდვილობის საფუძვლისაგან დამოუკიდებლად – მყიდველი ტახომეტრის ჩამოყრის მიზეზით არ გადავარდნილა გზის სავალი ნაწილიდან, ის იმიტომ გადავარდა, რომ ნასვამი იყო. განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევისაგან, მოტყუების საფუძვლით შეცილების უფლების მომნიჭებელი ნორმა არ იცავს პირს აბსოლუტურად (ანუ ზოგადად გარიგების დადებისგან) და მოტყუებისაგან დამოუკიდებელი რისკის რეალიზებისაგან, მით უფრო ნივთის ბრალეული განადგურებისაგან.

*თუ გარიგება არანამდვილი იქნებოდა მყიდველის არასრულწლოვნების მოტივით, მიუხედავად იმისა, რომ მან ბრალეულად გაანადგურა ნივთი სალდოს თეორიას მის საწინააღმდეგოდ მაინც არ გამოვიყენებდით, რადგან ნორმის მიზანს, რომელიც არანამდვილად აცხადებს გარიგებას მხარის არას-*

*რულწლოვნების გამო, წარმოადგენს ასევე მისი დაცვა ყველა იმ სამართლებრივი შედეგისაგან, რომლის გაცნობიერების უნარიც მას არ შესწევს, მათ შორის ნივთის ბრალეულად განადგურების შედეგებისაგან.*

ამიტომაც მიუხედავად გარიგების დადებისას გამყიდველის მხრიდან მოტყუებისა, ის არ კარგავს სალდოს თეორიაზე მითითების უფლებას.

ბ) თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მყიდველს ნივთის ნაკლიდან (ჩამოყრილი ტახომეტრი) გამომდინარე შეეძლო გამოეყენებინა გასვლის უფლება გსკ-ის 437-ეს 2, 323-ე, 346-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 491-ეს 1, 405-ე, 352-ე და შემდგომი ნაწილების) შესაბამისად. ამ შემთხვევაში მასზე გავრცელებოდა გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 3-ში (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტში) მოწესრიგებული პრივილეგია – რესტიტუციის მოვალე არ აბრუნებს ნივთს, თუ ის განადგურდა და არ ანაზღაურებს მის ღირებულებას, თუ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში. მყიდველი გადავარდა მსუბუქად ნასვამი გზის სავალი ნაწილიდან, რაც ბრალის ფორმაზე მსუბუქ გაუფრთხილებლობაზე მეტყველებს. როგორც კაზუსშია აღნიშნული, მსუბუქი გაუფრთხილებლობით მოქმედება მისთვის ჩვეულია და წარმოადგენს საკუთარ საქმეებში გამოჩენილი მზრუნველობის მასშტაბს. ამის გამო, თუ ის შეცილების უფლების გამოყენებას ხელშეკრულებიდან გასვლას ამჯობინებდა, დაიბრუნებდა ნასყიდობის ფასს და სანაცვლოდ არ იქნებოდა ვალდებული აენაზღაურებინა ჯართადქცეული მანქანის ღირებულება.

შესაბამისად, მოცემულ კაზუსში მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, შეცილებას გამოეყენებს მყიდველი თუ გასვლის უფლებას და იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულს სრულებით განსხვავებულ შედეგამდე მივყავართ, მათი კონკურენციის გადანყვეტა გერმანულ სამართალში საკმაოდ პრობლემურია. საბოლოოდ გერმანული დოქტრინა თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე გადანყვეტის შედეგები ერთმანეთს უნდა დაემთხვეს და რადგანაც გასვლის შედეგები პირდაპირ კანონშია მოწესრიგებული, სალდოს თეორია კი არა, გერმანიაში კონდიქციის შედეგები მოჰყავთ გასვლის შედეგებთან შესაბამისობაში. ანუ შეცილების გამოყენების შემთხვევაშიც, გარიგების კონდიქციით უკუქცევისას

არ მოქმედებს სალდოს თეორია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედება არ ეწინააღმდეგებოდა ნორმის მიზანს. სალდოს თეორიის გამოყენების გარეშე მყიდველი დაიბრუნებდა გადახდილ ფასს, ხოლო სანაცვლოდ არ დააბრუნებდა არაფერს, რადგან მანქანის განადგურების შემდეგ ის უკვე აღარ არის გამდიდრებული (გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, სსკ-ის 979-ე მუხლი მე-3 ნაწილი).

**შედეგი:** მყიდველს აქვს გამყიდველის მიმართ 15 000 ლარის მოთხოვნის უფლება.

*გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული გადაწყვეტა არ არის სავალდებულო ქართული სამართლისათვისაც. სსკ-ის სალდოს თეორია გამყარებულია კანონის დანაწესში (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და ამრიგად ასევე კანონში მონესრიგებული გასვლის შედეგების უპირატესობა მასთან მიმართებით ცალსახა არ არის.*

## VIII. შესრულების კონდიცია სამ პირს შორის ურთიერთობაში



თუ შესრულების მიზანი (ვალის დაფარვა) დასახულია არა უშუალოდ შესრულების მიმღების, არამედ მესამე პირის მიმართ, ანუ სახეზე გვაქვს შესრულება სამ პირს შორის ურთიერთობაში (**შესრულების სამკუთხედი**), შესრულების კონდიციის მოვალეს წარმოადგენს არა უშუალოდ მიმღები, არამედ ეს მესამე პირი. გამოყოფენ შესრულების სამკუთხედის სამ შემთხვევას: **მითითების** საფუძველზე შესრულება, **სხვისი ვალის** გადახდა და **მესამე პირის სასარგებლოდ** დადებული ხელშეკრულების შესრულება.

### 1. მითითების საფუძველზე შესრულება

მითითების საფუძველზე შესრულება სახეზე გვაქვს მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ერთი და იმავე საგნის გარშემო დადებული რამდენიმე ხელშეკრულებასთან და მოვალე საგანს აწვდის არა უშუალოდ თავის კრედიტორს, არამედ კრედიტორის კრედიტორს.

**მაგალითი:** *ა მიყიდის ბ-ს მანქანას, რომელსაც ეს უკანასკნელი თავის მხრივ გ-ს მიყიდის. ა მანქანაზე საკუთრებას პირდაპირ გ-ს გადასცემს.*

მიუხედავად იმისა, რომ გ-ს ქონების უშუალო შევსება ა-ს ქონებიდან ხდება (გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი წინადადება), ა შესრულებით მიზნად ისახავს **მხოლოდ საკუთარი ვალდებულების შესრულებას** ბ-ს წინაშე, რის გამოც ის ასრულებს ბ-ს ხოლო ბ გ-ს წინაშე (გსკ-ის 362-ე პარაგრაფი, სსკ-ის 373-ე მუხლი). თუ ეს ხელშეკრულებები არანამდვილია, შესრულების კონდიციით უკან მოთხოვნა უნდა მოხდეს შესრულებათა ხაზის მიხედვით – თითოეული ითხოვს თავის შესრულებას იმ მხარისაგან, ვის წინაშეც შეასრულა, ანუ ა ბ-სგან, ხოლო ბ გ-საგან.



იგივე წესი მოქმედებს საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში. თუ კლიენტი აძლევს თავის ბანკს მითითებას გადაურიცხოს მის კრედიტორს რაიმე თანხა, ამ გადარიცხვით ბანკი ასრულებს კლიენტთან დადებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო კლიენტი ვალდებულებას თავისი კრედიტორის წინაშე სავალდებულებიდან. თუ რომელიმე (ან ორივე) ხელშეკრულება არანამდვილია, ამ შემთხვევაშიც უკან მოთხოვნა უნდა მოხდეს შემსრულებელსა და შესრულების მიმღებს შორის ურთიერთობაში და არა ბანკის მიერ კრედიტორისაგან პირდაპირი კონდიციონების მეშვეობით.

*საქართველოში, სადაც ნასყიდობის არანამდვილობასთან ერთად არანამდვილი ასევე სანივთო გარიგებაც, აუცილებელია ვინდიკაციის გამორიცხვა, რათა ჩაშლილი შესრულებების უკუქცევა მოხდეს ისევე უშუალოდ შესრულების მხარეებს შორის.*

შესრულებების უკუქცევა შესრულებათა ხაზის მიხედვით, ანუ უშუალო კონტრაქტთან შორის ურთიერთობაში ემსახურება ზემოთ უკვე ხსენებული რისკების<sup>53</sup> სამართლიან გადანაწილებას<sup>54</sup>: თითოეულ მხარეს უნდა შეუნარჩუნდეს შესაგებელი თავისი უშუალო კონტრაქტის წინაშე, პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მის მიერ შერჩეული (სახელშეკრულებო) კონტრაქტის შესაგებლისათვის და უნდა ატაროს მხოლოდ მისი გადახდისუუნარობის რისკი.

1.1. შემსრულებლის განსაზღვრა შესრულების საეჭვოობისას

პრობლემაა, თუ როგორ უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ ვინ არის შემსრულებელი, როდესაც ეს შესრულება საეჭვოა.

**მაგალითი:** ა უკვეთავს ბ-ს მალაზიაში სამზარეულოს, რომელსაც ბ შეიძენს გ-სთან როგორც ა-ს წარმომადგენელი, თუმცა

53 შდრ. გვ. 115 და შემდგომი

54 CANARIS, FS Larenz (1973), 860 ff.; MEDICUS, Bürgerliches Recht, Rn. 668 ff.

*შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე. გ მიუტანს და დაუმონტაჟებს პირდაპირ ა-ს.*

მოცემულ შემთხვევაში გ-ს თვალსაწიერიდან ის ასრულებს ა-ს წინაშე, ა კი აღიქვამს მას ბ-ს მოვალედ. მისთვის უცნობია, რომ ბ ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა მისი სახელით, ამიტომაც ის მიიჩნევს, რომ ბ-მ და გ-მ ერთმანეთთან ნასყიდობის ხელშეკრულება დადეს და გ ასრულებს ბ-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო მის მიმართ შემსრულებელი არის ბ.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, გადამწყვეტია არა უშუალო გამცემის (გ) **თვალსაწიერი**, არამედ **ობიექტური მიმღების**. ანუ თუ ვინ უნდა აღექვას გონივრულობის მასშტაბის საფუძველზე (გსკ-ის 133-ე, 157-ე პარაგრაფები, სსკ-ის 52-ე პარაგრაფი) მიმღებს მოცემულ შემთხვევაში შემსრულებლად. შემსრულებლის მიზანი, როგორც გარიგების დარი მოქმედება, ნების გამოხატვის მსგავსად განიმარტება შემსრულებლის მიმღების თვალსაწიერიდან. ამის გამო გ ვერ მოითხოვს ა-საგან სამზარეულოს შესრულების კონდიქციით და რჩება მშრალზე, თუ მისი მოთხოვნები ბ-ს მიმართ არარეალიზებადია, მაგალითად ამ უკანასკნელის გაკოტრების გამო.

ეს რეზულტატი გამართლებულია იმ გარემოებით, რომ გ-მ წარმოუშვა ა-ს ბ-ს მიმართ **შესრულების ილუზია**, არ განუმარტა რა, რომ ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემით სწორედ მის წინაშე (და არა ბ-ს წინაშე) სურდა შესრულება, რის გამოც უნდა ზღოს ეს შედეგები. მიმღები მხოლოდ მაშინ არ იმსახურებს დაცვას და შესრულების მიზანი მხოლოდ მაშინ არ განიმარტება მისი თვალსაწიერიდან, როდესაც ფაქტობრივ შემსრულებელს არაფერი გაუკეთებია ამ ილუზიის წარმოსაშობად.

**მაგალითი:** *ა, რომელიც არის ბანკის (ბ) კლიენტი შეავსებს თავისი კრედიტორის სახელზე ონლაინ-ფორმულარს 500 ლარის გადარიცხვასთან დაკავშირებით და დროებით შეინახავს მას, რადგან სურს მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს გადარიცხვა, რაც მიიღებს კრედიტორისაგან საპირისპირო შესრულებას. მოგვიანებით ბანკის ცენტრალური სერვერი დაუშვებს შეცდომას და გადაურიცხავს გ-ს თანხას ა-ს სახელით.*

*უფრო მოგვიანებით კი ა-სა და გ-ს შორის დადებული ნასყიდობა არანამდვილი აღმოჩნდება. ბანკი ა-ს შეცდომით გადარიცხულ თანხას უკან დაურიცხავს და აინტერესებს, აქვს თუ არა*

*გ-საგან ამ თანხის უკან მოთხოვნის უფლება.*

ბანკს გ-საგან ამ თანხის მოთხოვნა არ შეუძლია შესრულების კონდიქციით, რადგან, როგორც მისი, ისე მიმღების პოზიციიდან ცალსახა იყო, რომ ბანკი არ ისახავდა ამ გადარიცხვით გ-ს წინაშე საკუთარი ვალდებულების შესრულებას მიზნად. შესრულებისათვის, სხვისი ქონების გაცნობიერებული შევსების გარდა, აუცილებელია ასევე კონკრეტული მიზნის ქონაც, რაც მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე.

საკითხავია, უნდა გამოირიცხოს თუ არა ბანკის მიერ გ-საგან მოცემული თანხის **ხელყოფის კონდიქციით** უკან მოთხოვნის შესაძლებლობა, მისი **სუბსიდიარულობის** გამო. ბანკი გ-საგან ვერ გამოითხოვდა ამ თანხას ხელყოფის კონდიქციით, თუ ის ჩაითვლებოდა ა-ს შესრულებით მიღებულად. ა-ს გ-ს წინაშე პირადად არ შეუსრულებია, თუმცა კრედიტორ გ-ს ბანკის მიერ ა-ს სახელით განხორციელებული გადარიცხვა შეიძლება ჩაეთვალოს ა-ს შესრულებად. საკითხავია, თუ **ვისი თვალსაწიერია გადამწყვეტი**, კრედიტორის, ბანკის, თუ სავარაუდო შემსრულებლის. თითოეულს აქვს ინტერესი, რომ მის მიერ **შერჩეულ კონტრაქტთან არკვიოს** მიღებულის უკან მოთხოვნის საკითხი, ბანკმა თავის კლიენტთან, ხოლო კრედიტორმა თავის მოვალესთან. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ბანკის კლიენტ ა-ს არ განუხორციელებია ბანკის მიმართ მითითება და აქვს ინტერესი, რომ არ მიიღოს მონაწილეობა საბანკო დანარიცხის უკუქცევის ურთიერთობაში. ამისგან განსხვავებით მის კრედიტორ გ-სათვის უმჯობესია თავის მოვალე ა-სთან ჰქონდეს საქმე, ვიდრე ბანკს მიეცეს გადარიცხულის პირდაპირი კონდიციონების საშუალება. ამრიგად კრედიტორისათვის უფრო ხელსაყრელია შესრულების მისი თვალსაწიერიდან განმარტება, რადგან ამ შემთხვევაში ბანკის მიერ განხორციელებული გადარიცხვა ა-ს შესრულებად აღიქმებოდა და მისი უკან მოთხოვნის უფლებაც მხოლოდ ა-ს ექნებოდა შესრულების კონდიქციით (რადგან ნასყიდობა არანამდვილი იყო) და არა ბანკს ხელყოფის კონდიქციით. შესრულების განმარტება მიმღების პოზიციიდან ემყარება მისი ნდობის დაცვას. საბოლოო ჯამში გერმანული სასამართლოს პრაქტიკა შესრულების სამკუთხედის შემთხვევების გადამწყვეტისას უარს ამბობს რაიმე წინასწარმოცემულ, სქემატურ ამოხსნაზე. **შემსრულებლის განსაზღვრა** უნდა მოხდეს **მიმღების ნდობისა და სავარაუდო შემსრულებლის ინტერესის გათვალისწინებით**, არ მიიღოს

მონანილეობა უკუქცევიაში – ა-ს, რომელსაც არ განუხორციელებია შესრულება და ნასყიდობის არანამდვილობის აღმოჩენის შემდეგ, აღარც აპირებს მის განხორციელებას, ურჩევნია ბანკმა და კრედიტორმა არკვიონ გაცემულის უკან მოთხოვნის საკითხი და თვითონ ამ ურთიერთობის მიღმა დარჩეს. სავარაუდო **შემსრულებლის ინტერესი** (არ ჩაითვალოს შემსრულებლად და არ მიიღოს უკუქცევაში მონანილეობა) მიმღების ნდობას **გადანონის** მაშინ, როდესაც მას საერთოდ არ შეეცხება მითითება. მიმღების ნდობა არ იმსახურებს დაცვას, თუ მაგალითად მან იცის, რომ მის კონტრაქტს ბანკის მიმართ მითითება არ განუხორციელებია<sup>55</sup>, ან იცის, რომ გადარიცხვის დავალება გაუქმდა, ან მაგალითად ბანკი შემთხვევით ურიცხავს ათჯერ მეტ თანხას, ვიდრე ეკუთვნოდა და მიმღებს ეს უნდა შეეცნო. ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არასწორ ადრესატს ურიცხავს (მაგალითად იმავე სახელის მატარებელ სხვა პირს), რომელიც ხვდება შეცდომას, ან ბანკი აყალბებს ტრანზაქციას<sup>56</sup>, თვითნებურად უთითებს რა სხვა მიმღების ანგარიშს. კლიენტს განხორციელებული მითითება ასევე არ შეეცხება, თუ ის შეზღუდულად ქმედუნარიანი, ქმედუნარო იყო. ყველა ამ შემთხვევაში მიმღების პოზიციიდან შემსრულებლად აღქმული პირი არ ითვლება შემსრულებლად და უკუქცევა ხდება არა სამკუთხედში, არამედ მითითებული მხარის მიერ მიმღებისგან პირდაპირი კონდიციებით. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაშიც ა-ს არ შეეცხება მითითება, რადგან ის მას არ განუხორციელებია, შესაბამისად, მისი ინტერესი გადანონის გ-ს ნდობას და ბანკმა ხელყოფის კონდიქციით პირდაპირ გ-საგან უნდა მოითხოვოს გაცემული შესრულება.

*ქართულ სამართალში არასწორი მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება მონესრიგებულია სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ელ ნაწილში. 1-ლი ნაწილის 1-ელ ნიწადადებაში დაფიქსირებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც მითითების საფუძველზე გადამხდელი უკან ითხოვს მიმითებლისაგან შესრულების კონდიქციით, თუ ის მხოლოდ ვითომ კრედიტორი აღმოჩნდება, ხოლო მიმითებელი უკან ითხოვს უშუალოდ*

*შესრულების მიმღებისგან. თუ მითითება საეჭვოა<sup>57</sup>, უშუალოდ გამცემს, როგორც მითითებულ პირს, აქვს მიმღებისგან პირდაპირი კონდიციონების უფლება. მითითებული პირის მიერ პირდაპირი კონდიციონების დაშვება ამ მითითების საეჭვოობიდან გამომდინარე, ნიწნავს შემსრულებლის განსაზღვრას გამცემის და არა მიმღების პოზიციიდან (მითითება მხოლოდ მისი მიმღების პოზიციიდან შეიძლება იყოს საეჭვო, შესრულების ადრესატი ხედავს მხოლოდ ამ მითითების შედეგს და არ თვითონ მითითებას), რის გამოც გერმანულ, შესრულების მიმღებისა და მის მიერ სავარაუდო შემსრულებლად აღქმული შემსრულებლის ინტერესების აწონ-დანონვის საფუძველზე მიღებულ, გადაწყვეტას ვერ გამოვიყენებთ. საქართველოში ყოველთვის ნამდვილი მითითების არსებობა-არარსებობა (ანუ მითითებულის თვალსაწიერი) იქნება გადამწყვეტი.*

*სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ნიწადადება არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, ის უბრალოდ გადაამისამართებს ერთ შემთხვევაში შესრულების, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელყოფის კონდიქციას შესაბამისი ადრესატის მიმართ.*

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები.** 1. პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

55 magaliTad Ceks akliia xelmowera (BGHZ 62, 362).  
56 BGH NJW 2005, 3213.

57 მართალია კონიგის მიხედვით (KÖNIG, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II, 1589) საეჭვოობა უნდა განისაზღვროს უშუალო გამცემის პოზიციიდან, თუმცა კანონის ტექსტი არ ეწინააღმდეგება გერმანულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად განმარტებას.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ, ხსენებული ინტერესების ანონ-დანონვის საფუძველზე მიღებულ და ქართულ, მითითების საექსპოზიციოდან გამომდინარე, გადანყვეტას ძირითად შემთხვევებში ერთი და იმავე შედეგამდე მიყვავართ, მათ შორის განსხვავება მიახლოება არსებობს, რის მაგალითსაც ქვემოთ მოყვანილი გადანყვეტილება წარმოადგენს.

#### RGZ 60, 24:

ფაქტობრივი გარემოებები: 1902 წლის 13, 14 და 16 აპრილს საფოსტო განყოფილების უფროსმა ერნსტ ტ.-მ გამოწერა ცხრა საფოსტო მითითება მოპასუხე ბანკის სახელზე ფულად გზავნილთან დაკავშირებით (საერთო ჯამში 7000 მარკაზე მეტი თანხა) და გადასცა შესაბამის საფოსტო განყოფილებას. მითითებული თანხა მოპასუხეს ნაწილობრივ გადაეცა ნაღდი ფულის სახით საფოსტო განყოფილებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი მისი მოთხოვნის შესაბამისად გადაერიცხა რაიხის ბანკის ანგარიშზე. ერნსტ ტ.-ს მოპასუხე ბანკში აღებული ჰქონდა თავდებობით უზრუნველყოფილი ვალი 7000 მარკის ოდენობით, რომელიც გადასახდელი იყო 13 აპრილამდე. ამ ვალის დაფარვა მოხდა მითითებული თანხის მეშვეობით. ერნსტ ტ.-ს ეს თანხა ფოსტისათვის არ გადაუხდია. მხოლოდ მიუთითა გადახდილად შესაბამის დავთრებში, რის შემდეგაც ფოსტამ განახორციელა გადარიცხვები. სასამართლო პროცესზე ფოსტა, როგორც მოსარჩელე, მიიჩნევდა, რომ შეეძლო პირდაპირ ბანკისაგან მოეთხოვა აღნიშნული თანხა. პირველი ორი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოტივებიდან: ფოსტას არ წარმოეშევა მითითებული თანხის გადახდის ვალდებულება, თუ ეს თანხა მითითებასთან ერთად მას არ გადასცემია, თუმცა ფოსტა ამ თანხის გადახდით ასრულებს არა მოპასუხე ბანკის, არამედ ტ.-ს წინაშე, რადგან ფოსტისათვის მითითების ხელშეკრულება მხოლოდ ფოსტასა და მიმითებელ კლიენტს შორის წარმოშობს ვალდებულებით ურთიერთობას, რომლის შესრულებასაც ცდილობს ფოსტა მითითებული პირისათვის გადახდით.

რაიხის სასამართლოს მოტივებიდან: თუ მიმღები არის ფულის

გამგზავნის კრედიტორი და თუ მისი გაცხადებული ან კონკლუდენტური ნების შესაბამისად გადაგზავნილი თანხა ამ ვალის დასაფარად არის გამიზნული, მაშინ კრედიტორის მოთხოვნა იფარება ამ მოცულობით, თუ კრედიტორს აქვს ნება ფოსტის მიერ გადაცემული თანხა მიიღოს, როგორც ვალის დაფარვა. ფულის გადამისამართება ფოსტის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის საკუთარი სახელით ასრულებს და არა როგორც გამგზავნის წარმომადგენელი, მოქმედებს, როგორც ვალის დაფარვა, რომელსაც მოვალე ახორციელებს თავისი წარმომადგენლის ან შიკრიკის მეშვეობით. სამართლებრივი ურთიერთობა უნდა შეფასდეს, როგორც შეცდომით სხვისი ვალის გასტუმრება.

თავის გადანყვეტილებაში გერმანულმა ფედერალურმა სასამართლოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია მიმღები ბანკის ნდობა, რომელიც მას გაუჩნდა მისი თვალსაწიერიდან საკუთარი მოვალის შესრულებად აღქმადი გადარიცხვის მიმართ. ქართული სამართლის მიხედვით ამ შემთხვევის გადანყვეტისას, იმის გამო, რომ მოვალესა და ფოსტას შორის არ არსებობდა ნამდვილი მითითება (მითითების ნამდვილობის წინაპირობა იყო ერნსტ ტ.-ს მიერ ფოსტისათვის შესაბამისი თანხის გადახდა) საქართველოში დასაშვები იქნებოდა ფოსტის მიერ პირდაპირ ბანკისაგან უკუმოთხოვნა (სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ნინადადება).

#### 1.2. დათმობილი მოთხოვნის შესრულება

მითითების შემთხვევებს თავისი ეკონომიკური ეფექტით ენათესავება დათმობილი მოთხოვნის შესრულება.

#### BGHZ 105, 365 „Fuerversicherung“ –Fall:

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ (მ), რომელიც იყო მზღვეველი, დაზღვია დაზღვეული პირის (დ) ქონება ხანძრისაგან. მოგვიანებით დაზღვეული ქონება განადგურდა სწორედ ხანძრის გამო, მზღვეველის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნის უფლება კი

დაზღვეულმა პირმა დაუთმო გამსესხებელს (მოპასუხეს), რომელსაც გადაუხადა კიდევ მზღვეველმა სადაზღვეო თანხა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხანძარი თვითონ დაზღვეულმა პირმა გააჩაღა და ამგვარად, დათმობილი და შემდეგში დაფარული, მოთხოვნა საერთოდ არ არსებობდა. მზღვეველმა უკან მოითხოვა ცესიონერისაგან გადახდილი თანხა.

სასამართლოს მოტივებიდან: მზღვეველის შესრულების კონდიქცია ცესიონერის წინააღმდეგ გამოირიცხება, რადგან მოპასუხე-მოსარჩელეს შორის ურთიერთობაში სახეზე არ გვაქვს შესრულება. მოცემულ შემთხვევაში შესრულება ხდება სამკუთხედში: მოსარჩელე ასრულებს დაზღვეული პირის მიმართ სადაზღვეო ხელშეკრულების შესრულების მიზნით, ხოლო დაზღვეული პირი მოპასუხის მიმართ სესხის შესრულების მიზნით. ამგვარად გამოიყურება სამართლებრივი მდგომარეობა თანხის მიმღების პოზიციიდან.

რაც შეეხება ხელყოფის კონდიქციას, ის გამოირიცხული უნდა იყოს შესრულების კონდიქციის გამო. ზოგადად გადამწყვეტია მიზანი, რომელსაც ისახავენ მონაწილეები მათი გაცხადებული ნების საფუძველზე. მის მიხედვით განისაზღვრება შესრულება და შესრულებათა ხაზი კონდიქციური უკუქცევისას. განსაკუთრებული მიზეზები, რომელიც გაამართლებდა პირდაპირი კონდიქციების შესაძლებლობას (შესრულებათა ხაზის მიუხედავად) სახეზე არ არის. ამ გადამწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს რისკების გადანაწილება და მიმღების ნდობის დაცვა, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

**ქართულ სამართალში** ეს გადამწყვეტა დაფიქსირებულია სსკ-ის 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელ ნინადადებაში. მოთხოვნის უფლების დათმობის შემდეგ, თუ მოვალე ახალ ვითომ-კრედიტორს გადასცემს რაიმეს, შეუძლია შესრულების კონდიქციით თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს. ამგვარი გადამწყვეტა გამართლებულია ასევე იმ არგუმენტით<sup>58</sup>, რომ მოთხოვნის უფლების დათმობამ მოვალის მდგომარეობა არ უნდა გააუარესოს, ამიტომაც მისი შესრულების კონდიქცია მიმართულია უშუალოდ მის მიერ შერჩეული კონტრაქტის წინააღმდეგ. ცესიონერი მხოლოდ მაშინ აგებს პირდაპირ პასუხს, როდესაც მოვალე იხდის ზედმეტს (ან იხდის ორჯერ), ანუ


58 KÖNIG, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II, 1589.

ეს გადახდა ცედენტს არ შეეარაცხება (სსკ-ის 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება).

## 2. სხვისი ვალის გადახდა

შესრულების სამკუთხედის შემთხვევას წარმოადგენს ასევე სხვისი ვალის დაფარვა, რომლის გადამწყვეტაც დამოკიდებულია ამ ვალის არსებობა-არარსებობაზე.


**მაგალითი:** ა, რომელსაც სურს საკუთარ მეუღლე ბ-ს სიურპრიზი მოუწყოს, ფარავს მის ვალს. თუმცა ეს ვალი ამ უკანასკნელმა უკვე კარგა ხნის წინ დაფარა.



საკამათოა ამ შემთხვევაში, თუ ვის აქვს მოთხოვნის უფლება, ა-ს, თუ ბ-ს. ა გ-სათვის გადახდით მიზნად არ ისახავდა მის წინაშე საკუთარი ვალდებულების შესრულებას, არამედ ბ-ს ვალის დაფარვას (გსკ-ის 267-ე პარაგრაფი, სსკ-ის 371-ე მუხლი). ა მოქმედებს საკუთარი გადამწყვეტილების საფუძველზე, ანუ აქვს გ-ს წინაშე შესრულების საკუთარი მიზანი. თუ ეს მიზანი მიმღები გ-ს პოზიციიდან

**ნაც შეცნობადია**, მაშინ ა-სა და გ-ს შორის წარმოიშვება შესრულების ურთიერთობა. ამ შესრულების სამართლებრივი საფუძველი არის ბ-ს ვალი გ-ს წინაშე. თუ ეს ვალი არ არსებობს, შემსრულებელ ა-ს შეუძლია მიმღები გ-საგან ამ თანხის კონდიცირება. თუ ამის საპირისპიროდ მიმღებისათვის არ იყო შეცნობადი, რომ ა შესრულებით საკუთარ მიზანს ისახავდა, მაშინ მისი პოზიციიდან შემსრულებელი არის არა ა, არამედ ბ, რაც გერმანიაში არის კიდევც გადაამწყვეტი შესრულების ურთიერთობის განსაზღვრისათვის.

**მაგალითი:** ა ფარავს ბ-ს ვალს, რომელსაც შეცდომით საკუთარ ვალად მიიჩნევს.



ა-ს, როგორც საკუთარი ისე მიმღების თვალსაწიერიდან უნდა საკუთარი ვალდებულების შესრულება, არის რა ეს შესრულება უსაფუძვლო, შეუძლია მისი უკან მოთხოვნა შესრულების კონდიციით. მიმღები დაცულია გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად (სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც საკამათოა აქვს თუ არა ა-ს მოცემულ შემთხვევაში არჩევნის საშუალება, მოსთხოვოს გაცემული გ-ს შესრულების კონდიციით, თუ


ბ-ს რეგრესის კონდიციით, ქართულ სამართალში ეს მეორე შესაძლებლობაც ცალსახად უნდა ვალიაროთ, რადგან რეგრესისის კონდიციის მომწესრიგებელი დანაწესი, სსკ-ის 986-ე მუხლი, მოიცავს სხვისი ვალის როგორც შეგნებულად, ისე შეცდომით გადახდას, როდესაც გადამხდელი შეცდომით საკუთარ თავს მიიჩნევს მოვალედ.

**3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული “ნამდვილი” ხელშეკრულება**

მესამე შემთხვევას შესრულების სამკუთხედისა წარმოადგენს მესამე პირის სასარგებლო დადებული **ე. წ. “ნამდვილი”** ხელშეკრულება. მესამე პირი მოიპოვებს ამ ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლებას მოვალის მიმართ (გსკ-ის 328-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 349-ე მუხლი). მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარეები არიან შესრულების **დაპირების გამცემი** (მოვალე) და შესრულების **დაპირების მიმღები** (კრედიტორი). შეპირების მიმცემი, ჩვეულებრივ, შესრულების მიზანს ისახავს, როგორც მესამე პირის, ისე შეპირების მიმღების წინაშე.

**მაგალითი:** ა და ბ დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას გ-ს სასარგებლოდ, რომელსაც ბ-მ თავის მხრივ აჩუქა ეს ნივთი.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული “ნამდვილი” ხელშეკრულების შესრულება



მიუხედავად იმისა, რომ შეპირების მიმცემი შესრულების მიზანს ისახავს, როგორც მესამე პირის, ისე შეპირების მიმღების წინაშე, ნასყიდობის ხელშეკრულების არანამდვილობის შემთხვევაში, კონდიქციური უკუქცევა, ზემოთ მოყვანილი სამი არგუმენტის გამო (იხ. გვ. 115 და შემდგომნი), უნდა მოხდეს შესრულების დაპირების გამცემსა და შესრულების დაპირების მიმღებს შორის გამონაკლისის სახით გამცემს აქვს კონდიქციური მოთხოვნის უფლება პირდაპირ მესამე პირის მიმართ, თუ შესრულების მიზანი მხოლოდ მის წინაშე იყო დასახული. ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მხოლოდ მესამე პირს ჰქონდა შესრულების მოთხოვნის უფლება და შესრულების დაპირების მიმღებს კი ის არ ჰქონდა.

## კაზუსი: „კლინტი ყოველთვის მართალია“

ა 1.05.2015 აძლევს მითითებას ბანკს “მომცრო ზომის ლომი – ყოველთვის თქვენს გვერდით” (მ. ზ. ლ.), რომელშიც მას ანგარიში აქვს გახსნილი, რომ გადაურიცხოს 5000 ლარი მის კრედიტორ გ-ს, რომელთანაც მან ორი დღის წინ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება და რომელსაც იმავე ბანკში აქვს გახსნილი ანგარიში. მითითების მიცემის დღეს გადაურიცხვის განხორციელება არ ხერხდება, რადგან ა-ს ანგარიშზე თანხა არ აქვს. 5 მაისს ა საცილოდ აცხადებს ნასყიდობას შეცდომის გამო და უგზავნის ბანკს წერილს (წერილი ბანკში მიდის 6 მაისს), რომლითაც ის უარს ამბობს გადაურიცხვის განხორციელებაზე. ბანკის თანამშრომელი დაუდევრობის გამო ყურადღებას არ აქცევს გამოხმობის წერილს და 7 მაისს მაინც გადაურიცხავს კ-ს 5000 ლარს. შეცდომის აღმოჩენის შემდეგ კი უკან ითხოვს მისგან ამ თანხას. შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა.

### ამოხსნა

*(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)*

I. სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები მ. ზ. ლ.-სა და გ-ს შორის გამოურიცხულია, რადგან მათ შორის ხელშეკრულება არ დადებულია.

II. მ. ზ. ლ.-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის, 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად

მ. ზ. ლ.-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ დარიცხული თანხის უკან მოთხოვნის უფლება გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის, 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. შესრულების კონდიქციის წინაპირობებია:

## 1. „რაიმეს“ მოპოვება

გ უნდა გამდიდრებულიყო რაიმეს მოპოვებით. მ. ზ. ლ.-საგან მან მიიღო საბანკო დანარიცხი, რაც წარმოადგენს ვალის აღიარებას (გსკ-ის 780-ე, 781-ე პარაგრაფი, სსკ-ის 341-ე მუხლი), რაც გერმანიის სავაჭრო კოდექსის 350-ე პარაგრაფის მიხედვით არაფორმალურად აღიარებულია.

## 2. შესრულებით

გ-ს რაიმე უნდა მოეპოვებინა მ. ზ. ლ.-ს შესრულებით, ანუ მ. ზ. ლ.-ს მხრიდან მისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსებით. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, შესრულების განსასაზღვრად გადამწყვეტია მიმღების თვალსაწიერი, ანუ ის, თუ როგორ უნდა აღექვას მიმღებს მეორე მხარის მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში კრედიტორი გ-ს პოზიციიდან ცალსახაა, რომ ბანკი მიზნად არ ისახავდა მისი ქონების შევსებას საკუთარი ვალდებულების დაფარვის მიზნით, არამედ მოქმედებდა როგორც ა-ს შესრულების გადამცემი. გ-ს არ მიუღია საბანკო დანარიცხი მ. ზ. ლ.-ს შესრულებით, რის გამოც მისი შესრულების კონდიქციით უკუმოთხოვნა უნდა გამოირიცხოს.

### III. მ. ზ. ლ.-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად

მ. ზ. ლ.-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ საბანკო დანარიცხის უკან მოთხოვნის უფლება ხელყოფის კონდიქციით გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ხელყოფის კონდიქციის წინაპირობებია:

## 1. „რაიმეს“ მოპოვება

როგორც ზემოთ ვახსენეთ, რაიმეს მოპოვება სახეზეა.

## 2. ხელყოფით

განსხვავებით შესრულების კონდიქციისაგან ხელყოფის კონდიქციის წინაპირობას წარმოადგენს რაიმეს მოპოვება ხელყოფით, ანუ სხვისათვის მიკუთვნიებული სამართლებრივი სიკეთის მითვისებით.

### 2.1. ხელყოფის კონდიქციის სუბსიდიარულობა შესრულების კონდიქციასთან მიმართებით

ჩვეულებრივ, ხელყოფით მიღებულად ითვლება ყველაფერი ის, რაც მიღებული არ არის შესრულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ-ს დანარიცხი არ მიუღია მ. ზ. ლ.-ს შესრულებით, რადგან მისთვის ნათელი იყო, რომ ბანკი მიზნად არ ისახავდა მის წინაშე საკუთარი ვალდებულების შესრულებას, თუმცა ეს არ გამოირიცხავს ამ თანხის ა-ს შესრულებით მიღებას. შესრულება განისაზღვრება მიმღების თვალსაწიერიდან. მოცემულ შემთხვევაში გ-ს თვალსაწიერიდან ბანკი მოქმედებდა როგორც ა-ს შესრულების გადამცემი, ხოლო თვითონ დარიცხვა ხდებოდა ა-ს მიერ ნასყიდობით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. თუ დავუშვებთ, რომ ბანკის მიერ გ-სათვის თანხის გადარიცხვით ბანკმა შეასრულა ა-ს, ხოლო ა-მ გ-ს წინაშე, ამ შესრულების უკუქცევას უნდა მოხდეს შესრულებათა ხაზის მიხედვით სამკუთხედში, მ. ზ. ლ.-მ უნდა მოითხოვოს ა-საგან, ხოლო ა-მ გ-საგან.

### 2.2. შედეგის კორექტირება ინტერესების აწონ-დაწონვის საფუძველზე

ჩვეულებრივ, შესრულებათა უკუქცევა სამკუთხედში შეესაბამება მხარეთა ინტერესებს. თითოეული მხარე უკან ითხოვს თავისი კონტრაჰენტისაგან. ამით ინარჩუნებს მის მიმართ შესაგებლებს (და მხოლოდ უშუალო კონტრაჰენტს აქვს საპირისპირო შესაგებელი), ასევე ატარებს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული კონტრაჰენტის გადახდისუუნარობის რისკს<sup>59</sup>. ამ შემთხვევაში მ. ზ. ლ., რომელიც მხოლოდ შესრულების გადამცემი იყო, არ უნდა ჩავრთოთ შესრულებათა უკუქცევაში.

<sup>59</sup> შდრ. ზევით გვ.116

შესრულების დადგენა მიმღების თვალსაწიერიდან ემსახურება მისი ნდობის დაცვას. მისთვის უფრო ხელსაყრელია დანარიცხის შენარჩუნების ბედი არკვიოს თავის უშუალო კონტრაქტთან, ვიდრე ბანკთან. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ გამონაკლის შემთხვევებში ეს ნდობა არ იმსახურებს დაცვას და უშუალო კონტრაქტი არ უნდა ჩავრთოთ მიღებულის უკუქცევის ურთიერთობაში.

სავარაუდო შემსრულებელსა და მიმღების ინტერესების ანონ-დანონის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი წესიდან გამონაკლისის გაკეთება. როდესაც მიმღებმა იცის, რომ მის უშუალო კონტრაქტს განხორციელებული ტრანზაქცია არ შეერაცხება, მაშინ მისი ნდობა აღარ იმსახურებს დაცვას, შეგვიძლია უარი ვთქვათ შესრულებების სამკუთხედში უკუქცევაზე და დავუშვათ ბანკის პირდაპირი კონდიქციური მოთხოვნა თანხის მიმღების წინააღმდეგ. გერმანული სასამართლო პრაქტიკა<sup>60</sup> იმავე შედეგამდე მიდის შესრულების ცნების განმარტების მეშვეობით: თუ მიმღებმა გ-მ იცის, რომ ა-ს მითითება საერთოდ არ განუხორციელებია ან სხვა შინაარსით განახორციელდა, მისი თვალსაწიერიდან ტრანზაქცია ვერ ჩაითვლება ა-ს შესრულებად. ასევე, თუ ბანკი შეგნებულად გადაუხვევს ა-ს მითითებას, მაშინ ის უკვე აღარ არის მხოლოდ შესრულების გადამცემი, რადგან ის ამით ანაცვლებს შესრულების თავდაპირველ მიზანს საკუთარი მიზნით.

საკითხავია, შეერაცხება თუ არა მოცემულ შემთხვევაში მიმთითებელს მის მიერ განხორციელებული მითითები. ჩვეულებრივ, მითითება იმ შემთხვევაში არ შეერაცხება მიმთითებელს, როდესაც მას საერთოდ არაფერი გაუკეთებია, არაფრით არ გამოუწვევია ტრანზაქცია და ბანკმა ის თვითნებურად განახორციელა. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტმა თავიდან განახორციელა მითითება, მაგრამ შემდეგში გამოიხმო ის, მიუხედავად ამ გამოხმობისა, მითითება მას შეერაცხება.

მოცემულ შემთხვევაში ა-მ მიუთითა ბანკს. შემდეგში, მართალია, გამოიხმო ეს მითითება, თუმცა ბანკის მიერ შეცდომით განხორციელებული გადარიცხვა მაინც იყო ა-ს თავდაპირველი მითითებით განპირობებული და შეერაცხება მას<sup>61</sup>. მიმღების ნდობა იმსახურებს დაცვას, რის გამოც სახეზეა შესრულება ა-ს მხრიდან.

*გერმანიაში ბანკის მხრიდან პირდაპირი კონდიცირება დასაშვები იქნებოდა, მიუხედავად ა-ს შესრულებისა, თუ ეს შესრულება უსასყიდლოდ განხორციელდებოდა (გსკ-ის 822-ე, 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, სსკ-ის 989-ე ან 990-ე მუხლები), რაც მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე.*

**საქართველოში** ბანკს ექნება კ-საგან პირდაპირი კონდიცირების უფლება ხელყოფის კონდიქციით, რადგან მითითების გამოხმობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი გადარიცხვას შეცდომით მაინც ახორციელებს, ეს მითითება საეჭვოა მისი პოზიციიდან სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით.

**შედეგი:** ბანკს არ აქვს გ-საგან ხელყოფის კონდიქციით დანარიცხის უკან მოთხოვნის უფლება, რადგან გ-მ ის ა-ს შესრულებით მიიღო.

*გერმანიაში ბანკს შეუძლია მხოლოდ მის კლიენტ ა-საგან მოითხოვოს მიღებულის დაბრუნება შესრულების კონდიქციით. რადგან მოცემულ შემთხვევაში ა-სა და გ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება არანამდვილია, მ. ზ. ლ.-ს მისი გადარიცხვით არ გაუთავისუფლებია ა ნაკისრი ვალდებულები-საგან, თუმცა მას ამ გადარიცხვით მოუპოვა თავის მხრივ შესრულების კონდიქცია გ-ს მიმართ და ა-მ მ. ზ. ლ.-ს უნდა დაუთმოს სწორედ ეს შესრულების კონდიქცია, ანუ უნდა მოხდეს კონდიქციური მოთხოვნის კონდიცირება (კონდიქციის კონდიქცია).*

60 BGH NJW 2003, 582; BGH NJW 2004, 1315.

61 WANDT, Gesetzliche Schuldverhältnisse, 244.

**IX. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი (საქმეა)**

**1. შესრულების კონდიქცია**

გერმანია (§ 812 I 1 ვარ. გსკ)	საქართველო (მ. 976 I ა) სსკ)
<b>1. „რაიმეს“ მოპოვება</b> ნებისმიერი ქონებრივი სარგებელი	<b>1. „რაიმეს“ მოპოვება</b>
<b>2. შესრულებით</b> სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება (პრობლემა: შესრულებათა ჯაჭვი სამ პირს შორის ურთიერთობაში)	<b>2. შესრულებით</b>
<b>3. უსაფუძვლოდ</b> ა) საფუძვლის თავიდანვე არარსებობა (§ 812 I 1, 1. ვარ. გსკ) = <i>condictio indebiti</i> (ასევე შესაგებლის შემთხვევაში (§ 813 I გსკ) გამონაკლისები: (§§ 814, 817 2 გსკ)	<b>3. უსაფუძვლოდ</b> ა) საფუძვლის თავიდანვე არარსებობა (მ. 976 I ა) 1.-2. ვარ. სსკ) = <i>condictio indebiti</i> (ასევე შესაგებლის შემთხვევაში (მ. 976 I ბ) სსკ) გამონაკლისები: (მ. 976 II ა)-დ) ვარ. სსკ)
ბ) საფუძვლის მოგვიანებით გაქარწყლება (§ 812 I 2, 1. ვარ. გსკ) = <i>condictio ob causam finitam</i>	ბ) საფუძვლის მოგვიანებით გაქარწყლება (მ. 976 I ა) 3. ვარ. სსკ) = <i>condictio ob causam finitam</i>
გ) დასახული მიზნის ჩაშლა (§ 812 I 2, 2. ვარ. გსკ) = <i>condictio ob rem</i> გამონაკლისი: (§ 815 გსკ)	გ) დასახული მიზნის ჩაშლა (მ. 977 I სსკ) = <i>condictio ob rem</i> გამონაკლისი: (მ. 977 II ა)-ბ) სსკ)
<b>შედეგები:</b> 1. მიღებულის დაბრუნება (§§ 812 I, 818, 819 გსკ) 2. გამდიდრების შესაგებელი (§ 821 გსკ)	<b>შედეგი:</b> მიღებულის დაბრუნება (მ. 976 I ა), 979-981 სსკ)

**II. ხელყოფის კონდიქცია**

გერმანია (§ 812 I 2. ვარ. გსკ)	საქართველო (მ. 982 I სსკ)
<b>1. „რაიმეს“ მოპოვება</b> ნებისმიერი ქონებრივი სარგებელი	<b>1. „რაიმეს“ მოპოვება</b>
<b>2. ხელყოფით</b> სხვისათვის მიკუთვნიებული სამართლებრივი პოზიციის მითვისებით	<b>2. ხელყოფით</b> სხვისათვის მიკუთვნიებული სამართლებრივი პოზიციის მითვისებით
სპეციალური შემთხვევები: ა) არაუფლებამოსილის უსასყიდლო განკარგვა (§ 816 I 2 გსკ)	სპეციალური შემთხვევები: ა) არაუფლებამოსილის უსასყიდლო განკარგვა (მ. 990 სსკ)
ბ) უფლებამოსილის უსასყიდლო განკარგვა (§ 822 გსკ)	ბ) უფლებამოსილის უსასყიდლო განკარგვა (მ. 989 სსკ)
გ) არაუფლებამოსილის მიერ შესრულების მიღება (§ 816 II გსკ)	გ) არაუფლებამოსილის მიერ შესრულების მიღება (მ. 983 სსკ)
<b>3. კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე</b> ემსახურება ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მფლობელის იდენტიფიცირებას	<b>3. კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე</b>
<b>4. უსაფუძვლოდ</b> ხელყოფის საფუძველზე მოპოვებულ რაიმეს მართლწესრიგი უნდა აკუთვნებდეს სხვა პირს.	<b>4. უსაფუძვლოდ</b>
<b>შედეგები:</b> 1. მიღებულის დაბრუნება (§§ 812 I, 818, 819 გსკ)	<b>შედეგი:</b> მიღებულის დაბრუნება (მ. 984, 985 სსკ, მ. 989 სსკ → მ. 979-981 სსკ)

**II. დანახარჯების/რეგრესის კონდიქცია**

გერმანია (§ 812 I 2. ვარ. გსკ)	საქართველო (მ. 986/987 სსკ)
<b>1. დანახარჯების განწევა/ვალის დაფარვა</b>	<b>1. დანახარჯების განწევა/ვალის დაფარვა</b>
<b>2. უსაფუძვლოდ</b> კონდიქციის კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ვალდებულება (მაგ.: § 426 გსკ; § 774 გსკ)	<b>2. უსაფუძვლოდ</b> კონდიქციის კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ვალდებულება (მაგ.: მ. 473 სსკ; მ. 905 სსკ)
<b>3. უკან იხევს სხვა უფრო სპეციალური დანაწესების წინაშე</b> (§§ 677 და შემდგომი გსკ; § 187 და შემდგომი გსკ)	<b>3. უკან იხევს სხვა უფრო სპეციალური დანაწესების წინაშე</b> (მაგ. მ. 969, 973 სსკ; მ. 163-164 სსკ)
<b>შედეგები:</b> 1. მიღებულის დაბრუნება (§§ 812 I, 818, 819 გსკ, გამონაკლისი: „თავსმოსხვეული გამდიდრება“)	<b>შედეგი:</b> მიღებულის დაბრუნება (მ. 987 სსკ)

**§3 დელიქტური სამართალი**

**ლიტერატურა:** DEUTSCH, Unterhalt oder Kind als Schaden: Der BGH unterscheidet Fallgruppen und weicht vom BVerfG ab, NJW 1994, 776; DEUTSCH, Das behindert geborene Kind als Anspruchsberechtigter, NJW 2003, 26; ENNECCERUS/LEHMANN, Recht der Schuldverhältnisse<sup>15</sup> [1958], § 234 I 1b; kurzkommentar OR/SCHÖNENBERGER, Art. 41 Rn. 41-35; KÖTZ/WAGNER, Deliktsrecht, Rn. 137; OFTINGER/STARK, Schweizerisches Haftpflichtrecht AT I<sup>5</sup> [1995]; ROTH, Kindesunterhalt als Schaden, NJW 1995, 2399; LARENZ, Lehrbuch des Schuldrechts II/ 2 [1957], § 66 I d; LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2 [1994]<sup>13</sup>, § 75 II 3, § 76 II 1, § 79 III 4b; LAUMEN, Die „Beweisleichterung bis zur Beweislastumkehr“ - Ein beweisrechtliches Phänomen, NJW 2002, 3739; Palandt/HEINRICH, BGB<sup>67</sup> [2008], Vor. § 249 Rn. 119; Palandt/THOMAS, BGB<sup>67</sup> [2008], § 823 Rn. 170; § 831 Rn. 15, 16; RAAB, Die Bedeutung der Verkehrspflichten und ihre systematische Stellung im Deliktsrecht, JuS 2002, 1041 ff.; ROTH, Kindesunterhalt als Schaden, NJW 1995, 2399; SCHWENZER, Schweizerisches Obligationenrecht AT<sup>6</sup> [2012], N 14.03; Staudinger/MEDICUS, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch<sup>12</sup> [1983], § 249 Rn. 47; Staudinger/HAGER, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch<sup>14</sup> [2009], § 823 Rn. B 14, B 15, 16; TRULLI, Probleme und Entwicklungen der Dienstleistungshaftung im griechischen, deutschen und Gemeinschaftsrecht [2001], 153.

**შესავალი**

დელიქტური სამართლის მიზანს, განსხვავებით კონდიქციური მოთხოვნისაგან, წარმოადგენს არა მიმღებთან უსაფუძვლოდ მომხდარი გამდიდრების უკუქცევა, არამედ იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც პირმა საკუთარი ბრალეული ქმედებით სხვა პირს მიაყენა. ამიტომაც გადაწყვეტია, არა ის, თუ რა მიიღო დელიქტის ჩამდენმა ამ ქმედებით, არამედ, თუ რა ზიანი მიადგა დაზარალებულს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვება, როდესაც პირი ხელყოფს სხვის სიკეთეს გსკ-ის 823-ე და შემდეგი პარაგრაფების (სსკ-ის 992-ე და შემდეგი მუხლების) მიხედვით ან სრულდება სპეციალურ კანონში გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობები. დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობა არ არის დელიქტის ჩამდენსა და დაზარალებულ პირს შორის

რაიმე წინასწარი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, საკმარისია ზემოთ ხსენებული წინაპირობების შესრულება, თუმცა ერთი და იგივე ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც ხელშეკრულების დარღვევას, ასევე დელიქტს. ამ შემთხვევაში ეს ორი ტიპის მოთხოვნა ერთმანეთთან კონკურირებს.

### I. დელიქტური პასუხისმგებლობა გერმანიაში

გერმანულ სამართალში დელიქტური პასუხისმგებლობის მთავარი დანაწესია გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, ხოლო საქართველოში 992-ე მუხლი. ქართული სამოქალაქო კოდექსის დანაწესი ფორმულირებულია ე. წ. გენერალური დათქმის ფორმით, რომელიც იცავს პირის ნებისმიერ ქონებრივ სიკეთეს ხელყოფისაგან. მისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის დანაწესი არის ე. წ. კონკრეტული დათქმა, რადგან იცავს მხოლოდ ცალკეულ სიკეთეებს – აბსოლუტური ხასიათის მქონე სიკეთეებს. რაც შეეხება პასუხისმგებლობის სხვა წინაპირობებს, ისინი გერმანიაშიც და საქართველოშიც ძირითადად იდენტურია.

#### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§823. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.** (1) პირი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი.

(2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, ვინც არღვევს კანონს, რომელიც მიმართულია სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ. თუ კანონის შინაარსის თანახმად მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშეც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას.

#### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 992. ცნება.** პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებია:

### 1. სიკეთის ხელყოფა

სიკეთის ქვეშ გერმანიაში იგულისხმება გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ელ ნაწილში დასახელებული აბსოლუტური სიკეთეები და “სხვა” მსგავსი, ანუ ასევე აბსოლუტური ხასიათის მქონე სიკეთეები.

*განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, ქართული დელიქტური გენერალური დათქმა იცავს არა მხოლოდ აბსოლუტურ სიკეთეებს ხელყოფისაგან, არამედ მთლიანად ქონებას შემცირებისაგან, ანუ აბსოლუტურის გარდა ასევე ყველა სხვა ქონებრივ სიკეთეს.*

**მაგალითი:** შოთა (შ) დაიქირავეს მღებავ მერაბს (მ) საკუთარი სამოთახიანი ბინის შესაღებად. მას შემდეგ რაც მორთახს პირნათლად შეღებავს და ეს ესაა მესამე ოთახის შეღებვას უნდა შეუდგეს, ზედა სართულზე მცხოვრებ დათოს (დ) ღამე ონკანი დარჩება მოშვებული. დილით მ-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ნახევარი თავიდანაა გასაკეთებელი. შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა.

*მოცემულ შემთხვევაში მეზობელი დ-ს მიერ წყლის ჩამოშვებით მ-ს ადგება ზიანი; ის ვალდებულია მ-სთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელმეორედ შეღებოს ერთხელ უკვე შეღებილი კედელი (თავიდან დახარჯოს დრო, ენერჯია და მასალა). თუმცა ეს ზიანი გამოწვეული არ არის მ-ს აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით – საღებავზე საკუთრება, კედლის შეღებვის შემდეგ, უკვე ეკუთვნოდა მ-ს და არა მ-ს გსკ-ის 946-ე პარაგრაფის (სსკ-ის 193-ე მუხლის) შესაბამისად. ზიანი, რომელიც მ-ს ადგება კედლის თავიდან შეღებვით, წარმოადგენს ქონებრივ ზიანს, მას უნევს საკუთარი ჯიბის საკუთარი ნებისმიერ შემთხვევაში. გერმანიაში ქონებრივი ზიანი “სუფთა” სახით, თუ ის არ ემყარება აბსოლუტური სიკეთის ხელყოფას, არ ანაზღაურდება.*

*საქართველოში, მართალია ანაზღაურდება ასევე ქონებრივი ზიანი, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მიყენებული ზიანი არ არის მართსაწინააღმდეგო (იხ. ქვემოთ). აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისაგან განსხვავებით, ზოგადად ქონების ხელყოფისას*

ქმედების მართლწინააღმდეგობა არ ივარაუდება და საჭიროებს მტკიცებას. ეს მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან არ არსებობს სამართლის დანაწესი, რომელიც მეზობელს აუკრძალავდა მეორე მეზობლის კედლის დაზიანებას, რათა ამით არ მიადგეს ზიანი მეზობლის მენარდეს. საქართველოსა და გერმანიაში მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ გერმანული დოქტრინის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ფიგურის, “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის”, შესაბამისად არის შესაძლებელი მ-ს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ხდება ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთად თავმოყრა, შ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც არ წარმოიშვა, რადგან მას არ მიადგა ზიანი, წარმოიშვა მ-სთან, რომელსაც რეალურად მიადგა ეს ზიანი.

გერმანიაში დაცულ სიკეთეებს განეკუთვნება **სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა** (მაგალითად, ექიმის მიერ სხეულებრივი ჩარევა წარმოადგენს სხეულის დაზიანებას, თუმცა მოცულია პაციენტის თანხმობით), **თავისუფლება**, აბსოლუტური ხასიათის მატარებელი ან მათთან გათანაბრებული **უფლებები** – საკუთრების უფლება, მფლობელობა, მოლოდინის უფლება.

**მაგალითი<sup>62</sup>:** სანაოსნო არხი ჩაიხერგა პასუხისმგებელი პირის ბრალეული მოქმედების შედეგად და გემებისათვის, რომლებიც ამ დროს პორტში იმყოფებოდნენ შეუძლებელი აღმოჩნდა მისი დატოვება. შეუძლებელი აღმოჩნდა ასევე ნავსადგურს გარეთ დარჩენილი გემებისათვის ნავსადგურში შესვლა და ტვირთის გადმოტვირთვა, რის გამოც, როგორ შიგნით, ისე გარეთ დარჩენილი გემების მეპატრონეებმა ნახეს ზიანი.

მოცემულ შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, ნავსადგურში ჩაკეტილი გემების მეპატრონეებს, რომლებმაც სრულებით დაკარგეს საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობა არხის შეკეთებამდე, ჰქონდათ პასუხისმგებელი პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

მათგან განსხვავებით, საკუთრების დაზიანებიდან გამომდინარე დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ

ჰქონდათ ნავსადგურს გარეთ დარჩენილი გემების მეპატრონეებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ დაკარგეს შესაძლებლობა მიეღწიათ საკუთარი გემით ერთ კონკრეტულ ადგილამდე, სხვა მიმართულებით მათი გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული არ იყო, რის გამოც არ იყო ხელყოფილი მათი საკუთრება ამ გემებზე.

დელიქტური დანაწესით დაცულია ასევე ე. წ. „**პიროვნების განვითარების ზოგადი უფლება**“ და უფლება **მონყობილ და ამუშავებულ სანარმოზე**.

**მაგალითი:** ა, არის სანაყინეს მესაკუთრე, რომელსაც ელექტროენერგია მიეწოდება ბ-ს ფანჯრების ქვეშ გამავალი კაბელის მეშვეობით. ერთ დილითაც უხასიათოდ მყოფი ბ, რომელსაც ა-ს სანაყინეს წინ მოფუთფუთე ხალხი ყელში ამოუვიდა, გადმოყოფს ფანჯრიდან მაკრატელს და გადაჭრის ამ კაბელს. ელექტროენერგიის მიწოდება უწყდება მთელ კორპუსს და მათ შორის ა-საც, რომელსაც იმ დღეს ვაჭრობა ჩაუვარდება.

მოცემულ შემთხვევაში ა ვერ მოითხოვს საკუთრების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურებას, რადგან ის არ იყო კაბელის მესაკუთრე, ხოლო მის საკუთრებაში მყოფი ნივთები (მაგალითად ნაყინის აპარატები) არ დაზიანებულა. თუმცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება დაეფუძნოს მონყობილ და ამუშავებულ სანარმოზე უფლების (როგორც გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ელ ნაწილში მოხსენიებული “სხვა [აბსოლუტური] უფლების”) დაზიანებას. ეს უფლება არის მკაცრად სუბსიდიარული ხასიათის, ანუ მისი ხელყოფა არ განიხილება, თუ სხვა აბსოლუტური უფლების ხელყოფა შეიძლება იყოს სახეზე. ხელყოფა მიმართული უნდა იყოს სანარმოს წინააღმდეგ, ანუ უშუალოდ სანარმო ორგანიზაციისა, ან მისი მართვის წინააღმდეგ (სანარმოს ბლოკადა, ბოიკოტი, მედიაში თავდასხმა და ა. შ.). მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია ის გარემოება, რომ კაბელის ჩანყვეტის შედეგად ელექტროენერგია შეუწყდა არა მარტო ა-ს სანარმოს, არამედ ასევე კორპუსის ყველა სხვა მაცხოვრებელს, რის გამოც ხელყოფა შეიძლება არ ჩაგვეთვალოს სანარმოს წინააღმდეგ მიმართულად, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია, რომ კერძო პირთათვის ელექტროენერგიის შეწყვეტა, მართალია, უსიამოვნოა, მაგრამ მათ ეს დიდ ზიანს

62 BGHZ 55, 153 – Fleet-Fall.

არ აყენებს, განსხვავებით სანარმოსაგან. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალური სასამართლო სანარმოს ფუნქციონირების ამგვარი გაშუალებული დაზიანების შემთხვევებს, ჩვეულებრივ, არ მიიჩნევს მონყობილ და ამუშავებულ სანარმოზე უფლების ხელყოფად. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ბ-ს მიერ კაბელის ჩანყვეტა, მიუხედავად სანარმოზე გაშუალებული ზემოქმედებისა, წარმოადგენდა მისი საქმიანობის მიზანმიმართულ შეფერხებას და უნდა შეფასდეს, როგორც მონყობილ და ამუშავებულ სანარმოზე გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილით დაცული უფლების ხელყოფა.

განსხვავებით ხსენებული აბსოლუტური უფლებებისაგან, მოთხოვნის უფლებები არ არის დაცული, რადგან მხოლოდ რელატიურ ხასიათს ატარებენ.

ქონება, როგორც ასეთი, გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით ასევე არ არის დაცული. პირს სუფთა სახით ქონებრივი ზიანისაგან იცავს მხოლოდ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, რომლის წინაპირობაცაა დაზარალებული პირის ქონების დამცავი ნორმის დარღვევა.

**მაგალითი:** ა თაღლითური განზრახვით დაადებინებს ბ-ს მასთან ნასყიდობის ხელშეკრულებას და გამოართმევს ნასყიდობის ფასს, თუმცა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ის თავიდანვე არ აპირებს.

მოცემულ შემთხვევაში ა-ს არ დაუზიანებია ბ-ს აბსოლუტური სიკეთე, ბ-მ მას საკუთარი ნებით გადასცა საკუთრება ფულის კუპიურებზე, მაგრამ ბ-მ ა-სთან ნასყიდობის დადებით და შემდგომში მისგან შესრულების მიღებით ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება, თაღლითობა, ანუ დაარღვია ნორმა, რომელიც იცავდა ა-ს ქონებას და პასუხი უნდა აგოს მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო წესითაც, გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

## 2. ქმედება

სიკეთის ხელყოფა უნდა მოხდეს **ქმედებით, ანუ მოქმედებით, ან უმოქმედობით**, როდესაც არსებობდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება. მოქმედების ვალდებულება შეიძლება გამომ-

დინარეობდეს ე. წ. **სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებიდან**<sup>63</sup> (შემოკლებით: ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებისაგან) – საჯარო თავმეყრის ადგილის მეპატრონე ვალდებულია დააზღვიოს თავმეყრილი პირები შესაბამისი საფრთხეებისაგან, პროდუქტის მწარმოებელი ვალდებულია დააზღვიოს მისი მომხმარებელი პროდუქტიდან, ხოლო ნივთის მფლობელი, ამ ნივთიდან წარმოშობილი საფრთხისაგან. ასევე პროფესიული საქმიანობით დაკავებული ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მისმა საქმიანობამ არ დააზიანოს გარშემომყოფები. დარღვეული ვალდებულება არა მხოლოდ უნდა არსებობდეს, ის უნდა იცავდეს სწორედ დაზარალებულს:

**მაგალითი:** პირი, რომელიც წინდახედულობის ნორმების დარღვევით ალაგებს ხოლმე საშენ მასალას ეზოში, რომელსაც ის მეზობლებთან ერთად იყოფს, ვალდებულია აუნაზღაუროს მეზობელს, რომელიც ამ საშენ მასალაზე თავს დაიზიანებს, მკურნალობის ხარჯები, მაგრამ არა დაშავებულ ქურდს, რომელიც ეზოში შემოიპარა.

## 3. პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა

ქმედება ობიექტურად უნდა შეერაცხებოდეს დელიქტის ჩამდენს, ანუ ქმედებასა და სიკეთის ხელყოფას შორის უნდა არსებობდეს **მიზეზ-შედეგობრივი კავშირი**, ე. წ. პასუხისმგებლობის წარმომშობი კაუზალობა. მიზეზ-შედეგობრიობა განისაზღვრება ორი თეორიის, ექვივალენტურობისა და ადეკვატურობის თეორიის მიხედვით.

**ექვივალენტურობის თეორია** გულისხმობს *condicio sine qua non* პრინციპის მეშვეობით ქმედებასა და ხელყოფას შორის კავშირის გაბმა, ანუ ქმედების გარეშე გამორიცხული უნდა იყოს სიკეთის ხელყოფა. თუმცა მიზეზ-შედეგობრიობის მხოლოდ ექვივალენტურობის თეორიის მიხედვით განსაზღვრას კაუზალობის დაუსრულებელ ჯაჭვამდე მივყავართ. ადამიანის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის მიზეზ-შედეგობრივია ასევე მისი მშობლების ქმედება, რომლებმაც ის ამქვეყნად მოავლინეს.

63 სხვაგვარად “მესამე პირებისა და საგნების მიმართ ჯეროვანი დამოკიდებულების ვალდებულება”.

**მაგალითი<sup>64</sup>:** მგ ზავრს, რომელიც ჩამოვიდა ავტობუსიდან მოხვდა პოლიციელის მიერ გასროლილი ტყვია, რომელსაც ის გაქცეულ დამნაშავეს უმიზნებდა. მგ ზავრი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა გრიპით.

**მაგალითი<sup>65</sup>:** ა-მ დააბიჯა ბ-ს ფეხი, რის შემდეგაც ბ-ს ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

ექვივალენტურობის თეორია მიზანს ვერ აღწევს ასევე ე. წ. ალტერნატიულ კაუზალობის შემთხვევაშიც.

**მაგალითი:** ა და ბ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ერთი და იმავე დროს უკიდებენ ცეცხლს გ-ს სახლს, რომელიც დაინგება.

ამ შემთხვევაში ცალკე აღებული არც ა-ს და არც ბ-ს მოქმედება არ იყო მიზეზ-შედეგობრივი გ-ს სახლის დაწვისას, რადგან სახლი თითოეულის ქმედების გარეშეც დაინგებოდა.

ამ დაუსრულებელი კაუზალობის შემოსაზღვრის მიზანს ემსახურება მეორე თეორია – **ადეკვატურობის თეორია**. ადეკვატურობის თეორიის მიხედვით, მოცემული ქმედების შედეგად სიკეთის ხელყოფა არ უნდა იყოს სრულებით არასავარაუდო ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ადეკვატურობის თეორიის ნაკლად სახელდება ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევებში რთულად დასადგენია, თუ რა წარმოადგენს სრულიად არასავარაუდოს.

**მაგალითი:** ბ-ს არის ა-ს მძღოლი, რომელიც მისი გადაყვანისას მოძრაობს გადაჭარბებული სიჩქარით. მოსახვევში მათ მანქანას დაეცემა მშენებარე სახლიდან ჩამოვარდნილი აგური. ბ-ს მოძრაობის დაშვებული სიჩქარისათვის რომ არ გადაეჭარბებინა ისინი გზის მოცემულ მონაკვეთზე მოხვედებოდნენ გაცილებით გვიან, როდესაც აგური უკვე ჩამოვარდნილი იქნებოდა.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მიზეზ-შედეგობრიობა, როგორც ექვივალენტურობის თეორიის, ასევე ადეკვატურობის თეორიის თანახმად, რადგან არ არის სრულებით არასავარაუდო ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით; სიჩქარის გადაჭარბების გარეშე მანქანა არ დაზიანდებოდა და ჩვეულებ-

64 RGZ 105, 264, 266.

65 OLG Karlsruhe VersR 1966, 741.

ბრივ, არ არის სრულებით არასავარაუდო, რომ მანქანას დაეცეს აგურები.

ამიტომაც, ექვივალენტურობისა და ადეკვატურობის თეორიის გარდა, მიზეზ-შედეგობრიობის შერაცხვის (ანუ გარკვეულ შემთხვევებში მისი უარყოფის) შემდეგი კრიტერიუმია დარღვეული **ნორმის დაცვითი მიზანი**. ის ემყარება მოსაზრებას, რომ კანონი სამართლებრივი სიკეთის მეპატრონეს იცავს არა აბსოლუტურად, არამედ მხოლოდ გარკვეული ტიპის ხელყოფისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ა-მ დაარღვია სიჩქარის შემზღვევლი დანაწესი და თავისი ამ ქმედებით დააზიანა ასევე ბ-ც, მას მაინც არ შეერაცხება ავტოსაგზაო შემთხვევა, რადგან სიჩქარის შემზღვევლი დანაწესის მიზანს არ წარმოადგენს ავტომანქანის მიერ დროის კონკრეტულ მომენტში გზის კონკრეტულ მონაკვეთზე მოხვედრისათვის ხელის შეშლა, არამედ უშუალოდ გადაჭარბებული სიჩქარიდან გამომდინარე საფრთხის (მაგალითად, შეზღუდული მანევრირება) პრევენცია. მოცემულ შემთხვევაში რეალიზდა არა გადაჭარბებული სიჩქარიდან გამომდინარე რისკი, არამედ ზოგადი ცხოვრებისეული რისკი, რაც გამორიცხავს სიკეთის დაზიანების შერაცხვას ა-სათვის.

#### 4. ბრალი

პასუხისმგებლობის შემდეგი წინაპირობაა **ბრალი**, რომელიც გსკ-ის 276-ე პარაგრაფის (სსკ-ის 395-ე მუხლის) მიხედვით მოიცავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ორივე უნდა ეხებოდეს დელიქტურ დანაწესში ხსენებული სხვისი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფას და არა დამდგარ ზიანს.

საქართველოში ბრალი პირდაპირ ზიანს უნდა უკავშირდებოდეს.

ბრალით მოცული უნდა იყოს ასევე მართლწინააღმდეგობა.

**მაგალითი:** ა, რომელსაც ბ-მ დაავალა მისი ეზოს უკანა ღობის მონგრევა, შემთხვევით მონგრევს წინა ღობეს, რადგან თავის დროზე ყური არ დაუგდო ა-ს მითითებას, ხოლო მოგვიანებით კი თავიდან კითხვა დაეზარა. ამ შემთხვევაში ა-ს შეერაცხება მხო-

ლოდ გაუფრთხილებელი ბრალით სხვისი დაზიანება, რადგან განზრახვით მოცული უნდა ყოფილიყო ასევე მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, მოცემულ შემთხვევაში კი ბ მიიჩნევა, რომ ჰქონდა ღობის დანგრევის უფლება ბ-ს დავალების საფუძველზე, თუმცა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად პირი ისევე აგებს პასუხს გაუფრთხილებელი ბრალისათვის, როგორც განზრახვისათვის.

## 5. მართლწინააღმდეგობა

ქმედება, რომელიც წარმოშობს დელიქტურ პასუხისმგებლობას უნდა იყოს **მართლწინააღმდეგო**. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში წარსულში ერთხმად აღიარებული მოსაზრების მიხედვით, რომელიც დღესაც გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს, ყოველთვის, როდესაც პირი აზიანებს აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეს, იქნება ეს საკუთრება, თუ სხვა სიკეთე, მართლწინააღმდეგობა სახეზეა, თუ ის გამონაკლისის სახით არ არის გამოირიცხული (მაგ. უკიდურესი აუცილებლობა). ანუ მართლწინააღმდეგობა გამომდინარეობს თვითონ დამდგარი შედეგიდან – ე. წ. **შედეგის მართლწინააღმდეგობა**.

ამ გაბატონებული მოსაზრების საპირისპიროდ, გერმანული სასამართლო პრაქტიკა<sup>66</sup> მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავს არა შედეგის მიხედვით, არამედ ხელყოფის მოქმედების მიხედვით (მოძღვრება **ქმედების მართლწინააღმდეგობის** შესახებ). მართლწინააღმდეგობა სახეზეა, თუ ქმედება ეწინააღმდეგება დაშვებულ ქცევის წესს, აკრძალვას, ან წინდახედულობის იმ ზომას, რაც კონკრეტულ შემთხვევაშია გამოსაყენებელი.

**მაგალითი:** *ა მოძრაობს მოძრაობის წესების დაცვით გზის მარჯვენა ზოლში. გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე ის შეეჯახება მოსახვევიდან მოულოდნელად გამოვარდნილ ველოსიპედისტს ბ-ს, რომელსაც მძიმედ დააზიანებს.*

*გერმანული ფედერალური სასამართლოს მოსაზრების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია, რადგან ა-მ გამოიჩინა შესაბამისი წინდახედულობა და არ მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ. გაბატონე-*

66 მაგ. BGHZ 24, 21.

*ბული მოძღვრების თანახმად კი, ა-ს ქმედება მართლწინააღმდეგოა, რადგან ის, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობდა შესაბამისი წესების დაცვით, მაინც არ იყო უფლებამოსილი დაეზიანებინა სხვა პირი. მიუხედავად ამისა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა გამოირიცხოს, რადგან ა-ს არ მიუძღვის ბრალი ბ-ს დაზიანებაში.*

ჩვეულებრივ, კაზუსის ამოხსნისას, უპრობლემო შემთხვევებში შეიძლება მართლწინააღმდეგობის დადგენისას შემოვიფარგლოთ წინადადებით, რომ მართლწინააღმდეგობა ივარაუდება აბსოლუტური სიკეთეების აქტიური მოქმედებით დაზიანების შემთხვევაში, რადგან სამართალი აბსოლუტურ სიკეთეებს იცავს აბსოლუტურად, ანუ ნებისმიერი ხელყოფისაგან.

*ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ნორმის დაცვითი მიზანი და მართლწინააღმდეგობა, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ელემენტი. თუ სამართლებრივი სიკეთე დაცული არ არის ამ ტიპის ხელყოფისაგან, მაშინ სახეზე არ გვაქვს არც მიზეზ-შედეგობრიობა ქმედებასა და ხელყოფის შედეგს შორის, ანუ თვითონ ხელყოფა, შესაბამისად, ის ვერც იქნება მართლწინააღმდეგო.*

## 6. ზიანი

გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ერთმანეთისაგან ასხვავებს სიკეთის ხელყოფას, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის პირველ წინაპირობას და ამ ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს, როგორც ამ პასუხისმგებლობის უკანასკნელ წინაპირობას. ამგვარი დიქტომია გამართლებული იმ მოსაზრებით, რომ სიკეთის ხელყოფა შესაძლებელია ზიანის წარმოშობის გარეშე<sup>67</sup>. მაგალითად, ა ყოველ საღამოს ანათებს ხოლმე პროექტორს ბ-ს კუთვნილი ნაგებობის ყრუ კედელს და უშვებს საკუთარი პროდუქციის რეკლამას. ამ შემთხვევაში ა, მიუხედავად იმისა, რომ ხელყოფს ბ-ს საკუთრებას, იყენებს მას შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, მაინც არ აყენებს ბ-ს ზიანს, რადგან ბ კედლის ამ დანიშნულებით გამოყენებას არც აპირებდა. დელიქტური მოთხოვნის წინაპირობას კი სწო-

67 OFTINGER/STARK/EMIL, Schweizerisches Haftpflichtrecht AT I, § 2 N 1; SCHWENZER, Schweizerisches Obligationenrecht AT, N 14.03.

რედ ზიანის დადგომა წარმოადგენს, რის გამოც ბ-ს არ ექნება ა-ს წინააღმდეგ დელიქტური მოთხოვნა.

დელიქტური წესით ანაზღაურებად **ზიანს** წარმოადგენს ნებისმიერი მატერიალური ქონებრივი ზიანი, ასევე გსკ-ის 253-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 413-ე მუხლის) წინაპირობების შესრულების შემთხვევაში არამატერიალური ქონებრივი ზიანი. ზიანის ცნება აერთიანებს, როგორც დაცული სიკეთის უშუალო დაზიანებით გამოწვეულ ზიანს, ასევე თანმდევ ზიანსაც.

***მაგალითი:** ა, რომელსაც ბ-მ ავარიის შედეგად მძიმედ დაუზიანა მარჯვენა ხელი, ხდება დროებით შრომისუუნარო და ვერ იღებს შემოსავალს თავისი საქმიანობიდან, თერძობიდან (უშუალო ზიანი). მოგვიანებით, ა, რომელსაც მარჯვენა ხელის კონტროლის უნარი ბოლომდე არ დაბრუნებია, კერვისას გაიყრის ნემს მარცხენა ხელში, რის გამოც მას წარმოეშვება ამ მარცხენა ხელის მკურნალობის ხარჯებიც (თანმდევი ზიანი).*

გერმანიაში დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრიობა ქმედებასა და სიკეთის ხელყოფას შორის, არამედ ასევე მიზეზ-შედეგობრიობა სიკეთის ხელყოფასა და დამდგარ ზიანს შორის. დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – **ე. წ. პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრიობა**<sup>68</sup>. მაგალითად, ავტომანქანის შეკეთების ხარჯები ემყარება ავტომანქანის დაზიანებას, მკურნალობის ხარჯები ემყარება სხეულის დაზიანებას და ა. შ.

ჩვეულებრივ, პრობლემურია შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება თავდაპირველი სიკეთის ხელყოფასა და თანმდევ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაბმას.

***მაგალითი:** ქუჩაში გამართული ჩხუბისას ა მიაყენებს ბ-ს ცივი იარაღით ჭრილობას ფეხის არეში (პირველადი სიკეთის ხელყოფა). ექიმის მიერ ჭრილობის დამუშავებისას მას შეეჭრება ინფექცია (ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც შემდგომი (გაშუალებული) სამართლებრივი სიკეთის დაზიანება), რაც აუცილებელს ხდის შემდგომ მკურნალობას. ა-ს წარმოეშვება, როგორც ჭრილობის (პირველადი ზიანი), ასევე ორგანიზმში გა-*

68 შდრ. კაზუსი: გვ.218

*ვრცელებული ინფექციის (მეორადი ზიანი) მკურნალობის ხარჯები.*

პასუხისმგებლობის **წარმომშობი** მიზეზ-შედეგობრიობა წარმოადგენს კავშირს იმ ელემენტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობის წინაპირობებს: სიკეთის ხელმყოფი მოქმედება და პირველადი სიკეთის დაზიანება. პასუხისმგებლობის **მოცულობის განმსაზღვრავი** მიზეზ-შედეგობრიობა გულისხმობს ამ პასუხისმგებლობის პირველადი საფუძვლის კავშირს შემდგომ თანმდევ ზიანთან, რაც შეიძლება გამოწვეული სხვა (გაშუალებული გზით) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით<sup>69</sup>. შეერაცხება თუ არა თავდაპირველი სიკეთის ხელმყოფს ამით გამოწვეული სხვა თანმდევი სიკეთეების ხელყოფა და ზიანი, წარმოადგენს პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრიობის საკითხს – უნდა აგოს თუ არა ხელმყოფმა პასუხი, არა უშუალოდ სიკეთის ხელყოფიდან წარმომშობილი ზიანისათვის, არამედ ასევე თანმდევი ზიანისათვისაც. მიზეზ-შედეგობრიობის განმსაზღვრავი სამივე ელემენტი (ექვივალენტურობა, ადეკვატურობა და ნორმის დამცავი მიზანი) ამ შემთხვევაშიც უცვლელად მოქმედებს.

***საქართველოში** ადეკვატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და ზიანს შორის დაფიქსირებულია სსკ-ის 412-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.*

პრობლემურია შემთხვევა, როდესაც მიზეზ-შედეგობრიობის ჯაჭვში მესამე პირის ქმედება ჩაერთვება. ამ დროს, ჩვეულებრივ, პირველი დამზიანებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მაინც არსებობს ექვივალენტური და ადეკვატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, თუმცა მიზეზ-შედეგობრიობის ჯაჭვში დამატებითი რგოლის ჩაბმით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ შეერაცხება თავდაპირველ დამაზიანებელს, თუ ამ (თავდაპირველი) დაზიანებით გამოწვეული ზიანის რისკი ბოლომდე არ არის განეიტრალებული და საბოლოო ზიანი მის მხოლოდ შემთხვევით შედეგს არ წარმოადგენს.

69 Staudinger/MEDICUS, 12. Aufl. 1983, § 249 Rn. 47.

**მაგალითი:** ა-ს რომელსაც ექიმმა ბ-მ არასაკმარისად მყარად დაუფიქსირა მოტეხილი თითი დასჭირდა შემდგომში ამ თითის ოპერაცია, რომლის დროსაც გადაუჭრეს თითის მყესი და დამართეს C ჰეპატიტი. მოცემულ შემთხვევაში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ა-ს ოპერაციის შედეგად დაზიანებისას რეალიზდა ის რისკი, რაც წარმოშვა ბ-მ მისი დაზიანებით, ამიტომაც მას შეერაცხება არა მხოლოდ ოპერაციის ხარჯები, არამედ გადაჭრილი მყესისა და C ჰეპატიტის მკურანალობით გამოწვეული საბოლოო ზიანიც.

**მაგალითი:** ა-ს, რომელიც ბაგირზე მოსიარულე იყო, ბ მისი ბრალით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევისას დაუზიანებს ფეხს. ა იძულებულია შეეშვას ბაგირზე სიარულს და ბულალტრად გადაკვალიფიცირდეს. ავტოსაგზაო შემთხვევიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ საბულალტრო ბიუროს გაუჩნდება ცეცხლი, რის შედეგადაც ა მიიღებს მრავლობით დამწვრობას. მოცემულ შემთხვევაში ა-ს მეორე დაზიანებისას არ რეალიზებულა ის რისკი, რომელიც გამოიწვია ბ-მ მისი თავდაპირველი დაზიანებით. ეს რისკი განეკუთვნება ზოგად ცხოვრებისეულ რისკს, რითიც გამოწვეული ზიანიც ბ-ს არ შეერაცხება.

**საქართველოში** იმის გამო, რომ არ არსებობს დიქტომია სიკეთის ხელყოფასა და ამით დამდგარ ზიანს (როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ელემენტებს) შორის გვჭირდება მხოლოდ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენა. ანაზღაურებადი უშუალო ზიანის გამიჯვნა არაანაზღაურებადი თანმდევი ზიანისაგან უნდა მოხდეს მიზეზ-შედეგობრიობის შესამე ელემენტის – ნორმის დამცავი მიზნის მეშვეობით.

## კავუსი: „არასრულწლოვანი ველოსიპედით“

17 წლის ა მოქრის დაღმართზე თავისი ველოსიპედით. უყურადღებობის გამო ტროტუარზე ავარდნილი შეეჯახება ფეხით მოსიარულე ბ-ს, რომელიც წაიქცევა და ხელ-ფეხს მოიტეხს. ბ-ს უიღბლობა ამით არ მთავრდება. მას შემდეგ, რაც ბ-ს მეუღლე გ, რომელიც ისედაც ქრონიკული დეპრესიისაგან იტანჯება, ქმრის დაზიანების შესახებ შეიტყობს, ჩავარდება ღრმა დეპრესიაში. დასჩემდება უმიზეზო სიცილისა და ტირილის შემოტევეები, ასევე მარცხენა ხელის კანკალი. მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგაა შესაძლებელი.

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§249. ზიანის ანაზღაურების ფორმა და ფარგლები.** (1) პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. (2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა. ნივთის დაზიანების შემთხვევაში, 1-ლი წინადადების მიხედვით მოთხოვნილი ფულადი თანხა შეიცავს გადასახადს ბრუნვიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფაქტობრივად დაერიცხა და შესაბამისი ოდენობით.

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა.** 1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძმირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. 3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადაამზადება. 4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

**§251. ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება ვადის განსაზღვრის გარეშე.** (1) თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან იგი კრედიტორის ზარალის ანაზღაურებისათვის საკმარისი არ არის, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა კრედიტორს ზარალი უნდა აუნაზღაუროს ფულადი სახით. (2) ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია კრედიტორს ზარალი აუნაზღაუროს ფულადი სახით, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით. დაზარალებული ცხოველის მკურნალობის შედეგად დამდგარი დანახარჯები არ ითვლება შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც ისინი ცხოველის ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატება.

**§253. არაქონებრივი ზიანი.** (1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. (2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისთვის, ჯანმრთელობისათვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული ზიანი, მაშინ გონივრული საზღაური შეიძლება იქნეს მოთხოვნილი ასევე არაქონებრივი ზიანისთვისაც.

**მუხლი 409. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა.** თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

**მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.** 1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. 2. სხეულის და ზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

**§276. მოვალის პასუხისმგებლობა.** (1) მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას, თუ დადგენილი არ არის უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა ან იგი არ გამომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან, კერძოდ კი, გარანტიის ან საქონლის დამზადების რისკის კისრებით. შესაბამისად გამოიყენება §§827 და 828 ნორმები. (2) გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ზრუნვას. (3) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გაათავისუფლდეს პასუხისმგებლობიდან განზრახვისათვის.

**§ 828. არასრულწლოვანები.** (1) პირი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის. (2) პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია ათი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელსაც იგი აყენებს სხვა პირს ავტო-, სარკინიგზო ან ფუნქციონირების სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი შემთხვევისას. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაყენა. (3) პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, იმდენად, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა 1-ლი ან მე-2 ნაწილების მიხედვით გამორიცხული არ არის, — პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენისას მას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება.

**მუხლი 395. ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ წინასწარი შეთანხმების დაუშვებლობა.** 1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. 2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

**მუხლი 994. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.** 1. ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. 2. მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან ანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. 3. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

## ამოხსნა

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

### 1. ბ-ს მოთხოვნა ა-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად

ბ-ს შესაძლებელია ჰქონდეს ა-საგან მკურნალობის ხარჯებისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

### 1. სიკეთის ხელყოფა

გერმანული სამართლის მიხედვით, ამ მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ხსენებულ დანაწესში ჩამოთვლილი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებით. სხეულის დაზიანება გულისხმობს სხეული გარეგანი სიმრთელის დარღვევას, განსხვავებით ჯანმრთელობის დაზიანებისაგან, რის ქვეშაც ადამიანის სხეულებრივი, გონებრივი, თუ ფსიქიკური აქტივობის მოშლა იგულისხმება.

*განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, ქართული დელიქტური გენერალური დათქმა იცავს არა მხოლოდ აბსოლუტურ სიკეთეებს ხელყოფისაგან, არამედ მთლიან ქონებას შემცირებისაგან. ამ ვაგებით, ქართული სამართლის მიხედვით, ცალკე აღებული მკურნალობის ხარჯებიც შეიძლება წარმოადგენდეს დელიქტური პასუხისმგებლობის წარმომშობ ზიანს, რის გამოც კაზუსის ამოხსნისას “სიკეთის ხელყოფის” ცალკე პუნქტად გამოყოფა არ არის გამართლებული. ისევე როგორც შვეიცარულ სამართალში<sup>70</sup>, საქართველოშიც დელიქტური მოთხოვნის წინაპირობების შემოწმება უნდა დაინდოს ზიანის დადგენით.*

### 2. მიზეზ-შედეგობრივი ქმედება

სიკეთის ხელყოფა გამონვეული უნდა იყოს ა-ს ქმედებით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, ა-ს აქტიური მოქმედებით.

<sup>70</sup> იხ. ქვემოთ გვ. 234

ქმედებასა და სიკეთის ხელყოფას შორის უნდა არსებობდეს ობიექტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (ე. წ. პასუხისმგებლობის წარმომშობი კაუზალობა), რაც განისაზღვრება ექვივალენტურობისა და ადეკვატურობის თეორიის მიხედვით. ზიანის მომტანი შედეგის დადგომა გამორიცხული უნდა იყოს დელიქტის ჩამდენის ქმედების გარეშე (ექვივალენტურობის თეორია) და მოცემული ქმედების შედეგად სიკეთის ხელყოფა არ უნდა იყოს სრულებით არასავარაუდო ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე (ადეკვატურობის თეორია). ორივე თეორიის მიხედვით, ქმედებიდან მიზეზ-შედეგობრივად გამომდინარეობს სიკეთის ხელყოფა.

### 3. მართლწინააღმდეგობა

მოცემულ შემთხვევაში ხელყოფილია აბსოლუტური სიკეთე აქტიური მოქმედებით, რა დროსაც ქმედების მართლწინააღმდეგობა ივარაუდება.

### 4. ბრალი

დელიქტის ჩამდენს უნდა მიუძღოდეს ასევე ბრალი სიკეთის ხელყოფაში. ა-სათვის ბრალის შერაცხვის წინაპირობას წარმოადგენს მისი დელიქტუარიალობა. ა-ს დელიქტუარიალობა არ არის გამორიცხული გსკ-ის 827-ე, 828-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილების (სსკ-ის 994-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ა იყო ათ წელს გადაცილებული და პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ზიანის მიყენებისას მას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება (გსკ-ის 828-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი). როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში კანონის ფორმულირება (“პასუხს აგებს, .... გარდა იმ შემთხვევისა”) მიაწინებებს იმ ფაქტზე, რომ, ჩვეულებრივ, არასრულწლოვნის განჭვრეტის უნარი ივარაუდება, თუ გარემოებებიდან საპირისპირო არ გამომდინარეობს. 17 წლის მოზარდს შეეძლო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად სხვა პირის დაზიანების აღბათობის წინასწარ განჭვრეტა, მას შეერაცხება საკუთარი ბრალი.

ა-მ დაარღვია მოძრაობის წესები – ავარდა უყურადღებობის გამო

ტროტუარზე – მოქმედებდა ნებისმიერ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით გსკ-ის 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, დაარღვია რა სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი წინდახედულობის ნორმები.

## 5. ანაზღაურებადი ზიანი

ბ-მ უნდა აუნაზღაუროს ა-ს ის ზიანი, რაც ამ უკანასკნელს მიადგა ა-ს ქმედებით სხეულის დაზიანების შედეგად გსკ-ის 249-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 409-ე მუხლის) შესაბამისად.

*სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სხეულისა და ნივთის დაზიანების შემთხვევაში მოვალე არ არის ვალდებული პირადად აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო (მაგალითად, ჩაუტაროს დაზარალებულს ოპერაცია) არამედ კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს მას ფულადი ანაზღაურება, რაც გამომდინარეობს ამავე მუხლის მე-3 ნაწილიდან.*

ბ-ს ა-ს ქმედებით, რომელიც აკმაყოფილებს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებს, უნდა მიდგომოდა ზიანი და ეს ზიანი ადეკვატურად უნდა გამომდინარეობდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფიდან (პასუხისმგებლობის მასშტაბის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრიობა, სსკ-ის 412-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ველოსიპედთან შეჯახების შემდეგ დაზარალებულ პირს დასჭირდება სამედიცინო დახმარება და შესაბამისად, მკურნალობის ხარჯებიც, როგორც ზიანი, ადეკვატურად გამომდინარეობს სიკეთის ხელყოფიდან.

რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, ის ასევე ანაზღაურდება გსკ-ის 253-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

**შედეგი:** ბ-ს აქვს ა-საგან მკურნალობის ხარჯებისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

## II. გ-ს მოთხოვნა ა-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად

გ-ს შესაძლებელია ჰქონდეს ა-საგან მკურნალობის ხარჯებისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

### 1. სიკეთის ხელყოფა

ა-ს გ-სათვის, მართალია, პირდაპირ არ დაუზიანებია ჯანმრთელობა, თუმცა ბ-ს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გ ჩავარდა შოკში. თუ შოკს ჩავთვლიდით ჯანმრთელობის დაზიანებად, მაშინ ეს დაზიანება გაშუალებულიად გამომწვეული იქნებოდა ა-ს ქმედებით. ჯანმრთელობის დაზიანების ქვეშ იგულისხმება სამედიცინო მნიშვნელობის მქონე დარღვევა სხეულებრივი, გონებრივი, თუ სულიერი სასიცოცხლო პროცესებისა. ნერვული შოკი (და ზოგადად ფსიქიკური დარღვევა) მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით დადგენადი თანმდევი შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად სცდება იმ შედეგებს, რაც “ჩვეულებრივი” (უკვალოდ ჩავლილი) შოკის შედეგადაა მოსალოდნელი. ანუ შოკის შედეგად გამომწვეული დაზიანება თავისი სიმძიმით უნდა უთანაბრდებოდეს ნამდვილი ავადმყოფობის სიმძიმეს, რომელიც გამომწვეულია სხეულისა თუ ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად<sup>71</sup>. თუ შოკს ორგანული დარღვევა მოყვა შედეგად, ივარაუდება, რომ ის თავისი სიმძიმით ჯანმრთელობის დარღვევას უთანაბრდებოდა.

მოცემულ შემთხვევაში გ-ს დასჭირდა სამედიცინო დახმარება და ხელების კანკალის სახით სახეზე იყო ასევე ორგანული დარღვევა, რაც ცალსახად მეტყველებს შოკის ჯანმრთელობის დაზიანებად მიჩნევის სასარგებლოდ.

### 2. მიზეზ-შედეგობრივი ქმედება

სიკეთის ხელყოფა მოცემულ შემთხვევაში გამომწვეული ა-ს მიზეზ-შედეგობრივი მოქმედებით. მიზეზ-შედეგობრიობა ექვივალენტურობის თეორიის თანახმად (condicio sine qua non) სახეზეა.

<sup>71</sup> BGHZ 56, 165 f.; BGHZ 132, 344; KÖTZ/WAGNER, Deliktsrecht, Rn. 137.

რაც შეეხება ადეკვატურობის თეორიის მიხედვით მიზეზ-შედეგობრიობას, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მეუღლემ შეიძლება მიიღოს შოკი, მისი მეუღლის მძიმე დაზიანების შესახებ შეტყობისას.

საკითხავია, წარმოადგენს თუ არა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (992-ე მუხლის) მიზანს, არა უშუალოდ დაზიანებული პირის, არამედ ასევე მისი მეუღლის შოკისაგან დაცვა. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ე. წ. “ფსიქიკური გზით გადაცემადი მიზეზ-შედეგობრიობიდან” გამომდინარე ზიანი ამ ნორმის მიზნით მოცული არ არის. სხვა პირის დაზიანების შედეგად მიღებული ფსიქიკური ტრამვა წარმოადგენს ყოველდღიური რისკის რეალიზებას, რომლის შედეგებიც თითოეულმა პირმა თავად უნდა ატაროს და რომლისაგან დაცვასაც არ ისახავს მიზნად მოცემული დელიქტური დანაწესი. ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი არ არის ვალდებული აუნაზღაუროს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ ავტოსაგზაო შემთხვევას შეესწრება და შოკს მიიღებს, ზიანი. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გაშუალებული დაზიანებულ პირს დაზიანებულთან ახლო ნათესაური კავშირი აკავშირებს. მოცემულ შემთხვევაში გ იყო ბ-ს მეუღლე და ხსენებული ნორმა იცავს მას მეუღლის დაზიანებით გამონვეული ფსიქიკური ტრამვისაგან.

### 3. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მოცემულ შემთხვევაში ხელყოფილია აბსოლუტური სიკეთე აქტიური მოქმედებით, რა დროსაც ქმედების მართლწინააღმდეგობა ივარაუდება. 17 წლის მოზარდს ასევე შეეძლო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად სხვა პირის დაზიანების წინასწარ განჭვრეტა, რის გამოც მას შეერაცხება საკუთარი ბრალი. ა-მ დაარღვია მოძრაობის წესები, ავარდა უყურადღებობის გამო ტროტუარზე, მოქმედებდა ნებისმიერ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით გსკ-ის 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, დაარღვია რა სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი წინდახედულობის ნორმები.

### 4. პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრიობა

სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენისას პრობლემურია ასევე ის გარემოება, რომ გ, მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე წინასწარ იყო განწყობილი ამ ტიპის დაზიანებისადმი. სხვა, ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე, პირს შეიძლება არც კი მიეღო ასეთი მძიმე ფსიქიკური ტრამვა მეუღლის დაზიანების გამო. საკითხავია, მოცულია, თუ არა ნორმის დამცავი მიზნით გ-ს დაცვა ასევე ამ ზიანისაგან. თუმცა ამგვარი “წინასწარგანწყობა”, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არ წარმოადგენს საბოლოო ჯამში მიზეზ-შედეგობრიობის გამორიცხვის საფუძველს რადგან ვინც “წინასწარ განწყობილს” დააზიანებს, უნდა ზღოს კიდევ სრული ოდენობით ამის შედეგები – “მსხვერპლი უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის”.

*საქართველოში, სადაც მხოლოდ ერთი მიზეზ-შედეგობრიობა არსებობს (ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) ყველა ეს ასპექტი მის ფარგლებში უნდა გავითვალისწინოთ.*

**შედეგი:** გ-ს აქვს ა-საგან მკურნალობის ხარჯებისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

## კაზუსი: „ბავშვი რომორც ზიანი“<sup>72</sup>

2002 წელს ცოლ-ქმარს ა და ბ-ს შეეძინათ ქალიშვილი გ, რომელიც დაიბადა უნარშეზღუდული, მარჯვენა ზედა კიდური იყო განუვითარებელი და მარცხენა საერთოდ არ ჰქონდა. გინეკოლოგმა დ-მ ორსულ ა-ს ორსულობის პერიოდში ჩაუტარა რამდენიმეექოსკოპიური გამოკვლევა და ვერაფერი საეჭვო ვერ შენიშნა. ბ-ს, რომელიც ესწრებოდა ამ გამოკვლევებს, არაერთ შეკითხვაზე ნაყოფის მდგომარეობის შესახებ და ექიმი ყოველ ჯერზე დამაკმაყოფილებელად პასუხობდა, თუმცა ექიმს ყველაზე გვიან ორსულობის მე-20 კვირას უნდა შეენიშნა ნაყოფის ფიზიკური ნაკლი, მისი წონიდან გამომდინარე (რაც ექიმმა ზუსტად გამოთვალა) და გადაემისამართებინა ა სონოგრაფთან, რომელიც ამ ფიზიკურ ნაკლს აღმოაჩინდა. ბავშვის ამგვარი ფიზიკური ნაკლით გაჩენის შემდეგ ა-მ მიიღო მძიმე ფსიქიკური ტრავმა. პირველი რამდენიმეკვირის განმავლობაში არსებობდა ასევე თვითმკვლელობის საფრთხეც. ა-ს განცხადებით, ინფორმაციის დროულად მიწოდების შემთხვევაში, ის ნაყოფს მოიშორებდა. ექიმი კი უთითებდა იმ ფაქტზე, რომ ამ დროს ორსულობის შეწყვეტა უკვე დაუშვებელი იყო, რადგან ნაყოფი დედის ორგანიზმიდან მოშორების შემთხვევაშიც სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა.

ა ითხოვს ექიმისაგან ზიანის ანაზღაურებას.

### ამოხსნა

*(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)*

#### **I. ა-ს მოთხოვნა დ-ს მიმართ გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს დ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე.

1. ა-სა და დ-ს შორის დაიდო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება.

ამ ვარიანტის არანამდვილობა ამორალურობის, ან მართლწინააღმდეგობის მოტივით (გსკ-ის 134-ე და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე პარაგრაფი, გსკ-ის 138-ე პარაგრაფი, სსკ-ის 54-ე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი) მოცემულ შემთხვევაში ნაკლებსავარაუდოა. ზოგადად ორსულის სამედიცინო გამოკვლევა, თუ ის ემსახურება აბორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას, შეიძლება იყოს ამორალური ან მართლწინააღმდეგო, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ გამოკვლევის მიზანი არ ამოიწურებოდა აბორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებით. მისი მიზანი იყო მომავალი დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობის შემოწმება და აღმოფხვრადი დარღვევების მკურნალობა, გარდა ამისა, თვითონ კანონი მიიჩნევს გარკვეულ შემთხვევებში აბორტს დასაშვებად (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218(ა) პარაგრაფის მე-2 ნაწილი, საქართველოში: ჯანმრთელობის შესახებ კანონის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი), შესაბამისად, ამ დასაშვები აბორტის წინაპირობების გადამოწმებისათვის ჩატარებული გამოკვლევა უნდა დასაშვები იყოს.

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემდეგი წინაპირობაა მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან დ ვალდებული იყო გამოეკვლია და აღმოეჩინა ფეხმძიმობასთან დაკავშირებული რისკები და მიეცა ფეხმძიმისათვის შესაბამისი რჩევები<sup>73</sup>. მართალია, ექიმი, ჩვეულებრივ, არ არის ვალდებული თავისი ინციატივით მიუთითოს ფეხმძიმე პაციენტს აბორტის შესაძლებლობაზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მისთვის ნათელი უნდა გამხდარიყო მეუღლეთა გამოკვეთილი ინტერესი ნაყოფის მდგომარეობის მიმართ და გამოეკვლია ის შესაძლო მძიმე დაზიანებებთან დაკავშირებით. გამოკვლევის შედეგებთან და ნაყოფის განვითარების დარღვევასთან დაკავშირებით მას უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მომავალი მშობლებისათვის და შეეთავაზებინა შესაბამისი ღონისძიებები შემდეგი დიაგნოზისათვის.

*ამ ტიპის შემთხვევებში ვალდებულების ფარგლებისა და ვალდებულების დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისას მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დამცავი მიზნის განსაზღ-*

<sup>72</sup> BGH NJW 2002, 2636.

<sup>73</sup> OLG Hamm, NJW 2002, 2649.

ვრა. დადგენა იმისა, თუ რა მიზნით იდება ხელშეკრულება. მაგალითად<sup>74</sup>, თუ ხელშეკრულება სამომავლო ორთოპედიული ოპერაციისათვის მომზადებისას პაციენტს მუცლის ქვედა ნაწილში ტკივილიდან გამომდინარე გამოიკვლევს გინეკოლოგი და ვერ შეამჩნევს პაციენტის ფეხმძიმობას (ფეხმძიმობის შემწენვის შემთხვევაში, დასაშვებია იქნებოდა აბორტის გაკეთება იმ დარღვევებიდან გამომდინარე, რაც უკვე სახეზე იყო), გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიხედვით, ფეხმძიმობა არ წარმოადგენდა ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ ზიანს, რადგან სამედიცინო მომსახურების მიზანი იყო მხოლოდ იმ რისკების დადგენა, რაც სამომავლო ოპერაციას უკავშირდებოდა.

სხვა შემთხვევაში<sup>75</sup>, ცამეტი წლის გოგონამ, რომელიც ამ დროისათვის უკვე ფეხმძიმედ იყო, მიიღო ექიმისაგან რჩევა კონტრაცეპტივის მიღებასთან დაკავშირებით და აღიარა, რომ მას უკვე ჰქონდა სქესობრივი კონტაქტი. გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიხედვით, ამ შემთხვევაში ექიმს ეკისრებოდა ცალსახა ვალდებულება გამოეკვლია პაციენტი, ხომ არ იყო ის უკვე ფეხმძიმედ.

გამოკვლევის შედეგების ჯეროვანი შეფასებისა და უშეცდომო დიაგნოზის დასმის ვალდებულება დ-მ დაარღვია, რადგან ვერ შეაფასა ობიექტურად ამ გამოკვლევის შედეგები და არ მიანოდა პაციენტს ინფორმაცია ახალშობილის ამქვეყნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად მოვლინებასთან დაკავშირებით.

3. კაზუსის თანახმად დ მოქმედებდა გაუფრთხილებლად გსკ-ის 280-ეს 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 276-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ეს 1-ლი და 395-ე მუხლის) მიხედვით.

4. თუმცა საკითხავია მიადგა თუ არა ა-ს დ-ს მიერ ვალდებულების დარღვევის გამო ზიანი.

#### 4.1. „ბავშვი როგორც ზიანი“

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის შექმნა შეიძლება არ შეესაბამება მშობლების სამომავლო ცხოვრებისეულ გეგმებს და მნიშვნელოვან ფიზიკურ,

74 BGH NJW 2000, 1782.

75 BGH NJW 2002, 1489.

ფსიქიკურ და ეკონომიკურ სირთულეებს უკავშირდება, მაინც დაუშვებელია, რომ მართლწესრიგმა კონკრეტული ადამიანი მიიჩნიოს ზიანად. ეს არ შეესაბამება ადამიანის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ღირსებისა და პატივის დაცვას. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების მოცულობის განმსაზღვრავი დანაწესების გამოყენება (გსკ-ის 249-ე და შემდგომი პარაგრაფები, სსკ-ის 408-ე და შემდგომი მუხლები) მოცემულ შემთხვევაში მიგვიყვანდა იმ შედეგამდე, რომ უნდა დადგენილიყო ბავშვის „ღირებულება“, უფრო ზუსტად კი მისი შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული „ნაკლოვანი ღირებულება“.

#### 4.2. რჩენის ვალდებულება როგორც ზიანი

ამის გამო ხდება ზიანის გამოთვლის ამ პირდაპირი სიბრტყიდან არაპირდაპირ სიბრტყეში გადატანა. ზიანად მიიჩნევა არა უშუალოდ ბავშვი, არამედ მისი რჩენის ხარჯები. ანუ ზიანს წარმოადგენს არა უშუალოდ ბავშვის არსებობა, არამედ მისი არსებობით განპირობებული რჩენის ვალდებულების დაკისრება მშობლებისათვის. მშობლების ფიზიკური და ფსიქიკური ტვირთი, თუ ის არ აღწევს ავადმყოფობის ხარისხს, არ გაითვალისწინება როგორც არამატერიალური ზიანი გსკ-ის 253-ე პარაგრაფის (სსკ-ის 413-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. ხელშეკრულების დამრღვევმა უნდა იკისროს კომპენსაცია იმ მატერიალური დანახარჯებისათვის, რაც გამოიხატება ბავშვის რჩენის ვალდებულებაში.

ა-ს ეკისრება შვილის რჩენის ვალდებულება გსკ-ის 1601-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. ამას უნდა დაემატოს ფეხმძიმობის პერიოდში განეული დამატებითი ხარჯები, მშობიარობის ხარჯები და საკეისრო კვეთიდან გამომდინარე სხეულის დაზიანება და ტკივილი.

#### 4.3. გადანყვეტის კორექცია კონსტიტუციური სამართლის მიხედვით

სინამდვილეში პირველ და მეორე გადანყვეტას შორის სხვაობა ხელოვნურია და პრობლემას არ წყვეტს<sup>76</sup>. რჩენის ვალდებულება წარმოიშვება სწორედ ბავშვის არსებობის ფაქტიდან და ამგვარად

76 ROTH, NJW 1995, 2399 f.

არაპირდაპირად მაინც ბავშვი მიიჩნევა ზიანის წყაროდ. ამის გამო დაშვება, რომ რჩენის ვალდებულება წარმოადგენს მშობლების ზიანს, საკონსტიტუციო სამართლის წინამძღვრებს, ასევე რჩენის ვალდებულების საოჯახო-სამართლებრივ თავისებურებებს. ამგვარი დაშვება ეჭვქვეშ აყენებს შვილის სიცოცხლის უფლებას, მიიჩნევს რა მას საბოლოო ჯამში ზიანის მომტანად. მშობლებმა ექიმის წინააღმდეგ პროცესში უნდა ამტკიცონ, რომ შვილი მათთვის იყო არასასურველი და ერჩივნათ ის სრულებითაც არ მოვლენოდა ამ ქვეყანას. ეს არა მხოლოდ დადებითად ვერ აისახება მშობლებისა და შვილის ურთიერთობაზე, არამედ შეიძლება აღმოჩნდეს შვილის ფსიქიკური ტრავმის მიზეზი, თუ ის ამის შესახებ შეიტყობს. რჩენის ვალდებულება არის არა მხოლოდ მშობლის ქონებრივი ვალდებულება მისი შვილის მიმართ, არამედ ურთიერთდაპირისპირებული უფლება-მოვალეობებით ოჯახური თანაცხოვრების უზრუნველყოფის საშუალება<sup>77</sup>.

გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიხედვით<sup>78</sup>, “განსხვავება ბავშვის, როგორც პიროვნების არსებობას, რომელსაც ეჭვქვეშ არავინ აყენებს და მშობლების რჩენის ტვირთს შორის არ არის მხოლოდ ხელოვნური გახლეჩა ბავშვის პიროვნული მთლიანობისა ....., ეს დანაწევრება გამართლებულია ზიანის ანაზღაურების სამართლის პერსპექტივიდან.” ოჯახის ერთობა რჩება ხელშეუხებელი; მშობლები ეკისრებათ შვილის რჩენის პირადი ვალდებულება, მათ მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქდებათ ეს ეკონომიკური ტვირთი, მისი ვალდებულების დამრღვევი პირისათვის გადაკისრებით. ზიანის ანაზღაურების სამართლის პერსპექტივა უკავშირდება მხოლოდ ეკონომიკურ მხარეს რთული ცხოვრებისეული სიტუაციისა. ბავშვის არსებობა-არარსებობა როგორც ასეთი არ ფასდება ნეგატიურად ან პოზიტიურად. მართალია, ზიანის წარმოშობის წინაპირობას ბავშვის ამქვეყნად მოვლინება წარმოადგენს, თუმცა ეს მხოლოდ ნატურალური მიზეზ-შედეგობრიობა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი შეფასებითი მსჯელობისაგან. ნასურვები შვილის მოვლინებაც დაკავშირებულია მისი რჩენის ხარჯებთან და ფინანსურ ტვირთთან, თუმცა ეს არ აისახება მშობლებსა და შვილს შორის ურთიერთობაზე. სწორედ “არასასურველი შვილის” შემთხვევაში შეიძლება ექიმისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების და-

77 BVerfG, NJW 1993, 1764.

78 BGH, NJW 1994, 791 f.

კისრება, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეუმსუბუქებდა მშობლებს რჩენის ვალდებულებას, დადებითად აისახოს მშობლებსა და შვილს შორის ურთიერთობაზე. ეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სრულებით მაინც ვერ გაათავისუფლებს მშობლებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის მოვლის ქონებრივი ტვირთისაგან.

გარდა ამისა, თუ ასეთ შემთხვევებში ექიმს არ დავაკისრებდით ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მაშინ მას შეეძლებოდა დაუსჯელად გაეგრძელებინა პროფესიული ვალდებულების დარღვევა და მიიღებდა დაუმსახურებელ სარგებელს ხსენებული ნორმატიული კორექციისაგან<sup>79</sup>.

საბოლოო ჯამში ბავშვის რჩენის ხარჯების ზიანად მიჩნევა ნეიტრალურია და არ შეიცავს შეფასებით მტკიცებას, რომელიც შელახავდა ბავშვის პატივსა და ღირსებას. ექიმისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ხელსაყრელია, როგორც მშობლების, ასევე შვილისათვისაც, რაც ამ გადაწყვეტის ნორმატიული კორექციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

## 5. მიზეზ-შედეგობრიობა

### 5.1. ექვივალენტური მიზეზ-შედეგობრიობა

ექვივალენტურობის თეორიის თანახმად მიზეზ-შედეგობრიობა განისაზღვრება *condicio sine qua non*-პრინციპის საფუძველზე. ვალდებულების დარღვევის არარსებობისას არ უნდა დგებოდეს არც ზიანი, ანუ მშობლებს არ უნდა ეკისრებოდეთ რჩენის ვალდებულება. კაზუსის თანახმად, ექიმის მიერ გამოკვლევის შედეგების ჯეროვანი შეფასების შემთხვევაში, ის ვალდებული იქნებოდა გადაესამართებინა ორსული სხვა ექიმთან შემდეგი გამოკვლევებისათვის, რომლის დროსაც უთუოდ დადგინდებოდა ნაყოფის დაზიანება. ა ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ის გაიკეთებდა აბორტს.

ა) ა-ს ეკისრება აბორტის გაკეთების ჰიპოთეტური კაუზალობის მტკიცების ტვირთი. აბორტის გაკეთების ვარაუდი არ მოქმედებს, მიუხედავად ნაყოფის მძიმე დაზიანებებისა, რადგან ეს დაუშვებელია მომავალი ადამიანის სიცოცხლის, მისი ღირსებისა და პატივის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებიდან გამომდინარე, ასევე არ არსებობს გამოცდილებით დამტკიცებული ზოგადი წე-

79 DEUTSCH, NJW 1994, 776.

სი, რომლის მიხედვითაც მშობლები, ჩვეულებრივ, იშორებენ დაზიანებულ ნაყოფს. თუმცა შესაძლებელია მოვიშველიოთ გერმანიის უმაღლესი სასამართლოს<sup>80</sup> მიერ შემუშავებული პრინციპები, რომელიც უკავშირდება ექიმისა და პაციენტს შორის მტკიცების ტვირთის განაწილებას სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში. ჩვეულებრივ, საკმარისია, თუ პაციენტი მოახერხებს იმის დამტკიცებას, რომ ექიმის მიერ ჯეროვანი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში ის იდგებოდა არჩევნის წინაშე, ზიანის მომტან და არა-დამაზიანებელ გადაწყვეტას შორის. ამ შემთხვევაში უკვე ექიმმა უნდა ამტკიცოს, რომ პაციენტს ზუსტი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც მიადგებოდა ზიანი. მოცემულ შემთხვევაში აბორტის სასარგებლოდ მეტყველებს ა-ს მეუღლის არაერთი შეკითხვა, იყო თუ არა ჯანმრთელი ნაყოფი, ასევე ა-ს ჯანმრთელობის პრობლემები, რომელიც შეექმნა მას მშობიარობის შემდეგ.

ბ) გარდა ამისა, აბორტი უნდა ყოფილიყო დასაშვები და ა-სათვის ხელმისაწვდომი. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე პარაგრაფის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის) მიხედვით, აბორტი ზოგადად დასჯადია. გამონაკლისი დასჯადობიდან მოწესრიგებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218(ა) პარაგრაფში. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია აბორტი დასაშვები იყოს 218(ა) პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ორსულობის შეწყვეტა არ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ ის ორსულის ამჟამინდელი და სამომავლო მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია იმ საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც ემუქრება მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ეს საფრთხე, არსებული სამედიცინო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა იყოს მოსალოდნელი და მისი თავიდან აცილება შეუძლებელი უნდა იყოს სხვაგვარად, თუ არა ორსულობის შეწყვეტით. მართალია, ეს დანაწესი პირველ რიგში ეხება საფრთხეს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ ორსულობის პერიოდში ან მშობიარობისას, თუმცა შესაძლებელია, ასევე საფრთხის გათვალისწინებაც, რომელიც შეიძლება რეალიზდეს მშობიარობის შემდგომ პერიოდში და გამომდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის გაჩენიდან, დედის ფსიქიკური, თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო. ეს საფრთხე უნდა იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ანონ-დანონვისას ჩანასახის

80 BGH NJW 1991, 2344.

სიცოცხლის უფლება უკანა პლანზე იხედვს.

მოცემულ შემთხვევაში პროგნოზირებადი იყო, რომ ბავშვის სავარაუდო თანდაყოლილი ნაკლი გამოიწვევდა დედის ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან მოშლას, თანმდევი ხანგრძლივი დეპრესიითა და თვითმკვლელობის საფრთხით, რაც შემდეგში დადასტურდა კიდევ. ფსიქიკის ამ დაზიანების თავიდან აცილება გარდა ფეხმძიმობის ნაადრევი შეწყვეტისა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო და ა არ იყო ვალდებული ეთმინა მისი ჯანმრთელობის დაზიანების ამგვარი საფრთხე.

ფეხმძიმობის შეწყვეტა არ იყო შეუძლებელი არც მისი სტადიიდან გამომდინარე, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218(ა) პარაგრაფი არ ითვალისწინებს რაიმე განსაზღვრულ ჩარჩოებს ორსულობის შეწყვეტისათვის (შდრ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მართალია, ნაყოფი ჩასახვიდან 22 კვირის შემდეგ დედის ორგანიზმიდან მოშორების შემთხვევაშიც სიცოცხლისუნარიანია, თუმცა დაუშვებელია ორსულს მოეთხოვოს ნაყოფის გადარჩენას მსხვერპლად შესწიროს ჯანმრთელობა და საფრთხის ქვეშ დააყენოს საკუთარი სიცოცხლე. ამისაგან დამოუკიდებლად, მოცემულ შემთხვევაში ექიმის მიერ მდგომარეობის ჯეროვანი შეფასებისას ორსულობის შეწყვეტა ჯერ კიდევ 22-ე კვირის გასვლამდე იყო შესაძლებელი.

ექიმი დ აცხადებს, რომ ბავშვის რჩენის ვალდებულება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოიშვებოდა, რადგან აბორტის შემთხვევაშიც ნაყოფი გადარჩებოდა. ზოგადი წესების თანახმად ამ შემთხვევაშიც ა-ს დაეკისრებოდა მტკიცების ტვირთი ვალდებულების დარღვევასა და აბორტის ჰიპოთეტურ შედეგს შორის, თუმცა გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით<sup>81</sup>, შესაძლებელია ამ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება ორი ასპექტის გათვალისწინებით. ექიმის მხრიდან პაციენტის მკურნალობისას დაშვებული უხეში შეცდომის შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცების ტვირთი შემსუბუქებულია და გამონაკლისის სახით დასაშვებია მისი შეტრიალებაც. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, ორსულობის შეწყვეტა ინვეს ნაყოფის სიკვდილს და ამგვარი მიზეზ-შედეგობრიობის სასარგებლოდ მოქმედებს ვარაუდი, რომელიც ექიმმა უნდა გააქარწყლოს.

81 BGH NJW 1997, 798; Palandt/THOMAS, § 823 Rn. 170; LAUMEN, NJW 2002, 3739.

ამრიგად მიზეზ-შედეგობრიობა ექვივალენტურობის თეორიის თანახმად სახეზეა.

### 5.2. ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობა

ვალდებულების დარღვევიდან – ნაყოფის ნაკლებობის შესახებ ინფორმაციის არმიწოდებით – ადეკვატურად (ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების თანახმად) გამომდინარეობს მისი შენარჩუნება და ამ შენარჩუნების შედეგი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის რჩენის ვალდებულება.

### 5.3. დარღვეული ვალდებულების (ნორმის) მიზანი

ექვივალენტური და ადეკვატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარდა აუცილებელია, რომ (დარღვეული) სახელშეკრულებო ვალდებულება მიზნად ისახავდეს სწორედ ამ ზიანის თავიდან აცილებას. თუ ორსულის სამედიცინო გამოკვლევა მიზნად ისახავს ორსულობისა და შობისათვის დამახასიათებელი საფრთხის პრევენციას, მაშინ ბავშვის რჩენის ვალდებულების თავიდან აცილება ამ ვალდებულებით მოცული არ არის<sup>82</sup>. მოცემულ შემთხვევაში გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ორსულობის თანმდევი რისკების პრევენცია, არამედ ნაყოფის მდგომარეობის შესახებაც ინფორმაციის მიღება, მათ შორის ნაყოფის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით მოცულია ასევე რჩენის ვალდებულება (ანუ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიზანს წარმოადგენდა ასევე მშობლების გათავისუფლება სამომავლო რჩენის ვალდებულებიდან), თუ ნაყოფი დაიბადება ნაკლოვანი და აკისრებს მშობლებს დამატებით ფინანსურ ტვირთს.

ექიმს მის მიერ დარღვეული ვალდებულების მიზნით მოცული ზიანის ანაზღაურება შეეარაღება არა მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განსხვავდება ნაკლოვანი და ჯანმრთელი ბავშვის რჩენის ვალდებულების ფარგლები ერთმანეთისაგან, არამედ რჩენის ვალდებულების სრული ოდენობით, რადგან დარღვეული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ბავშვი საერთოდ

არ მოეწინებოდა ქვეყანას და შესაბამისად, რჩენის ვალდებულება საერთოდ არ იარსებებდა<sup>83</sup>.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დარღვეული ვალდებულებიდან აღარ გამომდინარეობს რჩენის ვალდებულების სახით დამდგარი ზიანი, თუ მშობლები მათთვის თავიდან არასასურველ შვილს შემდგომში სასურველად მიიჩნევენ. სასურველად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის, მხოლოდ ბავშვის მოვლა და მშობლიური სითბოს გაზიარება, აუცილებელია კონკრეტული დასტური იმ გარემოებისა, რომ მშობლები შეცვლიდნენ ორსულობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. მართალია, სასამართლოს ეს დათქმა შეიცავს საფრთხეს, რომ მშობლები, რომლებიც ცვლიან თავიანთ გადაწყვეტილებას და სასურველად მიიჩნევენ შვილს, გარეშე თვალის დასახნაზად მაინც არასასურველად წარმოაჩინენ მას, რათა ამგვარად მოიპოვონ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა ეს მოცემულ შემთხვევაში არ არის პრობლემური, რადგან ა-სა და ბ-სათვის ნაკლოვანი შვილი არასასურველად დარჩა.

დ-ს შეეარაღება გ-ს რჩენის ვალდებულების მთლიანი ოდენობა.

## 6. ზიანის ანაზღაურების მოცულობა და სარგებლის გაქვითვა

იმ ზიანის მოცულობა, რომელიც დ-მ ა-ს უნდა აუნაზღაუროს, განისაზღვრება ა-ს რჩენის ვალდებულებით გ-ს მიმართ, რაც მოიცავს მათ შორის ასევე გ-ს ინვალიდობიდან გამომდინარე გაზრდილ ხარჯებს (გსკ-ის 249-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ანაზღაურებად ზიანს წარმოადგენს ასევე ა-ს შემდგომი ფეხმძიმობის ხარჯები, მშობიარობისა და მშობიარობით გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესების მკურნალობის ხარჯები. ასევე კომპენსაცია არამატერიალური ქონებრივი ზიანისათვის (გსკ-ის 253-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ზიანის ანაზღაურების მოცულობას ამცირებს ის სარგებელი, რასაც დაზარალებული პირი იღებს ზიანის გამომწვევი გარემოებიდან გამომდინარე (სარგებლის გაქვითვა). მოცემულ შემთხვევაში ასეთი სარგებელი შეიძლება იყოს ის სახელმწიფო შემწეობა, რომელსაც ა მიიღებს შვილის შეძენის შემდეგ, ასევე სავარაუდო საგადასახადო

82 BGH NJW 1985, 2751.

83 BGH NJW 1984, 660.

პრივილეგიები. სარგებლის გაქვითვის წინაპირობაა რეალური მატერიალური სარგებლის არსებობა, რომელიც ადეკვატურად წარმოსდგება ზიანის მომტანი გარემოებიდან. გარდა ამისა, გაქვითვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზიანის ანაზღაურების მიზანს, ის არ უნდა ათავისუფლებდეს დამზიანებელს უსამართლოდ ამ ვალდებულებისაგან<sup>84</sup>. სახელმწიფო შემწეობა და საგადასახადო პრივილეგიები წარმოიშვება კანონის საფუძველზე, რჩენის ვალდებულების წარმოშობასთან ერთად და შესაბამისად, ისევე ადეკვატურად არის განპირობებული ექიმის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევით, როგორც თვითონ ზიანი – რჩენის ვალდებულება. ასევე არ არის მიუღებელი ამ სარგებლის გამოქვითვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოცულობიდან, რადგან ამ სარგებლის მიზანს წარმოადგენს მშობლებისათვის რჩენის ვალდებულების შემსუბუქება და ის უსამართლოდ არ ამცირებს ექიმის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოცულობას.

**შედეგი:** ა-ს აქვს დ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით.

### **I. ა-ს მოთხოვნა დ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 1007-ე, 992-ე მუხლების) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს დ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 1007-ე, 992-ე მუხლების) შესაბამისად.

### **1. სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება**

დ-ს შეიძლება ნაყოფის ნაკლებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევით დაეზიანებინა ა-ს სხეული და ჯანმრთელობა. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია ფეხმძიმობის გაგრძელება, რაც წარმოადგენს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებას – რადგან ფეხმძიმობის პერიოდი, დამოუკიდებლად მისი გართულებისა, დაკავშირებულია ფეხმძიმეს მნიშვნელოვან ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვასთან, ასევე სხეულის დეფორმირებასთან.

<sup>84</sup> Palandt/HEINRICH, Vor. § 249 Rn. 119 და შემდგომი.

*მართალია, გერმანიაში საკამათოა, წარმოადგენს თუ არა ზოგადად ფეხმძიმობა ჯანმრთელობისა და სხეულის დაზიანებას, მაგრამ გაბატონებული მოსაზრების მიხედვით<sup>85</sup>, არასასურველი ფეხმძიმობა (მაგალითად, ექიმის მიერ არასწორად ჩატარებული სტერილიზაციის შემთხვევაში) წარმოადგენს ამ სიკეთეების ხელყოფას.*

საკეისრო კვეთა წარმოადგენს სხეულის მთლიანობის დამატებით დარღვევას.

რაც შეეხება ა-ს ფსიქიკურ ტრამვას, ფსიქიკური დარღვევა მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით კონსტანტირებადი თანმდევი შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად სცდება იმ შედეგებს, რაც “ჩვეულებრივი” (უკვალოდ ჩავლილი) ტრამვის შედეგადაა მოსალოდნელი. ანუ შოკის შედეგად გამოწვეული დაზიანება თავისი სიმძიმით უნდა უთანაბრდებოდეს ნამდვილი ავადმყოფობის სიმძიმეს, რომელიც გამოწვეულია სხეულისა თუ ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში ა-ს ხანგრძლივი დეპრესია და თვითმკვლელობაზე ფიქრი წარმოადგენს ისეთ ფსიქიკურ ტრამვას, რომელიც თავისი სიმძიმით ნამდვილი ავადმყოფობის სიმძიმეს უთანაბრდება.

*ქართული სამართლით ამოხსნისას სიკეთის ხელყოფის მაგივრად პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობა იქნება ა-ს ფეხმძიმობისა და მშობიარობის ხარჯები, როგორც მატერიალური ზიანი, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი, როგორც არამატერიალური ზიანი.*

### **2. ხელყოფის ქმედება**

დ-მ არ მიანოდა ა-ს ინფორმაცია ნაყოფის ნაკლებობასთან დაკავშირებით (უმოქმედობა), რადგან არასწორად შეაფასა გამოკვლევის შედეგები (მოქმედება).

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სიკეთის ხელყოფ ქმედებად, თუ დამზიანებელს ჰქონდა მოქმედების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ა-სათვის ნაყოფის მდგომარეო-

<sup>85</sup> BGH NJW 1985, 673 და შემდგომი; Staudinger/HAGER, § 823 Rn. B 15; შდრ. განსხვავებული მოსაზრება LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT, § 76 II 1 და შემდგომი.

ბასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის მინოდების ვალდებულება დ-ს ჰქონდა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან, რომლის ფარგლებშიც მან იკისრა ა-სათვის ორსულობის პერიოდში შესაბამისი მომსახურების განევა და მისი, ისევე როგორც ნაყოფის, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის მინოდება, იქნებოდა ეს გამოკვლევის შედეგები, თუ სხვა ინფორმაცია.

დ-მ ხელყო ა-ს სიკეთე უმოქმედობით, მაშინ, როდესაც ჰქონდა მოქმედების ვალდებულება და ასევე მოქმედებით.

### 3. პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა

დ-ს მიერ გამოკვლევის შედეგის სწორად შეფასებისა და ა-სათვის სწორი ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში ზემოთ ხსენებული სამართლებრივი სიკეთეები არ დაზიანდებოდა, რადგან დასაშვები აბორტის მეშვეობით მოხდებოდა მშობიარობის შეწყვეტა (შდრ. ზემოთ I.5). ექვივალენტური და ადეკვატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სახეზეა.

თუმცა საკითხავია ვალდებულების დამცავი მიზანი, ანუ იცავს თუ არა ვალდებულება, რომელიც დ-მ დაარღვია ა-ს ზუსტად ამ ხსენებული სიკეთეების ხელყოფისაგან. ნაყოფი ჯანმრთელი რომ ყოფილიყო დ-ს დიაგნოზი იქნებოდა ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე ფეხმძიმობის გაგრძელებისა თუ მისი ნაადრევად შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების საკითხში. ანუ ამ ვალდებულების მიზანს წარმოადგენდა ა-ს არა ზოგადად „ნორმალური“ ფეხმძიმობისაგან დაცვა, არამედ ნაყოფის ნაკლოვანებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ექიმმა დაარღვია ა-ს სხეულისა და ჯანმრთელობის არდაზიანების ვალდებულება, რის შედეგადაც დაზიანდა ა-ს სამი სიკეთე: 1. გაგრძელდა ფეხმძიმობა, რაც დაკავშირებული იყო სხეულის შემდგომ დეფორმირებასთან, 2. დასჭირდა საკეისრო კვეთა, 3. შეერყა ფსიქიკა, თუმცა ვალდებულება არ დაეზიანებინა ა-ს ჯანმრთელობა და სხეული არასწორი დიაგნოზით, ექიმს აწევდა მხოლოდ მეორე და მესამე სიკეთის ხელყოფისაგან დაცვის მიზნით. ფეხმძიმობის დაწყება და მისი გაგრძელება არ ემყარება დ-ს არდაზიანების ვალდებულების დარღვევას – ექიმს ეს ვალდებულება არ აწევდა იმ მიზნით, რომ ა არ დაფეხმძიმებულიყო, ან ფეხმძიმობის შემთხვევაში შეეწყვიტა

ფეხმძიმობა.

ამის გამო დ-ს შეერაცხება არა ზოგადად ფეხმძიმობით გამოწვეული ზიანი, არამედ ნაყოფის ნაკლოვანებით გამოწვეული ზიანი, როგორც არის საკეისრო კვეთა და ის ფსიქიკური ზიანი, რაც ა-ს მიადგა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის შექმნით<sup>86</sup>.

*სხვაგვარად იქნებოდა საქმე სამედიცინო გამოკვლევის მიზანი სწორედ ფეხმძიმობის დადგება რომ ყოფილიყო, ფეხმძიმობის შემთხვევაში, მისი შეწყვეტის მიზნით. ამ შემთხვევაში ვალდებულებით ნაკისრი სწორი დიაგნოზის მიზანი სწორედ ფეხმძიმობის თავიდან არიდება იქნებოდა და ექიმს შეერაცხებოდა ყველა იმ სიკეთის დაზიანება, რაც ფეხმძიმობით იყო გამოწვეული.*

### 4. მართლწინააღმდეგობა

დ-მ თავისი უმოქმედობით დაარღვია მოქმედების ვალდებულება, რომელიც მას ა-ს აბსოლუტური სიკეთის დაცვას ავალდებულებდა, შესაბამისად, მისი ქმედება მართლწინააღმდეგოა.

### 5. ბრალი

გამოკვლევის შედეგების არასწორად შეფასებისას დ-ს გაუფრთხილებელი ბრალი სახეზეა.

### 6. ზიანი

ა-ს საკეისრო კვეთითა და დეპრესიის შედეგად მიადგა არამატერიალური ქონებრივი ზიანი, რასაც ემატება ასევე მკურნალობის ხარჯები. სიკეთის ხელყოფასა და ზიანს შორის არსებობს პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

შვილის რჩენის ხარჯების წარმომშობა არ იყო გამოწვეული ა-ს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებით და ამის გამო წარმოადგენდა მხოლოდ ქონებრივ ზიანს, რომელიც გსკ-ის 823-ე პარაგრაფ-

<sup>86</sup> Staudinger/HAGER, § 823 Rn. B 16; BGH NJW 1985, 673 და შემდგომი.

ფის 1-ლი ნაწილით არ ანაზღაურდება<sup>87</sup>.

რაც შეეხება **ქართულ სამართალს**, სადაც დელიქტური სამართლის გენერალური დანაწესით დაცულია პირი არა მხოლოდ აბსოლუტური სიკეთეების ხელყოფით წარმოშობილი ზიანისაგან, არამედ ასევე ნებისმიერი სხვა ქონებრივი ზიანისაგანაც, შვილის რჩენის ხარჯები არ ანაზღაურდება ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. დ-ს ქმედება არ არის მართლწინააღმდეგო რჩენის ვალდებულებასთან, როგორც ზიანთან, მიმართებით. ა-სათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას აწევდა ა-ს არა ნებისმიერი ქონებრივი ზიანისაგან (როგორც არის შვილის რჩენის ხარჯები), არამედ მხოლოდ აბსოლუტურად დაცული სიკეთეების ხელყოფისაგან წარმოშობილი ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ექიმის ქმედება, როდესაც ის ორსულს არ აწვდის სწორ ინფორმაციას ნაყოფის მდგომარეობასთან დაკავშირებით მართლწინააღმდეგოა იმდენად, რამდენადაც ამით ზიანდება პაციენტის სხეული და ჯანმრთელობა, სამართალი ამ სიკეთეებს იცავს აბსოლუტურად, მათ შორის არასწორი დიაგნოზის მეშვეობით და ზიანებისაგან. მართლწინააღმდეგობა ამ შემთხვევაში გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმებიდან (იქნება ეს საჯარო თუ სისხლისსამართლებრივი ნორმები), რომლებიც იცავენ ადამიანის სხეულსა და ჯანმრთელობას. ამისაგან განსხვავებით არ არსებობს სამართლის ნორმა რომელიც დააკისრებდა ექიმს სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას იმ მიზნით, რომ მომავალ დედას არ დაეკისროს შვილის რჩენის ხარჯები. მართალია, სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ექიმს აწევდა ხელშეკრულებიდანაც, რომლითაც დაცულია ასევე დედა არასასურველი შვილის რჩენის ხარჯებისაგან (იხ. ზემოთ), მაგრამ ამ ვალდებულების დარღვევა წარმოშობს ე. წ. ფარდობით, ანუ შიდა სახელშეკრულებოსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას, რაც არ წარმოადგენს მართლწინააღმდეგობას სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით.

**შედეგი:** დ-მ უნდა აუნაზღაუროს ა-ს ზემოთ ხსენებული მატერიალური ზიანი გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად; ასევე არამატერიალური ზიანი გსკ-ის 253-ე

<sup>87</sup> Staudinger/HAGER, § 823 Rn. B 14.

პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 413-ე მუხლის) შესაბამისად.

გარდა ამისა **გერმანიაში** ა-ს აქვს დ-ს მიმართ სხეულის და ზიანების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე და 13-ე პარაგრაფების მიხედვით უმოქმედობით სხეულის გაუფრთხილებელი და ზიანების გამო.

## II. დელიქტური პასუხისმგებლობა შვეიცარიაში

დელიქტური დანაწესების კუთხით შვეიცარული და ქართული სამართლის შედარება საკმაოდ მიმზიდველი ჩანს, რადგან შვეიცარია (ავსტრიასთან ერთად) მიეკუთვნება რა გერმანული სამართლის ოჯახს, ისევე როგორც საქართველო, შეიცავს გენერალურ დათქმას დელიქტურ სამართალში, რითიც ეს ორი მართლწესრიგი განსხვავდება გერმანულისაგან და ჰგავს ერთმანეთს.

### შვეიცარიის ვალდებულებითი სამართალი

**მუხლი 41. ზოგადი პასუხისმგებლობა.** ცალკეული წინაპირობები (1) ვინც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს აყენებს, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. (2) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აკისრია ასევე პირს, რომელიც სხვას ზიანს აყენებს განზრახ ამორალური მოქმედებით.

იმის გამო, რომ შვეიცარული მთავარი დელიქტური დანაწესი ცალკე პუნქტად არ გამოყოფს დაცულ სიკეთეებს, დელიქტური პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობა, გერმანულისაგან განსხვავებით, არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და ამ პასუხისმგებლობასაც ოთხი წინაპირობა აქვს: 1. ზიანი, 2. მართლწინააღმდეგობა, 3. მიზეზ-შედეგობრიობა, 4. ბრალი. ეს ოთხი წინაპირობა უცვლელი ფორმით უნდა მოქმედებდეს ქართულ სამართალშიც.

### 1. ზიანი

შვეიცარიაში დელიქტური პასუხისმგებლობის პირველ წინაპირობასა და ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ზიანის დადგომა, რაც ზედმეტს ხდის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ცალკე წინაპირობად გამოყოფას. დაცულია დაზარალებულის მთლიანი ქონება შემცირებისაგან, ანუ თვითონ ქონება წარმოადგენს დაცულ სა-

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**მუხლი 992. ცნება.** პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მართლებრივ სიკეთეს. ზიანი კი არის ნებისმიერ არანებაცოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამონვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით (*damnum emergens*), ასევე შემოსავლის მიუღებლობით (*lucrum cessans*). **დიფერენციაციის თეორიის** შესაბამისად (სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ზიანი არის სხვაობა დაზარალებულის ამჟამინდელ ქონებასა და იმ ქონებრივ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა დამაზიანებელი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო.

ზიანის, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობის, ეტაპზე უმნიშვნელოა, დამზიანებლის მოქმედებით ის პირდაპირ, თუ გაშუალებულად არის გამონვეული.

ზიანის ეტაპზე, მართალია, ასხვავებენ პიროვნებისა და ნივთის დაზიანებასა და „სუფთა სახით ქონებრივ<sup>88</sup>“ ზიანს შორის, თუმცა ეს განსხვავება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე ხდება მნიშვნელოვანი.

## 2. მიზეზ-შედეგობრიობა

დელიქტური პასუხისმგებლობის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ზიანის მომტან ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. იმის გამო, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ცალკე წინაპირობად არ არის გამოყოფილი, არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის განსხვავების აუცილებლობა ზიანის მომტან ქმედებასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის (“ზიანის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა”) და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და დამდგარ ზიანს შორის (“პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზ-შედეგობრიობა”) გერმანული გაგებით, რაც ქართული სამართლისათვისაც პარადიგმატული უნდა იყოს.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შედგება ნატურალური და ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობისაგან, რაც გერმანული სამართლის ნაწილში ნახსენებ ექვივალენტური და ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობის იდენტურია. *condicio sine qua non*-ფორმულის მიხედვით განსაზღვრული ექვივალენტური მიზეზ-შედეგობრიობა შვეიცარ-

88 იმას რასაც გერმანელები ქონებრივ ზიანს უწოდებენ და აბსოლუტური სიკეთეების ხელყოფის შედეგად წარმოშობილ ზიანს უპირისპირებენ, შვეიცარიაში „სუფთა სახით ქონებრივ ზიანს“ უწოდებენ.

რიაში ნატურალური კაუზალობის სახელით არის ცნობილი. ადეკვატური კაუზალობა სახეზეა, თუ ქმედებამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარებისა და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით შეიძლება გამოიწვიოს ამგვარი ზიანის მომტანი შედეგი. იმის გამო, რომ ადეკვატურობის მტკიცება პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურია, შვეიცარიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ მისი ადგილი ე. წ. ნორმის მიზნის თეორიამ უნდა დაიკავოს, ანუ დარღვეული ნორმის მიზნის განმარტებით უნდა დადგინდეს, თუ რა ზიანისათვის უნდა აგოს პასუხი დამზიანებელმა, თუმცა ამ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრიობისა და მართლწინააღმდეგობის კრიტერიუმების ერთმანეთში გადახლართვა გარდაუვალია.

### 3. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი კრიტერიუმის ფუნქციას წარმოადგენს ამ **პასუხისმგებლობის ფარგლების შემოსაზღვრა** და ამ პასუხისმგებლობის წარმომშობი (ანუ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი) უმართლობის განსხვავება იმ ზიანისაგან, რომელიც დაზარალებულმა უნდა ატაროს.

შვეიცარულ სამართალში გაბატონებულ მოსაზრებას წარმოადგენს „**ობიექტური მართლწინააღმდეგობის თეორია**“. ამ თეორიის მიხედვით ზიანის მიყენება მართლწინააღმდეგობა, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის კანონისმიერ ვალდებულებასთან; აზიანებს სხვა პირის აბსოლუტურ სიკეთეს ან აყენებს მას ქონებრივ ზიანს იმ ნორმის დარღვევით, რომელიც დაზარალებულს იცავს სწორედ ამგვარი ზიანისაგან. ანუ მართლწინააღმდეგობა სახეზეა, თუ დაზიანებულია აბსოლუტური სიკეთე, ან ქონების დამცავი ნორმა. აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას მართლწინააღმდეგობა მდგომარეობს **“შედეგის უმართლობაში”**. ამ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა სახეზეა ავტომატურად, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ მოიქცა კონკრეტულ შემთხვევაში დამზიანებელი, ანუ დაარღვია თუ არა მან რაიმე კონკრეტული სამართლის ნორმა. **“ქმედების უმართლობა”** მართლწინააღმდეგობის დასასაბუთებლად გვჭირდება მაშინ, როდესაც დამაზიანებელი ქმედებით მხოლოდ ქონებაა ხელყოფილი. ამგვარი ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება

იყოს მართლწინააღმდეგობა, თუ ის ქონების დამცავ ნორმას. ქონების დამცავ ნორმას წარმოადგენს მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსში მოწესრიგებული თაღლითობა.

**მაგალითი:** ა დებს ბ-სთან ნასყიდობის ხელშეკრულებას წინასწარი განზრახვით, რომ არ გადასცეს მას მიყიდული მანქანა და ამ მანქანის სანაცვლოდ ფასის მიღების შემდეგ კი გაუჩინარდეს.

ამ შემთხვევაში ა არ აზიანებს ბ-ს აბსოლუტურ სიკეთეს, არ ხელყოფს მის არც საკუთრებას და არც სხვა რაიმე აბსოლუტურ უფლებას ფულზე, არამედ აიძულებს მას საკუთარივე ნებით გასცეს ეს ფული, რის სანაცვალგებოსაც ის ვერასოდეს მიიღებს, ანუ აყენებს მას ქონებრივ ზიანს. ქონების ხელყოფა არ არის თავისთავად მართლწინააღმდეგობა, მხოლოდ მაშინ, თუ დარღვეულია ქონების, როგორც ასეთის, დამცავი ნორმა. მოცემულ შემთხვევაში ასეთ ნორმას წარმოადგენს თაღლითობის დანაწესი, რომელიც პირს იცავს არა მხოლოდ პირდაპირ აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისაგან, არამედ მოტყუების გზით საკუთარი ხელით “თავის გაძარცვისაგან”.

მართალია, მოყვანილ მაგალითში ა არღვევს ასევე ხელშეკრულებას, იმით, რომ არ გადასცემს ბ-ს საკუთრებასა და მფლობელობას ნაყიდ მანქანაზე, თუმცა ხელშეკრულების დარღვევა არ არის მართლწინააღმდეგობა დელიქტური სამართლის გაგებით (მიუხედავად იმისა, რომ მართლწინააღმდეგობა სახელშეკრულებო სამართლის გაგებით არის **“ფარდობითი მართლწინააღმდეგობა”**<sup>89</sup>, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება წარმოადგენდეს ასევე დელიქტსაც, მაგალითად, თუ რესტავრატორი ფეხს მოსტეხს სარესტავრაციოდ მიბარებულ მაგიდას, ეს წარმოადგენს როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს. ამისაგან განსხვავებით, თუ ადვოკატი არასწორ რჩევას მისცემს თავის კლიენტს, რის გამოც ის წააგებს პროცესს და ნახავს ფინანსურ ზარალს, ადვოკატი პასუხს აგებს მხოლოდ სახელშეკრულებო, მაგრამ არა დელიქტური წესით.

89 TRULI, Probleme und Entwicklungen der Dienstleistungshaftung, 153.

90 TRULI, Probleme und Entwicklungen der Dienstleistungshaftung, 153 სქ. 278.

საბოლოო ჯამში, **გერმანული** დელიქტური პასუხისმგებლობა თავისი კონკრეტული დათქმით და **შვეიცარიულ-ქართული** თავისი გენერალური დათქმით, ძირითად შემთხვევებში ერთი და იმავე შედეგამდე მიდიან. გერმანული გადაწყვეტა პასუხისმგებლობას ზიანისათვის შემოსაზღვრავს დელიქტური პასუხისმგებლობის პირველივე წინაპირობის ფარგლებში, როდესაც ქონებრივ ზიანს სუფთა სახით, რომელიც აბსოლუტური სიკეთის ხელყოფიდან არ გამომდინარეობს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიიჩნევენ ანაზღაურებადად, როდესაც დარღვეულია დაზარალებულის სწორედ ამ ქონებრივი ზიანისაგან დამცავი კანონი (გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). პირს ზიანი შეიძლება მიადგეს მრავალგვარად, ისე, რომ ზიანის მიმყენებელმა არ ხელყოს მისი აბსოლუტური სიკეთე – მაგალითად, ა აზიანებს გ-ს მოვალე ბ-ს და აქცევს დროებით შრომისუუნაროდ. ბ ვერ ასრულებს გ-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, რის გამოც ამ უკანასკნელს ადგება ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ ა-მ გ-ს საბოლოო ჯამში ზიანი მიაყენა, მას გ-ს აბსოლუტური სიკეთე არ დაუზიანებია, შესაბამისად, ა-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხებულია. **შვეიცარიულ-ქართული** სამართალი, რომელიც დელიქტური მოთხოვნის წინაპირობად მხოლოდ ზიანს აწესებს, აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე, მოცემულ შემთხვევაში ა-ს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტად მიიჩნევენ მართლწინააღმდეგობის ელემენტის დადგენას – დაცულია პირის ქონება ნებისმიერი დაზიანებისაგან, თუმცა მხოლოდ “სუფთა სახით” ქონების ხელყოფის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა მტკიცებას საჭიროებს, ანუ საჭიროა სამართლის ნორმა, რომელიც პირს ამ ქონებრივი ზიანისაგან დაცავდა, რაც ისევე გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლობასთან გვაბრუნებს. გადამწყვეტია, წარმოადგენს თუ არა ნორმის მიზანს, რომლის მიხედვითაც სხვა პირის დაზიანება მართლწინააღმდეგოა, ასევე მისი კრედიტორი დაცვა მოვალის შრომისუუნარობის რისკისაგან.

#### 4. ბრალი

დელიქტური პასუხისმგებლობის მეოთხე წინაპირობაა ზიანის მიმყენებლის ბრალი ამ ზიანის დადგომაში. ბრალი წარმოადგენს სამართლებრივ გაკიცხვადობას ქმედებისა, იქნება ეს მოქმედება თუ უმოქმედობა. ბრალს აქვს სუბიექტური და ობიექტური მხარე. სუბიექტური მხარის ქვეშ იგულისხმება პირის განსჯის უნარი, ხოლო ობიექტურში გადახვევა ქცევის იმ მოდელისაგან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეესატყვისებოდა საშუალო მონაცემების მქონე პირის ქცევას.

## კახუსი: „განყვეტილი კაბელი“<sup>91</sup>

სამშენებლო კომპანიის „ანდერგრაუნდ ინვესტიმენტის“ (ა) მუშა გოგი (გ) ბულდოზერით სახლის საძირკვლის თხრისას უყურადღებობის გამო განყვეტს მაღალი ძაბვის კაბელს, რის შემდეგაც ერთი კვირის განმავლობაში ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდება მთლიან კვარტალს, ასევე იქვე მდებარე რკინიგზის სადგურს (რ), რომელსაც ამის გამო მიადგება ზიანი.

რ-ს ხელმძღვანელობა ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, როგორც პირადად გოგის, ასევე სამშენებლო კომპანიისაგან.

### შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი

**მუხლი 239. საწარმოს დაზიანება, რომელიც საჯარო მიზნებს ემსახურება.** 1. ვინც განზრახ საწარმოს ან საჯარო სატრანსპორტო დაწესებულებას, კერძოდ კი სარკინიგზო, საფოსტო, სატელეგრაფო ან სატელეფონო მომსახურების საწარმოს აფერხებს, აზიანებს ან საფრთხეს უქმნის, ასევე ვინც განზრახ წყლის, ელექტროენერჯის, ენერგომატარებლების, სითბომატარებლების საჯარო მიწოდებულს აფერხებს, აზიანებს ან საფრთხეს უქმნის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ..... 2. თუ დამნაშავე გაუფრთხილებლობით მოქმედებს, მაშინ ის ისჯება .....

### გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი

**§ 316b საჯარო საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა.** (1) ვინც 1. საწარმოს ან აგრეგატის, რომელიც საჯარო საფოსტო ან საჯარო სატრანსპორტო მომსახურებითაა დაკავებული, 2. ან წარმოადგენს წყლის, ელექტროენერჯის, სითბომატარებლების, ან ენერგომატარებლების საჯარო მიწოდებულს, ან მოსახლეობის მომარაგებისათვის სხვა სასიცოცხლო ფუნქციის მქონე საწარმოს, 3. ან საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფელ დაწესებულების ფუნქციონირებას უშლის ხელს, ან აზიანებს მას საწარმოს მომსახურებისათვის განკუთვნილი ნივთის განადგურებით, დაზიანებით, მოშორებით, სახის შეცვლით, ფუნქციის მოშლით, ან საწარმოსათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტით, ისჯება .....

### შვეიცარიის ვალდებულებითი სამართალი

**მუხლი 55.** 1. შემკვეთი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელსაც გამოიწვევს მასთან დასაქმებული პირი ან სხვა დამხმარე პირი საკუთარი პროფესიული ან დავალებული საქმიანობის შესრულებისას, თუ არ დაამტკიცებს, რომ მან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ამგვარი ზიანის თავიდან აცილებისათვის მიმართა ყველა აუცილებელი ზომას, ან ზიანი მაინც დადგებოდა, მიუხედავად ამ წინდახედულობის ზომებისა. 2. შემკვეთს შეუძლია იმ პირს, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, რეგრესული წესით აგებინოს პასუხი იმდენად, რამდენადაც ამ პირს თავად ეკისრება პასუხისმგებლობა ზიანისათვის.

### გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

**§ 831. დავალების შემსრულებლის (Verrichtungsgehilfe) პასუხისმგებლობა.** (1) პირი, ვინც სხვა პირს ავალებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარწმუნებელი იჩენს დაქირავებული პირის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას, ხოლო თუ მან უნდა შეიძინოს მოწყობილობები ან ხელსაწყოები ან უხელმძღვანელოს დავალების შესრულებას, — აუცილებელ ზრუნვას იჩენს შეძენისა თუ ხელმძღვანელობისას ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც. (2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვინც ხელშეკრულებით კისრულობს 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებაში აღნიშნული ერთ-ერთი საქმის შესრულებას.

91 BGHZ 29, 65 - Stromkabelfall.

ა. ამოხსნა გერმანული სამართლის მიხედვით

### I. რ-ს მოთხოვნები გ-ს წინააღმდეგ

#### 1. რ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით

რ-ს შეიძლება ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გ-ს წინააღმდეგ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

#### 1.1. სიკეთის ხელყოფა

მოცემული მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს გ-ს მიერ რ-ს აბსოლუტური უფლების ხელყოფა.

##### ა) უფლება მონყობილ და ამუშავებულ საწარმოზე

ხელყოფილი აბსოლუტური უფლება ვერ იქნება რ-ს საკუთრების უფლება განყვეტილ კაბელზე, რადგან ის არა რკინიგზის სადგურის, არამედ ენერგო მიმწოდებლის საკუთრებაში იყო.

თუმცა ხელყოფილ უფლებას მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს გერმანული სასამართლო პრაქტიკის<sup>92</sup> მიერ აღიარებული უფლება “მონყობილ და ამუშავებულ საწარმოზე”, როგორც გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაცული „სხვა უფლება“. დაზიანება და შეფერხება, რომელიც საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლისაკენაა მიმართული წარმოადგენს ამ დანაწესით დაცული აბსოლუტური სიკეთის ხელყოფას.

##### ბ) საწარმოს ცნება

რაიხის სასამართლოს<sup>93</sup> თავდაპირველი პრაქტიკის მიხედვით, საწარმოზე უფლების ხელყოფა მაშინ იყო სახეზე, როდესაც ხელმყოფი ერეოდა უშუალოდ საწარმოს ფუნქციონირების ფუნდამენტში, მაგალითად, ფიზიკურად უშლიდა ხელს მის ფუნქციონირებას, ამტკიცებდა მისი ფუნქციონირების დაუშვებლობას, ითხოვდა საწარმოს მუშაობის შეზღუდვას ან საერთოდ შეჩერებას (მაგ. სა-

92 RGZ 58, 24, 29.

93 RGZ 64, 52, 55; RGZ 64, 155, 156; RGZ 76, 35, 46.

პატენტო სამართლის მოთხოვნების დარღვევის გამო). საწარმოს მუშაობის მხოლოდ გაშუალებული გზით დაზიანება არ ითვლებოდა აბსოლუტური უფლების დარღვევად. ეს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც საკონკურენციო სამართლისა და ბოიკოტების შემთხვევების მაგალითზე განვითარდა, შერბილდა რაიხის სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში<sup>94</sup> და დღეის მდგომარეობით<sup>95</sup>, დამოუკიდებლად საკონკურენციო და საპატენტო ურთიერთობისა, მონყობილ და ამუშავებულ საწარმოზე უფლების ხელყოფად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ ჩარევას საწარმოო საქმიანობაში.

საწარმოს ცნების ქვეშ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით ერთიანდება ყველაფერი ის, რაც ერთიანობაში საწარმო ორგანიზაციას განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას აძლევს, ანუ არა მხოლოდ საწარმოს შენობები და მიწის ნაკვეთები, მანქანები, ხელსაწყოები, აღჭურვილობა და პროდუქციის მარაგი, არამედ ასევე საქმიანი კავშირები, კლიენტები და მოვალეთა მიმართ მოთხოვნის უფლებები. სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული და თანდათანობით განვითარებული პრინციპები ემსახურება საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის დაცვასა და მისი ფუნქციონირებისათვის მართლსაწინააღმდეგო ჩარევის გზით ხელის შეშლის თავიდან აცილებას. ამგვარად განსაზღვრული საწარმოს ცნების ქვეშ ყოველ მიზეზ გარეშე ერთიანდება რკინიგზა, მისი ელექტრომომარაგების ქსელით, რომლის მოშლაც წარმოადგენს საწარმოს საქმიანობაში ჩარევას.

##### გ) პირდაპირი ჩარევა

მართალია, ჩარევა საწარმოს საქმიანობაში სახეზეა, თუმცა ეს ხელყოფა უნდა ატარებდეს პირდაპირ ხასიათს.

**ერთი მოსაზრების** მიხედვით<sup>96</sup>, ხელყოფის პირდაპირობა უნდა განისაზღვროს მისი მიზნიდან გამომდინარე. ამგვარად ქმედება, რომელიც განზრახ არის მიმართული საწარმოს ფუნქციონირების წინააღმდეგ, ყოველთვის წარმოადგენს პირდაპირ ხელყოფას. რაც

94 RG, JW 1938, 484 = RGZ 158, 377.

95 BGHZ 3, 270; BGHZ 8, 142; BGHZ 23, 157.

96 ENNECCERUS/LEHMANN, Recht der Schuldverhältnisse, § 234 I 1b; LARENZ, Lehrbuch des Schuldrechts II/2, § 66 I d; KLEINE, JZ 1952, 229.

შეეხება გაუფრთხილებელ ქმედებას, რომელიც აზიანებს საწარმოს, საკმარისია, რომ ქმედება შესაძლებელია ყოფილიყო საწარმოს წინააღმდეგ მიმართული და მოქმედმა პირმა გააცნობიერა ამგვარი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, თუმცა იმედოვნებდა რომ ეს შედეგი არ რეალიზდებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ამ მოსაზრების მიხედვით, საწარმო ორგანიზების პირდაპირი ხელყოფა არ გვექნება სახეზე, რადგან გ ვერ აცნობიერებდა, რომ მისი მუშის მიერ ბულდოზერით მიწის თხრას რკინიგზის სადგურისათვის დენის შეწყვეტა შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად.

**მეორე მოსაზრება**, რომელიც გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში<sup>97</sup> გაბატონებულად შეიძლება მივიჩნიოთ და რომელიც ასევე პირდაპირი ხელყოფის კრიტერიუმის მეშვეობით ისახავს მიზნად აწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე უფლების ფარგლების შემოსაზღვრას, ამ „პირდაპირობის“ კრიტერიუმს განსაზღვრავს შემდეგნაირად: ხელყოფა ატარებს პირდაპირ ხასიათს თუ ის საწარმოს, როგორც ასეთის, წინააღმდეგაა მიმართული და არ აზიანებს მხოლოდ იმ უფლებებს, ან სამართლებრივ სიკეთებს, რომელთა გამოცალკევება საწარმოსაგან ყოველგვარი სირთულეების გარეშეა შესაძლებელი. მაგალითად, საწარმოს თანამშრომლის ან საწარმოს კუთვნილი ავტომანქანის დაზიანება არ არის პირდაპირ საწარმოს წინააღმდეგ მიმართული. რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის გარეთ მდებარე კაბელის დაზიანებას, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებდა საწარმოს, ეს დაზიანებაც არ ეხება საწარმოს, როგორც ასეთს. ამგვარი დაზიანება ისევე აზარალებს საწარმოს მეზობელი კვარტლის მაცხოვრებლებს, როგორც უშუალოდ საწარმოს და ზოგადად ელექტროენერგიის მიწოდება არ არის მხოლოდ რკინიგზის სადგურისათვის დამახასიათებელი თავისებურება. ეს წარმოადგენს ენერგომომარაგების ჩვეულებრივ ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია არა მხოლოდ საწარმოების, არამედ ნებისმიერი სხვა მომხმარებლის წინაშე, როგორც შეიძლება იყოს კერძო პირი, ან თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი. კაბელის განწყვეტა მიწის ნაკვეთზე, რომელიც რკინიგზის სადგურს არ ეკუთვნოდა, დამატებითი წინაპირობების გარეშე, რომელიც აქ არ გვაქვს სახეზე, არ შეიძლება შეფასდეს საწარმოს, როგორც ასეთის წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა, რადგან ეს გასცდებოდა სასამართლოს მიერ შემუშავებულ ჩარჩოებს მონყობილი და ამუ-

<sup>97</sup> მოყოლებული BGHZ 29, 65 („Stromkabelfall“).

შავებული საწარმოსათვის. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მხოლოდ ენერგომომარაგების კაბელზე საკუთრების უფლების ხელყოფა. ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა ასევე შეიძლება წარმოადგენდეს რკინიგზის სადგურის, როგორც მომხმარებლის მომმარაგების, როგორც მიმწოდებლის, მიმართ ვალდებულებითი მოთხოვნის (შესაძლებელია ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის) წარმოშობის საფუძველს, რაც წესრიგდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

ამრიგად კაბელის განწყვეტით გ-ს არ დაუზიანებია რ-ს აბსოლუტური უფლება და ის ზიანი, რაც მას წარმოეშვა მუშაობის ერთკვირიანი შეფერხების შედეგად, წარმოადგენს მხოლოდ ქონებრივ ზიანს, რომელიც გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად არ ანაზღაურდება.

## **2. რ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316ხ პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 2 შესაბამისად**

რ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316ხ პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 2 შესაბამისად.

### *2.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება*

განსხვავებით გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისაგან, რომელიც გარკვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აწესებს სანქციად, მე-2 ნაწილი სანქციას აწესებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომლის მართლწინააღმდეგობაც გამომდინარეობს შესაბამისი დამცავი კანონიდან. ამ გაგებით გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის გამოყენების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე 1-ლი ნაწილისა – მე-2 ნაწილი იცავს არა მხოლოდ გარკვეულ (აბსოლუტურ) სიკეთებს დაზიანებისაგან, არამედ ზოგადად ქონებას შემცირებისაგან (**ქონებრივი ზიანი**), თუ ეს გამონვეულია **დამცავი კანონის** დარღვევით.

## 2.2. დამცავი კანონის დარღვევა

**დამცავი კანონის** ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ქცევის სავალდებულობას, ან კრძალავს მას და ეს მოთხოვნა პირდაპირ მიმართულია ცალკეული ინდივიდების მიმართ. ასეთ დამცავ კანონად მოიაზრება ნებისმიერი ნორმა, რომელიც, საჯარო ინტერესის დაცვის გარდა, **ცალკეული პირების დაცვასაც** ემსახურება<sup>98</sup>.

ასეთ დამცავ კანონს მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316b პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 2, რომლის მიხედვითაც დასჯადია ელექტროენერჯის, სითბომატარებლების, ან ენერგომატარებლების საჯარო მიწოდებელს ან მოსახლეობის მომარაგებისათვის სხვა სასიცოცხლო ფუნქციის მქონე საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა. ეს ნორმა იცავს არა მხოლოდ ამ სიკეთეთა მიწოდების ადრესატებს, არამედ ასევე უშუალოდ საწარმოსაც, რის გამოც ის წარმოადგენს დამცავ კანონს გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316b პარაგრაფის მიხედვით, დასჯადია მის დისპოზიციაში დაფიქსირებული ქმედება მხოლოდ მაშინ, თუ ის განზრახ არის ჩადენილი. ხსენებული სიკეთეების გაუფრთხილებლობით დაზიანება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. გ მოქმედებდა გაუფრთხილებლობის საფუძველზე, რის გამოც მას არ დაეკისრება სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა.

არ დაურღვევია რა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის დანაწესი, რომელიც იცავდა რ-ს ინტერესებს, გ-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არც სამოქალაქო წესით გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

**შედეგი:** რ-ს არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არც გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის და არც 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით.

<sup>98</sup> BGHZ 41, 17, 23.

## II. რ-ს მოთხოვნები ა-ს წინააღმდეგ

**რ-ს მოთხოვნა ა-ს მიმართ გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად<sup>99</sup>**

რ-ს შეიძლება ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ა-საგან გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. მოცემული დანაწესის შესაბამისად დამვალბელი პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც დავალბული დავალბების შესრულებისას აყენებს მესამე პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამვალბებელმა დავალბულის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი ზრუნვა გამოიჩინა.

მოცემული დანაწესის გამოყენების პირველი წინაპირობაა დავალბული პირის მიერ სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგოდ ზიანის მიყენება. დავალბულმა პირმა თავად უნდა ჩაიდინოს გსკ-ის 823-ე და შემდგომ პარაგრაფებში მოწესრიგებულ დელიქტთაგან ერთ-ერთი. რაც არ გვაქვს სახეზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ-ს არ დაუზიანებია აბსოლუტური სიკეთე და ამის გამო არ გვაქვს სახეზე დელიქტი გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ასევე არ დაურღვევია რ-ს ქონების დამცავი კანონი, რის გამოც გამოირიცხება დელიქტი გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. დავალბული პირის დელიქტური პასუხისმგებლობის გარეშე პასუხს არ აგებს არც დამვალბელი.

**შედეგი:** რ-ს არ აქვს ა-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

### ბ. ამოხსნა შევიცარული და ქართული სამართლის მიხედვით

**I. რ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ შევიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად**

რ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შევიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლის

<sup>99</sup> გ-ს, როგორც დავალბულის, ქმედება პირდაპირ არ შეეცარება ა-ს, რადგან გსკ-ის 278-ე პარაგრაფი (სსკ-ის 3976-ე მუხლი) მხოლოდ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედებს. დელიქტური წესით დავალბულის მიერ ჩადენილი დელიქტისათვის დამვალბელი პასუხს აგებს გსკ-ის 831-ე პარაგრაფის (სსკ-ის 997-ე მუხლის) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს არა სხვისი ქმედების შერაცხვის, არამედ მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს.

1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად. ამ დანაწესის მიხედვით, ვინც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს აყენებს, განზრახვით, თუ გაუფრთხილებლობით, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

### 1.1. ზიანი

შვეიცარიასა და საქართველოში დელიქტური პასუხისმგებლობის პირველ წინაპირობას წარმოადგენს ზიანის დადგომა. ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამონვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით, ასევე შემოსავლის მიუღებლობით.

მოცემულ შემთხვევაში კაბელის განყვევით გამონვეული სამუშაო პროცესის ერთკვირიანი შეფერხებით რკინიგზის სადგურმა ვერ მიიღო შემოსავალი, რომლის ოდენობის გამოთვლა საკმაოდ ზუსტად არის შესაძლებელი. ეს ზიანი წარმოადგენს არა აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით დადგარ ზიანს, არამედ “სუფთა სახით” ქონებრივ ზიანს, თუმცა შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლის 1-ლი (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით, დაცულია დაზარალებულის მთლიანი ქონება შემცირებისაგან, ანუ თვითონ ქონება წარმოადგენს დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

### 1.2. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობა ყოველთვის მოცემულია, თუ ხელყოფილია აბსოლუტურად დაცული სიკეთე (სხეული, ჯანმრთელობა, საკუთრების უფლება და ა. შ.) და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება სახეზე არ არის. მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტური სიკეთე ხელყოფილი არ არის, შესაბამისად, ზიანი, რომელიც წარმოეშვა რკინიგზის სადგურს, წარმოადგენს “სუფთა” ქონებრივ ზიანს, რომელიც, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე მართლწინააღმდეგო, თუმცა ეს გადაწყვეტა ყველა შემთხვევაში არ არის გამართლებული, რის გამოც დაშვებულია გამონაკლისი. თუ არსებობს ნორმა შვეიცარულ (ქართულ) სამართალში, რომელიც იცავს ქონებას (დამცავი ნორმა) ამგვარი დაზიანებისაგან, მაშინ ქონების შემცირება მაინც მართლწინააღმდეგოა. დამცავი ნორმის მაგალითს

წარმოადგენს თაღლითობის დანაწესი სისხლის სამართლის კოდექსიდან. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი დამცავი ნორმა შეიძლება იყოს შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სარკინიგზო საწარმოსათვის ფუნქციონირებაში ხელის შეშლა, მათ შორის გაუფრთხილებლობით, დასჯადია. მოცემული ნორმის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ გამართული სარკინიგზო გადაადგილების უზრუნველყოფა და ამ სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის დაცვა, არამედ ასევე თვითონ საწარმოს დაცვა ფინანსური ზიანისაგან, რის გამოც შვეიცარიაში ელექტროენერჯის კაბელის განყვეტა, რამაც რკინიგზის სადგურს ზიანი მიაყენა მართლწინააღმდეგოა.

*განსხვავებით შვეიცარიისაგან, შესაბამისი დანაწესი გერმანულ (316(ბ) პარაგრაფი) და ქართულ სისხლის სამართლის კოდექსებში (მაგ. 226-ე მუხლი) ითვალისწინებენ მსგავსი ქმედების მხოლოდ განზრახ ჩადენის შემთხვევაში დასჯადობას, რის გამოც ქართულ სამართალში სახეზე არ გვაქვს მართლწინააღმდეგობა სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად და დელიქტური მოთხოვნის შემონმება ამ ეტაპზე უნდა შევწყვიტოთ. ამავე მიზეზით გერმანული სამართლის მიხედვით შეუძლებელია პასუხი ვაგებინოთ გ-ს გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316(ბ) პარაგრაფის მიხედვით.*

### 1.3. მიზეზ-შედეგობრიობა და ბრალი

გ-ს რომ არ გაენყვიტა კაბელი, რკინიგზის სადგურს არ შეუწყებოდა ელექტროენერჯის მიწოდება და არ მიაღებოდა ერთკვირიანი უფუნქციოობით გამონვეული ქონებრივი ზიანი ექვივალენტური (შვეიცარიაში: ნატურალური) კაუზალობა სახეზეა. კაბელის განყვეტის შემთხვევაში ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით არ არის მოულოდნელი, რომ ახლომდებარე საწარმოს, რომლის ელექტრომომარაგებისათვისაც იყო გამიზნული ეს კაბელი, მიაღებდა ზიანი. ამრიგად სახეზეა ასევე ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობა.

გ, კაუზის თანახმად, მოქმედებდა გაუფრთხილებლობით.

**შედეგი:** რ-ს აქვს პირადად გ-საგან ზიანის ანაზღაურების მო-

თხოვნის უფლება შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

**1. რ-ს მოთხოვნა ა-ს მიმართ შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 55-ე და 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად**

როგორც ზემოთ დავადგინეთ, რ-ს შეუძლია დელიქტური წესით პირდაპირ გ-ს აგებინოს პასუხი, თუმცა ეს სავარაუდოდ მისთვის ისეთი ხელსაყრელი არ არის, როგორც მისი დამსაქმებელი სამშენებლო კომპანიის პასუხისმგებლობა. შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 55-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს შეუძლია პირდაპირ დამსაქმებელს აგებინოს პასუხი, მისი დასაქმებულის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, თუ სახეზეა ამ დანაწესის წინაპირობები.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 55-ე მუხლის წინაპირობებია:

1. დავალეული პირის მიერ დელიქტის ჩადენა, რომლისათვისაც ის შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლის შესაბამისად აგებს პასუხს. როგორც ზემოთ დავადგინეთ, სახეზეა – გ პირადად აგებს პასუხს დელიქტური წესით მის მიერ განყვეტილი კაბელისათვის.

*ქართული სამართლის მიხედვით, ა-ს პასუხისმგებლობა (სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით) გამოირიცხება სწორედ იმ გარემოების გამო, რომ მისი მუშაკი არ აგებს პასუხს სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, არ იყო რა მის მიერ მიყენებული ზიანი მართლსაწინააღმდეგო.*

2. დავალეული პირი უნდა მოქმედებდეს მიღებული დავალების ფარგლებში და ექვემდებარებოდეს დამვალებლის მითითებებს, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

3. დავალეულ სამუშაოსა (იქნება ეს შრომითი ხელშეკრულებით, თუ გარიგებით დავალეული) და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს ფუნქციური კავშირი, რაც ასევე დადგენილად უნდა მივიჩნიოთ – მიწის თხრისას არ არის სრულებით არასავარაუდო მიწისქვეშა კაბელის განყვეტა.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 55-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას დამვალებელს შეუძლია პასუხისმგებლობა

თავიდან აიცილოს, თუ დაამტკიცებს, რომ მან გამოიჩინა წინდახედულობის ყველა შესაძლო ზომა. წინდახედულობის ზომები შვეიცარული სასამართლო პრაქტიკის მიერ დაკონკრეტებულია დამსაქმებლის ოთხ ვალდებულებაში: 1. დასაქმებულის შერჩევა, 2. დასაქმებულის ზედამხედველობა, 3. მისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება, 3. სამუშაოს გამართული და მიზნობრივი ორგანიზება. იმის გამო, რომ შვეიცარიის ფედერალური სასამართლო, წინდახედულობის ვალდებულების შესრულებას მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში მიიჩნევს არსებულად, ა სავარაუდოდ ვერ მოახერხებდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

**შედეგი:** ა ვალდებულია აუნაზღაუროს რ-ს ზიანი.

**III. დელიქტური პასუხისმგებლობა ზოგადი საფუძვლით**  
(სქემა)

<b>გერმანია</b> (გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი)	<b>საქართველო</b> (სსკ-ის 992-ე მუხლი)
<b>I. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა</b> (დაცულია მხოლოდ აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეები)	<b>I. ზიანი</b> (როგორც აბსოლუტური სიკეთეების დაზიანება, ასევე ქონებრივი ზიანი)
<b>II. ქმედება</b> (მოქმედება და უმოქმედობა, როდესაც არსებობს მოქმედების ვალდებულება)	<b>II. მიზეზ-შედეგობრიობა ქმედებასა და ზიანს შორის</b>
<b>III. მიზეზ-შედეგობრიობა ქმედებასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის</b> (პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა – ექვივალენტურობის თეორია, ადეკვატურობის თეორია, ნორმის დამცავი მიზეზი)	<b>III. მართლწინააღმდეგობა</b> (ივარაუდება მხოლოდ აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას, სხვა შემთხვევაში აუცილებელია ნორმის დარღვევა, რომელიც იცავს დაზარალებულს ამგვარი დაზიანებისაგან)
<b>IV. ბრალი</b> (განზრახვა და გაუფრთხილებლობა, გსკ-ის 278-ე პარაგრაფი)	<b>IV. ბრალი</b> (განზრახვა და გაუფრთხილებლობა, სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

<b>V. მართლწინააღმდეგობა</b> (ივარაუდება)	<b>V. მოთხოვნის უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული</b>
<b>VI. ზიანი</b> (ზიანი თავის მხრივ მიზეზ-შედეგობრივად უნდა გამომდინარეობდეს სიკეთის ხელყოფიდან)	
<b>VII. მოთხოვნის უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული</b> (მაგ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, ხანდაზმულობით (გსკ-ის 195-ე, 199-ე მუხლები)	
<b>შედეგი:</b> ზიანის ანაზღაურება გსკ-ის 249-ე და შემდგომი პარაგრაფების შესაბამისად.	<b>შედეგი:</b> ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 408-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

#### IV. პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა

პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნიშნავს მის პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშობება **წუნდებუ-ლი პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვებიდან**, რაც წარმოადგენს პროდუქტის მწარმოებლის მიერ ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევას.

პროდუქტის მწარმოებელს ეკისრება პასუხისმგებლობა **ზოგადი საფუძვლით**, გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით. ამ შემთხვევაში ბრალი უნდა ამტკიცოს დაზარალებულმა, თუმცა – მტკიცების ტვირთი ტრიალდება, თუ სახეზეა კონსტრუქციის, ფაბრიკაციის, ინსტრუქციის ან პროდუქტის შემონმების ნაკლი. პროდუქტის მწარმოებლის ზოგადი საფუძვლით პასუხისმგებლობისას გამოსაყოფია გერმანული ფედერალური სასამართლოს შემდეგი სახელმძღვანელო გადაწყვეტილებები:

*BGHZ 51, 91 - “ქათმის ჭირის შემთხვევა”*

*ვეტერინარმა ვ-მ გლეხი გ-ს ქათმები აცრა ქათმის ჭირის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ყველა ქათამი დაიხოცა, რაც გამონვეული იყო ინექციის დაბინძურებით. ინექცია იყო მწარმოებელი მ-ს მიერ წარმოებული, თუმცა მისი ბრალი არ მტკიცდებოდა. მოცემული გადაწყვეტილებით გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ პირველად შეატრიალა მტკიცების ტვირთი მწარმოებლის საზიანოდ.*

*BGHZ 80, 161 - “ვაშლის ხოპოს შემთხვევა”*

*გლეხი გ იღებდა ვაშლის ხოპოს საწინააღმდეგო შესაწამლ საშუალებებს მწარმოებელი მ-საგან. შესაწამლი საშუალება მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში აღწევდა სასურველ ეფექტს, რადგან მოგვიანებით ვაშლი ავადდებოდა სხვა, შეწამვლის მიმართ იმუნიტეტის მქონე სოკოთი. მოსავლის განადგურების შემდეგ გლეხმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დააკონკრეტა მტკიცების ტვირთის განაწილება. კონსტრუქციისა და ფაბრიკაციის ნაკლის შემთხვევაში საკმარისია, თუ დაზარალებული დაამტკიცებს, რომ ნაკლი მომდინარეობს მწარმოებლის ორგანიზაციული სფეროდან.*

*BGHZ 104, 323 - “ლიმონათის ბოთლის შემთხვევა”*

*ლიმონათი გამსკდარმა ბოთლმა მძიმედ დააზიანა სამი წლის ბავშვი. ბოთლის მწარმოებლის წინააღმდეგ პროცესში არ მტკიცდებოდა, იყო თუ არა ნივთის ნაკლი ლიმონათის ჩამოსხმისას წარმოშობილი. ამ გადაწყვეტილებაში გერმანულმა სასამართლომ დააკონკრეტა, რომ მტკიცების ტვირთის შეტრიალება მოქმედებს მაშინაც, როდესაც ცალსახა არ არის ნაკლი წარმოიშვა მწარმოებლის სფეროში, თუ მოგვიანებით მისი სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვებისას.*

გარდა ხსენებულისა, პროდუქტის მწარმოებელს ეკისრება პასუხისმგებლობა სპეციალური საფუძვლითაც, პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიხედვით. გერმანიაში **პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი** ემყარება ევროკავშირის დირექტივას (85/374/EWG) და ძალაშია 1.1.1990 წლიდან. ის ანესრიგებს პროდუქტის მწარმოებლის **ბრალისაგან დამოუკიდებელ** პასუხისმგებლობას. კაზუსის ამოხსნისას, მწარმოებლის პასუხისმგებლობა ამ კანონის საფუძველზე უნდა შემონმდეს გსკ-ის 823-ე და შემდგომი პარაგრაფების წინაპირობების შემონმებამდე, რადგან მისი წინაპირობები მთელ რიგ შემთხვევებში უფრო მარტივად დადგენადია. სხვა მხრივ, მწარმოებლის პასუხისმგებლობა ხსენებული კანონის საფუძველზე თავისუფლად კონკურირებს 823-ე და შემდგომი პარაგრაფების მიხედვით ბრალზე დამოკიდებულ პასუხისმგებლობასთან.

პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, პასუხს აგებს პროდუქტის მწარმოებელი, თუ ეს პროდუქტი გამოიწვევს ადამიანის **სიცოცხლის** მოსპობას, **სხეულისა და ჯანმრთელობის** დაზიანებას, ან **ნივთის** დაზიანებას. იმის გამო, რომ პასუხისმგებლობა მწარმოებლის ბრალისაგან დამოუკიდებლად დგება, ის წარმოადგენს ე. წ. შექმნილი **საფრთხისათვის პასუხისმგებლობას** – პასუხისმგებლობის წარმომშობი საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ საფრთხის შემცველი, თუმცა დამეგებული, მოქმედების განხორციელება.

კანონის საფუძველზე პასუხისმგებლობის წინაპირობებია:

1. პროდუქტის [პირადი] მოხმარება და ზიანის წარმოშობა სხვა ნივთებზე, არა თვითონ პროდუქტზე (1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის

მე-2 წინადადება).

**2. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება** კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად - პიროვნების ან ნივთების დაზიანება, რის მტკიცების ტვირთსაც ატარებს დაზარალებული.

*მართალია, გერმანული კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილთან შედარებით ქართული კანონის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ფორმულირებულია ერთი შეხედვით გენერალური დათქმის ფორმით, ანუ ანაზღაურებადად აცხადებს ნებისმიერ ზიანს, რომელიც წარმოიშვება წუნდებული პროდუქტიდან, თუმცა ამ ერთი შეხედვით გენერალურ დათქმას კონკრეტულ დათქმად გარდაქმნის სსკ-ის 1014-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ სიცოცხლის მოსპობით, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანი. ამის გამო, ისევე როგორც გერმანიაში, საქართველოშიც, ამ პროდუქტის მწარმოებლის დელიქტური პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობა უნდა იყოს სიკეთის ხელყოფა და არა ზიანი როგორც ასეთი.*

*მაგალითად, თუ ტაქსისტს მანქანის თანდაყოლილი დეფექტის გამო ამოუტრიალდება ახალ ნაყიდი მანქანა და მოიტეხს კისერს, აუნაზღაურდება, როგორც კისრის მკურნალობის ხარჯები, ასევე ამ პერიოდის განმავლობაში შრომისუუნარობით მიუღებელი შემოსავალი. თუ ნაკლის გამო მხოლოდ მანქანა განადგურდა და ამ მიზეზით ტაქსისტმა ვერ მიიღო შემოსავალი, ეს არ წარმოადგენს ანაზღაურებად ზიანს საქართველოში, რადგან არ არის გამოწვეული სიცოცხლის მოსპობით, სხეულისა ან ჯანმრთელობის დაზიანებით. ეს ზიანი არ ანაზღაურდება არც გერმანიაში, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საკუთრება ამ კანონის მიხედვით დაცულია, დაცულია საკუთრება სხვა ნივთებზე და არა თვითონ წუნდებულ პროდუქტზე (გერმანიის პროდუქტის მწარმოებლის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება).*

**3. მწარმოებლის მიერ წუნდებული პროდუქტის დამზადება:**

- სახეზე უნდა იყოს **პროდუქტი** (კანონის მე-2 პარაგრაფი). **პროდუქტს** განეკუთვნება ყველა მოძრავი ნივთი, ნივთის ნაწი-

ლი, ელექტროენერგია და ა. შ. პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს ასევე რაიმე სხვა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, პროდუქტად განიხილება წყალი, ორთქლი, გაზი, როგორც ენერგომატარებელი, ნარჩენები ან სხეულის ნაწილები სხეულისაგან მოშორების შემდეგ. 2000 წელს კანონში განხორციელებული ცვლილებებამდე ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები არ მიიჩნეოდა პროდუქტად ამ კანონის გაგებით. უმნიშვნელოა, თუ როგორ ხდება ამ პროდუქტის დამზადება – ხელით, ინდუსტრიული წესით, თუ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო გზით.

- პროდუქტს უნდა ახასიათებდეს **ნაკლი** (შდრ. კანონის მე-2 პარაგრაფი). ნაკლის დასადგენად გადამწყვეტია მწარმოებლის მოლოდინი (რის გამოც ნაკლი გამორიცხულია, თუ მომხმარებელი პროდუქტს იყენებს სრულებით არამიზნობრივად) და **მომხმარებლის მოლოდინი** პროდუქტის საიმედოობასთან დაკავშირებით (რის გამოც მნიშვნელოვანია, თუ ვისთვის არის გამიზნული პროდუქტი). ნაკლის ცნება ნებისმიერ შემთხვევაში სცდება ნასყიდობის სამართლის მიხედვით ნაკლის ცნებას.

- მწარმოებლად შესაძლებელია გარკვეულ გარემოებებში ჩაითვალოს ასევე იმპორტიორი, ლიცენზიის ამღები, მიმწოდებელი (კანონის მე-4 პარაგრაფი).

**4. პასუხისმგებლობის ფარგლები** განისაზღვრება კანონის მე-7 და შემდგომი პარაგრაფების შესაბამისად.

**5. ხანდაზმულობა** მონესრიგებული კანონის მე-12 პარაგრაფში, ხოლო მოთხოვნის უფლების **გაქარწყლება** 13-ე პარაგრაფში.

**გერმანიის კანონი პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ**

**§1. პასუხისმგებლობა.** 1. თუ პროდუქტის ნაკლით ვინმე მოკვდება, დაზიანდება მისი სხეული ან ჯანმრთელობა, პროდუქტის მწარმოებელი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს ზიანი. ნივთის დაზიანების შემთხვევაში ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ დაზიანდა სხვა ნივთი და არა თვითონ წუნდებული პროდუქტი და ეს სხვა ნივთი, მისი ხასიათიდან გამომდინარე, გამიზნული იყო პირადი მოხმარებისათვის და დაზარალებულიც ამავე მიზნით იყენებდა მას.

2. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ

2.1. თუ მას არ გაუტანია პროდუქტი სარეალიზაციოდ;

2.2. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ პროდუქტს ზიანის გამომწვევი ნაკლი არ ახასიათებდა იმ მომენტში, როდესაც მწარმოებელმა ის სარეალიზაციოდ გაიტანა;

2.3. მას არ უნარმოებია პროდუქტი გასაყიდად, ან სხვა კომერციული მიზნით, და არ უნარმოებია ან არ გაუვრცელებია ის თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**მუხლი 1009. წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა.** 1. წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში დაზარალებულთან,

გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

ა. მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ;

ბ. საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;

გ. მწარმოებელს პროდუქტი არ უნარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;

2.4. ნაკლი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პროდუქტი სარეალიზაციოდ გატანის მომენტში შეესატყვისებოდა სამართლის სავალდებულო დანაწესებს ან;

2.5. ნაკლი პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანისას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გათვალისწინებით აღმოუჩენადი იყო.

3. პროდუქტის მხოლოდ ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი, ან მწარმოებლის ინსტრუქციის გამო. ეს წესი უნდა გამოვიყენოთ ასევე მასალის მწარმოებლის შემთხვევაშიც.

4. ნაკლის, ზიანისა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა უნდა ამტკიცოს დაზარალებულმა. თუ საკამათოა ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეს უნდა ამტკიცოს მწარმოებელმა.

დ. პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს, ანდა

ე. შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს.

2. პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ასევე გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი.

3. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამორიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ.

4. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.

**§8. ზიანის ანაზღაურების მოცულობა სხეულის დაზიანებისას.** სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს მკურნალობის ხარჯები, ასევე ხარჯები, რომელიც მიადგება დაზარალებულს იმის გამო, რომ ის მოკლებულია მიიღოს შემოსავალი, იღებს მხოლოდ შემცირებულ შემოსავალს ან იზრდება მისი ხარჯები. არამატერიალური ზიანისათვის უნდა მიიღოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

**§2. producti.** პროდუქტს ამ კანონის მიხედვით წარმოადგენს ყოველი მოძრავი ნივთი, მაშინაც კი, როდესაც ის სხვა მოძრავი, თუ უძრავი ნივთის ნაწილია. პროდუქტად ითვლება ასევე ელექტროენერგია.

**მუხლი 1014. ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.** 1009-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით, ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით.

**მუხლი 1011. პროდუქტის ცნება.** 1. ამ კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე ელექტროენერგია. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მინათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ. ....

**§3. წუნი.** პროდუქტი წუნდება, თუ ის არ არის საიმედო ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებით:

1. მისი შემოთავაზების;
2. გამოყენების, რომლისთვისაც ის გამიზნულია;
3. დროის იმ მომენტის, როდესაც მისი სარეალიზაციოდ გატანა ხდება.

...

**§4. მწარმოებელი.** 1. მწარმოებელი ამ კანონის თანახმად არის პირი, რომელმაც დაამზადა საბოლოო პროდუქტი, მისი დასამზადებელი მასალა ან პროდუქტის ნაწილი. ....

**მუხლი 1010. წუნდებული პროდუქტის ცნება.** 1. პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. 2. პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

**მუხლი 1011. პროდუქტის ცნება.** .... 2. მწარმოებლად ამ კოდექსის მიხედვით მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად ითვლება ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. 3. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ....

## კაზუსი: „ალუბალი კურკიანი სილია“<sup>100</sup>

ა ყიდულობს ბ-ს მაღაზიაში ალუბლის ნამცხვარს, რომელიც მ-ს მიერ არის დამზადებული. მ-ს ნამცხვარში ჩარჩება ალუბლის კურკა, რომელზეც ა მოიტეხს უკანა კბილს. კბილის მკურნალობა დაუჯდება 300 ლარი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს, ბ-საგან მორალურ ზიანთან ერთად.

### ამოხსნა

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

#### I. ა-ს მოთხოვნები ბ-ს მიმართ

**1. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გსკ-ის 433-ეს 1-ლი, 437-ეს Nr. 3 და 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 477-ეს 1-ლი, 494-ეს 1-ლი და 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 433-ეს 1-ლი, 437-ეს Nr. 3 და 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 477-ეს 1-ლი, 494-ეს 1-ლი და 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1.1. ა-მ და ბ-მ დადეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, საიდანაც ბ-ს ეკისრებოდა ა-სათვის უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება გსკ-ის 434-ე პარაგრაფის (სსკ-ის 488-ე მუხლის) მიხედვით. ეს ვალდებულება ბ-მ დაარღვია, მიაწოდა რა ა-ს ალუბლის ნამცხვარი, რომელიც არ იყო გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 2, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ვარიანტი).

1.2. ბ-ს ვალდებულება უნდა დაერღვია ბრალეულად.

ა) მართალია, ვალდებულების დამრღვევი მოვალის ბრალი ივარაუდება გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების) მიხედვით, მაგრამ ბ მოახერხებს ამ ვარაუდის გაქარწყლებას – ნამცხვრის შიგთავსი მისი გამყიდველისათვის შეუცნობადი იყო.

ბ) ბ-ს არ შეეცაება არც მწარმოებელი მ-ს ბრალი გსკ-ის 278-ე პარაგრაფის (სსკ-ის 396-ე მუხლის) მიხედვით, რადგან მწარმოებელი არ არის გამყიდველის ა-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულებისას მისი „შესრულების დამხმარე“ – მ ვალდებულია დაამზადოს უნაკლო ნივთი, ა-სათვის უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულება მას არ ეკისრება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ა-ს მიმართ გამორიცხულია ბ-ს ბრალის არასებობის გამო.

#### 2. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ „მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებებიდან“

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება „მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებებიდან“.

“მესამე პირის სასარგებლოდ” დადებული ხელშეკრულებისა და მისგან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დოგმატიური დასაბუთება საკამათოა, თუმცა ეს უმნიშვნელოა, როდესაც მისი წინაპირობები მაინც არ არის სახეზე. ყოველი მოსაზრების მიხედვით, აუცილებელია განსაკუთრებული “სიახლოვე” კრედიტორსა და მესამე პირს შორის. ა-სა და ბ-ს აქვთ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა და მათ არ აკავშირებთ რაიმე ახლო კავშირი, რაც გაამართლებდა ბ-სა და მ-ს შორის დადებულ გარიგებაში ა-ს ჩართვას.

3. დელიქტური მოთხოვნები, როგორცაა **გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 992-ე მუხლი)** და **გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 997-ე მუხლი)**, გამორიცხულია, რადგან ბ-ს არ ეკისრება ბრალი და მ არ წარმოადგენდა ასევე მის მუშაკს.

**შედეგი:** ა-ს არ აქვს ზიანის მოთხოვნის უფლება ბ-ს მიმართ.

#### II. ა-ს მოთხოვნები მ-ს მიმართ

1. ა და მ არ შესულან ერთმანეთთან არც **სახელშეკრულებო** და არც **წინარე სახელშეკრულებო** ურთიერთობაში, რის გამოც ორივე ტიპის მოთხოვნები გამორიცხულია.

100 BGH, Urteil vom 17.03.2009 - VI ZR 176/08.

**2. ა-ს მოთხოვნა მ-ს მიმართ მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლის 1-ლი ნაწილის და მე-8 პარაგრაფის 1-ლი და მე-2 წინადადების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 1014-ე მუხლის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლის 1-ლი ნაწილისა და მე-8 პარაგრაფის 1-ლი და მე-2 წინადადების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 1014-ე მუხლის) შესაბამისად.

*2.1. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება (მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტი, სსკ-ის 1014-ე მუხლი)*

კანონით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს პროდუქტის მომხმარებლის სხეული, ჯანმრთელობა, ან ნივთი (არა თვითონ პროდუქტი). კბილი არის სხეული ნაწილი და შესაბამისად მისი დაზიანება წარმოადგენს კანონით დაცული სიკეთის – სხეული – დაზიანებას.

2.2. ალუბლის ნამცხვარი არის პროდუქტი კანონის მე-2 პარაგრაფის (სსკ-ის 1011-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით.

2.3. მ არის მისი მწარმოებელი კანონის მე-4 პარაგრაფის (სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

*2.4. პროდუქტის ნაკლი (კანონის მე-3 პარაგრაფი, სსკ-ის 1010-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)*

პროდუქტი უნდა იყოს წუნიანი. კანონის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით პროდუქტი წუნიანია, თუ ის არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების იმ სტანდარტს, რაც ყოველი გარემოების გათვალისწინებით მსგავსი ტიპის პროდუქტისაგან სამართლიანად იყო მოსალოდნელი.

კანონის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 1010-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით მოსალოდნელი უსაფრთხოების სტანდარტი განისაზღვრება იმავე ობიექტური კრიტერიუმებით, რითიც მწარმოებლის ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით.

*ა) ნაკლის კატეგორიები*

პროდუქტის ნაკლს ჰყოფენ შესაბამის კატეგორიებად: 1. კონსტრუქციის ნაკლი, რომელიც გულისხმობს, რომ ნაკლი არა ცალკეულ პროდუქტს, არამედ პროდუქტის მთლიან სერიას ახასიათებს. მისი გამომწვევა შეცდომაა, რომელიც მწარმოებელს მოსდის უკვე პროდუქტის დაგეგმვა-შემუშავების ეტაპზე. 2. ინსტრუქციის ნაკლი, რომელიც გულისხმობს, მომხმარებლის არასაკმარის ინფორმირებას პროდუქტის გამოყენების წესის შესახებ, ხოლო 3. ფაბრიკაციის ნაკლი სახეზეა, როდესაც პროდუქტის დეფექტი წარმოიშვება ცალკეული პროდუქტის ფაბრიკაციის პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი სახეზე იყოს ფაბრიკაციის ნაკლი, ნაკლი რომელიც წარმოიშვა კონკრეტული ნამცხვრის წარმოებისას და არა მისი დაგეგმვისას.

*ბ) პროდუქტის უსაფრთხოების სამართლიანი მოლოდინი*

მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქტი უნდა იყოს უსაფრთხო ყოველი ცალკეული გარემოებისა და იმ მოლოდინის გათვალისწინებით, რაც სამართლიანად შეიძლება ჰქონდეს მის მომხმარებელს.

*აა. უსაფრთხოების მოლოდინი*

საკითხავია, თუ ვისი თვალსაწიერიდან განისაზღვრება ის მოლოდინი, რაც მწარმოებელს სამართლიანად შეიძლება ჰქონდეს.

*გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, პროდუქტის წუნდებულად მიჩნევისათვის გადამწყვეტია არა კონკრეტული დაზარალებულის თვალსაწიერი, არამედ პირველ რიგში პირთა იმ წრის თვალსაწიერი, რომელიც წარმოადგენს ამ პროდუქტის სავარაუდო მომხმარებელს. მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიხედვით პასუხისმგებლობის სფერო არ არის შემოსაზღვრული პროდუქტის შემძენით ან ამ პროდუქტის მოსარგებლეთი, არამედ ეხება ასევე მესამე პირებსაც, მწარმოებელმა უნდა გაითვალისწინოს უსაფრთხოების მოლოდინი, რაც მესამე პირებს, რომლებსაც ეხებათ ნივთიდან წარმოშობილი რისკები, შეიძლება ჰქონდეთ ამ პროდუქტის*

მიმართ. საბოლოო ჯამში გადამწყვეტია უსაფრთხოების ის სტანდარტი, რასაც მოცემულ სფეროში გაბატონებული სამოქალაქო ბრუნვის წესები მიიჩნევენ სავალდებულოდ.

თუ პროდუქტის სავარაუდო მომხმარებელს წარმოადგენს **პირთა რამდენიმე განსხვავებული წრე**, მაშინ მწარმოებლის მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების ზომები ორიენტირებული უნდა იყოს ყველაზე დაუცველ და ნაკლებად ინფორმირებულ მომხმარებელზე, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების მაქსიმალურ სტანდარტს.

ალუბლის ნამცხვრის მომხმარებელს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს მისი საბოლოო გამომყენებელი, უბრალო მყიდველი, რომლის მოლოდინიც გადამწყვეტია მოცემულ შემთხვევაში.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, უბრალო მყიდველის თვალსაწიერიდან, კურკიანი ხილის შიგთავსით სავსე ნამცხვრის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ამ ნამცხვარს, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შეიცავდეს პატარა კურკას, ან მის ნაწილს. მომხმარებელმა უნდა ივარაუდოს, რომ ნამცხვარი, რომელიც იყიდება „ალუბლის ნამცხვრის“ დასახელებით, დამზადებულია ალუბლის გამოყენებით. მომხმარებელმა ასევე უნდა იცოდეს, რომ ალუბალი არის კურკიანი ხილი, ანუ მისი რბილობი შეიცავს კურკას. ის არ შეიძლება მოელოდოს, რომ ნამცხვარი, შეიცავს ალუბალს, მაგრამ არ შეიცავს კურკას. ეს მოლოდინი მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ ნამცხვარი, მისი შეთავაზების ფორმიდან გამომდინარე შექმნიდა წარმოდგენას, რომ ის სრულე-ბით კურკაგაცლილია.

### ბბ. ცალკეული გარემოებების ანონ-დანონვა

გარდა ამისა, წინდახედულობის ზომა, რომელიც უზრუნველყოფდა მოცემულ შემთხვევაში რეალიზებული რისკის სრულად თავიდან აცილებას, უნდა იყოს აუცილებელი და მისი დაცვა შეიძლება მოეთხოვოს მწარმოებელს. ის, თუ რა შეიძლება მოეთხოვოს მწარმოებელს, დამოკიდებულია, მოსალოდნელი საფრთხეზე.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარემოება, რომ კურკის ჩარჩუნის საფრთხის სრული გამორიცხვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მწარმოებელი თითოეულ ნამცხვარ-

ში ალუბლის შიგთავსს სპეციალური ხელსაწყოთი მოათავსებს ან თითოეულ დამზადებულ ნაჭერს გადამოწმებს. თუ ავონ-დავონ-ნით, იმ არც თუ ისე დიდ ზიანს, რაც შეიძლება კურკიანმა ალუბალმა მომხმარებლის სხეულებრივ სიმრთელესა და ჯანმრთელობას მიაყენოს და მეორეს მხრივ იმ მაღალ დანახარჯებს, რაც უნდა გაიღოს მ-მ ამ რისკის სრულად გასანიტრალებლად, უფრო მისაღებია, რომ მომხმარებელს მოეთხოვოთ ჭამისას ყურადღება მიაქციოს კურკას, ვიდრე მწარმოებელს შეიძინოს ეს სპეციალური ხელსაწყო. მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, რადგან ცალკეული გარემოებების ანონ-დანონვის შედეგად ა-ს არ შეიძლება ჰქონოდა მოლოდინი, რომ ნამცხვარში მოთავსებული ალუბალი იქნებოდა სრულე-ბით კურკაგაცლილი.

### 3. ა-ს მოთხოვნა მ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად

ა-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

#### 3.1. ა-ს სამართლებრივი სიკეთის (სხეულის) ხელყოფა მ-ს აქტიური ქმედებით (ნამცხვრის სარეალიზაციოდ გატანით) სახეზეა.

#### 3.2. პასუხისმგებლობის წარმოშობის მიზეზ-შედეგობრიობა

მ-ს ქმედება უნდა გამხდარიყო მიზეზ-შედეგობრივი ა-ს სიკეთის დაზიანებისათვის. მართალია, პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანა არის *conditio sine qua non* ა-ს კბილის მოტეხვისათვის და ამ ქმედებიდან ასევე ადეკვატურად გამომდინარეობს ეს ზიანი, თუმცა, საკითხავია, ობიექტურად შეერაცხება თუ არა მ-ს მისი ეს დაზიანება. მ-ს ა პირდაპირ არ დაუზიანებია, მისმა ქმედებამ მხოლოდ გაშუალებულიად გამოიწვია კბილის მოტეხვა. გაშუალებული ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეერაცხოს ა-ს, თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ამართლებენ პასუხისმგებლობის ამგვარ გაფართოებას. ეს განსაკუთრებული გარემოებები შეიძლება გამომდინარეობდეს ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებიდან, თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ასეთი ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში მწარმოებელს არ ეკისრება, რის გამოც მისი

პასუხისმგებლობა ზოგადი დელიქტური წესით გამოორიცხულია.

**შედეგი:** ა-ს არ აქვს მ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

### კაზუსი: „აკაკის მოტანილი ცხვირი“<sup>101</sup>

აკაკის (ა) ცოლმა ცისანამ (ც) 2015 წლის ივლისში იყიდა დათოსაგან გორის მანქანათმშენის (გ) მიერ წარმოებული ახალი მანქანა. ამავე წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც მანქანას მხოლოდ 2000 კილომეტრი ჰქონდა გავლილი, ცისანა გზის ჩვეულ მონაკვეთზე მოძრაობის წესების დაცვით მოძრაობისას ვერ ახერხებს დამუხრუჭებას, რის შემდეგაც შეეჯახება იქვე მდგომ ბოსს. შეჯახების შედეგად ცოლის გვერდზე მჯდომი აკაკი მოიტეხს ცხვირს და დასჭირდება რამდენიმე ოპერაცია მის გასამრთელებლად.


შეჯახების მიზეზი გახდა მუხრუჭის ტროსის განყვეტა, რომელიც არასაკმარისი გამონრთობის გამო არ იყო მდგრადი და დანოლის შედეგად განყდა. ტროსის მდგრადობის შემონმება შესაძლებელი იყო მხოლოდ სპეციალური მონყობილობით. ეს შემონმება ჩაუტარდა კიდევ მას “ბორისი და პარტნიორების” (ბ) ქარხანაში, რომელიც იყო ამ ტროსების მიმწოდებელი გორის მანქანათმშენისათვის და ამ მომენტამდე ყოველთვის ჯეროვნად ართმევდა თავს მოცემულ დავალებას.

ბ-მ თავის მხრივ განაცხადა, რომ ქარხნის ყველა მუშა განყოფილების დირექტორის, ელდარის (ე), მიერ წინდახედულობის ყველა ნორმის დაცვით იყო სამუშაოზე აყვანილი, ასევე მოახერხა დაემტკიცებინა პროცესზე, რომ ტროსების გამონრთობითა და მათი მდგრადობის კონტროლით დაკავებული ვასო (ვ), ზვიადი (ზ) და თენგიზი (თ) გულდასმით იყვნენ შერჩეულნი, ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი და მუშაობის პროცესშიც ყოველთვის ხდებოდა მათი ზედამხედველობა. თუ რომელიმე მათგანი რაიმე მიზეზით ვერ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას, მას ანაცვლებდა ქარხნის სხვა მუშაკი, რასაც განსაკუთრებული გულისყურით აკონტროლებდა ელდარი.

ბ-მ დაამტკიცა ასევე თავად ელდარის გულდასმით შერჩევისა და ინსტრუქტაჟის ფაქტი.

მართალია, ამ კონკრეტული ტროსის გამონრთობისას რომელიღაცას, ვასოს, ზვიადს ან თენგიზს, შეცდომა მოუვიდა, მაგრამ ეს სცდებოდა მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს. აქვს თუ არა ა-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ბ-საგან?

<sup>101</sup> შედგენილია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (BGH NJW 1968, 247) საფუძველზე.



## ამოხსნა

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

**1. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გერმანიის პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გერმანიის პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, რისი წინაპირობებიც შემდეგია:

### 1. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ისევე როგორც გერმანიაში (ზემოხსენებული კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება), საქართველოშიც (სსკ-ის 114-ე მუხლი) წარმოადგენს ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა, რაც დაუზიანდა ა-ს ბ-ს მიერ წარმოებული მანქანით ბოძთან შეჯახების შედეგად.

## 2. წარმოებული პროდუქტის წუნი

ბ-ს მიერ წარმოებული პროდუქტი, რომელმაც გამოიწვია ა-ს დაზიანება, უნდა ყოფილიყო წუნდებული.

### 2.1. პროდუქტი

პროდუქტს განეკუთვნება ყველა მოძრავი ნივთი, ნივთის ნაწილი, ელექტროენერგია და ა. შ. პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს ასევე რაიმე სხვა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი (ზემოხსენებული კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-3 ნაწილი, მე-4 პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 1011-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება), რის გამოც არასაკმარისად მდგრადი სამუხრუჭე ტროსი, როგორც გ-ს მიერ წარმოებული მანქანის ნაწილი თავადაც ითვლება პროდუქტად.

### 2.2. წუნი

პროდუქტი არის წუნდებული (ზემოხსენებული კანონის მე-3 პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 1010-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მიხედვით, თუ არ აკმაყოფილებს საიმედოობის მოსალოდნელ სტანდარტს.

სამუხრუჭე ტროსისაგან მოსალოდნელია, რომ ის არ განყდება ავარიისა და სხვა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების გარეშე მანქანით მხოლოდ 2000 კილომეტრის გავლის შემდეგ და არ ჩაადგებს საფრთხეში ავტომობილის მგზავრებსა და მოძრაობის სხვა მონაწილეებს. იმის გამო, რომ ც-ს მიერ შეძენილ მანქანის სამუხრუჭე ტროსს ამ ტიპის მდგრადობა არ ახასიათებდა, ის წუნიანი იყო.

### 2.3 მწარმოებელი

ბ უნდა იყოს მწარმოებელი, რომელმაც აწარმოა წუნიანი პროდუქტი. მწარმოებელი, ზომოთხსენებული კანონის მე-4 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება) გაგებით არის პირი, რომელმაც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი.

სამუხრუჭე ტროსი ანარმოა ბ-მ და შესაბამისად ის წარმოადგენს მწარმოებელს ხსენებული კანონის გაგებით.

### 3. მიზეზ-შედეგობრიობა

მიზეზ-შედეგობრიობა (პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა) წუნდებული პროდუქტის წარმოებასა, რომელმაც გამოიწვია ავარია, და ა-ს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის, სახეზეა.

### 4. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს გამორიცხული ხსენებული კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 და მე-3 ნაწილების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ვარიანტის ა)-ე) ქვეპუნქტებისა და მე-2 ნაწილის) მიხედვით.

4.1. თუ პროდუქტს მწარმოებელი პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ, მაშინ ის არ აგებს პასუხს მისი ნაკლისათვის (ხსენებული კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 1, სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი). სარეალიზაციოდ გატანის ქვეშ იგულისხმება მწარმოებლის მიერ პროდუქტის ჩაშვება სამოქალაქო ბრუნვაში, ანუ მის ფარგლებში პროდუქტის სხვა პირისათვის გადაცემა, მასზე ბატონობის საკუთარი ნებით დაკარგვა. ბრუნვაში ჩაშვება არ არის სახეზე, თუ პროდუქტი მწარმოებლის ნების გარეშე ხვდება სხვის ხელში. პროდუქტის მხოლოდ ნაწილის მწარმოებელი უშვებს მას ბრუნვაში იმ მომენტში, როდესაც აწვდის მას საბოლოო პროდუქტთან მიერთებისათვის.

4.2. პროდუქტის ხარვეზი არ წარმოშობილა არც მისი სარეალიზაციოდ გატანის შემდეგ (ხსენებული კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 2; სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტი).

4.3. პასუხისმგებლობა გამორიცხული არ არის არც კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 3 და Nr. 4-ის (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ) და დ) ქვეპუნქტების) მიხედვით.

4.4. თუმცა მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება გამორიცხული იყოს ასევე იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით,

რომელიც არსებობდა პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანის დროს (კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 5, სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) ქვეპუნქტი).

პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ამ გარემოების მიზანს წარმოადგენს დაიცვას მწარმოებელი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესიდან წარმოშობილი რისკებისაგან. თუ ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მისი სარეალიზაციოდ გატანის მომენტში და შემდგომში შესაძლებელი გახდა ხსენებული განვითარების წყალობით, მწარმოებელმა არ უნდა აგოს პასუხი ამ აღმოუჩენადი ნაკლისათვის.

4.5. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ არის გამორიცხული არც კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 5-ის (სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, რადგან ნაკლი არ არის გამოწვეული იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი, ან საბოლოო პროდუქტის მწარმოებლის მიერ მისთვის თანდართული ინსტრუქციის გამო.

### 5. ზიანი

მწარმოებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიზეზ-შედეგობრივად გამომდინარეობს კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილით (სსკ-ის 1014-ე მუხლით) დაცული სიკეთეების ხელყოფიდან. მოცემულ შემთხვევაში ხელყოფილ დაცულ სიკეთეს წარმოადგენს ა-ს სხეული და ჯანმრთელობა, შესაბამისად, ანაზღაურდება მათი მკურნალობის ხარჯები (კანონის მე-8 პარაგრაფის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი<sup>102</sup>) ასევე არამატერიალური ზიანი (კანონის მე-8 პარაგრაფის მე-2 წინადადება. რაც შეეხება შრომისუუნარობით გამოწვეულ ზიანს, ის ასევე ანაზღაურდება კანონის მე-8 პარაგრაფის 1-ლი წინადადებისა და მე-9 პარაგრაფის (სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების) შესაბამისად.

**შედეგი:** ა-ს აქვს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გერმანიის პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 1009-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

102 შდრ. 408-ე მუხლის ნაკითხვისათვის ....

## II. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, რადგან მისი პასუხისმგებლობა ზოგადი საფუძვლებით არ არის გამორიცხული პროდუქტის მწარმოებლის სპეციალური პასუხისმგებლობით (კანონის მე-15 პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

### 1. მუშაკი

მუშაკს წარმოადგენს პირი, რომელსაც სხვას პირისაგან (მეპატრონე) დაკისრებული აქვს ამ პირის ინტერესებში მყოფი ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულება და რომელსაც ის პირადად ექვემდებარება. პირადი დაქვემდებარებულობა, ჩვეულებრივ, გამოიხატება მეპატრონის მიერ მითითებების განხორციელების უფლებაში, ან მუშაკის სანარმო პროცესში ჩართვაში. მეპატრონე-მუშაკს შორის ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობა.

ამგვარი განმარტების მიხედვით ტროსების მდგრალობის მაკონტროლებელ აპარატთან დასაქმებული ვ, ზ, და თ, ყველანი იყვნენ ბ-ს მუშაკები.

### 2. მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული ზიანი

მეპატრონე მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მუშაკის ქმედებით დამდგარი ზიანისათვის, თუ მუშაკმა მესამე პირს მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა ზიანი გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ამ ნორმის წინაპირობებიდან არ არის აუცილებელი მხოლოდ მუშაკის ბრალი, ყველა სხვა წინაპირობა სახეზე უნდა იყოს. გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლის (დანარჩენი) წინაპირობებია:

- 2.1. აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაში სახეზე გვაქვს.
- 2.2. მუშაკის ქმედება (სამუხრუჭე ტროსის არასაკმარისი გამოწვობა და შემდგომში მისი მდგრალობის გადაუმონმებლობა), რომელმაც გამოიწვია ა-ს დაზიანება, ასევე სახეზეა.

*ის, თუ კონკრეტულად რომელი მუშაკის ქმედება იყო ეს, ამ ეტაპზე უმნიშვნელოა და მხოლოდ მეპატრონის მიერ თავის გამართლებისათვის იქნება მნიშვნელოვანი.*

2.3. დელიქტური პასუხისმგებლობის მესამე ელემენტს წარმოადგენს პასუხისმგებლობის წარმომშობი კაუზალობა. ექვივალენტური (condicio sine qua non) და ადეკვატური კაუზალობა მოცემულ შემთხვევაში ასევე მოცემულია. მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გაშუალებული დაზიანებაა სახეზე, მუშაკებს მხოლოდ მაშინ შეეარაცხებათ ეს ზიანი, თუ სხვისი სხეულისა და ჯანმრთელობის არდაზიანების ვალდებულება, რომელიც დაარღვიეს არაჯეროვანი გამოწვობით, მათ ჰქონდათ ასევე ა-ს წინაშე. ანუ ნორმის დამცავი მიზნით მოცულია ასევე ა-ს დაზიანებაც. ა-ს, როგორც გაშუალებულად დაზიანებულის არდაზიანების ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებიდან, რომლებიც ეკისრებოდათ ბ-ს მუშაკებს და მოიცავდა ასევე ა-ს<sup>103</sup> არდაზიანებასაც. მუშაკებს დავალებული ჰქონდათ გამოეწვობათ სამუხრუჭე ტროსი შესაბამისი წესების დაცვით და შემდეგ გადაემონმებინათ მისი მდგრალობა, ეს ვალდებულება მათ გადააკისრა ბ-მ, რომელსაც თავის მხრივ გ-ს მიმართ ეკისრებოდა უნაკლო ტროსების მიწოდება. რადგან ამ ტროსების სარეალიზაციოდ გატანა ხდებოდა ბ-ს მიერ და გატანის შემდეგ ისინი წარმოადგენდნენ საფრთხის წყარო საზოგადოებისათვის, არსებობდა ვალდებულება მათი ჯეროვანი გამოწვობისა და მდგრალობის გაკონტროლებისა, არა მხოლოდ ბ-სა და გ-ს, არამედ ასევე ა-ს მიმართაც, რომელიც დაირღვა.

2.4. იმის გამო, რომ დარღვეულია ა-ს დამცავი ვალდებულება, რამაც გამოიწვია მისი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფა, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა ივარაუდება.

2.5. ზიანი ასევე კაუზალურად გამომდინარეობს სიკეთის ხელყოფისაგან – პირს, რომელსაც დელიქტის ჩამდენის ქმედებით მოსტყდება ცხვირი, ჩვეულებრივ, ესაჭიროება ხოლმე ოპერაცია.

3. ზიანის მიყენებისას მუშაკი მოქმედებდა **დავალების შესრულებისას.**

<sup>103</sup> RAAB, JuS 2002, 1041 ff.; LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 75 II 3.

#### 4. თავის გამართლება (პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება)

მეპატრონე არ აგებს პასუხს, თუ მოახერხებს დაამტკიცოს, რომ დაქირავებული პირის არჩევისას გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი ზრუნვა, ან თუ ზიანი ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც (გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება) დადგებოდა.

იმის გამო, რომ უცნობია, თუ კონკრეტულად რომელმა მუშაკმა გამოანთო, ან არასაკმარისად გააკონტროლა წუნდებული ტროსის მდგრადობა, მეპატრონემ თავი უნდა იმართლოს ყველა მუშაკისათვის, რომელიც ამ ტროსის წარმოების პროცესში იყო ჩაბმული<sup>104</sup>.

##### 4.1. მიზეზ-შედეგობრიობა შერჩევასა და ზიანს შორის

მეპატრონე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მუშაკის შერჩევა არ იყო მიზეზ-შედეგობრივი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის, ანუ ზიანი დადგებოდა ასევე შესაბამისი გულისხმიერებით შერჩეული მუშაკის წარმოების პროცესში ჩართვის შემთხვევაშიც, ან თუ გულისხმიერად მოქმედი მეპატრონეც მინოდებულ ინფორმაციის საფუძველზე ამავე მუშაკს შეარჩევდა მოცემული დავალებისათვის<sup>105</sup>. მოცემულ შემთხვევაში არ მტკიცდება, რომ ასევე შესაბამისი გულისხმიერებით შერჩეული მუშაკიც დაამზადებდა წუნდებულ ნივთს, ან სხვა მეპატრონეც ამავე დასაქმებულებს შეარჩევდა მოცემულ პოზიციაზე.

##### 4.2. ბრალი შერჩევისას

მეპატრონე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მუშაკის შერჩევასა და მისთვის თვალყურის დევნებისას იჩინდა სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას. ზრუნვის მასშტაბი განისაზღვრება დავალების ხასიათისა და მიხედვით, განსაკუთრებით, მისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით. იმის გამო, რომ სამუხრუჭე ტროსი ავტომანქანის უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ხოლო თვითონ ავტომანქანის

უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოძრაობის მონაწილეთა სხეულის, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, მეპატრონემ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული წინდახედულება.

ა) ვ-ს, ზ-სა და თ-ს შერჩევისათვის ბ-ს შეუძლია გაიმართლოს თავი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მოცემული ტროსის დამზადება-კონტროლში მონაწილეობა მიიღო ე. წ. შემცველმა პირმა. ამ მუშაკის მოქმედებისათვის თავის გასამართლებლად, საკმარისი არ არის ზოგადად გულისხმიერ შერჩევასა და მკაცრ კონტროლზე მითითება. თავის გამართლება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მეპატრონე დაასახელებს ყველა კონკრეტულ პირს, რომელსაც შეეძლო ჩაენაცვლებინა ხსენებული მუშაკები და დაადასტურებს მათი შერჩევისას გამოჩენილ გულისხმიერებას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მტკიცდება.

ბ) დიდ საწარმოებში წარმოუდგენელია თითოეული მუშაკის პირადად შერჩევა. ეს შედის, ჩვეულებრივ, საწარმოს განყოფილების დირექტორის კომპეტენციაში, რომლის შერჩევისათვისაც ბ-ს ასევე უნდა შეეძლოს თავის გამართლება. თუ ბ-ს მაინც შეერაცხებოდა ჩამნაცვლებელი მუშის არასწორი ქმედება, ეს მიგვიყვანდა სხვისი დელიქტის შერაცხვამდე მეპატრონისათვის მხოლოდ ორგანიზაციული დაქვემდებარებულობის საფუძველით, რაც გაუმართლებელია – გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი არ არის სხვისი დელიქტის შემრაცხავი ნორმა, არამედ ანესრიგებს მეპატრონის პასუხისმგებლობას საკუთარი სავარაუდო ბრალისათვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს იწვევს დიდი საწარმოების პრივილეგირებას, მაინც დასაშვებია ე. წ. დეცენტრალიზირებული გამართლებელი<sup>106</sup> მტკიცებულება – მეპატრონე თავს იმართლებს მხოლოდ მის მიერ შერჩეული მუშაკისათვის (“შუა რგოლის მუშაკი”) და ეს უკანასკნელი აგებს პასუხს უკვე მის მიერ შერჩეული მუშაკებისათვის გსკ-ის 831-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

საკმარისია, რომ ბ-მ დაამტკიცოს ე-ს შერჩევისას გამოჩენილი გულისხმიერება, რაც მან გააკეთა კიდევ.

**შედეგი:** ა-ს არ აქვს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით.

104 Palandt/THOMAS, § 831 Rn. 16.

105 LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 79 III 4b.

106 Palandt/THOMAS, § 831 Rn. 15.

*საქარველოში, გსკ-ის 831-ე პარაგრაფისაგან განსხვავებით, სსკ-ის 997-ე მუხლის წარმოადგენს არა მეპატრონის პასუხისმგებლობას საკუთარი სავარაუდო ბრალისათვის, არამედ სწორედ სხვისი დელიქტის შემრაცხავ ნორმას. ამის გამო ბ ვერ გაიმართლებს თავს მის მიერ მუშაკების გულისხმიერად შერჩევის დამტკიცების შემთხვევაშიც, თუ მათ ჩაიდინეს დელიქტი სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად. მუშაკის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მიყენებული ზიანი პირდაპირ შეერაცხება მეპატრონეს.*

*მოცემულ შემთხვევაში ვ, ზ, თ, ან ერთ-ერთის ჩამნაცვლებელი პირი მოქმედებდა ბრალეულად, შესაბამისად, მეპატრონე ბ თავს ველარ გაიმართლებს და მოუწევს ზიანის ანაზღაურება.*

### **III. ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად**

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით. ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა ზოგადი საფუძვლებით არ არის გამორიცხული პროდუქტის მწარმოებლის სპეციალური პასუხისმგებლობით (კანონის მე-15 პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

1. ა-ს **სიკეთის ხელყოფა** ბ-ს **მოქმედებით**, წუნდებული ტროსის გ-სათვის მიწოდებით, სახეზეა.

### **2. პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზ-შედეგობრიობა**

ექვივალენტური მიზეზ-შედეგობრიობა სახეზეა (წუნდებული ტროსის სარეალიზაციოდ გატანის გარეშე ა-ს ცხვირი არ დაუზიანდებოდა) ისევე როგორც ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობა – ამ ტიპის დაზიანება არ არის არასავარაუდო. საკითხავია, შეერაცხება თუ არა ბ-ს ა-ს დაზიანება, ანუ ა-ს არდაზიანებაც მოცულია თუ არა ნორმის (გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის, სსკ-ის 992-ე მუხლის) დამცავი მიზნით. იმის გამო, რომ სახეზეა სიკეთის გაშუალებული ხელყოფა, ამ ხელყოფის შერაცხვისათვის ა-ს უნდა დაერღვია “ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება”. დარღვევისათვის

საკმარისია წუნდებული პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანა, რადგან მწარმოებელმა არ უნდა ჩაუშვას ეს წუნდებული პროდუქტი და ეს ვალდებულება მას აქვს არა უშუალოდ მიმწოდებლის, არამედ ასევე შორეული მომხმარებლის წინაშეც<sup>107</sup>.

საპირისპირო მოსაზრების თანახმად<sup>108</sup>, ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულების ამგვარად გაფართოება დაუშვებელია და ის საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდის ამ ვალდებულების შესრულებას. ამიტომაც ის უნდა დაკონკრეტდეს იმგვარად, რომ წუნდებული პროდუქტის ბრუნვაში ჩაშვება, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, დაუკავშირდეს კონკრეტული ობიექტური ვალდებულების დარღვევას, რომელიც მწარმოებლის პასუხისმგებლობის სფეროდან მომდინარეობს. მწარმოებელმა ისე უნდა მოაწყოს საწარმო, როგორც ეს აუცილებელია მესამე პირთა დაზიანების თავიდან ასაცილებლად. მან გულდასმით უნდა შეარჩიოს საწარმოს პერსონალი და ჩაუტაროს მათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი – ორგანიზაციის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ბ ვერ ამტკიცებს, თუ კონკრეტულად რომელმა მუშაკმა მიიღო ტროსის დამზადება-კონტროლში მონაწილეობა და იყო თუ არა ეს მუშაკი მის მიერ შესაბამისი გულისხმიერებით შერჩეული.

შესაბამისად, ბ-მ დაარღვია საწარმოს ორგანიზაციის ვალდებულება, როგორც ბრუნვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების სპეციალური ფორმა.

3. სახეზეა აბსოლუტური სიკეთის ხელყოფა მოქმედებით, ამიტომაც **მართლწინააღმდეგობა** ივარაუდება.

4. რაც შეეხება **ბრალს**, თუ სიკეთის ხელყოფა გამოწვეულია წუნდებული პროდუქტით, მაშინ მტკიცების ტვირთი ტრიალდება მწარმოებლის საზიანოდ, თუ საქმე გვაქვს კონსტრუქციის, ფაბრიკაციის, ინსტრუქციის ნაკლთან, ან პროდუქტის არასაკმარის გამოცდასთან, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა და რის გამოც ბ-ს ბრალი ივარაუდება.

6. **ზიანი**, რომელიც მიზეზ-შედეგობრივად გამომდინარეობს სიკეთის ხელყოფისაგან ასევე სახეზეა.

<sup>107</sup> LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 75 II 3d.

<sup>108</sup> Sead. aseve LARENZ/CANARIS, Schuldrecht BT II/2, § 75 II 3d.

**შედეგი:** ა-მ უნდა აუნაზღაუროს ბ-ს ზიანი გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით<sup>109</sup>.

კაზუსის შეკითხვა არ ეხებოდა ამ საკითხს, თუმცა ა-ს აქვს მოთხოვნის უფლება ასევე გ-ს, როგორც საბოლოო პროდუქტის მწარმოებლის, მიმართაც. ამ შემთხვევაში ბ და გ პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (ხსენებული კანონის მე-5 პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 1013-ე მუხლი).

გ პასუხს არ აგებს გსკ-ის 823-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 992-ე და შემდგომი მუხლების) მიხედვით, რადგან არ ეკისრებოდა ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება და არ მიუძღვის არც ბრალი წუნდებული პროდუქტის წარმოებაში. არ შეეძლო ევარაუდა რა პროდუქტის წუნი კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეეძლო მინდობოდა ბ-ს (რომელიც ამ მომენტამდე ყოველთვის ჯეროვნად ართმევდა თავს დაკისრებულ ვალდებულებას) მიერ მიწოდებული პროდუქტის უნაკლოობას და თვითონ არ გადაემოწმებინა მისი ცალკეული დეტალები. ბრალის არარსებობის გამო ასევე გამოორიცხულია გ-ს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.

**V. მწარმოებლის პასუხისმგებლობა (სქემა)**

გერმანია (§ 111 კანონი მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ)	საქართველო (მ. 1009 I სსკ)
<b>I. გამოყენების სფერო</b> (§ 11)	<b>I. ზიანი</b> (მ. 1009 I, 1014 სსკ)
<b>II. სამართლებრივი სიკეთის და-ზიანება</b> (§ 111)	<b>II. სამართლებრივი სიკეთის და-ზიანება</b> (მ. 1014 სსკ)
<b>III. წუნდებული პროდუქტის დამზადებით</b> → პროდუქტი (§ 2) → ნაკლი (§ 3) → მწარმოებელი (§ 4)	<b>III. წუნდებული პროდუქტის დამზადებით</b> → პროდუქტი (მ. 1011 სსკ) → ნაკლი (მ. 1010 სსკ) → მწარმოებელი (მ. 1011 II-IV სსკ)
<b>IV. თანაბრალეულობა</b> (§ 6)	<b>IV. თანაბრალეულობა</b> (მ. 415 სსკ)
<b>V. ხანდაზმულობა და გაქარწყლება</b> (§§ 12, 13; მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაუშვებელია, § 14)	<b>V. ხანდაზმულობა</b> (მ. 1015 სსკ; მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაუშვებელია, მ. 1016 სსკ)
<b>შედეგი:</b> ზიანის ანაზღაურება (§§ 7 და შემდგომი)	<b>შედეგი:</b> ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 408-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

109 გერმანიაში ა-ს ექნება ასევე დამატებითი დელიქტური მოთხოვნის უფლება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე პარაგრაფისა და ასევე პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ მე-4 პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და მე-6 პარაგრაფის შესაბამისად. ეს მოთხოვნა საქართველოში არ გამოიყენება, ამიტომაც მისი განხილვისაგან თავი შევიკავეთ.

